K 252794
3

თამილა მაკარიძე

# ეს ჩემი სიმართლეა

პუბლიცისტური წერილები

3

**თამილა მაკარიძე**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ეს ჩემი სიმართლეა

## პუბლიცისტური წერილები

**თბილისი 2006**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

წიგნში "ეს ჩემი სიმართლეა", შეკრებულია ცნობილი ქართველი ფსიქიატრის ქ-ნ თამილა მაკარიძის პუბლიცისტური სტატიები, რომლებიც ქვეყნდებოდა ქართულ პრესაში უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში. ბრწყინვალე ენით დაწერილმა, ირონიითა და ხშირად სარკაზმით შეჯერებულმა სოციალურმა აქტუალურობამ ამ პუბლიკაციებს დიდი პოპულარობა მოუტანა ქართულ საზოგადოებაში.

ეს წიგნი წარმოადგენს ქალბატონ თამილა მაკარიძის სტატიათა კრებულს.

საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა

K 25274 4
3

დაბეჭდილია შპს „თობალისში"

ISBN 99940-36-65-3

სპეგ-2000
შემოწმებულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

# წინათქმა

ქ-ნ თამილა მაკარიძის პირველი წერილი "ლიტერატურულ საქართველოში" მაშინ დაიბეჭდა, როდესაც გაზეთის რედაქტორი ბ-ნი ელიზბარ ჯაველიძე გახლდათ. ამდენად, ამ წერილის ლიტერატურული ხარისხი და ჟურნალისტური ღირსება იმდენად მისაღები იყო, რომ მაშინვე დიდი გამოხმაურება მოჰყვა. თემა, რომელსაც ქ-ნი თამილა შეეხო, საკამათო და ცოტა სახიფათო გახლდათ – ამ საკითხის ირგვლივ შექმნილი აზრის გამო. საქმე ეხებოდა ჟურნალისტი ქალის ბედს, რომლის ფსიქიურ ჯანმრთელობას (იგი საავადმყოფოში მკურნალობდა) ეჭვქვეშ აყენებდა საზოგადოების დიდი ნაწილი. იყო თავდასხმა ფსიქიატრებზე და ამდენად, მათ დასაცავად თქმული და მით უმეტეს, დაწერილი – დიდ გამბედაობას მოითხოვდა. ასე გამოქვეყნდა წერილი სათაურით: "კარგის თქმის ნუ შეგეშინდებათ". იმდენად დამაჯერებლად და არგუმენტირებულად იყო მოწოდებული მკითხველისათვის ფსიქიკურ დაავადებათა ძალიან ნატიფი დიფერენცირების აუცილებლობა, (კონკრეტულ შემთხვევაში – კი - განსაკუთრებით), რომ საზოგადოების შეგნებულმა ნაწილმა გაიგო და ირწმუნა ნათქვამი.

უკანასკნელი 2 წელია ქ-ნი თამილა ჩვენი გაზეთის ხშირი სტუმარია. იგი პირველად ჟორჟ-სანდის ფსევდონიმით გამოჩნდა და თავსატეხი გაუჩინა მკითხველს – ავტორის ვინაობის გაგების მსურველთ.

ყოველი შემდეგი წერილი – ჩვენი გაზეთის მუდმივი მკითხველების მოლოდინს არა-თუ ამართლებდა, აკვირვებდა კიდეც დარბაისლური, წერის ინტელიგენტური მანერით, უეცარი და საინტერესო პასაჟებით, ქართული პოეზიის, პროზისა და მსოფლიო კლასიკური ლიტერატურის ცოდნით და ამ მარაგის დროული, შესატყვისი გამოყენებით. ჩვენი რედაქცია იძულებულიც –კი შეიქნა სხვა გაზეთისათვის დაეთმო ერთ-ერთი პუბლიცისტური წერილის დაბეჭდვა, იმდენად დიდი იყო მკითხველთა მოთხოვნა.

*მოქალაქეობრივი პოზიცია, ქვეყნის სოციალური და პოლიტიკური ვითარების გაუმჯობესების სურვილით გამოხატული, გარეგნულად - , თითქოს-და რბილად სჩანდა, მაგრამ მეტად მწვავე იყო შეფასება. სწორედ ყოველივე ეს გამოარჩევს ქ-ნ თამილას პუბლიცისტურ წერილებს. ასეთია საზოგადოების აზრი.*

*ავტორის თხრობის თავისებური, იოლი მანერა – ხერხია და თანაც-მომგებიანი. როგორც ერთ-ერთმა მკითხველმა უთხრა: "თეთრი ხელთათმანებით ტყვიას ნიშანში აჯენთ".*

*ჩვენი გაზეთის რედაქცია დარწმუნებულია, რომ ქ-ნი თამილა კვლავ გააგრძელებს ქვეყნისათვის მწვავე და მნიშვნელოვან საკითხებზე გამოხმაურებას და მადლობას უხდის მას, ვინც გადაწყვიტა ქართულ საზოგადოებას მიაწოდოს წიგნადქცეული, თავმოყრილი წერილები. ეს ხომ ჩვენი ქვეყნის ისტორიაა.*

*გაზეთ "ლიტერატურული საქართველოს"*
*მთავარი რედაქტორი – თ. წივწივაძე*

ეროვნული ბიბლიოთეკა

## *უცნაური ქალი*

**კარგა ხანია შევამჩნიე, რომ ასაკმა უცნაურობანიც შემმატა. არა, უცნაურობანი ადრეც მქონდა და სხვასაც შეუმჩნევია, მაგრამ ახლა მეც ვიტანჯები და სხვებსაც ვაწვალებ.**

**პიროვნებაში სამი რამ უნდა იყოს შეხამებული – ინტელექტი, სულიერი და ემოციური სფერო. ამ სამი სფეროს ჰარმონიულობა ქმნის პიროვნებას.**

**ამასთან ერთად მე ვიტყოდი, რომ მთავარია ხასიათი, უნარი – გამოიყენო ცოდნა, განათლება, გარემოება, რათა შეგეძლოს ადამიანებთან დაამყარო საქმიანი, მეგობრული და უბრალოდ, ყოფითი კონტაქტი.**

**ყოველი გადახვევა ქმნის უცნაურობას. სწორედ ეს მინდა შევჩივლო მკითხველს და შეიძლება პასუხი ან რჩევა მივიღო.**

**ხშირად მესმის: "უცნაური ქალი ხარ, თამილა" ჭეშმარიტებაა!** უცნაური ვარ, მაშ რამ მაიძულა 1991 წლის არჩევნებამდე სამი დღით ადრე ტელევიზიით გამეფრთხილებინა საზოგადოებრიობა: "ფრთხილად იყავით, არჩევანში არ შეცდეთ! ემოციურად გაწონასწორებული კაცი ეძებეთ-მეთქი". საშიში დრო იყო და ფრაზაც – მისახვედრი.

**უცნაური რომ არ ვიყო,** საზოგადოება "თბილისელის" ქალთა საკრებულოს წევრობას რატომ ვინდომებდი? შინ და სამსახურში ცოტა საქმე მქონდა? მერე როდის? როცა კარს მოგვადგა ლტოლვილების არმია, ომი, ურთიერთდაპირისპირებულ ბანაკებად დაიყო საზოგადოება . . .

**ნამდვილად უცნაურობის ბრალია,** თორემ რამ მაიძულა ასი გალელი წვრილშვილიანი ოჯახის პირველადი საოჯახო ნივთებით უზრუნველყოფა მეკისრა? რა ქვაბები, თეფშები, დანა-ჩანგალი ვაგროვე, ვის რა "წავართვი", რა წვალებით ვიშოვე ლოგინის თეთრეული, სუფრები, პირსახოცები . . . მოკლედ, ყველაფერი, რაც სჭირდება ახალმოსახლეს. სიგელიც მივიღეთ და მადლობაც აფხაზეთის

მთავრობისაგან. ვითომ სიგელისათვის ვიშრომე ამდენი? არა, ეს ჩემი უცნაურობის ბრალია, ის არ მასვენებს.

**უცნაური რომ არ ვიყო,** როგორ მომივიდოდა აზრად, რომ პარლამენტის იურიდიული კომისიისათვის მიმეცა წინადადება – საზოგადოებრივ ადგილებში ბილწსიტყვაობისათვის დაწესდეს სასჯელი და ეს მუხლი შეტანილ იქნას საქართველოს კანონთა წიგნში. ეს ნამდვილად უცნაურობაა – ქუჩაში გინება ვერ აიტანო, შეიძლება ქუჩაში მუდამ შვილიშვილი მაჩუმებდეს: "ბებია შენ ყველას ხომ ვერ გამოასწორებ! გამოდის, რომ შენს გარდა აქ არავინ არის?" მაინც არ ვინდობ ბილწი სიტყვების ავტორებს.

ახლა რა უცნაურობა დამჩემდა: ქუჩაში დაყრილ ნაგავს ვერ ვეგუები. რა მახსენდება, იცით? დოკუმენტური კადრები – 1945 წლის ბერლინი, ბერლინის რადიოს მოწოდებით ქუჩაში გამოსული მოსახლეობა 10 მაისს უკვე დანგრეულ ქალაქს ასუფთავებდა. ჩვენ რა გვჭირს? ნაგავს შევეჩვიეთ? ნამდვილად უცნაური ნატვრაა, მაგრამ რაიონის გამგებელი და მისი მოადგილეები ხანდახან თავისი რაიონის ქუჩებს რომ დაივლიდნენ, ხომ ბევრ რამეს შეამჩნევდნენ. ჩემს პატარა ქუჩაზე პატარა კერძო სახლებია. ამოთხარეს სარდაფები, მიწა ქუჩაში გამოიტანეს. ცუდი ხასიათი მაქვს და არ მინდა, ამ ნაგავს და ეზოდან გამოტანილ მიწას ვუყურო ჩემი აივნიდან. აი, უფლება რომ მქონდეს, მაშინ . . .

უფლებაზე გამახსენდა! უცნაურობაა, მაშ სხვას რას დაარქმევ, რომ არ ვიზიარებ იმ აზრს, ქალაქის მერიაში ქალი არ გააჭაჭანონ მდივნებისა და კანცელარიის მუშაკების გარდა.

მერიის სხდომები ტელევიზიით არ გინახავთ? კარგად მოვლილი, ნაპატივები მამაკაცების თავშეყრას, ერთი ქალი რომ არ ურევია. და მე კვლავ უცნაური აზრი მომივიდა; ქალაქს ქალის თვალი და ხელი აკლია. მერიაში კარგი მეურნე დიასახლისი, თავისი ქალაქის გულშემატკივარი ქალი უნდა განაგებდეს თბილისის კეთილმოწყობას.

რა კარგი ჩვევა ჰქონდა გაზეთ "თბილისს":

ბოლო გვერდზე ყოველთვის ბეჭდავდა მოქალაქეების რჩევა-დარიგებებს სათაურით: "მე რომ ქალაქის მერი ვიყო".

ერთი წუთით წარმოვიდგინოთ, რომ საშუალება მომეცა გამოვთქვა ჩემი აზრი გაზეთის ფურცლებზე, რამდენ უცნაურ სურვილს ჩავწერდი.

**ქალაქის მერი რომ ვიყო,** მოვიწვევდი რაიონის გამგებლებს და მკაცრად გავაფრთხილებდი – უმოკლეს ვადაში, ერთ კვირაში ყველა ქუჩაზე გამომავალი აივანი გაიწმინდოს, გასუფთავდეს და მხოლოდ ყვავილებით იყოს დამშვენებული. ბინა პრივატიზებულია. ქუჩა ქალაქს და ხალხს ეკუთვნის. აივანი ქუჩაში გამოდის. მან დეკორატიული ფუნქციაც უნდა შეასრულოს.

**მე რომ მერი ვიყო,** დავივლიდი სოლოლაკს, რუსთაველს, მის პარალელურ ქუჩებს, ბოდიშს ვიხდი, ძველი სახელებით მოვიხსენიებ პლეხანოვის, კლარა ცეტკინის, ორჯონიკიძის, კალინინის, ნინოშვილის ქუჩებს და კიდევ ერთხელ დავრწმუნდებოდი, რომ არც ერთ ქალაქში ასეთი გემოვნებით ნაკეთები რკინის და ხის აივნები არ არის. აივნები არ მეორდება, ყველა განსხვავებულია, მაშ, გამოვაჩინოთ ეს სიმდიდრე.

**მე რომ ქალაქის მერი ვიყო,** ძველი ქუჩების სადარბაზოებსაც მივხედავდი, კატეგორიულად მოვითხოვდი ამ ლამაზი სადარბაზოების რკინის ბადეების და ხის ნაკეთობით გაწყობილი შესასვლელების შეკეთება-შეღებვას.

**მე რომ ქალაქის მერი ვიყო,** ცოტაოდენ ყურადღებას მივაქცევდი იმ დაწესებულებათა ფასადებს, რომლებიც ქალაქის ხედს აფუჭებენ მხოლოდ. აბა, როგორ შეიძლება სილამაზის სალონი ერქვას და ჭუჭყიანი ნაჭრები ჰქონდეს ჩამოფარებული ფარდების ნაცვლად! რატომ არ ვთხოვთ ვინაც ჯერ არს, ქუჩაში გამომავალი ფანჯრებიც სუფთა იყოს, ფარდები – ლამაზი და ყვავილებით დამშვენებული.

**მე რომ ქალაქის მერი ვიყო,** - ჯარიმას დავაწესებდი ქუჩაში ჭუჭყიანი მანქანის გამოყვანისათვის.

**მე რომ ქალაქის მერი ვიყო,** ავკრძალავდი გაურეცხავი სამარშრუტო ტაქსების გამოსვლას ქალაქში,

მგზავრი ფულს იხდის, მას პატივი უნდა ვცეთ, სუფთად და წესიერად ვამგზავროთ.

უცნაური რომ არ ვიყო, რაში მენაღვლება, რით შეიკვრება მწვანილის კონა? რა ჩემი საქმეა, რომ კონები ახალთახალი სპილენძის წვრილი მავთულებით იკვრება? ან რატომ ვფიქრობ, საიდან აქვთ მემწვანილეებს ამდენი მავთული, რა საწარმო იძარცვება ასე ძალიან. ერთი წელი ვაგროვებდი ამ მავთულებს იმ იმედით, რომ ერთხელ მაინც შევხვედროდი იმას, ვისაც ეს ამბავი შეაწუხებდა. ხელისუფალთ ვერ შევხვდი და ახლა ნიმუშად ერთი მავთულიღა მიდევს ჩანთაში.

გასაოცარი რამ ვნახე: ტალონზე, რომელსაც ბაზრობაზე ხარკის ამკრეფი ფულის სანაცვლოდ აძლევს გამყიდველებს, არც რიცხვი ეწერა, არც გადახდილი ფულის რაოდენობა და არც მიმღების გვარი. მიწაზე დაყრილი ტალონებიც და გამყიდველისგან გამორთმეულებიც – ყველა ერთნაირად არაფრისმთქმელია. არა, პირიქით, ძალიან ბევრის მთქმელია, ამდენი ფული "ბაზრის მთავრობაში" განაწილდება. აქედან ერთი თეთრიც არ მიუვა სახელმწიფოს.

გამყიდველები მიამბობენ, კიდევ რამდენგვარ გადასახადს უხდიან ასე ჩამომვლელ ბაზრის მოხელეებს, ამიტომ ყიდიან ყველაფერს ძვირად. როგორ უხდიან დაცვასაც, რომელიც არ იცავს, იმიტომ, რომ არ არსებობს ხელშეკრულება, დებულება, კანონი, რომ დაცვა იმის დაცვაა – თუ ვერ დაგიცავს და მოგპარავენ რამეს, მან უნდა აგინაზრაუროს.

ახლა როგორ არ გაგიზიაროთ ჩემი უცნაური სურვილი: მე რომ ქალაქის მერი ვიყო, გამოვყოფდი საზოგადოებრივი ორგანიზაციებიდან კეთილსინდისიერ ადამიანებს, მივანიჭებდი მათ ოფიციალურ უფლებებს და სახელმწიფოს არ მოვაკლებდი იმას, რაც ეკუთვნის. შეიძლება მეშლება და ეს ბაზრის მოხელეები ამ ფულს ქველმოქმედებისათვის აგროვებენ? არა მგონია!

კი, მაგრამ, ბაზრის რადიო რომ ყოველ წუთს უხმობს ვიღაც-ვიღაცეებს დირექციაში?! თბილისი მარტო რუსთაველი ხომ არ არის. თბილისი ბაზრის ტერიტორიაც არის. ჰოდა,

რა მოხდება, იმ რადიომ დღეში რამდენჯერმე რომ გამოაცხადოს: "დაიცავით სისუფთავე, ნუ დაყრით ნარჩენებს, თორემ დაჯარიმდებით დიდი თანხით. დანაგვიანებაში განმეორებით შემჩნეულნი ბაზრიდან გაძევდებიან!"

როგორ გგონიათ, არ გაჭრის? გაჭრის, ოღონდ "ხარკის ამკრეფნი" უნდა იალაგმონ.

უცნაურობა არ არის, მშიერ ავადმყოფს რომ ვერ აიტან და შენ თვითონ, შენი ხელით დაუმზადებ განყოფილების სამზარეულოში საჭმელს და ამის გამო შენიშვნასაც მიიღებ?

უცნაური ხარ, აბა, სხვა რა ითქმის, როდესაც მთელ მსოფლიოში ფსიქიატრი ერთ-ერთი დაფასებული პროფესიაა, მე კი 35 წლის გამოცდილებით და უმაღლესი კატეგორიით 35 ლარად შემიფასეს შრომა. ეს ქარალდზე, ხელზე კი 27 ლარს ვიღებ დაქვითვის შემდეგ და მაინც ვმუშაობ?

უცნაური რომ არ ვიყო, როგორ უნდა გამიკვირდეს, რომ მე 35 ლარს ვღებულობ, ხოლო ჩემი მეზობელი, დასუფთავების სამსახურის მოლარე – 90 ლარს და კიდევ ფულად პრემიებს? მეუხერხულება, მაგრამ ისიც ვერ გავიგე, ასეთი რა მავნე სამუშაო აქვთ პარლამენტის წევრებს, რომელთა ხელფასი თვეში 300 ლარია (ჩემს ხელფასში კი მავნე სამუშაოს 30 პროცენტია)?

განა უცნაურობა არ იყო, ორი წლის წინ მე და ჩემმა თანამოაზრეებმა ცივ ზამთარში სახელმწიფოსთვის ოქროს შეგროვება რომ წამოვიწყეთ? როგორც ჩანს, ჩემი ცხოვრება უკანასკნელ ხანს სულ უცნაურობებისაგან შედგება, მაგრამ ერთი რამ რომ არ ვთქვა, არ შემიძლია; კაციობრიობის მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე წარმოჩინდა ქალის უდიდესი როლი, ქალი აშენებს, ქალი ანგრევს, ქალი არის მშვიდობის გარანტი, ქალი გულისა და სულის თვალია, ქალის თვალი კაცისთვის შეუმჩნეველს დაინახავს, ქალით იმართება ბევრი რამ. თუ ქალი კეთილზნიანია, ხომ კარგი – აშენდა ოჯახი და ქვეყანა, ბოროტი და უკეთური ქალი დამაქცევარია ოჯახისაც და ქვეყნისაც.

კიდევ ერთი უცნაური აზრი არ მასვენებს. შეგიმჩნევიათ, როგორ შედიან მეტროს ვაგონის გაღებულ კარში მამაკაცები? მოიმარჯვებენ იდაყვებს, განზე გასწევენ

მანდილოსნებს და ღონივრად აწვებიან გამომსვლელთ. მთავარია თვითონ პირველნი შეცვივდნენ და დაიკავონ ადგილები. შემზარავი სურათია.

ტრანსპორტში კი არა, ზოგ-ზოგ მაღალ დაწესებულებაში შეცვივდნენ მამაკაცები და განზე გაწეული მკლავებით მისწი-მოსწიეს ღირსეული, განათლებული და ქვეყნისათვის საჭირო მანდილოსნები.

სიტყვამ მოიტანა და არ შემიძლია არ ვთქვა, - რატომ ერიდებიან მანდილოსნების ჩარევას სახელმწიფო საქმეებში? როგორ დავიჯერო, რომ დარბაისელი, ჭკვიანი, თავშეკავებული, სადაც საჭიროა მომთხოვნი, შემტევი და ურთიერთობის უნარის მქონე ქალი ნაკლებს შეძლებდა, ვიღრე ზოგ-ზოგი მამაკაცი, რომლებსაც ვხედავთ მაღალ პოსტებზე?! ქალი ოჯახის სავიზიტო ბარათიც არის და სახელმწიფოსიც. მე ვთვლი, რომ ეს აზრი არ არის უფრო მეტად უცნაური, ვიღრე ბევრი სხვა ჩემი უცნაურობანი.

მოკლედ, ღმერთმა დაიფაროს ყველა ჩემნაირი ხასიათისაგან, იცხოვრე შენთვის მშვიდად, თუ შეგიძლია. ასე არ სჯობს?

გაზეთი "სამშობლო –FORTE" 08.04.1996წ.

## "თავში ნუ მირტყამთ!!.," ანუ იმის შესახებ, რაც არ უნდა ხდებოდეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკის
გენერალურ პროკურორს,
ბატონ ჯამლეტ ბაბილაშვილს
პატიმარ უჩა დავითის ძე
სეხნიაშვილის დედის ნინო სეხნიაშვილის
(მცხ. ქ.თელავში, თბილისის გზატკ. № 7-ში)

### გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

. . . ბატონო პროკურორო, ჩემმა შვილმა უღირსი საქციელი ჩაიდინა სნეულ ტვინზე ალკოჰოლის ზემოქმედების შედეგად, რისთვისაც უნდა დავისაჯოთ, მაგრამ გეკითხებით, როგორი ტვინითა და გულით სცემეს დაუძლურებულს, დაუცველ პატიმარს შუაღამისას მასზე ბევრად უფროსმა, ღონიერმა პოლიციის უფლებებით აღჭურვილმა პირებმა? ვინ უფრო დამნაშავეა კანონისა და საზოგადოების წინაშე – ჩემი შვილი, თუ მილიციის ის თანამშრომლები, რომლებმაც ოთხი დღე გააჩერეს მომაკვდავი პატიმარი საკანში და მხოლოდ მერე უთხრეს დედას, ექიმი მოიყვანეო?

ვინ უფრო დამნაშავეა, ჩემი შვილი, თუ ის ექიმი, რომელიც პირადი ანგარიშსწორების მიზნით ჰიპოკრატეს ფიცს ივიწყებს და ავადმყოფს არ მიხედავს? ის პროკურორი, რომელიც ატირებულ დედას კაბინეტიდან გამოაგდებს ამ სიტყვებით – "ახია შენ შვილზე, რატომ არ ამბობს, დანარჩენები ვინ იყვნენო?" ან ის მოსამართლე, რომელიც სასოწარკვეთილ მშობელს ქუჩაში უყვირებს – "შენი ბანდიტი შვილის სული ჩვენ ხელშიაო?"

ამ ამბავმა პირველად გამაღებინა ციხის კარები.

ჩემს უკან მძიმედ, სმაურით გაიხურა რკინის კარი. პირველად ვიყავი საპყრობილეში, უფრო სწორედ, საპყრობილის იმ საავადმყოფოში, სადაც ჯერ

გაუსამართლებელი ავადმყოფი პატიმრები არიან. იმ გზად გავლის დროსაც კი, უსიამოვნო-მეთქი, რომ ვთქვა, ცოტა იქნება, - შიშის და სიბრალულის უსაზღვრო ფრინოვა მიპყრობს. ეხლა თვითონ ვიყავი იქ – საავადმყოფოში. ამბობენ ეს არაფერიაო თვითონ საპყრობილესთან შედარებით.

ფსიქოლოგიაში არსებობს კვალის ცნება. ჰოდა ის, რისთვისაც მე პირველად მომიხდა ციხეში შესვლა და რაც იქ ვნახე, დიდხანს არ მომასვენებს, გაართულებს და დაამძიმებს ისედაც მძიმე, დიდი და წვრილი საზრუნავით აღსავსე ცხოვრებას. კვალი მოქმედებს, და იცით როგორ? რასაც უნდა ვაკეთებდე, ვისაც უნდა ველაპარაკებოდე, შინ თუ გარეთ, სიზმარშიც კი – რკინის კარის ხმაური, კედლებჩამონგრეული, იატაკაყრილი, პირქუში განყოფილება და მისი ავადმყოფები მიდგანან თვალწინ. ეს კვალის ფენომენია და არც წაიშლება, ალბათ . . .

წერილი მივიღე, გულმოკლული დედის წერილი. გამართული, ლამაზი ქართულით იყო დაწერილი და პირველი სტრიქონებიდანვე ამით მიიქცია ჩემი ყურადღება – "თქვენი წიგნი წავიკითხეო", - მწერდა. ვიფიქრე, ჩვეულებრივ, აზრს მიზიარებს-მეთქი მკითხველი, გამიხარდა. წერილის გაგრძელებამ შემაძრწუნა. გაგონილი როგორ არ მქონდა, რომ ასეთი რამ ხდება-ხოლმე, მაგრამ ამ წერილში დედის ცრემლი, შვილის გადარჩენის სურვილი, მისი დაკარგვის შიში, შვილის დანაშაულის გამო სირცხვილი და ძლიერთა ბოროტების წინაშე ძრწოლვა – ყველაფერი ერთად ჩანდა. ჩანდა კი არა, წერილი ტიროდა, მოთქვამდა, ზარს სცემდა, საშველად მიხმობდა და ადამიანურ დახმარებას ითხოვდა.

"თქვენი წიგნი წავიკითხე, მინდოდა ყველას წაეკითხა. ავადმყოფებისადმი ასეთი დამოკიდებულება ყველა ავადმყოფის პატრონს დაამშვიდებს. დიდი საქმეა, როდესაც დედამ იცის, რომ მის სნეულ შვილს პატრონი ჰყავს, მაგრამ როგორია, როდესაც ისედაც ავადმყოფ შვილს, თუნდაც დამნაშავეს, პატიმარს, ისე სცემენ, რომ გონს დაკარგავს და ახლა ნამდვილი ხეიბარია – ფიზიკურადაც

და სულიერადაც. თქვენ ხომ წერთ, ფსიქიატრი ვალდებულიაო, ჰოდა, ჩვენ ყველას – ჩემ შვილს, მე - უბედურ დედას, მამას, მის ცოლ-შვილს – შველა გვჭირდება. ამ უკიდეგანო სამყაროში ჩვენ უპატრონო, დაუცველნი აღმოვჩნდით. ვისაც უნდა დავეცავით, იმან ურტყა უსაშველოდ ჩემ შვილს.

მე თვითონ არ ვიცი, რა შველა შეგიძლიათ თქვენ, მაგრამ დედის გული მიკარნახებს, თქვენ მოგმართოთ. თუ არა და, ჩემს წერილს რომ წაიკითხავთ, თქვენც ასეთი აზრი გაგიჩნდებათ – ღმერთო, ხალხო, ჩვენო რჩეულებო, სათავეში მყოფნო, სამართალდამცავნო, უზენაესნო – სადა ხართ? ასე როგორ უნდა დაიკარგოს ადამიანი ხალხით სავსე ქვეყანაში?"

დამეთანხმებით, ზოგჯერ, მძიმე ვითარებაში ყოველ ჩვენგანს გასჩენია ეს განცდა. მე კი ვალდებული ვიყავი. ანდა, არ უნდა ვწერო – ფსიქიატრი ვალდებულია-მეთქი და ეს საჯაროდ, წიგნით განვაცხადო.

შევხვდი დედას. დარდით, მწუხარებით განახევრებული, სანდომიანი, კაფანდარა ქალი ქართულ ენასა და ლიტერატურას ასწავლის თელავის რაიონში. პოეზია უყვარს და ჩინებულადაც იცის. ჩემთანაც კი, სანამ მის წერილს ვკითხულობდი, ავადმყოფის ნაჩუქარი ლექსების კრებული შენიშნა, ლექსის სიყვარულმა წააკითხა – "რამდენი სევდააო", - ბოლოს სთქვა.

"ის წერილი, თქვენ რომ მიიღეთ, ჩვენს შესახვედრად დავწერეო", - მითხრა. "მე რომ გელაპარაკოთ, დღე და ღამე არ მეყოფა, ამიტომ ჩემი უბედურება წვრილად აღვწერე, თუმცა რა წვრილად, ფაქტები აღვნუსხე მხოლოდ. აბა, ჩვენს განცდებს და უძილო ღამეების ფიქრებს იქ რა ჩატევდა?! წერილი მოგიტანეთ – ჩემი უბედურების წერილი, და თუ შეგიძლიათ, დამეხმარეთ". წერილი დატოვა და მკითხველს მინდა გავუზიარო. გაზიარებული დარდი მსუბუქდებაო, ამბობენ.

"უჩა ცელქი, მოუსვენარი, მაგრამ ნიჭიერი, კეთილი და ნათელი ბიჭი იყო. ყველა და ყველაფერი უყვარდა ირგვლივ. ხატავდა, მღეროდა, ლექსებს წერდა. ალბათ, სხვა გზით წარიმართებოდა მისი ცხოვრება, რომ არა ის

ავადმოსაგონარი დღე – მეათე კლასში იყო მაშინ. ტრაქტორი გადაბრუნდა და უჩა ქვეშ მოჰყვა. არავის ეგონა მისი გადარჩენა. ყვარლის საავადმყოფოს რეანიმაციის განყოფილებიდან თბილისში, საავადმყოფოს ნეიროქირურგიულ განყოფილებაში გადმოვიყვანეთ (პროფ. შ.ხევსურიანი მკურნალობდა). გადარჩა ჩემი შვილი ფიზიკურად, სულიერად კი, დაშავებულა, დეფექტიც დარჩა. მარჯვენა ხელმა ატროფია განიცადა, ძალაწართმეულ ხელს დამოუკიდებლად ვერ ამოძრავებდა. ბაწარივით ეკიდა, მეორე ხელით თუ გადააადგილებდა ხოლმე რვა თვის განმავლობაში. ახტალა, წყალტუბო, აბაზანები, მასაჟი, ექიმები და . . . აღდგა მოძრაობა. ღონე კი ახლაც ნაკლები აქვს ამ ხელში, მაგრამ ხმარობს. მანამდე, მეხუთე კლასში, სოფელში ბებიასთან ყოფნის დროს, აივნის ქვეშ, პირველ სართულზე გადებულ რკინის ძელზე ჩამოსაკიდებლად კიბიდან შეხტა. ჩამოვარდა, შუბლით დაასკდა ცემენტის იატაკს. გონება დაკარგა. წაიყვანეს ნევროპათოლოგთან. მშობლები იქ არ ვიყავით. ტვინის შერყევაა, - უთქვამს ექიმს. უთუოდ უნდა იწვესო. ჩვენ რომ გავიგეთ, წამლები კი ჩავუტანეთ, მაგრამ ლოგინში დიდხანს ვერ გავაჩერეთ. აღარც წამლები მიიღო სათანადოდ. ჩვენ, მშობლები, ახლგაზრდები ვიყავით და ვერ განვსაზღვრეთ, ბავშვობაში ტვინის შერყევას როგორი მოვლა და მკურნალობა სჭირებია. თურმე, მოგვიანებით იჩენს თავს და მერე როგორ (თქვენც გიწერიათ წიგნში - ბავშვის თავის დაზიანებას უფრთხილდითო). უჩამ მაინც წარმატებით ჩააბარა გამოცდები (გამოსაშვები). ქართულ წერაში მხოლოდ მან მიიღო უმაღლესი შეფასება – 5, შემდეგ იყო ბანკეტი. დალია და თავის ტვინის ტრავმამაც იჩინა თავი – მესამე სართულიდან გადმოვარდა. ერთ კვირას გონზე არ მოსულა, უძრავად იწვა თელავის სარეანიმაციო განყოფილებაში სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზე. შემდეგ ნერვულ განყოფილებაში გადაიყვანეს, იქაც ერთი თვე დასჭირდა და არც მორჩენა ერქვა, ისე გამოვიყვანეთ. არ შეიძლება მისი სწავლის გაგრძელება, არც დაქორწინება, განსაკუთრებით სასმელს ერიდეთ! – გვაფრთხილებდა მკურნალი ექიმი ეთერ

პაპავა. მშობლებმა არ გვინდა დავიჯეროთ, რომ უჩა აღარ ისწავლის, მაინც შევიტანეთ საბუთები თელავის პედინსტიტუტში, ბიჭმა სცადა, ჩააბარა გამოცდები, მაგრამ ველარ ისწავლა.

ჩვენ მწარე გამოცდილება გვქონდა მისი დაზიანებული ტვინის მოქმედებისა. თუ კი ამ ტვინს რაიმე გააღიზიანებდა – მაღალი სიცხე, ალკოჰოლი ერთი ჭიქა სხვა ადამიანად იქცეოდა. ხდებოდა უმართავი, სრულიად დაუმორჩილებელი, აგრესიული, ფიზიკურადაც - კი შეიძლებოდა შეხებოდა ვინმეს, აღარ არჩევდა, ზოგჯერ ვერ ცნობდა ახლობლებს და ეს ყველაფერი მეორე დღეს აღარ ახსოვდა. ვერ იჯერებდა, თუ ეს სიავე მისგან მოდიოდა. როდესაც შევიტყვე, ქალიშვილი შეყვარებია, თვითონ მივედი ჩემი შვილის რჩეულის ოჯახში და დედ-მამის თანდასწრებით ვუთხარი: "შვილო, ის, რასაც ჩვენ ვიტანთ, შენ რატომ უნდა გადაიტანო, მაგის დაქორწინება არ შეიძლება – ექიმებმა გაგვაფრთხილეს. არ გაჰყვე, გაიტანჯები, მეც დატანჯული ვარ, თვითონ კი არა, მისი ავადმყოფობა სჩადის სიგლახეს". გოგომ არ დამიჯერა, ეგონა, რძლად არ მინდოდა. უჩა იტაცებს მას და ცოლად მოჰყავს. არ შეიძლება მისი სასმელთან გაკარება, მაგრამ ბიჭების დაცინვას ერიდება. 1993 წელს აფხაზეთში საომრად გაგვეპარა. ორი თვე იყო იქ. როდესაც ბიძამისმა ნახა, რომელმაც კარგად იცოდა მისი ავადმყოფობის ამბავი, უკან გამოუშვა.

1994 წლის იანვარს, შობის საღამოს, შინ ბრუნდებოდა ოთხ ამხანაგთან ერთად ნასვამი. ჩხუბი მოუვიდათ თელავის საავადმყოფოს მთავარ ექიმთან და მის ნაცნობთან. ამ უკანასკნელთ (ისინიც ნასვამები იყვნენ) მანქანის შუქფარები მიანათეს ახალგაზრდებს, რადგანაც მათ შორის ნათესავი შეუნიშნავთ. ნასვამმა ბიჭებმა, როგორ თუ ფარები მოგვანათესო, ჩხუბი აუტეხეს, ფიზიკურადაც შეურაცხყვეს იმდენად, რომ ექიმს უთქვამს თავის ნათესავზე – "ჩემს ხელში გაზრდილმა ბალღმა რა მიყო, ხედავთო?!" (ამას იმიტომ მოგახსენებთ, რომ ხალხში არაფერი დაიმალება. ეს ერთი და მეორეც, თელავის მილიციაში ძალს ადგიან ჩემ შვილს – გინდა თუ არა, თქვი, დანარჩენები ვინ იყვნენო, ვითომ

თვითონ ბაიბურშიც არ არიან). მოხდა დანაშაული: ბიჭებმა მანქანა წაართვეს, ჩამორიგდნენ სახლებში. წართმეული მანქანა ჩემ შვილს, უჩას შემორჩა. დილითვე გამოფხიზლებული, შერცხვენილი თავისი ფეხით მიდის მილიციაში, უბრუნებს პატრონს მანქანას. ეგონა, რომ ისეთი არაფერი დაუშავებია, ღამის ნამოქმედარი ხომ წვრილად აღარ ახსოვდა. უჩამ აღიარა დანაშაული, დააკავეს, მაგრამ საკანში ისე ცუდად გაუხდათ, რომ თავდებით გამოუშვეს. მაშინ ჩემი ძმა, რომელიც აფხაზეთის ომის პირველიდან ბოლო დღემდე ომში იყო, რომელმაც გახმაურებული ყვარლის ტყეში იარაღის ამოღების ოპერაცია ჩინებულად ჩაატარა და რომელიც ამჟამად დაკავებულია, ყვარლის გამგებელი იყო. ჩემი შვილის თავდებით გამოშვება ასე მოხდა: როდესაც შევიტყვე, რომ უჩას საკანში ფილტვების ანთება და მაღალი სიცხე აქვს, საგამოძიებო განყოფილების უფროსს მივაკითხე და ვთხოვე: "ჩემი შვილი, რომელმაც ავადმყოფური გონებით ჩადენილი დანაშაული აღიარა და ახლა მაღალი სიცხით იწვის, იქნებ თავდებით გამატანოთ-მეთქი". პასუხი ასეთი იყო: "ფილტვების ანთება კი არა, სისხლს ანთხევენ ფილტვებიდან და იმათ არ ვუშვებთო". ჩემი ძმის, მაშინ ყვარლის გამგებლის პატარა წერილი გახდა საკმარისი შვილის თავდებით წამოყვანისათვის. დრო გავიდა, თითქმის ორი წელი, ბიჭს ეგონა აპატიეს დანაშაული, მაგრამ 1996 წლის ივნისში ქუჩაში მიმავალი დაიჭირეს. ისევე, როგორც პირველ დღეს, აღიარა დანაშაული, რომელიც მარტო ჩემ შვილს დაბრალდა. დანარჩენები აღარ ჩანდნენ, თუმცა მათი ვინაობა, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, დაზარალებულებმაც კარგად იცოდნენ და მილიციამაც (ამ დროს ჩემი ძმა გამგებელი აღარ იყო. იგი უკვე პატიმარი იყო, როგორც მხედრიონის წევრი და დამნაშავე).

ჩვენ ფსიქიატრიული ექსპერტიზა მოვითხოვეთ, რადგან ტრავმების შემდეგ ჩვენ ვიყავით მხილველნი მისი შეცვლისა – ველარც ისწავლა, პატარა მიზეზი დიდ რეაქციას იწვევდა, მეხსიერებაც ისეთი სხარტი აღარ ჰქონდა, ხმაურსა და ხალხმრავლობას ერიდებოდა. თბილისში ფსიქიატრიის ინსტიტუტის ამბულატორიულ ექსპერტიზაზე გააატარეს.

ცოდვას ვერ დავიდებ, დაწერეს ტრავმებს ძალიან დაუზიანებიაო, ცენტრალური ნერვული სისტემის ორგანული დაზიანების ნიშნები აქვსო, მეხსიერებაც დაქვეითებული აქვს და სხვა, მაგრამ – შერაცხადი იყო, როცა დანაშაული ჩაიდინაო. . . "

საქმის შემდეგი მსვლელობა ისეთი შემზარავია და იმდენად მიუღებელი იმ საზოგადოებისათვის, რომელიც დემოკრატიული ქვეყნის აშენებას აპირებს, ხოლო დედის წერილი იმდენად მძიმე და გულსაკლავია, რომ გადავწყვიტე, მკითხველს თვითონ ვუამბო, რა იყო შემდეგ.

დაიწერა საბრალდებო დასკვნა, ელოდნენ სასჯელს, სასამართლოს წინაშე წარდგომას, მაგრამ 1996 წლის 14 იანვარს, ღამის პირველ-ორ საათზე და 15 იანვარს, დილით, სამმართველოს თანამშრომლებმა წინასწარი პატიმრობის საკნიდან ამოიყვანეს უჩა, სცემეს თავში, მუცელში, ფილტვების არეში. ბიჭის თხოვნამ თავში ნუ მირტყამთ, სხვაგან, სადაც გინდათ მცემეთო - არ გაჭრა. გამძვინვარებულმა, ჯან-ღონით სავსე ჯალათმა გონების დაკარგვამდე ახლევინა თავი კედელზე.

ბიჭი ეხვეწებოდა "წესრიგის დამცველებს", თავში ნუ მირტყამთ, დაზიანებული მაქვს, სხვაგან დამარტყითო.. თითქმის ოთხი საათი გრძელდებოდა ეს წამება, მერე წაიყვანეს საკანში. თელაველი გოგიტა ფედოროვიც იქ იყო. გოგიტა და უჩა რიგრიგობით ამოჰყავდათ საცემად 14 და 15 სექტემბერს. ფედოროვს ცემის დროს მუცლის ღრუში რაღაც დაუშავეს და საავადმყოფოში გადაყვანილს სასწრაფოდ გაუკეთეს ოპერაცია. უჩას ოთხი დღე სისხლი ამოსდიოდა პირიდან, ყურებიდან, პატიმრები უვლიდნენ, მშობლებს არავინ არაფერს აგებინებდა. მეხუთე დღეს მორიგემ უთხრა დედას: "შვილი ძალიან ცუდათა გყავს, ექიმი მოუყვანეო". თელავის საავადმყოფოს თერაპევტმა მერაბ გზირიშვილმა ნახვისთანავე მისი სასწრაფოდ სტაციონარში მოთავსება ურჩია. ძლიერი თავის ტკივილები ჰქონდა, მხედველობა მკვეთრად დაუქვეითდა და ამიტომ ნერვულ განყოფილებაში დააწვინეს. ამ საავადმყოფოს მთავარი ექიმი უჩასაგან დაზარალებული კაცი იყო და ავადმყოფს

K 25274
3

საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ძალზე სასტიკად ეპყრობოდნენ. პალატაში მხოლოდ ნევროპათოლოგი ბალახანიანი შედიოდა. არ მკურნალობდნენ, მხოლოდ ტკივილგამაყუჩებლებს, საძილე საშუალებებს და შარდმდენს აძლევდნენ. ბიჭი თანდათან დასუსტდა, მდგომარეობა გაუარესდა, ფეხები წაერთვა. მიუხედავად იმისა, საავადმყოფოში მოთავსებისთანავე მშობლები აიძულეს გადაეხადათ საწოლის, წამლების და, საერთოდ, მკურნალობის მთელი თანხა, ექიმმა ბალახანიანმა გამოუცხადა ავადმყოფის მამას: "გაიყვანეთ აქედან, მე თქვენი გულისთვის სამსახურს ვერ დავკარგავ". როდესაც მდგომარეობის გაუარესება, სიარულის გაძნელება, თავის ტკივილების გაძლიერება თვალსაჩინო გახდა, თბილისიდან ჩაიყვანეს კონსულტანტი-ნევროპათოლოგი. ამ უკანასკნელის დიაგნოზი იყო "მენინგიალური ნიშნები და საეჭვო სუბარაქნოიდალური სისხლის ჩაქცევა თავის ტვინში". ამ დიაგნოზის დასადგენად გადაწყდა ზურგის ტვინიდან სითხის აღება. ტრავმიდან უკვე 13 დღე იყო გასული, ავადმყოფს მიღებული ჰქონდა დიდძალი შარდმდენი, ამიტომ სითხე გამოდევნილი იყო და ამ გამოკვლევას აზრი აღარ ჰქონდა. საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ექიმმა ბალახანიანმა ეს ანალიზი ლაბორატორიაში მაინც გააფორმა ფიქტიურად და ანალიზის პასუხში უჩას მამას ფული გამოართვეს. ავადმყოფის მდგომარეობა კიდევ უფრო დამძიმდა, ახლობლებს ვერ სცნობდა, ეჩვენებოდა დედის ტირილის ხმა, მამის ლაპარაკი, ღამეს ცოლი უთევდა, რომელიც დილით დედას შესჩიოდა "უჩა არეულად ლაპარაკობსო". დედას არ უნდოდა დაეჯერებინა, რომ მის შვილს ფსიქიკა დაერღვა და ამიტომ რძალს უმტკიცებდა, ალბათ სიზმარში ლაპარაკობსო. რძალი არ ეთანხმებოდა, რადგან ფხიზლად მყოფი ავადმყოფი ხან იქ არმყოფ მამას დაინახავდა თავის საწოლთან, ხან – ბავშვს. მიუხედავად იმისა, რომ კონსულტანტმა ნერვოპათოლოგმა დაუბარა მკურნალ ექიმს, ავადმყოფის მდგომარეობა მძიმეა და გაუნძრევლად უნდა იწვესო ორი კვირა, იგი მესამე დღეს მიაბრუნეს მილიციაში. ერთი კი იყო, რომ მისი მდგომარეობის სიმძიმის გამო საკანში ვერ ჩაიყვანეს და სამორიგეოში დააწვინეს, სადაც

დედა უვლიდა. აქ კი თვითონ დარწმუნდა, რომ მის შვილს გონება ჰქონდა არეული, დაეწყო თვალთ და ყურთმოჩვენებები. "დედა, დამასვენე, ღამე ნუ მელაპარაკები" - ეხვეწებოდა შვილი მდუმარე დედას. მილიციაში იმდენად თვალსაჩინო იყო ავადმყოფის მდგომარეობის გაუარესება, რომ მშობლებს დააქირავებინეს სასწრაფო და ავადმყოფი თბილისში გადმოიყვანეს ციხის საავადმყოფოში.

დედამ ჯერ კიდევ თელავში სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზა ითხოვა, ატირებული შევიდა პროკურორთან. მან – "ახია, შენ შვილზე, რატომ არ ამბობს, დანარჩენები ვინ იყვნენო?. . " გაოცებული ქალი ყურებს არ უჯერებდა, შეეპასუხა – მთელმა თელავმა, დაზარალებულებმა, მილიციამაც იცის, ვინ არიან დანარჩენები, მაგრამ განუკითხაობაა თელავშიო, ამის პასუხად პროკურორმა დედა ოთახიდან გამოაგდო. სამედიცინო ექსპერტმა მხოლოდ მეთოთხმეტე დღეს ნახა უჩა, - ტანი დაუთვალიერა, სილურჯეები არ ეტყობა, ე.ი. ნაცემი არ არისო, - დაასკვნა. თუმცა, სახე ჯერ კიდევ დეფორმირებული ჰქონდა. მოსამართლე ქუჩაში დაუწყო ყვირილი ისედაც გაუბედურებულ დედას, შენ ცოტა მოწიწებით გველაპარაკე, შენი ბანდიტი შვილის სული ჩვენს ხელშიაო. პროკურორის ოთახიდან გამოგდებულმა, ქუჩაში მოსამართლისგან გალანძღვამ უკიდურესობამდე მიიყვანა დედა – თავის მოკვლა გადაწყვიტა. ასე ეგონა, ის და მისი ხეიბარი შვილი, რომელიც უმოძრაოდ იწვა, მარტონი იყვნენ ამ ქვეყანაზე და საშველი არსაიდან ჩანდა. მაგრამ, მადლობა ღმერთს, გონება და ძალა მოიკრიფა – ავადმყოფ შვილს მიხედვა, შველა სჭირდება, მკვლელი ხომ არ არის, საპყარია. ვერ დადის, თავის ტკივილებით იტანჯება, ყურთ და თვალთმოჩვენებები აწამებს, მე ვჭირდები. . . ყოველივე ამის შემდეგ მოხვდა ჩემთან უსამართლობით დატანჯული დედის წერილი და თვითონ დედა.

ციხის მედნაწილის უფროსის ჯემალ ქარუმიძის სასარგებლოდ უნდა ითქვას, რომ არათუ არ დამიშალა ავადმყოფის ნახვა, ყოველნაირად შემიწყო ხელი, რომ შევხვედროდი უჩას და მკურნალობა დამენიშნა, თუმცა

მაფრთხილებდა, რომ ეს ოფიციალური კონსულტაცია არ არის, იგი საქმის მსვლელობას არ შეცვლის, მაგრამ ავადმყოფის სასარგებლოდ ეწყობაო. ასე მოვხვდი ჩემს ცხოვრებაში პირველად საპატიმროში და მის საავადმყოფოში. ის, რაც ვნახე, ყოველგვარ ნათქვამს, გაგონილს და მონათხრობს სცილდება. მიუხედავად იმისა, რომ განყოფილების გამგე თ.შაიშმელაშვილი და მკურნალი ექიმი მ.საყვარელიძე ნევროპათოლოგის დანიშნულებას ზუსტად ასრულებდნენ და ყურადღებასაც იჩენენ ავადმყოფების მიმართ, ეს საავადმყოფო ისევე შორს დგას სამედიცინო დაწესებულებისაგან, როგორც ის, რაც აქამდე მოხდა, - სამართლისაგან. განყოფილების გამგის კაბინეტში უჩა ორმა პატიმარმა შემოიყვანა. იგი თვითონ ვერ დადის, ხელ-ფეხში ძალა არა აქვს. სქელლინზიანი სათვალის უკან გაფართოებული, შეშფოთებული თვალები იყურებოდა. შიშით და სიფრთხილით შეხვდა ჩემს მისვლას. მოფერებამ და დაყვავებამ ცოტა დაამშვიდა, მაგრამ შეკითხვაზე ისეთი დაბალი, ჩუმი ხმით მპასუხობს, თითქოს სამუდამოდ წაართვეს ხმის ამოღების ხალისი. ტახტზე მჯდომარე წონასწორობას ვერ იცავდა, მასთან საუბარი ძალიან ჭირდა, რადგან შეკითხვების რამდენჯერმე გამეორება სჭირდება პასუხის მისაღებად:

- უჩა, თუ გახსოვს, როგორ მოხდა შენი ასე მძიმედ დაშავება?
- თავში მირტყამდნენ, კედელზე მახლევინებდნენ, ვეხვეწებოდი, სხვაგან დამარტყით, თავი ისედაც დაშავებული მაქვს-მეთქი. არ დამიჯერეს.
- კი, მაგრამ რას გერჩოდნენ?
- თქვი, რომ ტრაქტორი შენ მოიპარე. მე კი ტრაქტორისა არაფერი ვიცი.
- ერთად გცემდნენ შენ და გოგიტას, თუ ცალ-ცალკე?
- რიგ-რიგობით. მეორე დღეს, ცემის შემდეგ აღარაფერი არ მახსოვს, არც საავადმყოფო, არც აქ გატარებული დღეები. ეს კი მახსოვს – ღელას და დედის ტირილი მამშვიდებდა, მე გიშველიო.
- არც აქ ჩამოყვანა გახსოვს? – ნაკლებად . . .

იჯდა ჩემს წინ ბავშვობაში მიღებული ტრავმის მსხვერპლი, ტანჯვით დაბერებული, სამართალდამცავი ორგანოებისაგან ხეიბრად ქცეული, გონებაარეული ახალგაზრდა. უნდობლად იყურებოდა გარშემო და ჰქონდა კიდეც ამ შიშისა და უნდობლობის მიზეზი!. . . მეორეჯერ თვითონ განყოფილებამ გამომიძახა. მივხვდი, რომ რაღაც განსაკუთრებული უნდა მომხდარიყო და არც შევმცდარვარ – უჩას თავის მოკვლა უცდია ორჯერ. უშველეს, კუჭი ამოურეცხეს, მაგრამ შეშინდნენ - ბიჭს ფსიქიკა არა აქვს მყარი, ამიტომ მომთხოვეს მეორე კონსულტაცია. ადამიანურები აღმოჩნდნენ საავადმყოფოს ექიმები. დეპრესიის საწინაარმდეგო წამლები დავუნიშნე, შემზარავი სიზმრები ჰქონდა, ამიტომ დასამშვიდებელიც დავუმატე.

პროკურორთან შეტანილმა განცხადებამ დიდხანს გვალოდინა. არ მოველოდი ასეთ უყურადღებობას. მეგონა, პროკურატურას აღაშფოთებდა ასეთი უსამართლობა – ჯანღონით სავსე პოლიციელმა სცემოს უმიზეზოდ უსუსური, ავადმყოფი პატიმარი და ხეიბრად აქციოს! ასეთი რამ უნდა ხდებოდეს?! რა სამართლით უნდა გასამართლდეს უჩა სეხნიაშვილი, თუ არ დაისაჯა ჯალათი, რომელიც თავის ქვენა გრძნობებს დაუცველ და სუსტ ადამიანებზე ანთხევს?

ამ ამბავს მეტად სამწუხარო გაგრძელება აქვს. ჯერ იყო და მუნი შეეყარა ბიჭს საავადმყოფოში, საზარელი შესახედია მისი დაკაწრული სხეული. ღმერთმა უშველოს, დიდი ზრუნვა გამოიჩინა საავადმყოფოს კანის ექიმმა ჯ.ლუარსაბიშვილმა, მკურნალი ექიმი საგულე საშუალებებს უკეთებდა, ამ დროს სასამართლოსაგან მივლინებულმა პოლიციელებმა ოცდაშვიდ ნოემბერს ავადმყოფი ბიჭი თელავში ჩაიყვანეს და ხუთი დღე ისევ უჭაერო, აშმორებულ საკანში ამყოფეს. მეექვსე დღეს სასამართლოზე აქეთ-იქით მხარში ამომდგარმა ორმა პოლიციელმა ამოიყვანა. სასამართლოს მთელმა შემადგენლობამ გარკვევით დაინახა, რომ ასეთი ავადმყოფი, დასახიჩრებული კაცის გასამართლება საშიშია (თუ არა - უზნეობა). ამიტომ ისევ დასჭირდათ მშობლებს მანქანის დაქირავება და თბილისში, საპატიმროს საავადმყოფოში შვილის გადმოყვანა.

. . . და უცდის განაჩენს ოცდაორი წლის ნერვული სისტემით დაავადებული და ხელ-ფეხწართმეული ახალგაზრდა . . . მშობლები კი დღემდე ელოდებიან რესპუბლიკის პროკურატურაში შეტანილ განცხადებაზე რეაქციას – პროკურორთან გამოძახებას. . .

თამილა მაკარიძე

რედაქციისაგან: ამ წერილში გადმოცემული ამბები რომ არ უნდა ხდებოდეს და დაუჯერებელიცაა, - უდავოა. ეს ის შემთხვევაა, როცა რედაქცია უზომოდ ბედნიერი იქნება, თუკი მოყვანილი ფაქტები არ დადასტურდება. მაგრამ ეს ალბათ, მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუ პროკურატურა დაგვიტკიცებს, რომ პატიმარმა თვითონ ურტყა თავი კედელს. პროკურატურა რატომ მშობლებს არ პასუხობს? მაგრამ იქნებ ამის შემდეგ მაინც გაიმეტონ განმარტება, რაც პატიმრის მხილველმა ფსიქიატრმა სამზეოზე გამოიტანა შემზარავი სურათი.

გაზეთი "სამშობლო"

## *დამნაშავე ვარ!*

ეროვნული ბიბლიოთეკა

*ვაქვეყნებთ ქ-ნ თამილა მაკარიძის მეორე წერილსაც. თუ რატომ, ამას შინაარსიდან შეიტყობთ.*

დიდი ბოდიში მინდა მოვუხადო ყველას, ვისაც იმედი მივეცი.

მე დამნაშავე ვარ, რომ სამოცი წლის ასაკამდე ისე მოვაღწიე, რომ ადამიანში და სიკეთეში რწმენა ვერ დავკარგე.

მე დამნაშავე ვარ, რომ გამოვეხმაურე ცემისგან დასახიჩრებული პატიმრის დედის წერილს და მისი დახმარება მოვინდომე.

მე დამნაშავე ვარ თვით იმ ხეიბარი ბიჭის წინაშე, რომელსაც შევხვდი, დავამშვიდე და ისიც დაიმედდა – რომ ჩქარა მორჩება. კიდევ გნახავ-მეთქი და ელოდა ჩემთან შეხვედრას. შეხვედრა აღარ შედგა. ჩემი მიზეზით – არა. მაგრამ მე ხომ დამნაშავე ვარ? ფეხებწართმეულ კაცს, ნახევრად მხედველობადაკარგულს, იმედს რომ ვაძლევდი და ვამშვიდებდი, რას ვფიქრობდი?

დიდ ბოდიშს მოვიხდი ამჟამად ციხის საავადმყოფოში მყოფი უჩა სეხნიაშვილის მშობლების წინაშე, რომ ხელი შევუშალე ისე წარემართათ მათი შვილის საქმე, როგორც "ჭკვიანი ხალხი ურჩევდა". რა უფლება მქონდა ასე ღრმად ვყოფილიყავი დარწმუნებული ჩვენს ქვეყანაში კანონის უზენაესობაში? განა ცოტა მქონდა მაგალითი იმისა, რომ კანონი ირღვევა სწორედ პოლიციაში – ეჭვმიტანილის შესვლის პირველი ნაბიჯებისთანავე?

მე მაინც დავუჯერე ტელევიზიით არაერთხელ მოსმენილ სიტყვებს, რომლებიც სამართალდამცავი სისტემის უმაღლესი წოდების პირებს ეკუთვნოდა. დავუჯერე ბატონ თარგამაძეს, რომელიც დამაჯერებლად ასაბუთებს, როგორ გაწმინდა და შემდგომშიც აპირებს პოლიციის გაწმებდას ულირსი მუშაკებისაგან.

დავუჯერე გენერალური პროკურორის სიტყვებსაც, რომელიც კატეგორიულად უარყოფდა პროკურატურის

განზე დგომას კანონის დარღვევის შემთხვევაში. მეთვალყურეობას კანონიერებაზე, მართლმსაჯულებაზე, კანონის აღსრულებაზე და სათანადო რეაგირებას დარღვევებზე – აი, რას დაგვპირდა გენერალური პროკურორი და ეს ყველაფერი სიტყვა-სიტყვით გადავეცი პატიმართა მშობლებს. "ნუ გეშინიათ, ქვეყანა ჩალით კი არ არის დახურული. ხომ ხედავთ, რას ამბობენ პოლიციის მინისტრი და გენერალური პროკურორი. აგერ, დავწერთ ახლა გაზეთში, რაც თქვენ მოგვიდათ. ნახეთ, როგორ მოგვეხმარებიან. თქვენ "სამშობლო ფორტე" ჭორიკანა გაზეთი არ გეგონოთ, სერიოზული გაზეთია. ნახეთ, თქვენი ბედით როგორ დაინტერესდებიან".

დაინტერესდნენ და ამიტომაც მინდა დიდი ბოდიში მოვუხადო ყველას, ვინც იმ დღეს პროკურატურაში თან მახლდა. წინანდლელი ბექუაშვილის (ცემისაგან სისხლჩაქცევების შემდგომ დაღუპულის) დედას, გოგიტა ფეოდოროვის დედას და უჩა სეხნიაშვილის დედას. რა იმედით მოაბიჯებდნენ პროკურატურის უკაცრიელ ეზოში: "აქ ჩვენ ვინ შემოგვიშვებდა, ეს გაზეთი რომ არა?" ამბობდნენ იმედმოცემული ქალები. თუმცა, საიმედო რა ჰქონდათ; ერთს შვილი უკვე მკვდარი ჰყავდა. ჯარმოხდილი, ოქროსფერთმიანი წინანდლელი ბიჭის სურათი, ექიმის დასკვნა და კასეტა მოჰქონდა მხოლოდ თან. კასეტაზე მისი მომაკვდავი შვილის უკანასკნელი სიტყვები იყო ჩაწერილი – როგორ სცემეს და აწამეს მისი მეზობლის გაქურდვაზე ეჭვმიტანილი. ამ დედას რისი იმედი და სიხარული უნდა ჰქონოდა პროკურატურის ეზოში, მისი შვილი ხომ აღარ არის? შვილის მკვლელის დასჯის სურვილითა და იმედით მიაბიჯებდა პროკურატურის კიბეებზე ეს დედა. იმედით, რომ "ახლა კი სჭამს პურს სამართალი". იქნებ დასაჯონ, რომ ჩემი ქმარი არ აქციონ შურისმაძიებლადო.

- იმ ნდობისათვის, რომლითაც ამ უბედურმა დედამ მისი შვილის უკანასკნელი აღსარების მაუწყებელი კასეტა მანდო, დიდ მადლობას ვუხდი, მაგრამ მუსლმოყრილმა მინდა პატიება ვთხოვო, რომ არ გამართლდა მისი იმედი შვილის მკვლელის დასჯისა. . .

- უჩა სეხნიაშვილი დაწვრილებული, კუნთებგალეული უმოძრაო ფეხებით ისევ საავადმყოფოში წევს. უჩას ბებიასთან სოფელში ჩავიდა კანონის სამსახურში მყოფი ქალბატონი და უთხრა: "ჩივილს თავს აღარ დაანებებთ? შენს მეორე შვილიშვილს ან ჩხუბში ჩაითრევს ვინმე, ან ჯიბეში ნარკოტიკი აღმოაჩნდება. მორჩა და გათავდა!" ბებია ჯერჯერობით ცოცხალია და ეს სიტყვები არ დავიწყებია.

- მე დიდი ბოდიში მინდა მოვუხადო ფედოროვის დედას, რომლის შვილი ისე შეაწუხეს ციხეში მუქარით, რომ თავისი პირვანდელი ჩვენება უარყო: თავი დამანებეთ, არავის ვუცემივარო, - იძახდა. და სასამართლოზე შეხვეული მაჯებით მიიყვანეს; იქნებ თავი დამანებონო, ვენების გადაჭრა უცდია.

- პირადად მინდა დიდი ბოდიში მოვუხადო გოგიტას, რომელიც ჩემთან შეხვედრის შემდეგ კიდევ მელოდა.

- პატიება მინდა ვთხოვო გოგიტას დედას, რომელმაც სახლი გაყიდა თელავში და ლეგიონის დასახლებაშია შეკედლებული თავისი შვილიშვილებით. ვენებგადაჭრილი შვილის დანახვისას დამწყევლიდა, აბა რას იზამდა? ასეთი ალიაქოთი, საქართველოს პროკურორის ჩარევა, გაუთავებელი მუქარა, ციხეში შემოთვლილი – "ხელი არავის დაადოო!" – ოცდაორი წლის ბიჭს კი არა, გამოცდილ რეციდივისტსაც გატეხდა წელში.

*- მე ვარ ამაში დამნაშავე. მე ავტეხე ეს ალიაქოთი. მე ვერ გავუძელი უკანონობას. ისეთ უკანონობას, როდესაც პოლიციაში დასახიჩრებამდე სცემენ დაკავებულს.*

- პატიებას ვთხოვ უჩა სეხნიაშვილის მშობლებს, რომლებმაც თელავში სახლი გაყიდეს, აიყარნენ და კერია მოშალეს. წამლებს ბევრი სჭირდება. თელავის საავადმყოფოდან დაწყებული კი, ისედაც ავადმყოფს და შემდეგ ფეხებწართმეულს, გონებაარეულს, - ხომ კიდევ უფრო მეტი.

- მე მინდა ბოდიში მოვუხადო უჩას დედას, რომელიც დიდი იმედით უცდიდა გაზეთის იმ ნომრის გამოსვლას, სადაც მხოლოდ სიმართლე ეწერა და ეგონა, სიმართლე თავის გზას მონახავდა.

მართლად მსაჯულება არ ყოფილა ადვილი. სწორად განსჯის უნარი – ნიჭია. ფაქტი და მოწმეო, რომ ბრძანებენ, მოწმეც არის და ცრუ მოწმეც. აღიარების გადათქმაც შეიძლება, ფაქტის გაყალბებაც, მაგრამ განგებას' საღ წაუხვალ?

ყველა, ვის წინაშეც თავს ვხრი პატიების ნიშნად, - დაზარალებულია. ზოგი მათგანი დამნაშავეა. ერთი – უსამართლოდ, უღმერთოთ წავიდა ამ ქვეყნიდან, მეორე – დასახიჩრდა, მესამე – სასამართლოს წინაშე წარსდგა – სულში გატეხილი, რწმენა დაკარგული.

## რატომ უყურებენ ქართველი დისახლისები სერიალებს ნუ განიკითხავთ!

"მოვა სინათლე და სერიალს ვნახავ";

"მეჩქარება, იქნებ სახლში სერიალს მივუსწრო";

"ეს სერიალი რომ არ იყოს რას უნდა უყურო";

"სისულელეა, მაგრამ ლამაზია, საინტერესოა და ამიტომ ვუყურებ";

"ისეთი ლამაზი ქალები თამაშობენ, რომ. . . "

"ეს რა პრიმიტივიზმია, ამ სერიალების ყურება";

"რა გაყურებინებთ ამ სისულელეს";

"ეს ხალხი გაგაგიჟებს, როგორ უყურებენ, ასეთი დონის ფილმებს";

ეს არასრული სიაა იმ გამონათქვამებისა, რომლებსაც ძალზე ხშირად გაიგონებთ სერიალების მაყურებლებისა და მათი გამკიცხავების მიერ.

ისე, საინტერესოა, როდის მოგვეძალა ე.წ. "სერიალები", რომლები იყვნენ ისინი და რა ქნას მაყურებელმა, უნდა უყუროს თუ არა მათ.

დაახლოებით, ასეა:

"დინასტია"

"დალასი" (შეწყვეტილი)

“უბრალოდ, მარია”
“გვადალუპე”
“მდიდრებიც ტირიან”
“შავი მარგალიტი”
“სიყვარულის სახელით”
“ველური გული”
“სამანტა”
“იზაურა”
“ქამელეონი”
“ანტონელა”
“კასანდრა”
“ბღვის კაცი”
“ნიკიტა”
“სახლი ძველ უბანში (ქართული)”
“სასწრაფო”
“მეზობელი გოგონები”
“პეტერბურგის საიდუმლოებანი”
“ბლანკოს ქვრივი”

ეს სია ქრონოლოგიას მოკლებულია, მაგარმ ზოგადად, წარმოდგენას იძლევა სერიალების მოძალებაზე, მის ადგილზე ქართველი მაყურებლის ცხოვრებაში.

მე შორს ვარ იმ აზრისაგან, რომ თითოეული მათგანი კინოხელოვნების შედევრს წარმოადგენს. პირიქით, სიუჟეტთა მსგავსება, თემატიკის ერთგვაროვნება, კულმინიციაისა და მისი გახსნის მართლა პრიმიტიულობა, ხშირად გამაღიზიანებელია. მეოცე სერიაში ვიღაც იღებს ტრავმას, კარგავს გონებას, ეწყება ამნეზია. მხოლოდ 25-ე სერიაში უბრუნდება მეხსიერება და იგებს, რომ იგი სულაც არ არის ის, ვინც ეგონა. ან კიდევ, ის, ვინც დედად შეიცნო, სულაც არ ყოფილა დედა, არამედ. . . მეტად უცნაურად დაკარგული პატარა შვილების ამბავი ხომ უსათუოდ მონაწილეობს სიუჟეტში, რომლებიც ფილმის ბოლოს ქალადქცეულ ლამაზმანად ან ვაჟკაცად უბრუნდებიან დედებს. არის ცრემლის ღვრა, განცდები, დაკავშირებული ჯერ დაკარგვასთან, შემდეგ პოვნასთან, დაბრუნებასთან.

მამათმავლობის თემა "დინასტიაში" რომ დაიწყო, განვითარდა მსუყედ, თვალსაჩინოდ. ხაზგასმული იყო და ისეთი შთაბეჭდილება დატოვა, რომ ყველაზე კარგ თვისებები სწორედ მამათმავალს აქვს, ყველაზე მეტად კეთილშობილი და სამართლიანიც ის არის.

ეს თემა შემდეგ სხვა ქვეყნების ფილმებმაც განავითარეს. თუ მთავარი გმირი არა, ერთ-ერთი წამყვანი პერსონაჟი ჩნდება მამაკაცისათვის უცნაურად გაბედულ სამოსში, ქალის მანერებით, მაკიაჟით და ფსიქიკით.

ეს ყველაფერი ასეა, მაგრამ. . . .

ქართველმა მაყურებელმა ნახა, რომ უახლოესი ადამიანის დაკარგვა ყველგან დიდი დარდია, მაგრამ 10 ღღიანი პანაშვიდები და 500 კაციანი ქელეხების გაკეთება საჭირო არ ყოფილა. რა ლამაზად შეიძლება თურმე დავკრძალოთ მიცვალებული ისეთ სასაფლაოზე, სადაც მინდორში და ხის ჩრდილშია საფლავი, სადაც არავითარი მარმარილოს ლოდები არ ამძიმებს მიცვალებულს. თურმე რა ლამაზად შეიძლება შეხვდე აღდგომას, ქრისტეშობას. წვეულება, თურმე წელში გამწყდარი დიასახლისი და ეკონომიურად დაზარალებული ოჯახი კი არ არის მარტო, ღღესასწაული ყოფილა, ცეკვებით, გრძელი კაბით, სმოკინგით.

მაყურებელმა ნახა, როგორ შრომობს ამერიკელი ბიზნესმენი იმ ფულის საშოვნელად, რომელიც მას ლამაზ, უზრუნველ ცხოვრებას უქმნის.

მაყურებელმა დაინახა, რომ თუ მართლა იმუშავებ, იშრომებ – იცხოვრებ კიდეც. ეს სადღაც სხვაგან ხდება, შორს. . .

ჩვენში, ამ სერიალების მაყურებლები ძირითადად, ქალები არიან. ხანშიშესული, ცხოვრებისგან დაღლილი, ოჯახის ტვირთით დამძიმებული მანდილოსნები. ახლა უშუქობით, უფულობით, ყოველდღიურობაზე ფიქრით გატანჯული. ეს ქალბატონი (თუ ამას ქალბატონი ჰქვია) ელოდება საღამოს სინათლის მოსვლას, რომ დაინახოს ლამაზი სახლი, ბევრი ყვავილები ლარნაკებში, ლამაზი ინტერიერი, იქ მაინც დაინახოს, რადგანაც აქ თვითონ ამას ვერ მიაღწია, იქ ნამდვილი ქალბატონები არიან.

ნახოს, როგორი გემოვნებით არიან ჩაცმულნი, უბრუნველნი. იქ, ეკრანზე სხვა ვნებებია, სხვა სურვილები.

მაშინ, ნუ განვიკითხავთ სერიალების მომლოდინე "ქალბატონებს".

ეკრანზე მაინც დაინახონ და გაიგონონ, როგორ ემშვიდობება მეუღლე სიტყვებით: "ნახვამდის საყვარელო", კოცნის კარებში გასვლისას. მას ხომ ამგვარი რამ არც უნატრია, რატომ? იმიტომ, რომ არ იცოდა, რომ ასე შეიძლება დამშვიდობება ყოველდღე.

ამიტომ, ეკრანზე მაინც ნახოს.

ნუ განვიკითხავთ, თუ სამზარეულოთი, ბაზრით, ან სულაც ბაზარში წასვლის შეუძლებელობით დაღლილი მანდილოსანი საათის განმავლობაში იცხოვრებს ნებიერად, თუნდაც სხვისი ცხოვრებით.

ნუ განიკითხავთ, რადგანაც ამ ქალბატონთა უმეტესობას კითხვა ეძნელება, მრავალ მიზეზთა გამო. პირველი – შუქი არ არის და ფიზიკურად, ვერ კითხულობს, უჭირს. თუ სინათლე მოვიდა, მისი დრო ტელევიზორთან შეზღუდულია, ძალიან მცირე დრო ეთმობა და ურჩევნია, მას მიადევნოს თვალყური, როგორ განვითარდა გმირების სასიყვარულო ან ტრაგიკული ამბავი.

ნუ განიკითხავთ, თუ პარლამენტის სხდომის სკამზე უტიფრად გადაწოლილი მაძღარი პარლამენტარების ყურება და არაფრის მომცემი კამათის, შეურაცხყოფის მოსმენა არ უნდა.

ნუ განიკითხავთ, თუ არ უნდა ეკრანიდან მოისმინოს, ვინ არის "ლეღვის ფოთოლივით აკრული ან ვინ არის ლეღვის ფოთოლს მიღმა მყოფი".

ნუ განიკითხავთ, თუ ყოველდღიურად მზარდი ეკონომიკური გაჭირვებით, ასევე ყოველდღიურად მზარდი კრიმინალური ქრონიკის ყურება არ სურს.

ნუ განიკითხავთ, თუ დაღლილია, გაავებული, პენსიის მომლოდინე და ქუჩაში გამოსული უკბილო, გასაცოდავებული პენსიონერების ცქერით და მოსმენით.

ნუ განიკითხავთ, თუ მობეზრდა პირდაპირ ეთერში მთავრობის წარმომადგენლების კამათი. ექნება მას,

ჩვეულებრივ ადამიანს, წყალი, სინათლე და გაზი თუ არა, ეს კამათი, აგერ, თითქმის ათეული წელია, გრძელდება და აღარ გათავდა. მობეზრდა ამ ადამიანს ცრუ დაპირებების მოსმენა.

ნუ განიკითხავთ, თუ ყოველდღიური, რუხი ცხოვრებით, რუხ ჩამობნელებულ სახლში, სინათლის მოლოდინში მისთვის ოჯახში გამოყოფილ ერთ საათში მხოლოდ სერიალს ნახავს.

მიეცით უკეთესი და უკეთესს შეხედავს. ეს მისი ოცნებებია, არარეალიზებული სურვილები. სერიალების მაყურებელიც განსხვავდება ერთმანეთისაგან. მათი მიზანიც ფილმის ყურებისას სხვადასხვაა. ზოგისთვის – ეს ნარკოტიკია, რეალობის განცდის მცირე დროით მაინც დაკარგვის სურვილი.

სხვისთვის, ეს იმ ქვეყნის ზნე-ჩვეულებების გაცნობის, ჩვენთან შედარების და საერთოს პოვნის სურვილია.

მესამესთვის – სერიალში ჩაცმულობა, ესთეტიკური მხარეა საინტერესო. სხვებს – მსახიობთა თამაში მოსწონს.

არის სერიალები, რომლებიც კონკურსგარეშეა – ყველა პარამეტრით. ასეთია ამერიკული "სასწრაფო". მსახიობთა საშემსრულებლო ოსტატობა, სასწრაფოს კლინიკის ექიმთა საქმიანობის მრავალმხრივობა, რეჟისორის ბრწყინვალე უნაკლო ნამუშევარი – ყველაფერი ეს მაყურებელს არ გაძლევს საშუალებას ერთი წუთით მოცდე ეკრანს, განსაკუთრებით, ექიმი თუ ხარ. ექიმის რეაგირების ტემპი, ფუნქციათა რაციონალური განაწილება. ექიმისა და პოლიციის, დაზღვევის სამსახურის ურთიერთშეთანხმებული მუშაობა კიდევ უფრო სასაცილოს ხდის, ხშირად შემზარავსაც – "მოამბის" ან "კურიერის" მიერ ნაჩვენებ ჩაბნელებულ საოპერაციოებს, მაგიდაზე უმწეოდ დარჩენილ ავადმყოფებს – შუქის გამორთვის გამო.

მე არ მინახავს ზემოთ ჩამოთვლილი სერიალები, "დინასტია" ვნახე მხოლოდ. იტყვით, რამ მანახა? არ არის ასე. მე ბევრი რამ ვისწავლე (თუმცა შეიძლება ვერ გამოვიყენო) როგორ უთმობენ შვილებს, როგორ ახსენებენ ხშირ-ხშირად: "მე შენ ძალიან მიყვარხარ". ეს ხომ ძალიან სჭირდება ადამიანს, ცხოველსაც. კატასაც უყვარს მოფერება.

ეს ცნობილია. "გველსაც ხვრელით ამოიყვანს": ეს ვიცოდი, როგორ არა, მაგრამ ამ ფილმმა დამანახა, მასწავლა – ადამიანს ხშირად უნდა უმეორო რომ გიყვარს, მისი ფასი აგრძნობინო.

ჩემ ქალიშვილს არ აქვს მდარე გემოვნება. კარგის და ცუდის გარჩევაც იცის – ხელოვნებაში, რასაკვირველია. მაღალ ხელოვნებასაც უტყუარად ცნობს, მაგრამ, ამას წინათ საშიში რამ თქვა: "გუშინ საღამოს ერთ არხზე საშინელებას აჩვენებდნენ, მეორეზე ისევ გაზის გამორთვით გვემუქრებოდნენ, მესამეზე – ჩაძირული "კურსკის" განხილვა იყო. დავიღალე, მეც ადამიანი ვარ და ჩავრთე სერიალი. ლამაზი ინტერიერი, კარგი ქალები. ვუყურე. ეს ვამჯობინე". ძალიან დამაფიქრებელია, დაიღალა, დაიტვირთა მძიმე ინფორმაციით თუ საშინელებათა ფილმებით და ამიტომ აირჩია.

ამიტომ, კიდევ ერთხელ ვიტყვი, შევთავაზოთ ხალხს უკეთესი. უარესს ავაცილოთ. ვაჩვენოთ ისეთი ფილმები, რომლებიც სულის დღესასწაულს შეუქმნიან და აღარ ინდომებს ცუდი ფილმის ყურებას. 14 ლარიან პენსიონერს ნუ მოვთხოვთ, არ უყუროს კარგ ცხოვრებას ეკრანზე მაინც.

ჰოდა, ნუ განვიკითხავთ მათ, ვინც საღამოს, არა – უკვე ღამე 1 საათით ამ სამყაროდან მისთვის მისაღებ თუნდაც უცხო სამყაროში გადაინაცვლებს. გთხოვთ, ნუ განვიკითხავთ.

ჟურნალი "დვრიტა" 1994წ.

## აგრესია

კარგად მახსოვს, ის დღე – ცერემონიალი ოქროს მედლის გადმოცემისა 23-ე სკოლის დამთავრებისას. ალბათ, დავიმსახურე. აბა, ისე ვინ მომცემდა. ისიც, ასეთ სკოლაში, სადაც თვითონ მასწავლებლები ოქროდ ფასობდნენ. მიხაროდა უჯრის გამოღება, იმიტომ, რომ ერთადერთი ჩემი ოქროს სამკაული ეს მედალი იყო. გულზე არ მეკეთა, მაგრამ უჯრიდან ხომ ანათებდა.

ორი წლის წინ გავყიდე. მე არ მინდოდა, იძულებული ვიყავი. სხვა ძალა არ მქონდა. მოხდა ძალადობა. ძალადობა ლათინურად აგრესიაა.

ორმოცი წელი მისრულდება, რაც ფსიქიატრად ვმუშაობ. საპენსიო ასაკი ჩვენი, ფსიქიატრების, უფრო ნაადრევია, ვიდრე სხვა ექიმებისა. ორმოცი წელი სულით ავადმყოფთა შორის – ეს მეტისმეტია – მიუხედავად პროფესიონალური ინტერესისა და სიყვარულისა. ეს ორი პატიმრობის უმაღლესი ვადაა + ათი წელი. მე მუშაობა აღარ მინდა, მაგრამ მაშინ 14 ლარი მელის თვეში. ეს ნიშნავს . . . ეკლესიის წინ მათხოვარს მეტი აქვს კვირაში, ვიდრე მე მექნება თვეში, თუ არ ვიმუშავე. ე.ი. ჩემი მუშაობაც აგრესიაა და პენსიაც, იძულებაა და ძალადობა.

ყოველ ფეხის ნაბიჯზე ეს სიტყვა გვახსენებს თავს. აგრესიულია ჩვენი სატელევიზიო გადაცემები, ეკრანზე დაპირისპირება პოლიტიკურად და პიროვნულად დაპირისპირებულ პირთა. მათი ერთმანეთთან მიმართვა "ჩემო გოგი", "ჩემო მამუკა", "ჩემო გია" – გინებაზე უფრო მძიმე და აგრესიულია.

აგრესიაა, როდესაც ჩვენ, ამ ქვეყნის მოსახლეობა მოტყუებული, გაფცქვნილი, იმედებშემოძარცვული – ვიგებთ, რომ თურმე ჩვენი დედაქალაქის მშვენება, ლამაზი შენობები და პარკები – გაყიდულია კაპიკებად.

აგრესიაა, როდესაც ამ გაყიდვის შემდეგ სახელმწიფო ხაზინაში არაფერი შევიდა და ჩვენ ხელფასები არ მოგვემატა.

აგრესიაა,როდესაც ოჯახში დიპლომების რაოდენობა მეტია, ვიდრე ლარების. ჩემი მეგობრის ოჯახში ორი უნივერსიტეტის დიპლომია, ერთი კონსერვატორიის, ერთი ინსტიტუტის (სულ-4 დიპლომი),ლარი კი –3.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თქვენ მოითხოვთ, რომ ამ ოჯახმა სულიერი სიმშვიდე შეინარჩუნოს? როგორ? იქნებ ვინმეს აქვს ამის წამალი? ასევეა ჩემს ოჯახში.

აგრესია არ არის, როდესაც უთოფო ყაჩაღს, მოსახლეობის ფულადი დანაზოგების მიმთვისებელს, ისეთ უფლებებს მიანიჭებ, რომ ის ტელევიზიის ეკრანიდან ჭკუას გვარიგებს და ეკონომიურ კრიზისზე გვესაუბრება?

აგრესია არ არის, როდესაც ერთი ფსიქიურად ავადმყოფის მოვლაში ერთი დღის განმავლობაში ექიმს 18 თეთრს დაუნიშნავ? ისე, საინტერესოა, ერთი დღე თუ შეძლებს ასეთ განყოფილებაში მუშაობას ის, ვინც ასეთ ანაზღაურებას აწესებს.

იცით, როგორ დაუნდობლად ექცევიან ადამიანები ქუჩაში ერთმანეთს? როგორ მიმართავენ? აგრესიულად. ეს მათში დაგროვილი, მათი ყოფით დამძიმებული სულის განტვირთვაა?

თქვენ იტყვით, თუ არ არის ადამიანში ეს თვისება, პირობები ვერ წარმოქმნისო.

სადაა: სულიერი წონასწორობის და კეთილშობილების შენარჩუნება ყველას არ შეუძლია.

რა ჰქვია ამას, როდესაც რაიონის სათანადო უწყება იღებს პენსიებს და ისედაც შეურაცხყოფილ პენსიონერებს არ ურიგებს? აგრესიაა ნამდვილად. თქვენ იტყვით, ქურდობა და ყაჩაყობაა, ყაჩაღობა – აგრესია არ არის?

დ.აღმაშენებლის პროსპექტზე ნახევარი ტროტუარი მიუტაცებიათ, ფეხით მოსიარულეთათვის ვიწრო ბილიკი დაუტოვებიათ და ინგლისურად "სუპერმარკეტ"-იც დაუწერიათ. ძალადობაა ეს, აბა რა არის? თქვენ გგონიათ ერთია ასეთი შემთხვევა მხოლოდ? რამდენიც გინდათ. ისე, ვინ უფრო დიდი მოძალადეა, ვინც ნება დართო, თუ ამ მაღაზიის მეპატრონე? ალბათ, ვინც უფრო დიდი და "მაღალია".

ჩემთვის სასტუმრო "აჭარა" და სასტუმრო "აფხაზეთი" ტკივილია, ყოველდღიური. მე ამ გზით დავდივარ სამსახურში. აქ ლტოლვილები ცხოვრობენ. ისინი აგრესიის მსხვერპლნი არიან და იცით, რომ მათ სულებში საპასუხო აგრესია გამომუშავდა? შეიძლება უნებლიედ, აგრესია მათ მიმართ, ვინც შეიფარა. აგრესია მათ მიმართ, ვინც მათ ლტოლვილებს უწოდებს. ნუ დავმალავთ, ვიყოთ გულახდილები! ეს საპასუხო, თუმცა მისამართ შეცვლილი აგრესიაა.

აგრესიაა ტელეფილმებში, გადაცემებში.

ისე, ბუნებამაც თავი გამოიჩინა ამ ბოლო დროს – მიწისძვრები, წყალდიდობები, ზვავები, უხვთოვლიანობა და ჩატეხილი 120 წლის ხიდები – მეორედ მოსვლის პროლოგს ჰგავს. 50 წელია, ასეთი მიწისძვრა არ ყოფილაო, თქვეს, როდესაც რამდენიმე წუთი აზანზარა ქვესკნელმა სიეტლი. მკვიდრად ნაშენები იყო და ამიტომ არ მოჰყვა ასეთი სიძლიერის მიწისძვრას ნგრევა. ინდოეთში რა მოხდა. რამხელა მსხვერპლი იყო? რამ განარისხა განგება? რა დააშავა კაცობრიობამ? რა ცოდვა დაგროვდა ასეთი დედამიწაზე? რამ გამოიწვია ბუნების ასეთი აგრესია? ალბათ, ადამიანების აგრესიაზე პასუხია განგების რისხვა.

ამასწინათ, რუქა გვაჩვენეს, სადაც სისხლისფრად იყო შეღებილი ის ადგილები, სადაც დაპირისპირებაა, ომია, სისხლისღვრაა ან რისკია. იცით, როგორია ეს რუქა? წითელი, იმიტომ, რომ სამყაროს უდიდეს ნაწილზე სწორედ ეს დაძაბულობაა. ეს აგრესიული კერებია. მსოფლიოს ისტორია – ომების ისტორია ყოფილა. აბა, როგორ შეიქმნა და მერე გაქრა იმპერიები, როგორ აღიგავა პირისაგან მიწისა ქვეყნები, რატომ დაიხოცა მილიონობით ადამიანი, როდესაც ამბობენ, რომ მთელი სამყარო არ ღირს ბავშვის ცრემლადო?!

აგრესიულობა დიქტატორთა, მმართველთა, ძალაუფლების მქონეთა – საპასუხო რეაქციას იწვევს. ღირსების შელახვა, შეურაცხყოფა, დაკნინება, ყველაზე ძნელი გადასატანია. მიწამ შთანთქა უთვალავი ასეთი დიქტატორი, მმართველი, მოძალადე. მათი სახელი ავადსახსენებელი

დარჩა. სამწუხაროა, მაგრამ აგრესიულობა – გადამდებია. ცუდი მაგალითიც – ასევე.

რა ადვილია სიკეთის ქმნა, შენება. მაგრამ ამას ასევე მნეკეთილი ბუნება უნდა. ამ ბუნებას აღზრდა სიყვარულით, მოთმინებით, თავგანწირვით უნდა. გამზრდელი მარტო ის არ არის, ვისაც ავალია, ეკისრება აღზრდა – გარემოში ხდება, ჩვენს გარემოცვაში. აღზრდა პირად თვალსაჩინო მაგალითებზე ხდება. უნივერსიტეტის ერთ-ერთ კორპუსის შესასვლელს 3 ახალგაზრდა იცავდა (ალბათ, არასაუწყებო დაცვა). მათი ლაპარაკი შემომსვლელებისადმი, მიმართვა სტუდენტებისადმი გაჯერებული იყო ცნობილი სიტყვებით "შე ჩემა" "ჩემი დედა" და ა.შ. ამას რა ჰქვია? ჯავახიშვილის ქანდაკების ქვა გადნა ალბათ, სირცხვილისაგან. აგრესია კარებიდან დაიწყო.

მაგრამ ერთი კია. უფალმა ყველაზე ლამაზი და მშვიდი საცხოვრებელი გვაჩუქა ქართველებს. თვითონ საქართველო – კეთილია. ნაკლებად აგრესიულია მათ მიმართ, ვინც მის მიწაზე სახლობს. ამიტომ, ამ მიწას მოვლა უნდა და ამ მიწის მომვლელებს - გაფრთხილება. ქართველი კაცი ჭირთა მთმენია. მისი მოთმინებაც უზომოა. მაგრამ, ზეზღვარიც არსებობს. ამას ჰქვია ზეზღვრული გაღიზიანება. ღმერთმა ნუ ქნას, მოთმინება ნუ გამოულიოს ადამიანებს. თორემ, ისტორიას კიდევ ერთი ცუდი ფურცელი შეემატება.

ღმერთმა ნუ ქნას!

ამ ბოლო ხანებში ყაჩაღობა და ძარცვა ძალიან გახშირდა. ამბობენ და სტატისტიკურადაც ასეა, ეკონომიკურ მკვეთრ უთანასწორობას მოჰყვებაო ყაჩაღობა და ქურდობა. უმუშევრობა, უხელფასობაც ხელს უწყობს. მაგრამ, კიდევ უფრო მეტ შეშფოთებას იწვევს სისასტიკე, რომლითაც თანხლებულია ყაჩაღური თავდასხმები. სრულიად უმწეო ადამიანებს, რომლებსაც სამ, თუნდაც ათ ლარს ართმევენ, ასახიჩრებენ, ურტყამენ – გონების დაკარგვამდე. ქართველი კაცი გულმოწყალე იყო და ეს თვისება ხანდახან მის საწინააღმდეგოდაც შემობრუნებულა. მაგრამ რა ხდება, ასეთი აგრესიულობა საიდან გაჩნდა? ქალის ცემა დასახიჩრებამდე, სხეულის დაზიანებამდე, ეს ხომ

სასიკვდილოდ გამეტებას ნიშნავს. ასეთი აგრესია ვითომ მარტო სატელევიზიო ფილმების ზეგავლენაა? თითქოს ავი სული გამოუშვეს და დადის ეს სული ქალაქის ქუჩებში, სადარბაზოებში და მსხვერპლს ეძებს. შენს საკუთარ ქვეყანაში, შენს საყვარელ ქალაქში, შენი თანამემამულისა როგორ უნდა გეშინოდეს?

ჟურნალი "დვრიტა" 1994წ

## *დაგვიანებული მილოცვა საქართველოს მოსახლეობას.*

- ძვირფასო თანამემამულენო!

გილოცავთ ახალ წელს (ახალი და ძველი სტილით), შობას, ნათლისღებას და გისურვებთ ყოველგვარ სიკეთეს. რაც მთავარია, სულიერ მშვიდობას, რაც ასე სასურველია ჩვენს შფოთიან დროში.

ვულოცავ საქართველოს ყოველი ახალშობილის, მომავალი მოქალაქის შემატებას. ვულოცავ ქ-ნ სანდრას პატარა ნიკოლოზის შეძენას. უნდა მოგახსენოთ, რომ ახალმოლოგინებული მეუღლე პრეზიდენტისა კიდევ უფრო დამშვენდა. საერთოდ, დედობა ამშვენებს ქალს, ნათელს მატებს. სანდრა ყოველთვის სიმპათიური იყო. კარგა ხნის წინათ, ახალშენის ქუჩაზე რომ ცხოვრობდნენ, რემონტისათვის ცემენტი სანდრას თავისი მანქანით მოჰქონდა. ხალხი აღფრთოვანებული იყო: "რა სისადავეა, რა უბრალოება, რას ნიშნავს კულტურა". მეც ვეთანხმები.

- ვულოცავ მშვენიერ ქალბატონს ნიკოლოზის დაბადებას!

- ჩემს თანამემამულეებს კი ვულოცავ პენსიების, ხელფასების, ბოდიშს ვიხდი, შემეშალა – პარლამენტარების, ჩვენი სასიქადულო კანონმდებლების ხელფასების მომატებას!

- ჩემო ძვირფასო თანამემამულენო! მათ მაგიერ – მე, უბრალო მოქალაქე, თქვენი ტოლი და სწორი (და – არა მათი), თქვენს სამსახურში მყოფი – ჭეშმარიტად, გიხდით ბოდიშს იმისათვის, რაც წინასაახალწლოდ მოხდა.

- ტელევიზიამ მთელ საქართველოს, უმუშევართ, 28-ლარიან პენსიონერებს, მინიმალურ ხელფასიან მშრომელებს, უპენსიოდ დარჩენილ უსაქმო პროფესიონალებს, 90-ლარიან აკადემიკოსებს, 87-ლარიან პროფესორებს ახარა, რომ პარლამენტის წევრებს, როგორც იქნა, ხელფასი მოემატათ.

- ქ-ნმა ნინომ საქვეყნოდ ბრძანა ამ ფაქტის სამართლიანობის შესახებ და დაამატა "ახლა კი უფლება

გვეძლევა მთელი სიმკაცრით მოვითხოვოთ მათგან მოვალეობის შესრულება".

- ცრუდემოკრატებისაგან განწირულო ჩემო ქართველებო! თქვენი გადასახადებით დაფინანსებულმა პარლამენტარებმა ისე მიიღეს მათი "დიდი შრომის" ანაზღაურების დამატება, რომ ერთმაც კი არ შეიცხადა: "არა ღირს ვართ!" თავმდაბლობას მათ ნამდვილად ვერ დაწამებ. დიდ შრომას დაფასება უნდა.

- ისე, მე თუ 64 ლარი მაქვს, უმაღლესი კატეგორიის ფსიქიატრს, რომელიც მთელ დღეს სულით ავადმყოფებთან ვატარებ, 70 სულით ავადმყოფის გაჭირვებას, მათი ახლობლების დარდს ვიზიარებ, შეშლილი სულების "შემოქმედებას" ვისმენ, მათი მოუწყობელი ყოფის და პირობების თანამონაწილე ვარ – პასუხი არ მომეთხოვება? აბა, შემეშალოს? თქვენ პარლამენტარი არ გეგონოთ, იმ წუთში პასუხს მომთხოვენ.

- კი, მაგრამ, სად არის დაპირებული მომატებული ხელფასი? თქვენ შეგეშალათ. პარლამენტარებს კი არა, ხალხს დაპირდით ხელფასების და პენსიების მომატებას. ამ შეცდომისთვის, უსათუოდ, პასუხი უნდა აგოთ. თუმცა, ალბათ, იქ, ზევით უკეთ ჩანს და იცით – ვინ რას იმსახურებს.

ვითომ, პარლამენტის მედიცინის კომიტეტის ერთმა წევრმა მაინც (ჩემი ნაცნობებიც არიან მათ შორის) ერთხელ რომ შემოიაროს, დაგვხედოს – რა მოხდება? ბოლოსდაბოლოს, ფსიქიატრიის ინსტიტუტი საქართველოში ერთია, ისიც ბ-ნ ავლიპი ზურაბაშვილის სახელს ატარებს. იცით, რა ჰქვია ფსიქიატრიულ საავადმყოფოს – "მწუხარების, ჭმუნვის სახლი". ამ მწუხარების სახლში გმირები მუშაობენ. ისეთი გმირები კი არა, თქვენ რომ შერაცხეთ გმირებად – ზოგი ბოდიშის მოხდისათვის, ზოგი აფრასიძეების ოჯახის ზუსტი გასროლით ამოწყვეტისათვის და ა.შ.

არა! ეს ნამდვილი გმირები არიან. 64-ლარად მომუშავე ექიმები (უცხოეთში ყველაზე დიდი ანაზღაურებით), ექთნები, მომვლელები. გაძლება არ უნდა დედ-მამის თანხლებით დაბმული შეშლილი შვილის ყურებას? სწორია

გალაქტიონი: ამის შემყურეს "რაგინდ დიდი გული გქონდეს, მაინც დაიღუპები".

პარლამენტარებს შეუძლიათ მშვიდად იყვნენ. ეს მათ არ ელოდებათ. ისინი 64 ლარად ჩვენს კიბეზეც კი არ ამოვლენ. ჩვენი ექიმები კი დიდ მწუხარებას, ჭმუნვას, შეშლილ გონებას, დედის ვაებას, მიტოვებულ ავადმყოფს ამ ფასად დაუმადლებლად უვლიან.

- ფსიქიატრები ყველგან საჭირონი არიან. ფსიქიატრის თვალი სხვაა. მას თვალი გულშიც აქვს და გონებაშიც.

ფსიქიატრი სიყალბეს, სიცრუეს, ცრუსაქმიანობას, ორპირობას, ცრუპატრიოტიზმს, უწესო აჩქარებას, უადგილო სიცილს, უდროოდ წამოწყებულ ნაკლებმნიშვნელოვან ქმედებას, სიტუაციისათვის შეუფერებელ ქცევას, არაადექვატურ ემოციას, აზრთა არათანმიმდევრობას, სიტყვათა მოუზომლობას, ხალხზე გათვლილ იაფფასიან დაპირებებსა და ტრაბახს – ადვილად ამჩნევს.

- ფსიქიატრის თვალს არც დარბაზში სკამებზე "მოკატავე", არც გაზეთში თავჩარგული, არც მთვლემარე, არც ერთმანეთში "სერიოზული" საკითხის გარჩევით გართული დეპუტატები გამორჩება, ამიტომ . . . ალბათ, პროტოკოლით არის გათვალისწინებული – თუ საკრებულო იმატებს ხელფასებს, პარლამენტარებს არ ჰქონდათ უფლება, არ მიებაძათ მათთვის. ისინი, ასე ვფიქრობ, იძულებულნი იყვნენ ჩაეტარებინათ იგივე პროცედურა (პროტოკოლი და პროცედურა – გთხოვთ, მკითხველო, მაპატიე ამ სიტყვების ხმარება).

- ჩემო ძვირფასო თანამემამულენო! მე კვლავ და კვლავ გილოცავთ იმ დღეს, როდესაც ჩვენმა რჩეულებმა წვიმიდან და ქარიდან, თუ წვიმისა და ქარის მიერ პარლამენტში შემოყრილმა; ბოდიში, წვიმისა და ქარის გამო პარლამენტში თავშეფარებულმა ჩვენმა სასახელო კანონმდებლებმა ხელფასები გაიზარდეს. ღირსნიც არიან. ძალიან დაიღალნენ. ზამთარში იყო, შარშან და რომანოვების სასახლეში მოუნდათ გახიზვნა. ბ-ნმა ჯუღელმა არ დაფარა: "აქ მშვიდათ ვმუშაობთ, ხელი არ გვეშლებაო".

(აქ – ოპოზიცია უშლის ალბათ, თორემ სხვა ვინ?), ზაფხული დადგა და ბათუმის ათვისებას მოუნდნენ – იქ ზოგმა ნაკვეთი შეიგულა, ზოგმა იყიდა. ეს ყველაფერი ძალიან ღლის ადამიანს. შუალედში რევოლუცია ზოგან მოაწყეს, ზოგან – დაიწყეს და ამ გადაფრენა-გადმოფრენაშიც დაიქანცნენ.

- ხალხნო! ასე რომ თქვენი გადასახადებიდან შედგენილი ბიუჯეტიდან თქვენივე შესანახი ფული მოსაძებნია.

- ვერც ალექსანდრე ჭავჭავაძის მუზეუმს შეინახავენ, ვერც ამხელა უნივერსიტეტს, ვერც ... მოკლედ, ბევრ რამეს. რაც შეეხება ხელფასების მომატებას, არ გეგონოთ ეს საკითხი, სესიაზე კენჭისყრაზე იქნა გამოტანილი. არა! შედგა საიდუმლო სერობა, რომელსაც პოლიტიკოსების ენაზე ბიუროს სხდომა ეწოდება. აქ, 30-ვერცხლად საქართველოს მოსახლეობა გაიყიდა! ბიუროს თ-რე პარლამენტის თავმჯდომარეა, ქ-ნი ნინო, თანათავჯდომარეები – ვიცესპიკერები – მაჭავარიანი, ინაიშვილი. მონაწილეები – კომიტეტის თავმჯდომარეები და ფრაქციის ხელმძღვანელები. პროექტის წარმდგენი (პროექტი – ხელფასებზე დამატება). საპროცედურო კომიტეტის თავმჯდომარე ქ-ნი გოგორიშვილი.

შეიკრიბნენ, ითათბირეს, დაადგინეს, აღასრულეს.

ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავ-რე ქ-ნი თევდორაძე თუ ესწრებოდა ამ თათბირს? თუ ესწრებოდა, როგორ დაიცვა ადამიანის უფლებები? თუ ადამიანებად მარტო პარლამენტარები ითვლებიან?

აქ, ამ საიდუმლო სერობაზე გადაწყდა, რამდენი უნდა დამატებოდა პარლამენტარების მწირ ხელფასს და მერე, როგორც ფაქტი, ეცნობა პარლამენტარებს. ისე, ერთი მაინც უნდა ითქვას, კობა დავითაშვილის ობოლი ხმა გაისმა მიკროფონთან: "ხალხო, სირცხვილია, ჯერ პენსიების, ხელფასების და ანაბრების საკითხი არ მოგვიგვარებია"-ო. ამის შემდეგ აცხადებს ქ-ნი ნინო ტელევიზიით (რომ არ მომესმინა, არ დავიჯერებდი): "ახლა-კი მთელი სიმკაცრით მოეთხოვებათ პასუხი"-ო.

- სხვას კიდევ შეიძლება, მაგრამ ანზორიკო ბიწაძის დედას არ ეკადრება არც ეს საქციელი და ეს განცხადება – მით უმეტეს. მე არ ვიცნობ ახლოს ბ-ნ ანზორს (უფროსს), მაგრამ ჩემი რაიონის რაიკომის მდივანი იყო (მისი საქმიანობის შესახებ ვერაფერს გეტყვით), მამაჩემთან ახლობლობდა და თერჯოლაში შარშან მისი პარტიული მეგობრის კი არა, კარგი პიროვნების გარდაცვალების გამო ჩამოვიდა. ჩემ ეზოში იჯდა ამ კაცის საპატივცემულოდ გამართულ სუფრასთან. მე პატივს ვცემ ქ-ნ ნინოს დედას, ანზორიკოს ბებიას, რომელმაც განათლებული შვილი გაუზარდა ქვეყანას და ძალიან კარგი შვილიშვილი – ანზორიკოც გაზარდა. ეს კეთილშნიანი ახალგაზრდა – კარგი მოქართულე, ქართული ლიტერატურის, პოეზიის შესანიშნავი მცოდნე, ქართული სიტყვის მადლის დამფასებელია.

- ასეთი შვილის დედამ დასტური მისცა მისი ხალხის 30-ვერცხლად გაყიდვას – საახალწლოდ. არ მოეწონება მის ბნეკეთილ შვილს ეს საქციელი. თვეში ორი სამკაულის (იქნებ, მეშლება) ფასად არ ღირდა ხალხის წყენა და გულის წყვეტა. (არც მოგეთხოვებათ ელისაბედ დედოფლის თავგანწირვა).

- ჩვენმა სანაქებო ოპოზიციამაც "ისახელა" თავი. კარგი, ვთქვათ, ზოგი სამკაულებს დაიმატებს ამ დანამატი ფულით; ნარცისიზმით დაავადებული ზოგიერთი პარლამენტარი კიდევ ერთ წითელ "ჰალსტუხს", მავანი ძვირფას ფეხსაცმელებს კიდევ დაამატებს ნალებს (ხომ ურტყამდა რკინადაჭედილ ფეხსაცმელებს კირკიტაძე დეპუტატებს – რუსთავის ტელევიზიას რომ გაეპარა ეს კადრი) შემდგომი ბატალიებისათვის, ზოგი ბაკურიანში "იგულავებს" და ა.შ.

- თქვენ! ძვირფასო ოპოზიციონერებო! რატომ არ ამოიღეთ ხმა და რატომ "არ დადექით ხალხის გვერდით" (თქვენი დევიზი), როგორც აცხადებთ ხოლმე საჭიროების დროს. ზოგიერთ თქვენგანს ამ დანამატის ფასის სანთებელა გიდევთ ჯიბეში (ფულს არ ვითვლი სხვის ჯიბეში). როგორ არ დავაფასოთ დათო მაღრაძე, რომელმაც ყველა ამ სიკეთეზე უარი თქვა და კაცად დარჩა. კაცად დარჩენას კაცობა უნდა. თქვენს გამოჩენას დაჩაგრული და განწირული

ადამიანების გვერდით აღარ ექნება ის მნიშვნელობა, რაც ადრე ჰქონდა. თქვენ მიიღეთ მონაწილეობა ხალხის გაყიდვაში, ისევე, როგორც უმრავლესობამ. თქვენ არ წახვედით შემოთავაზებული ამორალური უკანონობის წინააღმდეგ. თქვენი დიდი წილი მოსახლეობის ინტერესების, უფლებების დაცვის იმედში დაიკარგა. არ ღირდა ხელფასზე დანამატზე უარის თქმა ამ ნდობის დაკარგვად. ძალიან სამწუხაროა; იმედის დაკარგვა ძალიან ძნელია.

ისე, ხალხი, რა, ამოიღო ვინმემ ხმა? ვინც ხმა ამოიღო, რა მოიგო? ამდენი მშიერი თვალი რომ შემოგყურებთ კარგად მოვლილ, ნაპატივებ, გამოწყობილ, ჩვენი გადასახადებით ჩაცმულ-დახურულ და ხელფას მომატებულს – არ გერიდებათ? გამოაცხადეს: - შრედერს გერმანიაში შეკერილი ტანსაცმელი აცვია, რომ ხალხმა მისი ქვეყნის დემოკრატიულობა ირწმუნოს. თქვენ რა გჭირთ, რატომ უფრიალებთ ხალხს წითელს? გამჭვირვალედ გასაყიდი ქონება ასლან აბაშიძისა – გაუმჭვირვალედ გაქრა. ისე, ძალიან მოუხდა ზოგიერთს აბაშიძის ძვირფას მანქანებში ჯდომა. ხალხი რას გაიგებს – ვინ იყიდა, რა გადაიხადა? და საერთოდ (ისე, ხალხმა ყველაფერი იცის, ფრთხილად!);

სამწუხაროა, რომ ქ-ნ ნინოს ტონი, რეპლიკები ბოლო ხანებში ძალიან შეიცვალა. ცინიზმი გაჩნდა. სამწუხაროა. ერთი ქალბატონი უკვე ჰყავს უმრავლესობას ასეთი ტექსტებით. ამ რეგისტრამდე ქალბატონ ნინოს დაწევა არ არის სასურველი.

- ისე, ძვირფასო თანამემამულენო! იმ საკმაოდ დიდ ხელფასებზე რატომ არ თხოვდნენ მათ პასუხს? ან გვარები თუ იცით იმ უმრავლესობის, რომლებიც თქვენ რჩეულებად თვლიან თავს? წავიკითხე გაზეთში და უმეტესობის გვარი არაფერს მეუბნება. გავიკითხე – არც სხვამ იცის. არც წამომავლობით, არც საქმით ეს ადამიანები არ იმსახურებენ ასეთ პატივს. რა გააკეთეს, რა შექმნეს ისეთი, რომ პარლამენტში კანონშემოქმედად მოგვევლინენ?

- ხალხნო! იქნებ იკითხოთ – იყვნენ ისინი ხელფასების მომატების ღირსნი? ჩემო ძვირფასო, იმედგაცრუებულო, ასფალტდაგებულო, სახლებშეღებილო თანამემამულენო –

თქვენ გაგყიდეს და 30 ვერცხლად კი არა – უფრო ძვირად. იცით, რა უთხრა ბატონმა კოტე გაბაშვილმა ჟურნალისტებს: "პენსიონერები ბევრნი (ციფრი დასახელებულია) არიან, ჩვენ – 200. იმათ მაინც არ ეყოფოდათ".

- ამას ვერაფრით დავიჯერებდი, რომ ბატონი ვლადიმერ (ვოვა) გაბაშვილის შვილი, მამაჩემის მეგობრის – ცნობილი ნევროპათოლოგის, უკეთილშობილესი პიროვნების ვოვა გაბაშვილის შვილი ამის თქმას იკადრებდა. არა – შეძლებდა.

ბატონ ვოვას ჩვენი ოჯახის, მამაჩემის პროფესორ საშა მაკარიძის და პირადად, ჩემი ისეთი სიყვარული ერგო წილად, რომ მის მთელ შთამომავლობას ეყოფა. მაგრამ ასეთი განცხადება არ ეკადრება არა-თუ ამ შესანიშნავი კაცის შვილს, არამედ – ჩვეულებრივ მოქალაქეს, ინტელიგენტს. გულდასაწყვეტია.

- რაც ეყოფოდათ იმ საცოდავ პენსიონერებს, ის რატომ არ დაუმატეთ? სად მიდის ასე "გამჭვირვალედ" ჩამორთმეული მილიონები და ფონდებში შესული ფული? იქნებ, ბატონო კოტე! არ იცით მათი არსებობის შესახებ? თუ დაინტერესდებით, ჩვენი მამების მეგობრობის სანაცვლოდ – შევხვდეთ და მე გაჩვენებთ"შემოწირულობის" ქვითარს, ანუ წართმეული ფულის გაოფიციალურებულ დოკუმენტს, ხელთ მაქვს და მოგართმევთ.

ისე, არ იქნება ურიგო, თუ თქვენ მაღალანაზღაურებად პარლამენტარებს ტესტირებას ჩავუტარებთ ინტელექტუალური დონის დასადგენად – მე მიტარებენ ტესტირებას, მაგათ რა დააშავეს? იქნებ უნდათ თავისი ინტელექტისა და ერუდიციის გამომზეურება?

უფასო სასადილოების უკბილო მოხუცებო, თავშესაფართა მკვიდრნო, უპატრონო ბავშვთა სახლების საჩუქრებდარიგებულო პატარებო, ღირსებააყრილო მეცნიერებო, სწავლულებო, გასაცოდავებულო ექიმებო, გაგდებულო და სტიპენდიის დარიგებით მოტყუებულო უნივერსიტეტის პედაგოგებო, გაგდების მოლოდინში დაღლილო მოსამსახურეებო, შვილების სარჩენად ქუჩაში გასულო, ყველაფრით მოვაჭრე ახალგაზრდა დედებო,

მიუსაფარნო, ხვალინდელი დღის შიშით მცხოვრებო ყველა ქართველო, დაუცველნო, სამართალს მოკლებულნო – მე გილოცავთ თქვენ ამ დიდ მიღწევას, პარლამენტარების ხელფასის მომატებას! კანონებს ქმნიან და ეკუთვნით. საგადასახადო კანონი რომ არ აწყობთ ბიზნესმენებს - ეს რა მათი ბრალია? (ამას წინათ, პრეზიდენტი შეხვდა ბიზნესმენებს).

- ისე, ხომ ყველა ბრუნვაში მოიხსენია პრეზიდენტმა ბიზნესმენებთან შეხვედრაზე, მათი ჯიბე? პირდაპირ, დაუფარავად ელაპარაკა (დაფარულად რასაც ართმევენ – ეს სხვაა), - თქვენი ჯიბე, თქვენმა ჯიბემ, თქვენ ჯიბეს, თქვენი ჯიბის – მეტი რა ქნას? კარგად აბრუნა. ერთხელ მაინც შეეხსენებინა გატრუნული, თავჩაღუნული, არაერთჯერადად გაპარსული ბიზნესმენებისათვის დიდ შოთას სიტყვები: "რასაცა გასცემ შენია, რას არა . . . ან "უხვად გასცემდე, ზღვათაცა შესდის და გაედინების". როგორი ნათქვამია? პრეზიდენტი თავის ცოდნასაც გამოამჟღავნებდა, იმ ხალხსაც ასიამოვნებდა და მაშინ ჯიბის ამოტრიალებაც არგუმენტირებული იქნებოდა.

თვალებდაქაჩული უსმენდნენ ბიზნესმენები პრეზიდენტს. მათ მხოლოდ ის 5000 კი არ ადარდებდათ, რომლითაც "200 გაჭირვებული ოჯახი უნდა დაეპურებინათ". არა! მათ უკვირდათ – ნუთუ არ შეიძლება შენი ქვეყნის მომავალ სარაჯიშვილებს სხვაგვარად მიმართო? ისე, რომ მათი საქმიანობა მხოლოდ ჯიბით არ მოიხსენიო? ჯიბეებში რა გინდა? ყაჩაღობაა? აბა, სხვა რა ეთქმის ამას? ეს არ იყო შეხვედრა. ეს იყო მინიდაყაჩაღება, ცოტა გაფრთხილება, ოდნავ მუქარა და ბევრი არაფერი (!!!) კარგი.

- ან-კი რას მოელოდნენ მორჩილად გატრუნული ე.წ. ბიზნესმენები.

- ქართველო მეწარმეებო! თქვენ არ ხართ ერთობა საქმიანი ხალხის, არ იცით ერთურთის მხარდაჭერა და ურთიერთგაგება.; ეს არ არის კორპორაცია – ერთიანი მსოფლმხედველობის ადამიანების და პროფესიონალების. აქ არ იყო ერთი იდეით – ქვეყნის აშენების იდეით შეპყრობილი პატრიოტების თავშეყრა. ასე რომ ყოფილიყო,

რაღა ძასოხოვს ააშენებინეთ მეორე ლუდის ქარხანა თოფაძის ჯინაზე: რატომ არ დაიცავით თქვენი კორპორაციის წევრი? სხვა ყველა ფაბრიკა აშენდა, წარმოება ამუშავდა და ხალხი დასაქმდა, ლუდის მეორე ქარხნის გარდა?

ერთად დგომა უნდა, სარაჯიშვილებო, ლაღიძეებო! მაშინ არის ძლიერი ქვეყანა და თქვენ თითოეული ცალ-ცალკე, ისე, როგორც ედგნენ მხარში ივანე ჯავახიშვილს უნივერსიტეტის მშენებლობის დაფინანსებაში. ექიმმა რაჟდენ ნანეიშვილმა ბაქოდან გამოუგზავნა ფული დიდ ივანეს ამ საქმისთვის. აი, ასე უნდა. ერთ თქვენგანს თუ გაახსენდა უნივერსიტეტის დახმარება. მეცნიერები გიმათხოვრდებათ, თქვენს იდეებს, ქართულ აზრს უცხოეთში ამუშავებენ, თქვენ რუსლანას ჩამოყვანას და ტიტველ მოდელებს აფინანსებთ.

- აფერუმ, თქვენს ერისკაცობას! ვინ სთქვა, კონცერტი არ უნდა დაფინანსდესო? რასაკვირველია, ხელი უნდა შევუწყოთ ხელოვნებას, მაგრამ აკადემიურ, გემოვნებით დადგმულ, პროფესიონალურ და მოსახლეობის, განსაკუთრებით – ახალგაზრდების კულტურის ასამაღლებელ კონცერტებს, როგორიც ახლა გაიმართა ვენაში, მოცარტის დღეებთან დაკავშირებით და გაიმართება თებერვლის დასაწყისში, ბეთჰოვენის ხსოვნის პატივსაცემად. თუ ჩვენ ევროპისკენ ვიხედებით, მაშინ ვაჟაც გვინდა და ფლობერიც. არსებობს მსოფლიო ღირებულებები. დიდი პატივი ბატონ გია ბუღაძეს, მაგრამ მარტო მისი მხატვრობა არც შველის და არც შვენის ქალაქს.

- ჩემი თაობა, გარემოცვა, მეგობრები – უდიდეს პატივისცემას გამოხატავენ ბატონ ბიძინა ივანიშვილის მიმართ. მან კულტურის კერების პატრონაჟი იკისრა და შეასრულა. უხმაუროდ, სიკეთე – ჩუმია, უხმაურო. ნამოქმედარის ხშირად წამოძახება, შეხსენება – უწესობაა, დაყვედრებას ჰგავს და არავითარი კავშირი სიკეთესთან არ აქვს. ასეთ შეხსენებას გაკეთებულ-არგაკეთებულის შესახებ, ჩვენ დიდი დოზით ვიღებთ ეკრანიდან.

- ბატონო ბიზნესმენებო! ვერ შევაქებ თქვენს ვაჟკაცობას! როგორ დადუმდით და აიტანეთ, როდესაც თქვენმა პრეზიდენტმა გამოგიცხადათ – თქვენ, მთელ საქართველოს მოსახლეობას, ილიას, აკაკის, ვაჟას, იაკობ გოგებაშვილს: "მე ქართულ გაზეთებს არ ვკითხულობ, არ მაინტერესებს". ე.ი. მე ქართველი ხალხის აზრი არ მაინტერესებსო (სხვაგვარად ვერ ახსნი ამ სიტყვებს – ამ გაზეთებში და ჟურნალებში ქართველი ხალხის აზრია).

- ვაჟკაცებო! როგორ არ ადექით და პროტესტის ნიშნად არ დატოვეთ დარბაზი? თქვენ ხომ იცით, რომ კონსტიტუციით თქვენ ამის უფლება გაქვთ? თქვენ ქართველები ხართ, დაგიხურეს "ცისკარი", "მნათობი", თქვენი შვილები და შვილიშვილები აღარ წაიკითხავენ "დილას". თქვენ გაჩუმდით. ხმა არ ამოიღეთ. სამაგიეროდ, "ჯეო-ბარი" დააფინანსეთ და ბევრ ასეთ უსახურ, უნიჭო და ეკრანის დამნაგვიანებელ გადაცემებს, უგემოვნო კონცერტებს და ე.წ. "შოუს" აფინანსებთ. გაიხსენეთ, პირველად "ცისკარში" დაიბეჭდა რაფიელ ერისთავის "სამშობლო ხევსურისა", თქვენ რომ უნდა ასწავლოთ თქვენს შვილებს და შვილიშვილებს, ახალგაზრდა სარაჯიშვილებო:

"სადაც ვშობილვარ, გავზრდილვარ" . . . ან
" არ გავცვლი მე ჩემს სამშობლოს
სხვა ქვეყნის სამოთხეზედა".

მარტო "პენტიუმი" და ინგლისური არ ქმნის პიროვნებას. გაზრდით კი გაიზრდებიან, მაგრამ – ისეთები, როგორებიც არიან ისინი, ვინც ავტორის უკითხავად დავით აღმაშენებლის ძეგლი ზურგით, ცხენი – გავით დაგვახვედრეს თბილისის გასასვლელში. მარტო კომპიუტერით და უნარ-ჩვევებით (და არა ტრადიციებით) გაზრდილი კაცი ვერ მოძებნის სხვა პოზიციას, იმიტომ, რომ ვერ შეიძენს კეთილშობილებას და პროფესიონალიზმის პატივისცემას.

მე ვერ მოვყვები ამ შეხვედრაზე წარმოთქმულ სხვა მსგავს ე.წ. მარგალიტებს, რომლებიც ისეთ ბრალდებას წარმოადგენენ, რომ პრეზიდენტის პასუხისგების საკითხი უნდა დაისვას (მაგ. როგორ დანიშნა აკვნიდან ბავშვმა ბიძა დიდ თანამდებობაზე და სხვა). მაგრამ, მეორე დღეს ხალხი

კითხულობდა – რა მოხდა, ეს რა ითქვაო? უკვირდათ, წარმოიდგინეს:

- ბუშმა რომ საქვეყნოდ გამოაცხადოს – არ ვკითხულობ ამერიკულ გაზეთებსო;
- ბლერმა თქვას – მეც არ ვკითხულობ ინგლისურ პრესასო;
- შირაკმაც უარი თქვას – რაში მენაღვლება ხალხის აზრიო.

რას იტყვის მათი ხალხი? დარჩებიან ისინი ამის შემდეგ იმ ხალხის წინამძღოლად? (ისე, როგორი სიტყვაა – წინა მძღოლი, წინ მავალი, მისაბაძი!).

- სხვათაშორის, არაერთხელ დაისვა საკითხი სერიოზულად და ხუმრობითაც – სახელმწიფო მართვის ორგანოებში ფსიქიატრი საჭიროაო. რამდენად სწორია – არ ვიცი, მაგრამ ზოგჯერ, ჩემს ავადმყოფებსაც კი უკვირთ – რა ხდება ამ ქვეყანაშიო.

- ამდენად, მე მიმაჩნია, მრჩევლები, თუკი არსებობენ (მგონი, ისინიც დაითხოვეს), მაშინ ფსიქიატრიც უსათუოდ საჭიროა. უფრო მოზომავს, შეაჩერებს ქცევას, ქმედებას, გააწონაწორებს, შეაკავებს აფექტს, ემოციურ დაძაბულობას, სიტყვასა თუ საქციელს.

- ჩემი წინადადება: პრეზიდენტის 8 მცველის მაგიერ იყოს 6 მცველი და დაფინანსდეს აპარატში, პარლამენტში 2 ფსიქიატრი, როგორც ფსიქოკორექტორი – ეს მიღებული და ცივილიზებული აქტია.

და ბოლოს ინტელიგენციის, მოსამსახურეების და მოქალაქეების დიდმა ნაწილმა მთხოვა ამ წერილზე მათი თხოვნა დამერთო: იქნებ – მთავრობის ყურამდე მიმეტანა:

უმორჩილესად გთხოვთ, მოიხსნას უფასო სასადილოების ამსახველი კლიპი. ეს შემზარავია,მუქარაა, ეს ცუდი მომავლის პერსპექტივაა, ეს საშინელი უტურუმია. ბატონ მიხეილს რა უჭირს, მათთან რომ მიდის ლუკმას მაინც იდებს პირში. ქალბატონი ნინო დაიტანჯა მათი ყურებით, პირთან ვერ მიიდო კოვზი. შემზარავია იმის ყურება, როგორ უკოცნიან ხელებს პრეზიდენტს ოდესღაც ამაყი ქართველი, ამჟამად უსახსრო, უსასოო მოხუცები უფასო საჭმლის ფასად.

ინტელიგენცია, მეცნიერები ყველა – მთავრობის წევრების, ნაციონალური მოძრაობის წევრების, ბიზნესმენების გარდა – ითხოვენ,მოიხსნას ეკრანიდან კლიპი – მშიერი ქართველები უფასო სასადილოში, რასაც მოჰყვება პრეზიდენტის ოპტიმისტური დაპირებები, კიდევ ბევრი სასადილოებისა და ციხეების აშენების შესახებ. როგორი დაკავშირებაა?

ნაწილი – დამშეული, მეორე ნაწილი – ციხეში, დანარჩენი კი. . . აი, ასე!

ქართველს აუტანია უდიდესი გაჭირვება, ლეკიანობა, ძალადობა, დიდ-თურქობა, სპარსთა შემოსევა, ფაშიზმიც მოიგერია, უშუქობაც ვიცით, სიცივეც, შიმშილიც, მაგრამ უფასო სასადილოებს ნუ შემოგვთავაზებთ – დიდი დოზით. ნუ გვაჩვენებთ მაინც!

ყურად იღეთ ეს თხოვნა! ნუ გვაშინებთ! იწამეთ ღმერთი!

*"ლიტერატურული საქართველო" 3 თებერვალი, 2006წ.*

## *მე – ხალხი – და მოგივაცია.*

ეროვნული ბიბლიოთეკა

მკითხველს, ალბათ, გაუკვირდება ასეთი უცნაური და გრამატიკულად გაუმართავი სათაურის წამძღვარება იმისთვის, რაც მინდა მოგახსენოთ. მართალია, ხალხი – კრებითი სახელია, მე მხოლობითი ნაცვალსახელი და ისიც პირველ პირში, მაგრამ ერთად ეს ორი სიტყვა ზუსტად გამოხატავს ჩემს აზრს. მე – ხალხი ვარ; ნაწილი, პატარა, მაგრამ – მისი ნაწილი. ხალხი ბევრი მე-სგან შედგება და როდესაც ხალხს ხშირად მიმართავენ – "ხალხო, თქვენთვის! ხალხო, იმიტომ, რომ თქვენ უკეთ იცხოვროთ!" – აქ მეც ვიგულისხმები, ის, ჩვენ, თქვენ და ისინი.

და თუ მე ხალხის სახელით გავბედე დაწერა, ამას ჩემი ოჯახის, პროფესიისადმი ერთგულება, ქვეყნის თავგამეტებული (კარგი სიტყვაა – თავ-გამეტებული) სიყვარული, მოქალაქეობრივი პოზიცია, დედობა, ბებიობა, ბოლოს – დიდი ბებიობა და გავლილი ცხოვრება მაძლევს. ახლა კი წყენა და იმედის დაკარგვის შიში.

მე უპარტიო ვარ. არც ერთ პარტიაში, გარდა საქართველოს ერთგულების პარტიისა, არ ვყოფილვარ. საზოგადოება "თბილისელის" წევრი ვიყავი წლების განმავლობაში და ვამაყობ ამით. ამ საზოგადოების თითოეული წევრი, მე თუ მკითხავთ, თვითონ არის ერის საგანძური და იმდენი სიკეთე გაუკეთა ხალხს და თავის ქვეყანას, ღმერთმა ქნას, შემდგომმა თაობებმა შეძლონ. ხმამაღლა პირველად ვამბობ, მე ჩემი შვილი ვაიძულე, აფხაზეთის ომში წასულიყო. მისგან უარი არგუმენტირებული იყო იმით, რომ მას კაცის მოკვლა არ შეუძლია. არ მივიღე ეს არგუმენტი, რადგანაც დახმარება და ქვეყნის სამსახური სხვა ხერხებითაც შეიძლება. სამწუხაროდ (იქნებ - არც), ომი მალე დამთავრდა და ჩემს შვილს ჭუბერზე გადმოსვლა მოუხდა. ყველა გაიგებს იმ დედის განცდას, რომელმაც აიძულა შვილი, ომში წასულიყო და 10 დღე მის შესახებ არავითარი ცნობა არ ჰქონია. მაგრამ მე არ ვნანობ – ის გაჭირვება მაინც გაიზიარა, რაც დევნილების გოლგოთაზე, ჭუბერზე გადაიტანა.

ეს მაგალითისათვის მოგახსენეთ, თორემ ქართველ დედას მისი ქვეყნისთვის შვილის გაწირვა არ გაუკვირდება.

ამ წერილის დაწერა უპირველესად ქ-ნ რუსიკო ენუქიძის წერილმა გამაბედინა და მეორე, ყოფილი გენერალური პროკურორის, ბ-ნ ოქრუაშვილის გამოსვლამ მიბიძგა.

არ იფიქროთ, ახალგაზრდების საწინააღმდეგო მქონდეს რაიმე; პირიქით, ყოველი განათლებული, კეთილშობილი ახალგაზრდის გაცნობა ჩემთვის დიდი საჩუქარია, მაგრამ აქვე უნდა ვაღიარო, ყოველგვარი ძალადობის წინაარმდეგი ვარ, რადიკალიზმის.

შეიძლება ითქვას, გენეტიკურად ფსიქიატრი ვარ. მამა – პროფესორი საშა (ალექსანდრე) მაკარიძე ფსიქიატრი იყო, ძმა - ფსიქიატრია, მე 43 წელია ფსიქიატრი ვარ და ვერაფერს ვუზამ იმ თვალს, ყურს და კიდევ გულისყურს (ესეც კარგი სიტყვაა), რომლითაც ფსიქიატრი (ისიც ჩემი გამოცდილების) უყურებს ყველას გარშემო; განურჩევლად – ოჯახის წევრი იქნება ეს თუ, უბრალოდ, ქუჩაში გამვლელი.

სწორედ ჩემმა პროფესიულმა თავისებურებამ მაიძულა, ჩამეწერა ახალგაზრდა ლიდერების მიმართვებიდან განსაკუთრებით მძიმედ მოსასმენი სიტყვები – "ღორი, ნაბიჭვარი, დარჩით ასე გაბრაზებულები". ამით ხალხს კიდევ უფრო აბრაზებდნენ, ახელებდნენ. ეს ძალიან საშიში პოზიციაა. ხალხი ხომ მარტო ის არ არის, ვინც იქ "იდგა წვიმასა და ქარში" (როგორც ხშირად ითქმება). ჩვენც, ჩემი მეგობრები, ნაცნობები, ვინც არ იდგა "წვიმასა თუ ქარში", ესეც ხალხია. ამიტომ, როდესაც მთავრობა, ასეთი ახალგაზრდა, განათლებული, გულანთებული, ენერგიული (ზოგჯერ ზედმეტად) მოგვმართავს, გვაიმედებს, უკეთეს ცხოვრებას გვპირდება, ჩვენ ვიჯერებთ, იმედი გვიჩნდება. მე ვთვლი, რომ დაპირებები ძალიან გულწრფელი იყო. მაგრამ სიტყვას ხომ ფასი აქვს და მერე როგორი! დაპირება უნდა შესრულდეს; თუ არ შესრულდა, მაშინ ეს ტყუილად იქცევა, მთქმელი – მატყუარად და ა.შ.

ერთი-ორი სიტყვა მოტივაციის შესახებ (მოტივაცია ფრანგული სიტყვაა და რაიმე ქმედების დასაბუთებას ნიშნავს, მიზეზს განარტავს).

ექსგენერალური პროკურორის ბ-ნ ოქრუაშვილის ერთ-ერთი გამოსვლა სწორედ მოტივაციას მიეძღვნა. ეს იმ პერიოდს ეხება, როცა მთავრობამ უკანონოდ მითვისებული დიდძალი თანხა ამოიღო (ეს პროცესი იმდენად გაუმჭვირვალე იყო, რომ შემდგომ გამჭვირვალე პოლიტიკის წარმართვაში ეჭვიც კი გაჩნდა). ბ-ნმა ოქრუაშვილმა ბრძანა, რომ სამართალდამცავებს უნდა მოემატოთ ხელფასი, რადგანაც ამისათვის განსაკუთრებული მოტივაცია არსებობს. მათ დიდ თანხებთან აქვთ საქმე და რომ არ წაწყმდნენ (გამოსვლის სიზუსტეს ვერ ვიცავ), ამიტომ თვითონ უნდა ჰქონდეთ დიდი შემოსავალი.

როგორია? ე.ი. მოსამართლე, თუ ის დიდი თანხის მიმთვისებელს ასამართლებს, აუცილებლად დიდ ხელფასს უნდა იღებდეს, რომ არ მოქრთამონ. მეგობარმა, რომლის შვილი საოლქო სასამართლოში მუშაობს, ძალიან მორიდებულად დაადასტურა მისი მოსამართლე შვილის ხელფასის მკვეთრი ზრდა და მობოდიშებით შემიცოდა, რომ მე არც მთავრობის დაპირება შემეხო და არც ბ-ნ ოქრუაშვილის მოტივაცია.

ახლა, ვთხოვ ჩემი ქვეყნის მთავრობას, ფრიად განსწავლულს, განათლებულს, რეფორმატორს (ნამდვილად), აქტიურს, ხალხისათვის და სამშობლოსათვის თავდადებულს – ჩემი, ანუ ხალხის მოტივაცია მოისმინოს!

იყო დაპირება გაუცემელი ხელფასების გაცემის – არ შესრულდა. იყო დაპირება ივნისის თვის ხელფასების მინიმუმ 125 ლარამდე გაზრდის – არ შესრულდა. მე მაქვს თუ არა მოტივაცია, ეჭვი შევიტანო მათ შემდგომ დაპირებებშიც?

მე, ფსიქიატრს, რომელსაც 64 ლარი მაქვს ხელფასი და საიდანაც გადასახადს ვიხდი ბიუჯეტში, რითაც "ვინახავ" ჩემს მთავრობას, არავითარი მოტივაცია არ მაქვს? მე ხომ იმ ავადმყოფებს ვუვლი, ვმკურნალობ და ვპატრონობ (ამ სიტყვების სრული მნიშვნელობით), რომლებსაც სახლში ვერ

აჩერებს დედა, ცოლი, შვილი, მამა. მე ამ ავადმყოფებთან ვცხოვრობ, ნამდვილად ვცხოვრობ. მათი მშობლების დარდის გამზიარებელი ვარ, ჭირისუფალი და მოსამართლეც, რადგანაც უხშირესად ჩემ მიერ დასმული დიაგნოზი — განაჩენია. უმაღლესი კატეგორია გაუქმდა, მავნე სამუშაოსთვის დანამატიც. იცის თუ არა ჩემმა ახალგაზრდა მთავრობამ, როგორია 1 დღის გატარებაც კი 70 სულით ავადმყოფით სავსე განყოფილებაში, სადაც ხშირად წამალი არ არის და საკვებიც მწირი? არც ერთი მთავრობის წევრს აქ არ შემოუხედავს. ეს ხომ საზოგადოების ყველაზე დაჩაგრული ნაწილია – მათ ადამიანისათვის ყველაზე მნიშვნელოვანი და წარმმართავი – გონება აქვთ დაზიანებული. იცის თუ არა ჩვენზე, ხალხზე მზრუნველმა მთავრობამ, რომ ამ ორი კომპონენტიდან "პური და სანახაობა", ამ საცოდავებს ორივე აკლიათ (რაც შეეხება სანახაობას, რატომღაც ეს ნაწილი რევოლუციის შემდეგ დიდი დოზით მიეწოდება ხალხს).

რკინის ბადეებს იქით წლობით გამომწყვდეული ადამიანების მოვლა კი არა, ყურება და მოსმენაც კი ძნელია. ესენი ხომ დამნაშავენი არ არიან. ავადმყოფობამ დასაჯა და დაჩაგრა, თანაც როგორ. გამოთიშა საზოგადოებას, ოჯახს, საყვარელ ადამიანებს. მოჰყავთ ახლობლებს ჩვენთან და იცით, რა საშიშროების წინაშე დგანან მომვლელები და, საერთოდ, განყოფილების მთელი პერსონალი? როგორ წარმოგიდგენიათ, ავადმყოფის საწოლზე ბეწრებით დაფიქსირება ნემსის გასაკეთებლად თუ იძულებით საკვებად?

ჰოდა, როგორ ფიქრობთ, ამ ხალხს, რომელიც ყოველდღედიდი რისკისა და საშიშროების ქვეშ იმყოფება ავადმყოფებთან, ხელფასის მოსამატებლად მოტივაცია არ აქვთ?

რატომ ვაყენებთ შეურაცხყოფას იმ მოსამართლეს, რომლის პატიოსნებაში იმდენად გვეპარება ეჭვი, რომ ჩვენ თვითონ ვქრთამავთ, დიდი ოდენობით ვუზრდით ხელფასს? რატომ გგონიათ, რომ მას აუცილებლად 1200 დოლარი უნდა ჰქონდეს, რომ სამართალი გააჩინოს?

კი მაგრამ, ნაკლებად მძიმე სამუშაო გვაქვს? რატომ არ იმსახურებს ფსიქიატრიული სამსახური მეტ თუ არა, არანაკლებ პატივისცემას?

იცით, რა თქვა ავადმყოფის ნათესავმა, როდესაც ჩვენი ხელფასის ოდენობა გაიგო: გეტყვით: "64 ლარად მე ამ კიბეზეც კი არ ამოვალ". ალბათ, იგივე აზრი ექნება ბევრს თქვენს შორისაც, ვინც კი ერთჯერ მაინც შემოვა ჩვენთან.

და ბოლოს, ჩემი წიგნის შესავალში (პირველად საქართველოში დაიწერა არა სახელმძღვანელო, არამედ ფართო საზოგადოებისათვის გასაგები "ფსიქიატრის ჩანაწერები"), მკითხველს ვაფრთხილებ – "დავზოგოთ ერთმანეთი, გავუფრთხილდეთ ერთმანეთს, რადგანაც ჩვენ ადამიანები ვართ და არაფერი ადამიანური ჩვენთვის უცხო არ არის". ღმერთმა დაიფაროს, ვისაც გონება აქვს – შეიძლება დაუზიანდეს, ისევე როგორც გულიან კაცს – გული. ეს მზაკვრული ავადმყოფობაა და გარჩევა არ იცის.

ჩვენი ახალი მთავრობის წევრთა შესაშურად ხშირ გამოსვლებში არც ერთხელ არ იყო ნახსენები ექიმთა ბედი. ამას წინათ პრეზიდენტმა დმანისში საჩუქრები დაურიგა აზერბაიჯანულ ოჯახს, ქართული ოჯახის შემოსავლით დაინტერესდა, მოსალოდნელი მომატება ახარა. გამიხარდა, ღმერთმანი. ძლიერი ოჯახი ძლიერი ქვეყანაა. რაც მეტი იქნება ეკონომიკურად ძლიერი ოჯახი, მით უფრო გაძლიერდება ჩემი ქვეყანა.

ჩემ გარშემო, ჩემი მეგობრების, ჩემი თანამშრომლების ოჯახებს ეს გაუმჯობესება არ შეხებია.

პირიქით. მე შეურაცხყოფილი ვარ. როდესაც მასწავლებლები გამოდიოდნენ ხელფასის მომატების მოთხოვნით, მათი წინამძღოლი და ფარიც მათი პროფკავშირის თავმჯდომარე, ქ-ნი მანანა კობახიძე იყო. მიაღწიეს კიდეც – მოემატათ ხელფასი. ექიმების გაფიცვა არ შეიძლებაო. მართალია, ავადმყოფების მიტოვების უფლება ექიმს არ აქვს, მაგრამ არც მასეა, ბატონებო!

სკლიფასოვსკის ინსტიტუტი გაიფიცა და მაშინ მთავრობა მიხვდა, რომ ამ ინსტიტუტის ექიმები საჭირო ხალხია.

მე შევახსენებ ჩემს ახალგაზრდა მთავრობას ძველ, ძალიან ძველ ბერძნულ გამოთქმას: "ყველაზე იოლი სამკურნალო ავადმყოფობა – ახალგაზრდობაა. იგი სწრაფად იკურნება და გაივლის". ამიტომ, იქნება ვინმე ხანდაზმულმა, დაბრძენებულმა, გამოცდილმა და, მართლაც, პროფესიონალმა შეახსენოს მას, ვისაც ეკუთვნის:

- ფსიქიატრი ძალიან საჭიროა.
- ფსიქიატრობა დიდი ტვირთია.
- ფსიქიატრი მეტად დასაფასებელია.
- ფსიქიატრი მუდმივი საშიშროების ქვეს იმყოფება.
- აბა, თუ შეგიძლია, მოისმინე გაუთავებლად ავადმყოფი ფსიქიკის პროდუქცია, გაითავისე, დაამშიდე, უმკურნალე და მის გაწამებულ ახლობლებსაც ნუგეში ეცი.

და კიდევ, ხომ არსებობს ჯანდაცვის სამინისტრო და ჩვენზე მზრუნველი მინისტრი?

- ხომ არსებობს პარლამენტის კომისია, რომელიც მედიცინას კურირებს?
- ხომ არსებობს საკრებულო, სადაც, ალბათ, მედიცინა ვიღაცას აბარია?

ამდენ მზრუნველს რატომ ავიწყდება, რა ბრძანა ბ-ნმა ოქრუაშვილმა? მოტივაციაა მთავარი.

იმაზე მეტი მოტივაცია, რაც მე ზევით მოგახსენეთ, აღარ არსებობს.

მე – ხალხი ვარ. ის ხალხი, რომელსაც რევოლუციის დღეებში მომავალი მთავრობა მოგვმართავდა და გვპირდებოდა.

მე – ხალხი ვარ, მოტივაცია წარმოდგენილია. მოვითხოვ პასუხს და განმარტებას – გამოდგება თუ არა ჩემი ქვეყნის მმართველებო, ჩემი არგუმენტები მოტივაციად?

ის ნამდვილად ვიცი, რომ თქვენთვის მისაბაძი ევროპის ქვეყნებში და ამერიკაში (აფრიკაშიც კი) ფსიქიატრი ერთ-ერთი მაღალანაზღაურებადი პროფესიაა.

ესეც – მოტივაცია.

*გაზეთი "24 საათი" 9 ნოემბერი, 2004წ.*

## *"კაცი, რომელიც ამშვენებს ქალაქს" მერიმე (პროსპერ) და მერი – მე-*

ეროვნული ბიბლიოთეკა

*ბატონო თამაზ!*

*მე არ მეწყინება, თუ ჩემს სტატიას არ დაბეჭდავთ. თქვენი საქმე თქვენ უკეთ იცით. ჩემი წიგნის პრეზენტაცია ამ გაზეთის საშუალებით მოხდა – მადლობელი ვარ თქვენი. რაც შეეხება ხელმოწერას, არ გამიმტყუნოთ – სიძე მყავს ამათ სამსახურში და იმას ვერიდები, არაფერი ავნონ. ახლა ყველაფერი მოსალოდნელია.*

*პატივისცემით,*

*თქვენი "ეორჟ სანდი"*

ამბობენ, პროსპერ მერიმე ბიზემ უკვდავჰყოო. მას რომ ოპერა "კარმენი" არ დაეწერა, მერიმე ასეთი ცნობილი არ იქნებოდაო. არანაირად არ ვეთანხმები, არ ვიზიარებ ამ აზრს.

მე თუ მკითხავთ, პირიქით მოხდა. მერიმეს რომ არ დაეწერა "კარმენი", არ შეექმნა ასეთი მაცდუნებელი ქალის სახე, ბიზე ვერ შექმნიდა დრამატულად ასეთ მეტყველ, ღრმა, ამავე დროს, მუსიკალურად გამორჩეულ ოპერას, რომელიც ფრანგული რეალისტური საოპერო მუსიკის მწვერვალადაა მიჩნეული.

ამდენად, მერიმე თვითონ არის ფრანგული ლიტერატურის გამორჩეული მწერალი, რომელსაც ადამიანურ ვნებათა მორალური ასპექტისადმი განსაკუთრებული მიდგომა აქვს.

მე, მაგალითად, იშვიათად მეგულება ფრანგულ ლიტერატურაში ისეთი მოთხრობა, რომელიც ზემოქმედების სიმძლავრით "მათეო ფალკონე"-ს ტოლი იყოს.

"მათეო ფალკონე" სწორედ მაშინ წავუკითხე ჩემს შვილიშვილს, როდესაც მისი კაცური თვისებების წახალისება, "დაშვებულ-დაუშვებელია", "ღირსეულ-უღირსის" გარჩევა და დამყნობა დავუწყეთ.

მათეო ამაყია თავისი შეუბღალავი სახელით, ოჯახით, ერთგული ცოლით და წამოზრდილი ვაჟით. მისი ცხოვრება

ფორტუნატოს ნამდვილ კაცად გაზრდას, მის მაგალითზე აღზრდას ეძღვნება. და აი, მათეო კლავს თავის პატარა (!) ფორტუნატოს. მან ჟანდარმერიის ბრიგადირის მიერ ნაჩუქარი საათის სანაცვლოდ ეზოში, თივის ზვინში დამალული, დაჭრილი დამნაშავე გასცა. მათეოს შვილი გამცემი და დამსმენი!!! სირცხვილს ჩამორეცხვა უნდა.

ფორტუნატო პატარა იყო, მთებში ცხოვრობდა და დიდი ხანია, ოცნებობდა ასეთ საათზე. მაგრამ მათეოს შვილი იყო და ყოყმანობდა, სანამ საათის სანაცვლოდ, კაცს გასცემდა. იცოდა, რომ ცუდს სჩადიოდა, მაგრამ პატარა იყო და შეცდა.

შვილის ქცევით გაკვირვებული და შეურაცხყოფილი მამის რეაქცია ამ ნაწარმოების ყველაზე მძაფრი, დრამატული ეპიზოდია. მათეო ცოლს ეკითხება: "დედაკაცო! ვისი შვილია ეს ბიჭი?" ამ სიტყვებში დიდი ტკივილია, იმედების გაცრუება, მომავლის მსხვრევა. მათეომ ამ სიტყვებით უარი თქვა მამობაზე და კარგად ჩანს გამოტანილი განაჩენის გააზრების სიმძიმე.

და ბოლოს, "ილოცე!" უკანასკნელი ბრძანება და ნებართვა სიკვდილის წინ. მათეომ მოკლა საყვარელი შვილი. განაჩენი გამოუტანა უკაცური საქციელისათვის – დასმენისათვის. მან დაინახა, რომ ფორტუნატო, როგორც პიროვნება, სოციალურად უკვე მკვდარია. თუ სოციალურად მკვდარია, ფიზიკური სიკვდილი არაფერია. სოციალურად მკვდარს სახელი აღარ აქვს. უსახელოდ კი ადამიანის არსებობა არ ღირს. მატეომ იცის, რომ გატეხილი სახელი აღარ აღდგება. დამსმენი სასჯელის ღირსია.

რა საოცარი დამთხვევაა. საათი, დასმენა – ეს სიტყვები რომელიღაც უსიამოვნო ისტორიაში ფიგურირებდა. ეს სულ ახლახანს მოხდა. მოითმინეთ, მერიმე – არა მერი – კი მონაწილეობდა მასში. საათიც იყო შეთავაზებული საჩუქრად და არა დამალული დამნაშავის გაცემის საფასურად, პირიქით, - დამსმენი და გამცემი – მერი აღმოჩნდა. ქალაქ თბილისის თავი (?). თავი არ ვიცი, მერის წოდება – კი ნამდვილად აქვს.

კი მაგრამ, თქვენ იკითხავთ, მერი ხომ წესიერი კაცია?

მერი ხომ ფილოსოფოსია?

ფილოსოფოსს არ ჰქონდა წაკითხული "მათეო ფალკონე"?

თუ ჰქონდა, რატომ ვერ გაიგო ღირსების ფასი?

ვერ გაიგო და რას იზამ!. . .

ქალაქ თბილისის მერმა, რომელმაც საქვეყნოდ დაასმინა თავისი თანამშრომელი (უბრალოდ - ადამიანი), ტელევიზიის ყველა არხისა და გაზეთების კორესპოდენტების სპეციალური მოწვევით გამართულ პრესკონფერენციაზე: "ამ კაცმა 1500 დოლარიანი საათი მაჩუქა და აგერ დევს" – ვერაფერი ვერ გაიგო და ალბათ, აღრეც, მერობამდე არ იცოდა – რა ჰქვია დამსმენს, ჩამშვებს და სხვისი ღირსების შემლახველს. ალბათ, ამ დამსმენმა სიამოვნებით უყურა – როგორ მისდევდნენ მისგან ღირსებაშელახულ კაცს ტელეკამერები და იგი ჩქარი ნაბიჯით ცდილობდა გასცლოდა მათ.

ფილოსოფოსმა (?) ვერ ან არ (?) იფიქრა, რომ იმ კაცს ოჯახი აქვს, შვილები ჰყავს, რომელთა წინაშე ანგარიშვალდებულია. ისე, დამიჯერეთ, ზიზღის მეტი (არა, მეტი - აღშფოთებაც) ამ საქციელს არაფერი გამოუწვევია. განა ამ საათის დაბრუნება ჩუმად, უხმაუროდ, პირისპირ საუბრით – უფრო კეთილშობილური არ იქნებოდა? საათი რომ ათასხუთას დოლარად შეაფასეთ, ბატონო ფილოსოფოსო, თქვენი საქციელი რამდენ ვერცხლად შეფასდა? – ვერც ამას გაიგებთ.

თქვენ მამა არ გყავთ? მათეო თუ არა, სხვა სახელი ხომ ჰქვია მამათქვენს? არ იკითხა – ვისი შვილია ეს კაცი?

თქვენ იცით, რომ რაც არ უნდა გაუკეთოთ დღეიდან თბილისელებს, თქვენი სახელი არ გამთელდება, გატეხილია!

თქვენ სოციალურად აღარ ხართ!

თქვენ იცით, როგორი შემზარავი საყურებელი იყო საზოგადოებისათვის, როდესაც თქვენ, წელში მოხრილმა, პრეზიდენტისაგან (რომელსაც ასე ერთგულად (?) ემსახურეთ, არჩევნების დროს, და მიიღეთ კიდეც საჩუქრად ქალაქი თბილისი), გახმაურებული ძვირფასი საათის სანაცვლოდ ისევ საათი მიიღეთ ?

ნუთუ თქვენს გარშემო, თქვენს ახლობლებში, კაცი ვერ მოიძებნა, სოციალური სიკვდილისაგან რომ ეხსენით და თქვენთვის გადადგომა მაინც ერჩია, თუ მათეოს განაჩენს არ გამოგიტანდნენ. არც ნამდვილი მეგობარი ყავთ, როგორც ჩანს.

ბატონი მერაბ მამარდაშვილი შეწუხდება სასულეთში, რომ იცოდეს – რა ჰქნა მისი "გილდიის" წევრმა – ფილოსოფოსმა.

თხოვეთ ტელევიზიას, უარს არ გეტყვიან – გაჩვენონ ის კადრები – რა შემზარავი იყო იქ დამსწრე მთავრობის წევრთა ხითხითი, როდესაც თქვენ ლაქიასავით მიეახლეთ პრეზიდენტს და მისგან, დასმენის სამაგიერო საჩუქარი – საათი მიიღეთ.

ისე, ნამდვილ მამას თუ არა, თქვენს სულიერ მამას მაინც უნდა გამოეტანა თქვენთვის განაჩენი;

ფორტუნატოს მამა ჰყავდა, ღირსეული მამა. მერიმემ სოციალურად განწირული, მკვდარი, ღირსებაშელახული, დამსმენი შვილი მამას მოაკვლევინა.

თქვენ – ცოცხალი ხართ, მაგრამ, ვაი, ამ სიცოცხლეს.

თქვენ შეგიძლიათ ჩაატაროთ გამოკითხვა – როგორ შეაფასეს თქვენი საქციელი თბილისელებმა . . . არ გაინტერესებთ? გარწმუნებთ, ადამიანი ამ გამოკითხვის შემდეგ ცოტა ხნით ხალხისაგან განრიდებას მაინც არჩევს. პიროვნება მყავს მხედველობაში, თავისი მორალური კოდექსით (თუმცა, ვის როგორი აქვს ეს კოდექსი - საკითხავია).

აი, ვინ იყო მერიმე. თქვენ კი – ბოლომოკვეთილი იყავით – (მერი) მხოლოდ და ახლა, აღარც ის არ ხართ თბილისელებისათვის.

"ლიტერატურული საქართველო" 3-9 დეკემბერი 2004 წ.

## *ნაცნობი სახეები, რიტუალის მნიშვნელობა და კიდევ ბევრი რამ სხვა.*

ეროვნული ბიბლიოთეკა

სწორედ იმიტომ შემიპყრობს ხოლმე ხუვდა დროდადრო, რომ ამდენ კარგ ადამიანს ვიცნობდი, შევესწარი და ახლა "დავდივარ, ვწუხვარ და მენანება".

არა, არც ახლა დამჩაგრა ბედმა საოცრად საინტერესო, გამორჩეული ხალხის გარემოცვით. ვარსკვლავებივით არიან ეს ადამიანები. თავიანთი არსებობით გარემოს ანათებენ. თითოეული მათგანი ქვეყნისათვის თავდადებული, ნიჭიერი, საქმიანი, კეთილშობილი პიროვნებაა – ამ სიტყვის სრული დატვირთვით, მოქალაქე . . .

მაინც სხვანი იყვნენ ისინი, ვის გამოც "ვწუხვარ და მენანება". მათი ერთად ნახვა და მოსმენა – ერთ რამედ ღირდა. პარლამენტს ვერ შევადარებ (ერთ მხარეს უსათუოდ შეურაცხყოფას მივაყენებ) ზეიმი იყო ამ პიროვნებების თავშეყრა.

მამაჩემის სახლში ასეთი თავყრილობა წელიწადში სამჯერ მაინც ხდებოდა. და რადგანაც ეს ჩვენი ისტორიის ერთ პატარა, მაგრამ შეიძლება ბევრისათვის მნიშვნელოვან და თბილ მოგონებას წარმოადგენს, ამიტომ გადავწყვიტე შემეწუხებინა თქვენი გაზეთი და მკითხველიც.

ეს თავშეყრა ხდებოდა უმეტესად, გაზაფხულზე, ძველით ახალ წელს და გიორგობას. მეგობრების მოწვევის ფორმა ასეთი იყო: "შევხვდეთ, დავჯდეთ, ვნახოთ ერთმანეთი, დავილაპარაკოთ".

უცვლელი თამადა თავშეყრის – ზურია ჭაჭიაშვილი. ყველამ იცოდა, რომ მას შაქარი აქვს და ღვინოს არ სვამს. ვინ გაბედავდა ამის მოთხოვნას. ან-კი როგორ? ზურია დასათრობად კი არ იყო მოწვეული, სათამადოდ, სალხინოდ.

შეხედავდი და გული გაგინათდებოდა. თეთრი ფაფარი აღრე გაუჩნდა. სახე ახალგაზრდული ჰქონდა. ან-კი რა დაუჭკნობდა სახეს? – შური, ღვარძლი და მტრობა იმან არ იცოდა – ლამაზი იყო, ჭკვიანი, დარბაისელი. გარშემომყოფთა სიყვარულს გრძნობდა სახლში, სამსახურში, ქუჩაში – ყველგან და რა დააჭკნობდა.

დაჯდებოდა საფიხვნოს თავში (სავარძელსაც შესაბამისს მიართმევდნენ) და რიხიანად შემოსძახებდა: "აბა! გამარჯვება იყოს თქვენი. მიხარია, რომ გხედავთ. და ასე გამახარეთ კაი ხანს".

სუფრის წევრები იშვიათ სანახაობას წარმოადგენდნენ. მარჯვნივ და მარცხნივ კაზმული სიტყვის, იშვიათი სიმღერის, მახვილი გონიერების – კონკურსგარეშე ავტორები ბრძანდებოდნენ.

ბატონი კოწია (კონსტანტინე – კაი კოწია) ლორთქიფანიძე. (ისე, ლორთქია ანარეკლია მამის – არ ეწყინება). ასეთი დარბაისელი იმერელი, ლამაზი, ჭკვიანი, თვალებით, მუდამ მომღიმარი, საუცხოო მოუბარი და კიდევ უფრო უკეთესი მოსიმღერე – არ შემხვედრია. თავისი ფასიც იცოდა, თავისი მეგობრებისაც და სახე უბრწყინავდა მათთან ყოფნით კმაყოფილს, მოსალოდნელი შესანიშნავი ზეიმის მომლოდინეს. ეს იცოდა – უნდა ემღერა, რადგანაც – თუ კარგად მღერი და ეს შენ მეგობრებს სიამოვნებს – უნდა ასიამოვნო. აბა! სხვას რას გააკეთებ უკეთესს? სიამოვნებით გადახედავდა მწკრივში სკამებს ჯერ გასწვრივ, მერე – პირდაპირ (ხომ არავინ აკლიაო) და მერე სუფრას – აქაც ხომ ყველაფერი წესრიგშია.

პეწიანი კაცი იყო და წესრიგი უყვარდა ყველაფერში – ურთიერთობებშიც და საქმეშიც.

ბატონი ტუპია (ივანე) იაშვილი, (პაოლოს ძმა) მაღალი, წარმოსადეგი წელში გამართული კაცი იყო. პაოლოს ორივე ძმის სილამაზე ერგო, მაგრამ კეთილშობილება ბატონ ტუპიას საკმაო გაუყო, იმდენად, რომ შიგნიდან ანათებდა: შესანიშნავი ბანი ჰქონდა. ზედმეტი ლაპარაკი არ იცოდა. ვაგლახად, უადგილოდ არაფერს იტყოდა. მხოლოდ – მძიმედ, დინჯად, კარგად ნაფიქრალს. სახე უღიმოდა ამ ჭაღარა ბიჭების შემხედვარეს. მათი ყურებით ტკბებოდა. სიამოვნების ღიმილი მთელი საღამოს განმავლობაში არ სცილდებოდა სახიდან. სიმღერას ნამეტანი სერიოზულობით ეკიდებოდა აქ ყველა და ამ დროს ღიმილი არ შეიძლებოდა. სიმღერა საქმე იყო. ხმაშეწყობილი ქართული მრავალხმიანი სიმღერა შესრულების ყველა წესის, კულტურის დაცვით და

პატივისცემით. შემსრულებლები ერთმანეთს შეჰყურებდნენ. "აბა! ჰე! ხომ კარგია?!" აი, რა იგრძნობოდა ამ მზერაში. ვინ იკადრებდა ამ დროს გადალაპარაკებას ერთმანეთში. არც მკადრებელი იჯდა იქ და სიმღერაც არ მოგცემდა ამის უფლებას.

ბატონი ჟორჟიკა (გიორგი) ღოღობერიძე! არც ზურიას ფაფარი ჰქონდა და არც ტუპიას სიმაღლე, მაგრამ თუ შეიძლება მამაკაცისაგან წამოსულმა სიმპათიის ზღვამ ჩაგძიროს – ეს ჟორჟიკას შეეძლო. მეუღლე ადრე დაეღუპა. ცოლი აღარ ითხოვა. ობოლ ქალიშვილებს ზრდიდა. ამ ძლიერი გეოლოგის, დიდი სულის და ასევე ძლიერი ბუნების კაცის შემოსვლა ოთახს სითბოთი და სიყვარულით ავსებდა.

ამ ხალხს ბევრი ლაპარაკი არ სჭირდებოდა თავისი გრძნობების გამოსახატავად. ისედაც კარგად ავლენდნენ ერთი-ორი სიტყვით, მზერით თუ ღიმილით. ეს საზოგადოება ტლიკინს ვერ იტანდა. აქ სიტყვას ერთმანეთს არ აწყვეტინებდნენ.

ამ საზოგადოებას ამშვენებდა ჩემი გამზრდელი ბიძა, ბატონი ნიკო წულუკიძე. ახოვანი, ისიც თეთრი ფაფარით – ლამაზი იყო. თავის მოყვანილობა, თითები მის გამორჩეულ ჯიშიანობაზე ლაპარაკობდნენ. ბებერი, ჭკვიანი ძაღლის ბრძენი თვალები ჰქონდა. ეკონომისტი იყო უნივერსიტეტის პირველი გამოშვების. მაგრამ ბევრ ფილოლოგს შეშურდებოდა მისი შრომის წიგნაკი: - რედაქციები, გამომცემლობები, რობაქიძის წიგნების კორექტურა და ა.შ. 24 წელს მეტეხის ქვები ხეხა. ტუბერკულოზიც გამოიტანა იქიდან. მაგრამ, კაცი იყო ფილოსოფოსი – თავისი აზროვნების წესით. ქუჩაში მის გვერდით გავლა ერთ რამედ ღირდა. მდაბალ სალამს მიაგებდნენ. არ იყო მექალთანე. მაგრამ ქალები შეფოფინებდნენ, ბატონი ნიკო ღიმილით იღებდა ამ აღტაცებას. ყველას აძლევდა მოფერების უფლებას, იმიტომ, რომ თვითონ ყველა უყვარდა. მუსიკალური სმენა არ ჰქონდა. ვერ მღეროდა. ამიტომ, სიყვარულის გარდა ამ მეგობრების მიმართ მოწიწება და პატივისცემა იგრძნობოდა – მათი ნიჭის გამო.

მხოლოდ ამ თავშეყრიდან დაბრუნებული (შეჭიკჭიკებული" – როგორც იტყოდა) უფლებას აძლევდა თავის თავს წაეღიღინა (რასაკვირველია არასწორად) მისი საყვარელი მელოდია. ძალიან უნდოდა და უყვარდა სიმღერა და რა ექნა! სუფრასთან კი ბატონ ნიკოს მწიგნობართუხუცესის თანამდებობა ეკავა და ამას შესანიშნავად ასრულებდა.

ამ თავშეყრაზე კიდევ ბევრ საინტერესო ადამიანს შეხვდებოდით: ბატონი გოგი ვასაძე, ბ-ნი ბიძინა ნანეიშვილი, ბატონი ფაიზულა კონტრიძე, ბ-ნი მიშა გურული, ზოგი ჩინიანი, ზოგი – უჩინო. აკადემიკოსები, პროფესორები, ბუღალტრები, მსახიობები. მაგრამ ძალიან მკაცრად იყო დაცული წესი და შერჩეული მოწვეულები (მათზე – სხვა დროს).

საფიხვნოს კიდევ ერთ წევრზე მინდა შევაჩერო ჩემი ყურადღება; რადგანაც ამ პიროვნებას ერთი წიგნიც არ ეყოფა – ამიტომ, მოკლედ ვიტყვი..

კაკო (აკაკი) ძიძიგური, თუ მანამდე ჩემთვის კაკო ბიძია იყო, მერე ის იმ საჯარო ბიბლიოთეკის გამგე გახდა, რომელიც ჩვენი თაობისათვის საყდრის მოვალეობას ასრულებდა. ბატონ კაკოს ხატოვანება და ხელოვნება კარებიდანვე თან შემოჰქონდა. ამდენ გამორჩეულ მამაკაცში სწორედ ინტელექტუალს, გენეტიკურ ინტელიგენტს, არისტოკრატს, შემოქმედის კვალი გამოარჩევდა: ან რა მისალმება, ან როგორი ამბორი ხელზე, ან რა ქათინაური, რა შექება. . .

ყველა და ყველაფერი მოსწონდა. ყველა და ყველაფერი უყვარდა. მეგობრების ნახვის სიხარული სათვალის მინებს აწყდებოდა. იცოდა, აქ – ყველას უყვარდა და სიამოვნებდა მისი ნახვა. აქ – ცოდნა, გამოცდილება, მოქალაქეობრივი ვალი, ქვეყნის ერთგულება სახეზე იყო და იმ ზომით, რომ კარგა მოზრდილი ქვეყნის მოსახლეობას ეყოფოდა.

ბატონი კაკო მღეროდა, ძალიან კარგად მღეროდა (კონსერვატორია ჰქონდა დამთავრებული). თვითონ ასე იტყოდა: "ისე არა, როგორც შენ, ჩემო კოწია!" მაგრამ, ეს უფრო ინტელიგენტის თავმდაბლობად შეიძლება

ჩაითვალოს. აქ – თითოეულს თავისი ეპარქია ებარა და იყო ლექსი, სიტყვა, სიმღერა, სიცილი, ხუმრობა, ლხენა, სიყვარული – წარსულში გადატანილ მძიმე ტკივილთან ერთად. აქ – ყველას ტკივილიანი წარსული ჰქონდა. ჩემთვის კი – ეს დიდი ლიტერატურულ-მუსიკალური საღამო იყო, რომლის მიღმა ხანდახან ჩაერთვოდა მწერალთა სახლის ზედა სართულზე გასროლილი თოფის ხმის ექო და თვალწინ ილანდებოდა ულამაზესი ახალგაზრდის იატაკზე დაფენილი ფაფარივით შავი თმა.

ბატონ კაკოს მხატვრული ნაწილი მიჰყავდა ამ სუფრასთან და ხშირად მიმართავდა ბიძაჩემს: "დამიდასტურეთ, ბატონო ნიკო!" როგორ კითხულობდა ლექსს. მერე დიდი პაუზა და მეგობრების შეფასება: "და . . . ااا ا! კარგია! " ამაზე მეტი შეფასება არ იყო საჭირო.

ახლა, მკითხველს თუ თავი არ მოვაბეზრე, იმას მოვახსენებ, რაც ახლახან გავიგე და დავინახე.

გავიგე და წვრილად გადმომცეს – ვიღაცამ (!!!) ასე დაწერაო და სთქვაო – ქართული სუფრა ლხინი კი არა, სულ სხვა რამ არისო, გალეშილების და კიდევ იმნაირების თავშეყრაააო.

ის, რაც მე მინახავს და ზევით შეძლებისდაგვარად აღვწერე, არა თუ არ ჰგავს ამ კაცის ნათქვამს. შეურაცხყოფაა იმ პიროვნებებისა, ვისზეც მოგახსენეთ.

ტელევიზორში წამყვანმა რომ გვამცნო: "ჩვენი გადაცემა საათნახევარი მიდის"-ო, მაშინ მივაქციე ყურადღება მათ, ვინც ამ გადაცემაში მონაწილეობდა.

ერთ მათგანს ვიცნობ – ბატონი დავით გამყრელიძე, აკადემიკოს პეტრე გამყრელიძის შვილიშვილი (აი, ვინ იყო კიდევ კოლორიტული პიროვნება) და პროფესორ ერეკლე გამყრელიძის ვაჟი. ჯიში კი ეტყობა ბატონ დავითს, მაგრამ ბაბუა სულ სხვა იყო, მამაც ძალიან . . . კარგი ბიჭი. არა, ბატონ დავითს არას ვუწუნებ. ვადარებ მხოლოდ და მიხარია. აღშფოთებული ჩანდა და გავარკვიე, რომ ჩემი ყურმოკრული ქეიფის და ქართული ნადიმის თემა ირჩეოდა და არც-თუ სასიამოვნოდ. ბ-ნი დავითი თავს იკავებდა და ცდილობდა გადაერწმუნებინა მოპაექრე. უმტკიცებდა, რომ ქართული

ნადიმი ლამაზი რიტუალია და უამრავი სტუმარი აღფრთოვანებული დარჩენილა ამ რიტუალით. იგი ცდილობდა მხოლოდ, რამდენადაც მეორე – არა-თუ ისმენდა, არამედ ხელების ქნევით, უფრო ხმამაღლა, ცდილობდა ჩაეხმო ბატონი დავითის აზრი და ხმა. ეს კაცი არავითარ პატივს სხვის აზრს და სიტყვას არ სცემდა. ეს იყო ტლიკინი სხვისი ხმის და აზრის გადასაფარავად.

რამდენი ბოღმა და სიძულვილი გადმოანთხია იმ საღამოს იმ კაცმა. არა! ასეთი კაცი იმ სუფრაზე, მე რომ მოგითხრეთ, არ მინახავს. ალბათ, ვერც მოხვდებოდა მიზეზთა გამო. სხვა ხასიათის იყო (?!).

ისე, ყველა ალენ დელონი ხომ არ იქნება? არც შეიძლება ერეკლეს შვილი და სხვა კაცის შვილი ერთნაირი იყოს.

საჯარო ბიბლიოთეკის გამგე – აკადემიის პრეზიდენტის ტოლია, მე თუ მკითხავთ.

ბატონო ჯგერენაია! ხომ უძღვებოდით თქვენს საქმეს ჩუმად? რას გვერჩოდით ჩვენ – ასეთი სანახაობა რომ მოგვიწყეთ? ან თქვენ თავს რატომ ჰკარით ქვა, რატომ ეცადეთ ასე და საქართველოს მოსახლეობის უმეტესი ნაწილის დიდ ანტიპათია დაიმსახურეთ.

თქვენს განსწავლულობას კულტურა აკლია, ჭეშმარიტად!

თქვენ ალბათ ფსიქოლოგია ჩემზე კარგად იცით, მაგრამ შეგახსენებთ, - ადამიანის გონიერება საკუთარი თავის მიმართ კრიტიკული დამოკიდებულებით განისაზღვრება. ამავე დროს, მე ვიცი, რომ დავბერდი და არც-თუ სახარბიელოდ შევიცვალე. ამიტომ, ბოლო ხანებში სატელევიზიო მიწვევაზე უარს ვამბობ თუ არტიკულაცია არ მივარგა, ხშირად არ უნდა ვითლიფინო საქვეყნოდ! – თუ თავშეუკავებლობა მჭირს – უნდა გავაფრთხილო მაინც ვინმე, რომ შემაჩერონ!

ხომ გაგიგონიათ – "პირზე მომდგარსა სიტყვასა, განა ყველასა თქმა უნდა".

ბატონო ჯგერენაია! კაცი ალამაზებს და ქმნის თავის სახელს, გვარს. თქვენ ეს ნამდვილად ვერ შეძელით. რამდენი

“გენიალური აზრი” მოგივათ თავში – ხალხს უნდა მოახვიოთ თავს?

თუ მაინცმაინც ფურცელზე გადატანა მოგინდათ – იქვე, თქვენი დიდი კაბინეტის, დიდი საწერი მაგიდის დიდ უჯრაში შეინახეთ.

ამდენი “წიგნის წამკითხელს” როგორ მოგივიდათ – უმწიფარი ყმაწვილივით რომ ჰკითხეთ საქვეყნოდ ბატონ დავითს? “თქვენ არ გექნებათ წაკითხულიო!” კი მაგრამ, ბაბუაჩემს ფოლკნერი არ ჰქონდა წაკითხული, მაგრამ ვაგლახ, ბევრი ვერ შეედრება კეთილშობილებით და სიბრძნით.

- ისე, რატომ განხიბლეთ ხალხი, რა გინდოდათ ქართულ სუფრასთან? ეტყობა, თქვენ ცუდ საზოგადოებაში ტრიალებდით და არავითარი კავშირი იმ ტრადიციასთან არ გქონიათ. მე რომ მოგახსენეთ ზევით.

ბ-ნო ჯგერენაია, თქვენს გარემოცვაში ისეთ საშინელებას უყურეთ, რომ ვერც კი წარმოგიდგენიათ – რა ლამაზი შეიძლება იყოს ქართული სუფრა, სადაც ლამაზი ადამიანები (სულით და ხორცით) ერთმანეთის ნახვით ხარობენ, ლხინს ზეიმად აქცევენ.

- ბატონო ჯგერენაია! თქვენ ასეთ სუფრაზე, ასეთ ადამიანებთან, ალბათ, არ გპატიჟებენ და განაწყენებული კაცის ფსიქოლოგია, ხომ იცით, როგორი მძიმეა.

- ან როგორ ვერ ისწავლეთ თავშეკავება და მოსაუბრის მოსმენა? მართალია, ყველას არ შეუძლია მოსმენა, მაგრამ ამას როგორ წამოვიდგენდით, რომ საჯარო ბიბლიოთეკის პრეზიდენტს არც მოსმენა შეუძლია, არც თავშეკავება და დარბაისლობა – მისთვის აბსტრაქტული ცნებაა მხოლოდ.

სტუდიის თანამშრომლების გაკვირვებული და შეშფოთებული მზერა მაინც ვერ შეამჩნიეთ? აბა, წარმოიდგინეთ, მაყურებელი რა დღეში იქნებოდა, აზრის დამთავრების საშუალება როგორ არ უნდა მისცე ადამიანს? დავიჯეროთ, კულტურის ასეთი დეფიციტი აქვს ასეთი თანამდებობის ადამიანს?

მე ბრალს გდებთ ჩვენი ტრადიციების პათოლოგიურ ახსნაში, თუმცა, არის აზრი, რომ – თითოეული განსჯის თავისი გაფუჭებულობის ფარგლებში.

ბატონო ჯგერენაია!

- თქვენ აჩვენეთ საქართველოს მოსახლეობას, როგორი არ უნდა იყოს საჯარო ბიბლიოთეკის პრეზიდენტი! – აჩვენეთ. როგორ არაფერს ნიშნავს "ბევრი წიგნის" წაკითხვა, თუ ამ წაკითხულიდან ვერ ისწავლი – რა უნდა თქვა და როგორ მოიქცე.

- აჩვენეთ, როგორ არ თანხვდება სიბრძნე, ღირსება და დარბაისლობა წიგნიერებას.

- თქვენ აჩვენეთ, რა შეუძლია განაწყენებულ კაცს, რომელსაც არ იწვევენ საინტერესო საზოგადოებაში.

- ვეცდები თქვენი აზრის შეცვლას მაინც (თუ სხვა, რაიმეს ვერ შევცვლი) და ნამდვილ ქართულ მადლიან ლხინში დაგპატიჟებთ (მხოლოდ - დამკვირვებლად).

პატივისცემით.

ჟორჟ სანდი

გაზეთი "ლიტერატურული საქართველო"
31 დეკემბერი 2004წ.

## *ჩემო პრეზიდენტო!*

რა სასიამოვნოა ალბათ, ეს მომართვა. ყოველთვის მომწონდა ფრანგების განსაკუთრებული, განსხვავებული დამოკიდებულება ამ კუთვნილებითი ნაცვალსახელის მიმართ – მონ – ჩემი, ჩემო, მონ ქენერალ"! "მონ რეზიდენტ"! ითავისებს, ნდობას უცხადებს, იკუთვნებს, იახლოვებს.

მეც ასევე – ჩემო პრეზიდენტო! მინდა ნდობა გამოგიცხადოთ.

თქვენ – ჩემი პრეზიდენტი ბრძანდებით. არა მგონია – "მიშა, მიშა!" უფრო სასიამოვნო მოსასმენი იყოს, ვიდრე ჩემი მომართვა და დამოკიდებულების გამოხატვა. აღარც ისე ახალგაზრდა ბრძანდებით, რომ ასე, "მიშა, მიშა!" გიძახონ. 37 წლის დავით აღმაშენებელს უკვე მეფობის 21 წლის გამოცდილება ჰქონდა. მოთავებული ჰქონდა ზედაზნის აღება, ერწუხის ბრძოლა და "სხვა ათინას" და "სხვა იერუსალიმის" შენება, სამშვილდის დაბრუნება, შირვანისათვის ბრძოლა და კიდევ ბევრი "საქმენი საგმირონი". თქვენ უკეთ გეცოდინებათ, რომ დავითს არც ერთი გადაწყვეტილება არ მიუღია თავისი მასწავლებლის და მრჩევლის – გიორგი ჭყონდიდელის გარეშე. ისე, ერთი ჭყონდიდელი ჩვენც არ გვაწყენდა. სიბრძნე ხანდაზმულისა – მაინც სხვაა.

მოგეხსენებათ, ჩვენი პოეტი მეფე, ვახტანგ VI, პირველი სახესრული სამართლის კოდექსის ავტორია. ამ წიგნის შესავალში ვკითხულობთ, რომ ეს კანონთა წიგნი შესრულებულია:

"თანაყოლითა, დამოწმებითა, თანადგომითა ბრძენთა, ჭკუათა მყოფელთა და მოხუცებულ კაცთათა" (!!)

დამეთანხმეთ, გამოცდილი, ჭკვიანი, საქმის მცოდნე, გონიერი, გამჭრიახი და ცხოვრებაგანვლილი მოხუცის რჩევას – სხვა წონა აქვს. მის გადაწყვეტილებებს ვნებები არ უსწრებს წინ და აუჩქარებლად, დინჯად განსჯის განსასჯელს.

არ იფიქროთ, რომ არ მახარებდეს ახალგაზრდების წარმატება. მაგრამ "გამოცდილი, პროფესიონალი "ჭაბუკების

რადიკალური, სწრაფი, ხშირად – წინასწარი განსჯის გარეშე მიღებული გადაწყვეტილებები – უმეტესად კორექციას მოითხოვს.

ყველას უნდა ახსოვდეს: "ყველაზე ადვილი განსაკურნებელი ავადმყოფობა – ახალგაზრდობაა. ის სწრაფად გაივლის" (ჰიპოკრატე).

- ჩემო პრეზიდენტო!

მიუხედავად იმისა, რომ ჩემთვის სრულიად მიუღებელია ის მეთოდი, ხერხი, რომლითაც თქვენ მოახდინეთ გადატრიალება (გნებავთ, რევოლუცია დაარქვით), ახლა თქვენ ჩემი პრეზიდენტი ბრძანდებით და მე ვალდებული ვარ, გითხრათ ყველაფერი ის, რასაც მე და უამრავი ჩემნაირი ფიქრობს.

მე არ ვიცი, თქვენ ამ სათქმელს გეუბნებიან თუ არა. ილია ამბობს: - "თქმა – სულის ამოთქმა არისო". "ჩვენ ერთი გუნდი ვართ" – ისე ხშირად გვიმტკიცებენ თქვენი აღზევებული თანამშრომლები, რომ ამ სიტყვის რეალობაში ეჭვის შეტანაც კი შეიძლება. ასე რომ, თუ კი თქვენს ყურამდე მოაქვს, ვისაც ეკუთვნის, ხალხის გასაჭირი, აზრი – მთავრობის, ჩინოვნიკების საქმიანობის, ბოლოს – თქვენი მიღწევების თუ შეცდომების შესახებ (ყველა ცოდვილები ვართ) – ძალიან კარგია. თუ ნათქვამს და გაფრთხილებას ყურად არ იღებთ – ეს ძალიან ცუდია. ბრძენი ებრაელი ხალხის წყევლა იცით, ალბათ: "არც გცოდნოდეს და არც სხვისი გაგეგონოს".

არც ბუნტი და არეულობის შექმნა შეუძლია ყველას და არც სახელმწიფოს მართვა. ზოგს, თავისი ხასიათობრივი თავისებურებების გამო ოჯახის გაძღოლაც კი არ შეუძლია (ჩემს ახლობლებში ბევრია ასეთი). სახელმწიფო მოღვაწე, მთავრობის კაცი – წონასწორი, ლოგიკური, პროგნოზირებადი, ემოციების დროულად დამმუხრუჭებელი უნდა იყოს. სახელმწიფოს სათავეში ყოფნამ კიდევ უფრო უკეთ უნდა დაანახოს ქვევით რა ხდება, იმიტომ რომ:

- ზოგჯერ ხერხდება ხალხის გასულელება, მაგრამ გარკვეული მცირე დროით. უფრო ხანგრძლივად – ხალხის ნაწილის, მაგრამ ყოველთვის ხალხს ვერ მოატყუებ (ა.ლინკოლნი).

და კიდევ, დროა, დამთავრდეს ისეთი განცხადებების გაკეთება საქვეყნოდ, რომლებიც იმავე საღამოს თუ არა, მეორე დღეს მაინც იცვლება. უნდა გათავდეს მუქარა: "დავიჭერთ, დავსჯით, წისლით გავაგდებთ". წისლით, თქვენ ჯერჯერობით, სამსახურიდან 30 და 40-ლარიანი ადამიანები გააგდეთ; მაშინ, როდესაც ძალიან მსუყე თანაგუნდელები ("მოგუნდავე", "მოტაშფანდურე") ბიუჯეტის ფულის მოყვარული თანამებრძოლები გყავთ ირგვლივ.

ან კიდევ, რომელმა პრეზიდენტმა მოიგო წინა პრეზიდენტის გინებით (მით უმეტეს, როდესაც მასთან დიდხანს მუშაობდი). სად მოისმინეთ ან ნახეთ მსგავსი? ამერიკაში? შეუძლებელია. ეს არაეთიკურია, აღარ უნდა გაათავოთ ბატონი ედუარდის ავად ხსენება? ხომ დალიეთ მისი ჩაი?

ისე, როგორ იკადრეთ ეს უკადრისი საქციელი – დარბაზიდან ჯანიანი, შეიარაღებული ყმაწვილების დახმარებით, ძალით გაგდებული პრეზიდენტის ჭიქიდან გამარჯვებულის ღიმილით ჩაი დალიეთ. უხერხულია!

იცით, რა არის გამარჯვებულის ყველაზე საჭირო თვისება, უ.ს. იარაღი? – მიმტევებლობა, სულგრძელობა. აი, ეს თვისება ნაკლებად ჩანს, მაგრამ თქვენ ეს ალბათ, არ იცოდით. მაგრამ, არც ბატონმა ედუარდმა არ იცოდა, რომ "-შენად გაზრდილი ლეკვები, შენავ დაგიწყებს ყეფასა".

მე ვთვლი, რომ თქვენი თანაგუნდელებიც კარგად იკბინებიან – ერთურთს კბენენ. თქვენ მსოფლიო ლიტერატურას კარგად იცნობთ და ქავერი უსათუოდ გეხსომებათ (რატომ შეარქვეს ეს სახელი ამ სიმპათიურ ოქრუაშვილს – ვერ გამიგია). ჰო-და, ამას წინათ, ყოფილმა ქავერმა განაცხადა:"ქართული ჯარი ჩვენ დღეს ჩავიბარეთ იმაზე ცუდ მდგომარეობაში, ვიდრე რევოლუციამდე". ეს ეხებოდა ბატონ ბარამიძეს. თუ მართლა ასეა, რატომ დაუშვით ასეთი რამ? დღე არ გავა ჩვენი ჯარისკაცები გამართული ნაბიჯით რომ არ გაატარონ წინ და უკან ტელევიზორის ეკრანზე. ჩვენ ეს გვამშვიდებს – დაცული ვართ, ვერავინ ვერ მოგვერევა. აღარც ის მილიონები ენანება ხალხს, თქვენ რომ კორუმპირებულებს ჩამოართვით

და ჯარს მოახმარეთ. მაგალითად, ეკრანიდან პენსიონერები რომ დააიმედეთ და თან გაახარეთ – ჯოხთაბერიძის ფულით პენსიებს გირიგებთო – როგორ უხაროდათ. მერე კი იკითხეს: - ასე მალე დამთავრდა ის ფული, ასე ცოტა იყო?!

რას იზამ, ყველა ფინანსისტი ხომ არ არის. ისე, შეიძლება დავამშვიდოთ ეს ხალხი. ამას წინათ ქავერმა (თუმცა სხვა ფორმაში და სხვა სამხრეებში) დააიმედა ეს ადამიანები ახალი დაჭერებით: - "მე მინდა ეს ადამიანები ერთი თვის მანძილზე ვიხილო ციხეში და მშობლებმა და ახლობლებმა უზიდონ პერედაჩი თუ რა ქვია".

ამ სიტყვებში არა მარტო პენსიონერებზე ზრუნვა ჩანს, არამედ მომავალ პატიმრებზეც – მშივრები ხომ არ იქნებიან ციხეში. მე შენ გეტყვი და იქ ისე კვებავენ, როგორც ევროპის და ამერიკის ციხეებში.

ი.ბროდსკი ნობელიანტის სიტყვაში ამბობს: "სახელმწიფოს სათავეში მოსულ ადამიანებს პოლიტიკური პროგრამა კი არ უნდა მოთხოვო, ის უნდა ჰკითხო – წაკითხული აქვს თუ არა "დავით კოპერფილდი. . ." მეც ვეთანხმები მას. ამ წიგნში იმდენი კეთილშობილება, ადამიანური სიკეთე და მიმტევებლობაა დაგროვილი, რომ ზოგიერთს მისი წაკითხვა არ აწყენდა.

არც ერთ ერს არ გააჩნია განგების უმაღლესი და საოცარი ქმნილების, მოაზროვნე და მეტყველი სულიერი არსების გამომხატველი ისეთი სახელწოდება, როგორც ქართველებს – ადამიანი (ადამის ერთაგანი საბა).

ერი, რომელმაც მისი წევრი, ერთაგანი, ღვთისმიერ შექმნილი პირველი კაცის სახელით შეამკო – მეტის ღირსია.

- ჩემო პრეზიდენტო! თქვენ ისეთი ოჯახისშვილი ბრძანდებით, ღმერთმანი, ძნელი დასაჯერებელია, რომ თქვენი ზოგიერთი გამონათქვამი, ქცევა – ამ დიდებული და კეთილი ხალხის ოჯახში გესწავლათ. ისე, ყველაფერს ბუნება და ხასიათი წყვეტს.

მე არ ვიდექი "წვიმასა და ქარში". არ მეკუთვნოდა ჩემი ასაკის ადამიანს. დარწმუნებული ვარ – არც თქვენი დარბაისელი ბებია-ბაბუა იყვნენ იქ. ძალიან მეწყინა მიტინგზე რომ გამოაცხადეთ: "აქ დგას ყველაზე ნიჭიერი

და განათლებული ხალხი". (ჩავიწერე). კი მაგრამ, ვისაც სიცივეში დგომა არ შეგვიძლია – რაც გვერჩით? არც იმათ რიცხვს მივეკუთვნები, ვინც იჯერებს, რასაც თქვენ დამსახურებულად მიიწერთ – ვარდების რევოლუციის უსისხლოდ დამთავრება (!). ეს თქვენი დამსახურება ნამდვილად არ არის. ხალხის გამოყვანა ქუჩაში – კი. გზების გადაკეტვა – კი. რაიონებიდან ავტობუსებით ხალხის ჩამოყვანა -- კი, მოძრაობის პარალიზება – კი, ტროტუარებზე გაჩერებული ძვირფასი მანქანები თქვენი "ბუნტმეიკერებისა" – კი, მაგრამ – უსისხლოდ, ეს თქვენი დამსახურება ნამდვილად არ არის. არ იკადრა და არ ჩაიდინა და არც აკადრა იმ ხელისუფლებამ თავის თანამემამულეთა მიმართ ძალის გამოყენება. შეეძლო, მაგრამ არ ჰქნა. არ არის ილხამ ალიევი ახლა პრეზიდენტი? არ იყო მისი გაპრეზიდენტების დროს ექსცესები? იყო. ამის შემდეგ ეთერში იმის განცხადება: "ახლა მიტინგებით და გამოსვლებით ნუ შემაშინებთ, მე შევარდნაძე არ გეგონოთ" – არ უნდა გეკადრათ.

ისე, კიდევაც დაარბიეს ბრმების მიტინგი, კანცელარიის წინ, თქვენი განცხადებით შეგულიანებულმა "სამართალდამცავებმა". თერჯოლელები ჩამოვიდნენ თავინთი გაჭირვების სათქმელად და არავინ არ მოუსმინა. დაარბიეს საცოდავები.

მაინც სად იპოვეთ ამდენი შეიარაღებული ყმაწვილი, თავის თანამემამულეებთან საომრად გამზადებული, როგორ აგზნებულები შეცვივდნენ პარლამენტის შენობაში, რა მკვირცხლად დარბოდნენ მაგიდებზე და ამსხვრევდნენ ყველაფერს,ამდენი ვანდალი სად იპოვეთ? მერე კი ვნახეთ ტელევიზიით ისინი მაღალჩინოსანთა სავარძლებში. რას არ კადრულობს ზოგიერთი (!) სავარძლისათვის.

ჩვენ, თქვენს მიმართ სიმპათიით, კეთილგანწყობილმა ხალხმა სიხარულით მივიღეთ ბატონი ედუარდის მიერ ვაკის მოსახლეობისადმი თქვენი დეპუტატად წარდგინება. გაგვიხარდა. მერე – საკრებულოს თავმჯდომარეობაც მოგიხდათ. მაგრამ, რა! არ გეცალათ, არ დადიოდით საკრებულოს სხდომებზე (ხელფასს იღებდით). ჭეშმარიტად

კარგი სანახავი ბრძანდებოდით თქვენ და თქვენი ოჯახიც ინაუგურაციის დროსაც (თუმცა ძალიან განვიცადეთ თქვენი უკუღმა სვლა – პრეზიდენტად კურთხევის დროს ან სწორზე უნდა ვიდოდეს, ან – აღმა მომავალი პრეზიდენტი. თქვენ დაღმა დაეშვით. ღმერთო! გვიხსენ სიავისაგან).

თქვენ უკეთესი გარემოცვის ღირსად მიგვაჩნიხართ. მაინც საკვირველია, როგორ ვერ ამჩნევთ თქვენს მიერ ხელდასმულ თანაპარტიელების გონებრივ და მორალურ სიმწირეს ასეთი განათლებული კაცი.

სახელისუფლებო პარტიის აღმასრულებელი მდივნის სავარძელი რომ აჩუქეთ, ეს პიროვნება ინტერვიუში აცხადებს: "უნივერმაღის მესამე სართულიდან ერთი გასასვლელი პირდაპირ კანცელარიის ეზოში გადის. ჰო-და, მე, დათო კეზერაშვილსა და კიდევ რამდენიმე ადამიანს დაგვევალა, რომ ამ გზით კანცელარიის მიმდებარე ტერიტორიაზე გავსულიყავით და იქ პირველი არეულობა შეგვეტანა. უნდა გვეჩხუბა. თუ დაგვარტყამდნენ, ჩვენც დავარტყამდით. . . "

ეტყობა, თქვენს თანაპარტიელებში მართლაც დიდი დეფიციტია სათქმელის განსჯა, დაფიქრება და ნათქვამის შედეგის გააზრება. ეს პარლამენტარი, სახელისუფლებო პარტიის აღმასრულებელი მდივანი, კანონშემოქმედია. ასეთი "დიდი" კაცი გულუბრყვილოდ (ამას სხვაც ჰქვია) აგრძელებს – "მე პროვოკაცია უნდა მომეწყო, რომ არეულობა მომხდარიყო და მთავრობას სისხლი დაეღვარაო". – გულწრფელად (თუ ასე ჰქვია) უყვება კირკიტაძე კორესპოდენტს.

არა, თქვენ მეტყვით, რომ ამ კაცის მიერ მიღებული ან დაწუნებული კანონების სამართლიანობა ვირწმუნო?

სწორად მოიქეცით ალბათ, კეზერაშვილიც რომ დააჯილდოვეთ და ფინანსური პოლიციის უფროსობაც აჩუქეთ. რომ არა – ეწყინებოდა და ასეთი ხალხისაგან ყველაფერი მოსალოდნელია. ისე, რა კარგად ცხოვრობს ეს ხალხი: რა ბინა, რა მანქანა, რა ჩაცმა-დახურვა. გახდება პატივმოყვარე – აბა, რა იქნება.

ისე, ბევრისაგან გამიგონია: - "მეფრიალა მეც დროშა, შევვარდნილიყავი და მეყვირა მიშა, მიშა. იმათზე ნაკლები ვარ, რა თანამდებობები დაირტყეს" (ტექსტი დაცულია).

რითი არ დააშინეთ ხალხი – "იქ ძაღლები (პოლიციელ ალბათ) დგანან, მთავრობა ტანკებს გამოიყვანს" – არ მოხდა ასე და ძალიან კარგი, პოლიციელებმა შეძლეს თავის შეკავება.

ამაზე გამახსენდა. მიცვალებული სამკვდრო-სასიცოცხლოდ გადაკიდებულებს არიგებს. თქვენ როგორ დართეთ ნება თქვენს ჟავერს ბატონ კობა ნარჩემაშვილის დაპატიმრებისა, დასაფლავების დროს? ასეთი არაკაცური, არაქართული, არაადამიანური საქციელის ჩადენის უფლება როგორ მიეცით? ფულის გულისთვის – მით უმეტეს. თუნდაც, მკვლელობისათვის, მე ვიტყოდი – ერთგულებისათვის.

ერთგულებამ კიდევ ერთი ფაქტი გამახსენა. ასლან აბაშიძეს მისი ძაღლი სპეცრეისით და მომვლელით მოსკოვში გაუგზავნეს – ერთგულია პატრონის და დარდობსო.

ერთგულებისთვის და სამსახურისთვის გენერალი დუმბაძე დაიჭირეთ და სამშობლოს ღალატით ასამართლებთ. სამართალი აღარ არის? მირცხულავას ასეთ ხანგრძლივ პატიმრობასაც ხალხი პირადი ანგარიშსწორებით ხსნის. არ დაგიმალავთ – ეს იმ ხალხის აზრია, ვინც თქვენ აგირჩიათ.

ბიუჯეტზე და ფულის ხარჯვაზე მოგახსენებდით. ამას წინათ გაზეთში წავიკითხე – პრეზიდენტმა სააკაშვილმა მისთვის ერთი წლის განმავლობაში გამოყოფილი სახარჯო 10 მილიონი ლარის ნაცვლად 50 მილიონი დახარჯაო. არ დავიჯერე. მერე, ტელეგადაცემაში ხმამაღლა გაიმეორეს ეს ციფრი და თქვენმა თანაპარტიელებმა ბატონმა გიგა ბოკერიამ და ქალბატონმა მ.ვერულაშვილმა ეს არ უარყვეს. არც გაიკვირვეს. მე – კი ძალიან გამიკვირდა, აღმაშფოთა და შეურაცხმყო კიდევაც.

როგორ? რაც გამოგიყვეს – იმას არ დაჯერდით და 40 მილიონით გადააჭარბეთ? თუმცა, რაც თქვენ იმოგზაურეთ ამ ერთი წლის განმავლობაში, თან სამოქალაქო

თვითმფრინავით კი არა, "საპრეზიდენტოთი". რა გეყოფოდათ? თოფაძის ხელშეწყობით კი მოეწყო ე.წ. საერთაშორისო ფესტივალი, მაგრამ მაინც ხარჯია (ერთი დიზაინერი, 4 მოდელი და სხვა), ხალხი უცნაურია, თორემ რატომ არ უნდა მოელხინა პრეზიდენტს იმ დღეს უკრაინელი მოდელიორის ქურქების დეფილეს შემდეგ?

ვისაც გართობა უნდა – გაერთოს, ვისაც სეირნობა უნდა – ისეირნოს, ვისაც მხიარულება უნდა – იმხიარულოს, ფულის ხარჯვა უნდა – ხარჯოს. მაგრამ!!! არა ჩემს ხარჯზე, არა ჩემი მეზობელი ინვალიდის, არა ჩემი ნათესავი პენსიონერის ხარჯზე, არა დაპატიმრებულ ჩინოვნიკთათვის წართმეული ფულის ხარჯზე. იმიტომ, რომ დემოკრატია ეს არის – რაც შეიძლება შენთვის, ის დასაშვებია ჩემთვის, რაც დაუშვებელია შენთვის, ის არ შეიძლება ჩემთვის".

ჩემო პრეზიდენტო! მე მაინც ვთვლი, რომ გამართლებულია ამერიკაში ეკონომიკურად ძლიერი ოჯახებიდან გამოსული პოლიტიკოსების გაპრეზიდენტება. მათ მეტად იციან ფულის ფასი. თავისიც აქვთ და სახელმწიფოს, ხალხის ფულს მეტად უფრთხილდებიან. არ გიფიქრიათ, რომ 40 მილიონს შეიძლება ჭიათურმანგანუმი გაყიდვისაგან გადაერჩინა? ამისათვის ჩამოართვით ამდენი ფული დაპატიმრებულ "კორუფციონერებს"?

ჯონ და ჟაკლინ კენედების გამოყოფილი სახარჯო თანხა ზღვარს რომ მიუხლოვდა, მოახლე დაითხოვეს და რადგანაც წვეულებას უსათუოდ უნდა დასწრებოდნენ, ბავშვები მათ მეგობარ ჟურნალისტს დაუტოვეს (იგი მათი ბიოგრაფი გახდა შემდგომ). კენედები არ იყვნენ ღარიბები. 1000 დოლარის გადახარჯვებიც შეიძლება ეპატიებინა ხალხს და სენატს, მაგრამ არსებობს მოვალეობა, ვალდებულება და სხვა ასეთი ღირებულებები, რაც უნდა ჰქონდეს კანონმორჩილ პრეზიდენტს.

ჩემს ირგვლივ ბევრი კითხულობს – როგორ მიიღეს ამდენი კანონი, როდესაც 45 პარლამენტარი კიევში იყო, ნაწილი – რეზერვისტების "ხინკალ-შოუზე" და დარბაზი ნახევრად ცარიელი იყო? გაზეთში წერდა თქვენი პარტიის აღმასრულებელი მდივანი – სამივლინებო თანხა ერთ კაცზე

– 430 ლარი იყო, დღეში 70 დოლარი გვეძლეოდაო. არ დაუმალავს – მე ეს ფული დისკოთეკაზე დავხარჯეო. (ისევ გმირი კირკიტაძე).

ამისათვის გავგზავნეთ ჩვენი ნაცოდვილარი გადასახადებით შეგროვილი ფულით ეს ყმაწვილები?

ან რა "ყინულ-შოუ" წამოიწყეთ ამ გატყაულ ქვეყანაში, სადაც ყოველდღიური არსებობაც საფიქრებელია. ასეთი გაუთავებელი "ტანცი-მანცი"და უგემოვნო კონცერტები არც გემოვნებას უვითარებს ქართველ ახალგაზრდობას და არც საქართველოს ბიუჯეტს უხდება. ხალხი ამბობს – მთავრობა ამით ახალგაზრდობას "აბამსო". (ფოლკლორია – რა ვქნათ). ისიც ითქვა, პრეზიდენტს ამ არეულ და მშიერ ქვეყანაში როგორ რჩება დრო კაფეში სასიარულოდო. სკეპტიკოსებმა ისიც კი თქვეს – ამ ტოტებდაჭრილ და 28 ლარიან პენსიონერების შემყურე მთავრობას, პრეზიდენტს რა ეგუდაურება, ებაკურიანება და ებორჯომებაო. რას არ იტყვიან, თან ანგარიშობენ – რომელი გართობა და სანახაობა რა დაჯდა. ყველაფერი იციან. (მე, მაგალითად შემრცხვა ამ ციფრის).

მართლაც, როგორი სასაცილო არგუმენტია – პრივილეგირებული ქალბატონების, დიდჩინოსანთა მეუღლეების გამგზავრება ბორჯომში, რომანოვების სასახლეში (არა "მარშრუტკით") გასაცნობად (!!!). აქ, მარიოტში ან "მეტეხში" ვითომ ვერ შეძლებდნენ ერთმანეთის გაცნობას? ამბობენ, ზოგიერთი საელჩოს წარმომადგენელი ქალბატონი ძალიან გაკვირვებული დარჩა ეკონომიკურად ჩამორჩენილი ქვეყნის ასეთი ხელგაშლილობით (ღატაკი ხალხის ხარჯზე) ხომ იცით, ევროპაში არ არის მიღებული 100-120 კაციანი სუფრები. ასეთი ფუფუნების უფლებას ისინი ვერ აძლევენ თავის თავს.

საკრებულოს და მერიის სამსახურის განცხადებამ, რომ ბიუჯეტზე უფრო აქტიურად ვიმუშავებთ, თავს უფრო მოვიყრითო, თან რომანოვების სასახლეშიო – გაგვაოცა აბა, რა! აქ თავს ვერ იყრიან, ჩხუბობენ. ზოგი სამკუთხედს სთავაზობს, ზოგი ქვაფენილს აგებს, ზოგი ისევ იღებს (თუ ვინმე დიდმა კაცმა წაიფორხილა). იქ, რომანოვის გვარიც –

კი მოქმედებს და ავალდებულებს – უფრო პასუხისმგებლობით მოეკიდონ ბიუჯეტს. (10-20-30 ათასი ლარი თუ ამაში დაიხარჯა, რა უშავს).

იცით, რა დაარქვეს ამ აქციებს? გეტყვით – რომანოვების სასახლის შტურმი (ცუდი ასოციაციაა).

ამასწინათ, უფასო სასადილოს ეწვიეთ. და ხმამაღლა, ყველას გასაგონად განაცხადეთ: "ასეთი სასადილო უნდა გავხსნათ". ამ სასადილოების გახსნის, მომსახურეობის ხარჯები რომ პენსიებზე დაგემატებინათ – არ აჯობებდა? იმ თუნდაც 50 ლარით ის საცოდავი თუ უნდა ყველს იყიდის, უნდა – კომბოსტოს. როგორ გაწირეთ მაინც ეს პენსიონერები უფასო სასადილოებისათვის. ჩემმა პენსიონერმა ნაცნობებმა თქვეს: "მე ვერ წავალ ამ სასადილოში! მირჩევნია მოვკვდე" ინტელიგენციის აზრია.

ასეთმა განსწავლულმა, ხალხის ნდობით დატვირთულმა ახალგაზრდა პრეზიდენტმა რატომ გაწირეთ პენსიონერები საშიმშილოდ? როგორ არ გეუბნებიან თქვენი ახლობლები, რომ ასეთი კმაყოფილებით გაორმაგებულ პენსიებზე არ უნდა ილაპარაკოთ? გაძვირების ფონზე ეს თვითკმაყოფილება ცოტა უხერხული ხომ არ არის?

- ჩემო პრეზიდენტო! ამ ქვეყანაში კარგიც და ცუდიც იცოდეთ, თქვენს სახელს უკავშირდება. ამიტომ, გთხოვთ, ნუ უგულვებელყოფთ ისეთი ადამიანების რჩევას, რომელთაც არც 2000-დოლარიანი პრეტენზია აქვთ, არც ასლან აბაშიძისეული მანქანა ემსახურება, არც რაიმე ბიზნესი აქვს და არც რომანოვების სასახლეში ატარებს დროს. ჩვენ, საქართველოს მოსახლეობის ინტელექტუალური საზოგადოების ნაწილი ვართ. გონიერი, წიგნიერი, მეცნიერი, გაღატაკებული, მაგრამ მაღალი სულის და ღირსების მატარებელი ნაწილი, რომელიც ყველაფერს ხედავს და განიცდის.

- ბატონო პრეზიდენტო! თქვენ აღშფოთდით, რატომ არის ცოდვა დავით აღმაშენებელზე ფილმის გადაღება ბიუჯეტის ხარჯზეო. ცოდვაა, თანაც – დიდი. იმიტომ, რომ ქვეყანაში გამათხოვრებული ხალხია; იმიტომ, რომ 28 ლარიანი პენსიონერებია და 40-ლარიანი უნივერსიტეტის

პედაგოგები; იმიტომ, რომ მრეწველობა არ არსებობს, იმიტომ, რომ უმუშევართა არმია გვყავს; იმიტომ, რომ გაღატაკებული და გავერანებულია ქართული სოფლები; იმიტომ, რომ ჩაბნელებული და ჩაუკუნეთებულია ნახევარ საქართველოზე მეტი, იმიტომ, რომ თქვენი თანაგუნდელები, თქვენი ჩინოვნიკები ცხოვრობენ ბევრად უკეთ, ვიდრე ისინი, ვისაც თქვენ ებრძვით; იმიტომ, რომ ხალხი, რომელსაც თქვენ სშირად იშველიებთ და მიმართავთ – ყველაფერს ხედავს.

თუ თქვენმა დიდჩინოსანმა, თქვენს მიერ რევოლუციის დროს აქტიურობისათვის ხელდასმულმა, ქალაქის ერთ-ერთმა მმართველმა დაპატიმრებული ყოფილი მინისტრის ის სახლი იყიდა, რომელიც გაყიდული იქნა პატიმრობის სანაცვლოდ ჩასაბარებელი თანხის დასაფარად, მე ამ საქციელს უფრო არაეთიკურად, უ.ს.დანაშაულად ვთვლი, ვიდრე ყაჩაღობას – მშიერი შვილების გამოსაკვებად. (ბეგაშვილმა – მერაბ ადეიშვილის სახლი).

- ჩემო პრეზიდენტო! ილიამ "კაცია-ადამიანს" ეპიგრაფად გონიერი ანდაზა წაუმძღვარა: "მოყვარეს პირში უძრახე, მტერს – პირს უკანო".

- ბატონო პრეზიდენტო! მე თქვენ აგირჩიეთ და ამით დიდი ვალდებულება დაგეკისრათ. ვალდებულება ორმხრივია. ამიტომ, თქვენ უნდა შეასრულოთ ყველაფერი, რასაც წინასაარჩევნოდ გვპირდებოდით; წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩვენს შორის დადებული ხელშეკრულება დაირღვევა.

- ბატონო პრეზიდენტო! თქვენ გაუგონარი და თქვენი ერის შეურაცხმყოფელი საქციელი ჩაიდინეთ – საკუთარი ხალხი და ქვეყანა მიატოვეთ, ახალ წელს არ მიესალმეთ, არ მიულოცეთ, არ უსურვეთ ყველა სიკეთე.

ახალ წელს ოჯახის უფროსი კერას არ ტოვებს, ეს ტრადიციაა!

- ბატონო პრეზიდენტო! თქვენ არ აღკვეთეთ აგრესიული, ადამიანის ღირსების შემლახავი სანახაობები – თქვენ ხალხს აჩვენეთ, როგორ შორსაა ჭეშმარიტი დემოკრატია დეკლარირებულისაგან; აჩვენეთ, როგორ არ უნდა მოექცნენ (!!!) დაკავებულ, თუნდაც დამნაშავე

თანამემამულეებს. ასე რამ გაუბოროტა გული ამ ახალგაზრდებს? ავი წლები გაგვახსენეთ, ნამდვილად.

- ჩემო პრეზიდენტო! თქვენ ხელი შეუწყვეთ ისეთივე უსახური, არაკომპეტენტური ადამიანების აღზევებას, რომლებსაც ადრე სდევნიდით. თქვენს გარშემო მლიქვნელი, მონურად მორჩილი თანაგუნდელები გარტყიათ, რომლებმაც არ იციან: "მოყვარეს პირში უძრახე, მტერს – პირს უკანო".

- ბატონო პრეზიდენტო! თქვენ დიდი დანაშაული მიგიძღვით სამაჩაბლოში იმ მოუფიქრებელი, უნიჭო, უმწეო ოპერაციის ჩატარებაში, რომელსაც ჩვენი გენოფონდის ნაწილი უმიზნოდ შეეწირა.

უფრო დიდი და გამოუსწორებელი დანაშაული კი მიგიძღვით 50 დაჩოქილი ქართველის წინაშე, მათი პატივის აყრაში. მათ ყოფას – სიკვდილი სჯობია. ეს დაჩოქილი ბიჭები ამ სირცხვილს სიკვდილამდე ვერ ჩამოირეცხავენ.

- ჩემო პრეზიდენტო! თქვენ არავითარი "გალობანი სინანულისანი" არ გეყოფათ ამ სირცხვილის მოსანანიებლად. 60 ომი მოიგო დავითმა, მტერი ბევრი ნახა დაჩოქილი, თავისი მეომარი – არა.

ბატონო პრეზიდენტო! თქვენ გადაამეტეთ უფლებამოსილებას და თანამდებობა ბოროტად გამოიყენეთ. ანუ, რითაც თქვენ წინა ხელისუფლების ბევრი მაღალჩინოსანი დააპატიმრეთ და სრულიად გაუმჭვირვალედ (!!!) დიდ თანხა და ქონება ჩამოართვით – იგივე ჩაიდინეთ.

თქვენ გამოიყენეთ რა თქვენი თანამდებობა ბოროტად, არ დაჯერდით განკუთვნილ 10 მილიონს (28 ლარიანი პენსიონერების ქვეყანაში) და უკითხავად დახარჯეთ 40 მილიონი ლარი. თქვენ ანგარიშვალდებული ხართ ხალხის წინაშე. დურა ლექს, სედ ლექს. (Dura lex, sed lex).

ბოლოს, ილიას სიტყვებით მინდა დავამთავრო: "დააკვირდი, იქნებ გენიშნოს რამე. ესეც იცოდე, მარტო შენი მტერი დაგიმალავს, შენს სახეზედ რომ ურიგობა ნახოს რამე, მოყვარე კი, მაშინვე სარკეს მოგიტანს. თუ მაინცდამაინც წყრომას არ დაიშლი, შენი ნებაა, მე შენის წყრომისა არ

მეშინიან. მაშინ მხოლოდ დავღონდები, რომ შენშიაც მოვტყუვდი, რომ შენ ის არ ყოფილხარ, რაც მეგონე".

- ჩემო პრეზიდენტო! მე მაინც მგონია, და მინდა – არ მოვტყუვდე. "სხვაფრივ მშვიდობით ბრძანდებოდეთ და შენდობით იხსენიებდეთ მონასა თქვენსა" ილია.

P.S. ცნობამ იმის შესახებ, რომ თქვენ წარდგენილი ბრძანდებით ნობელის პრემიაზე, ჭეშმარიტად ძალიან გამახარა. გვერწმუნეთ, გვეამაყება ყველას. ეს პრემია კიდევ უფრო მეტად გავალებთ, გისურვებდით მშვიდობას თქვენ საყვარელ საქართველოში და თქვენი ამომრჩევლების სულებში.

P.S. ეს წერილი ბევრად ადრე დაიწერა, მაგრამ მისი გამოქვეყნება არაეთიკურად ჩავთვალე ბ-ნ ზურაბ ჟვანიას გარდაცვალების, გლოვის დღეებში. არც ვაპირებდი ამ მოკლე ხანში, მაგრამ იმ საოცარმა სანახაობამ, რასაც მთელმა საქართველომ მიაპყრო სასმენელნი და საჩინონი თვისნი, იმდენად გამაოცა, რომ გადავწყვიტე მოგმართოთ.

ჩემო პრეზიდენტო!

- არ შეიძლება ეს სანახაობა თქვენი დადგმული იყოს. დაუჯერებელია! თქვენს მოხსენებაში ალბათ შემთხვევით მოხვდა დეფინიცია – ჩვეულებრივი ხალხი. უხერხულია არაპოლიტიკოსებს, არა მინისტრებს და, საერთოდ, არა მათ, ვინც თქვენს გარშემო ტრიალებს – ჩვეულებრივი ხალხი უწოდოთ. მაშინ, ვინ არის არაჩვეულებრივი? ისინი, ვინც თქვენ რუსული თოჯინასავით ადგომა-დაჯდომით ათამაშეთ და ავარჯიშეთ? თუ ისინი, ვინც თქვენ გმირად შერაცხეთ?

- იცით თუ არა, ბ-ნო პრეზიდენტო! რომ მაშინ საქართველოს დანარჩენი მოსახლეობა სამგზის გმირია?

- რა სახსენებელია თქვენი ძვირადღირებული გმირები უანგარო, ჭეშმარიტ გმირებთან შედარებით. კაცთმოყვარეობა, სამშობლოს სიყვარული, სიკეთე – დამსახურება არ არის. ეს ყოველი ღირსეული ადამიანის თვისებაა.

- მე მეგონა, რომ ყოველი დღე თქვენი პრეზიდენტობისა, (რომელიც ამდენ სიკეთეს გვპირდება) სიდარბაისლის,

სიქველის, მოთმინების და მიმტევებლობის უნარს შეგმატებდათ; თქვენს ამომრჩევლებს კი – იმედს. მაგრამ . . .

ადამიანის ბედს, ცხოვრებას – ხასიათი ქმნის. თქვენ ხშირად "ემოციურად" მოგიხსენიებენ. ეს შესანიშნავია, უემოციო ადამიანი რად ვარგა, მაგრამ ჭარბი და მოუთოკავი ემოცია, როგორც ამბობენ, ბედისწერად იქცევა.

თქვენ მარტო თქვენი გმირების კი არა, მთელი საქართველოს, ჩვენი, ჩემი პრეზიდენტი ბრძანდებით. ღმერთმა ნუ ქნას და ახდეს – Hodie Caesar, cras nihil. (დღეს კეისარი, ხვალ არარაობა).

პატივისცემით

თ.მ.

*გაზეთი "ლიტერატურული საქართველო" 18 თებერვალი 2005წ.*

## *ჩემს მკითხველს.*

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდი მადლობა მინდა გადაგიხადოთ ამ ყურადღებისათვის, რაც თქვენ ჩემი ნაკლებპროფესიული, მაგრამ გულახდილი წერილებისადმი გამოიჩინეთ. ყოველი სატელეფონო ზარი, ნაცნობის თუ უცნობის – ჩემთვის დიდი საჩუქარია. მით უმეტეს, თქვენისთანა გონიერი, განათლებული, ღირსეული ადამიანების აზრი ჩემთვის გამნსაკუთრებულად მნიშვნელოვანი და ღირებულია.

ჩემ წერილებზე გამოხმაურებამ უზომოდ მასიამოვნა, მაგრამ მათმა სიმრავლემ შემაშფოთა.

ძალიან შემაშფოთა და იცით, რატომ? საქართველოს მოსახლეობის ძალიან მნიშვნელოვანი ნაწილი – იმედგაცრუებულია. გულანთებული რევოლუციონერების დაპირებების შემდგომ მათმა საქმიანობამ, პროფესიონალიზმის აშკარა დეფიციტმა, უმუშევართა რიგების ზრდამ, საკუთარი მოქალაქეების დარბევამ და ფიზიკურმა ხელყოფამ (ზუგდიდელი თვალებდასიებული ქალები) ხალხი სულიერად დათრგუნა, გააოგნა.

გაურკვევლობა სუფევს, ძვირფასო მკითხველებო, ჩვენს სულებში. რა იქნება? ვინ არიან ესენი? რას სჩადიან? ნუთუ . . . ამავე დროს, რამდენი კარგი გაკეთდა და ცუდი ფარავს.

აი, რა გამომჟღავნდა იმ ძალიან, ძალიან, ძალიან ბევრ გამოხმაურებაში (თქვენი თხოვნით, განმეორებითაც კი დაიბეჭდა ბატონი პრეზიდენტისადმი მიმართვა). გაურკვევლობა და მოლოდინი ძალიან ძნელია. ეს შემიძლია მე დანამდვილებით გითხათ, როგორც ფსიქიატრმა. პატიმარს სულიერი აშლილობა სასამართლოს მოლოდინში, განაჩენამდე ეწყება – უმეტესად. დაძაბულობა და მოლოდინი, მთავრობის წევრთა ხშირი ცვლა, არასტაბილურობა სულს ღლის. სული კი სიმშვიდეს მოითხოვს.

კიდევ ერთხელ გიხდით მადლობას, ძვირფასო თანამემამულენო.

ვფიქრობ, მრავალპარტიულ საქართველოს კიდევ ერთი პარტია აღარ სჭირდება, არც სამთავრობო და არც

არასამთავრობო ორგანიზაცია. ფულით ნაყიდი პატრიოტიზმი რა საკადრისია.

თქვენი გამოხმაურება მეტად მნიშვნელოვან თანამოაზრეთა ერთობად იქცა.

გონიერთა ერთობით შექმნილი აზრი კი პარტიაზე ბევრად მეტია. ეს კონგრესია, რომელსაც "საზოგადოებრივი აზრი" ჰქვია. იგი მეტად ანგარიშგასაწევი და სერიოზული ძალაა.

საქართველოში "საზოგადოებრივი აზრი" უნდა ზეობდეს!

პატივისცემით, თამილა მაკარიძე

## რატომ სდუმან საგარეჯოს ზარები?!

როდესაც ადამიანი მხეცია, ის მხეცზე უარესია.
რაგინდრანატ თაგორი

### *მოგესალმებით სამშობლოს მომავალო დამცველებო!*

თქვენ, საქართველოს სხვადასხვა კუთხის შვილები, სხვადასხვა ოჯახებში აღზრდილი ახალგაზრდები, ერთმა აზრმა და მიზანმა გაგაერთიანათ – ემსახუროთ სამშობლოს, შექმნათ ძლიერი არმია სამშობლოს დასაცავად. ჩვენ, თქვენთან ერთად, როგორც კავკასიონი – საქართველოს, ისე უნდა ავეფაროთ ჩვენს ქვეყანას.

თქვენ ერთად შეგყარათ ქვეყნის სამსახურის სურვილმა, საქართველოს სიყვარულმა, ჩვენი მრავალტანჯული ქვეყნისათვის დაღუპული გმირების – არაგველების და ხერხეულიძეების ძახილმა, დიდგორმა, ბასიანმა, ასპინძამ.

მარგალიტივით ბრწყინავს ჩვენი ქვეყანა, ლამაზია, და ამიტომაც იყო ყოველთვის მტრის სამიზნე.

არც ქართველ ვაჟკაცებს დაუზოგავთ თავი სამშობლოს დასაცავად. თქვენც იმ ჯიშისა და გვარისა ხართ.

თქვენ აქ გელით ძალიან რთული, საინტერესო და ვაჟკაცური საქმენი – წვრთნა, სამხედრო ხელოვნების ხერხების, საომარი ტაქტიკისა და ილეთების დაუფლება-შესწავლა. ურთიერთ სიყვარულითთ, თანადგომით თქვენ ყველაფერს შეძლებთ. რთულია მეომრად ქცევის პროცესი, მაგრამ შედეგია საამაყო – მეომრად, ქვეყნის დამცველად ქცევა.

"ქართველებო! ვაჟკაცებო! ჩვენ მრავალჭირნახადი ქვეყნის შვილები ვართ. იმპერიები გაქრნენ, ჩვენი პატარა საქართველო კი – მაგრად დგას და კიდევ უფრო მოიკრებს ძალას. ჩვენ გვჯერა, რომ თქვენ ასახელებთ ქვეყანას. ღმერთმა დაგლოცოთ, თქვენ და თქვენი სამსახური, ქვეყნისა და ხალხისათვის!"

მკითხველი იფიქრებს – ალბათ, ამ სიტყვებით ხვდებიან ახალწვეულებს ოფიცრები, აღმზრდელები, გენერალიტეტი; თუნდაც – თავდაცვის მინისტრი.

იმედი უნდა გაგიცრუოთ. ეს ის მისალმებაა, ის დამოძღვრაა, როგორიც მე წარმომიდგენია. დაახლოებით, ასეთი უნდა იყოს, ან შეიძლება იყოს.

სინამდვილეში – სხვაგვარია. . .

ერთმა ჩემმა ახალწვეულმა, სულგატეხილმა მითხრა: "პირველ დღესვე გვაშინებენ"-ო.

არ რეკავდნენ ზარები, როდესაც "აღმზრდელმა" ოფიცერმა თავის აღსაზრდელებს სველი პერანგები ("მაიკები") ჩააცვა და მთელი რამე, სიცივეში, სირბილში გაატარებინა. წესდებით – რამე სირბილიც ეკუთვნის ჯარისკაცს და სიცივესთან შეგუებაც.

- მაგრამ . . . რა გვჭირს ასეთი, თანამემამულის ავი რომ გვიხარია და გვსიამოვნებს? ქართველები ქართველებს ვერჩით?

- რა დედამ შობა და მერე როგორ გაზარდა კაცი, რომელმაც ქვეყნის სამსახურისთვის მოსულ ბიჭებს სველი პერანგები ჩააცვა და სიცივეში გაყარა?

- რითი განსხვავდება ეს ოფიცერი იმ ფაშისტისაგან, რომელიც კონცლაგერში მსახურობდა და უფროსის დავალებას ასრულებდა? აქ, საგურამოში, "შპიცრუტენები" აკლდა მხოლოდ . . . ვინ დაავალა – წვრთნა სასჯელად გადააქციეო?

- ეს ქართველი (როგორ ვთქვა) ოფიცერი ვის ბრძანებას ასრულებდა? თავისი სინდისის და სულის კარნახს?

- არ ჰქონია სინდისი ამ ოფიცერს და სულითაც ავადმყოფი ყოფილა. ასეთ ქცევას სადიზმი ჰქვია (შემეკამათეთ).

- არ ჰქვია ამას წვრთნა, როდესაც სიცხიან ბიჭს სველი პერანგით სიცივეში გააგდებ. ხომ უნდა იცოდეს ზრდასრულმა კაცმა, აღმზრდელმა, რომ ჯერ შეუჩვეველს, სველი ტანსაცმელი უნდა გამოუცვალო. თუ არ გამოუცვლი

– გაცივდება, ფილტვების ანთება დაემართება. თუ სიცხიანია, ხომ – კიდევ უარესი . . .

- ისე, ამ ოფიცერს დედა არ ჰყავს? არც ცოლი და არც ქალიშვილი ან და? რას გრძნობდნენ და ფიქრობდენენ ისინი, როდესაც რეანიმაციაში მოთავსებული სულთმობრძავი "აღზრდილი" – სიცოცხლეს ებრძოდა. დედა კი – გარეთ ძუ ვეფხვივით დარბოდა; დარწმუნებული ვარ, ამ ქალებს რცხვენოდათ თავის ახლობლის მაგივრად.

- ოფიცერი რომ ნამდვილი ოფიცერი იყოს – თავი უნდა მოეკლა. სიცოცხლე სინდისზე და ღირსებაზე მეტი არ ღირს. ამაზე ნაკლებ დანაშაულზე იხლიდნენ ტყვიას შუბლში ოფიცრები – სინდისის და ღირსების, სირცხვილის ჩამოსაწმენდად.

მართალი გითხრათ, ამ წერილის დაწერას არ ვაპირებდი, მივხვდი, რომ არ კითხულობს მთავრობა ხალხის, უბრალო, ჩემსავით უბრალო ადამიანების წერილებს, მაგრამ, როგორც იტყვიან, დაწყვილების კანონმა მაიძულა . საგურამოს "წვრთნას" ჩვენს განყოფილებაში დაახლოებით, ასეთი "წვრთნით" დაშინებული და დაზიანებული ჯარისკაცის მოხვედრა დაემთხვა.

საგურამოს "წვრთნის" ხერხებმა და შედეგებმა იმდენად მძიმედ იმოქმედა, რომ ჩემს პრაქტიკაში არსებული ის მრავალი შერმთხვევა გამახსენა, როდესაც რუსულ ჯარში ყულფიდან ჩამოხსნილი, ღირსებაშელახული ქართველები ძალიან ხშირად ჩამოჰყავდათ ჩვენს საავადმყოფოში – სულის სამკურნალოდ.

ყველაზე ადვილად სული ზიანდება. ღირსება და სინდისი ის ორი პარამეტრია, რითაც იზომებოდა ჯარისკაცის თუ ოფიცრის პიროვნული დონე. ისე, ახლაც ამით ფასდება ადამიანი – ერიც და ბერიც.

იმას მოგახსენებდით, ორმეტრიანი (1მ 95 სმ) 18 წლის ბიჭი მოიყვანეს: დევივით იყო – ალერსიანი. მიაჩნდა, რომ ყოველ დილით, შეხვედრისას უნდა ეკოცნა ექიმისათვის – ე.ი. ჩემთვის. ბავშვური თვისებები შემორჩენია: არც არის გასაკვირი: 6 წლისას თვალწინ მამა მოუკვდა და ბიძები ელოლიავებოდნენ. სამხედრო სამსახურში თავისი

სურვილით წავიდა. მერე . . . მერე, აი, რას მიყვება: "ძირითადად, ოფიცრებთან მქონდა პრობლემები. მეორე ნაწილში, მეორე სართულზე ვიჯექი, ბრიგადის უფროსმა გამოიარა და დამიყვირა:

- აქ რას აკეთებ?!

- ბიძაჩემს ველოდები-მეთქი, ვუპასუხე.

შემაგინა (!), ძირს ჩამოეთრიეო (!).

- რატომ კადრულობთ-მეთქი.

"წიხლი ზურგში ჩამაზილა და კიბეზე ჩამოვვარდი, დავგორდი. იქ ოფიცრები იდგნენ. ისინი მე არ დამიცავდნენ".

ეს ბრიგადის უფროსი ქართველი იყო, ქართული ჯარის მშენებლობის დიდი აგური (იქნებ, მხოლოდ აგური და მეტი არაფერი) ორმეტრიანი ბიჭიც ქართველი იყო. მეომრობა უნდოდა და შეურაცხყვეს, სული ატკინეს. სულმა ვერ გაუძლო. ძნელია, ცხოვრების დაწყება ღირსების შელახვით და სულში ჩაფურთხებით. ბრიგადის უფროსზე ახალწვეულმა სწორება უნდა გააკეთოს, მიბაძოს; ბრიგადის უფროსად ყოფნა ოცნებად უნდა ექცეს მეომარს.

ჩემი ავადმყოფი გამოიქცა ნაწილიდან. სული დაუზიანდა და იძულებული შეიქნა, ექიმისთვის მიემართა საშველად. ზოგი სახეში შეფურთხებას იტანს, იწმენდს და არაფერი . . . ზოგს პენის-ად მოიხსენიებენ და არაფერი – არ მომისმენიაო. ადამიანები ერთნაირები ხომ არ არიან? განგებამ "უთვალავი ფერითა" შექმნა და სინდის-ნამუსიც იმდენივეა. . .

- საგურამოს "წვრთნამ" – მოგახსენეთ, დამთრგუნა და განგაშის ზარების დარისხება მომინდა.

- ხალხის დუმილმა მეტად შემაშფოთა!

- ჯარისკაცს წვრთნა უნდა – აბა, სხვაგვარად არ შეიძლება.

- ჯარისკაცი უნდა ავარჯიშო, გააჯანსაღო, გაამაგრო.

- ჯარისკაცი ისეთ ბოკვერად უნდა აქციო, რომ ყინვას და სიცხეს უძლებდეს, მთაში და ბარში ერთნაირად დადიოდეს, ზღვასა და ხმელეთს სერავდეს;

- ჯარისკაცი მის უზომო შესაძლებლობაში უნდა დააჯერო.
- ჯარისკაცს მისი სამშობლოს გმირული წარსულით გული უნდა აუნთო.
- ჯარისკაცი – თავისი ქვეყნის ისტორიის იმ სამაგალითო ბრძოლების თხრობით უნდა გაზარდო, რომლებიც მსოფლიოს წარმატებულ ბრძოლათა სიაშია შეტანილი.

(დიდი ასპინძა)

- ჯარისკაცმა, ქვეყნის მომავალმა ფარმა, უნდა იცოდეს, რომ 1121წ. 12 აგვისტო დიდგორობაა.

- აღმზრდელმა უნდა წვრთნას. ეს ნიშნავს, რომ მას სწორედ სამხედრო სამსახურში კიდევ ერთხელ უნდა შეახსენონ (ყველა ხომ არ სწავლობს სკოლაში კარგად ისტორიას) – რომ დავით აღმაშენებელს 56000 მეომარი ჰყავდა, მაჰმადიანთა კოალიციას კი – 400000.

- ისიც უნდა უთხრათ, რომ ამ ბრძოლის შესახებ, დასმულ კითხვას, სადაც ერთი მხრის მეომართა რაოდენობა 8-ჯერ აღემატებოდა მეორეს და რიცხვით მცირემ (ვაჟკაცობით და ღირსებით აღმატებულმა) – მოიგო – უყოყმანოდ უპასუხეს ერუდიტთა თამაშზე რას უშლის ამის ცოდნა ქართველ ჯარისკაცს? სიამაყეს შემატებს მხოლოდ.

- ან რამ დააკავა ამ ოფიცრის ახლობელი ქალები სახლში ავადმყოფი ბიჭის დედასთან რომ არ მივიდნენ ბოდიშის მოსახდელად?

- "ვეფხვის და მოყმის" ქვეყანაში, სადაც ხალხმა ვეფხვისგან მოკლული მოყმის დედა სამძიმრის სათქმელად ვეფხვის დედასთან წაიყვანა, ავადმყოფი, უგონოდ მყოფი ბიჭის ერთ მუჭად გადაქცეულ დედასთან ჭირის გასაზიარებლად არავინ მივიდა (ან ვინ მიუშვებდა, სუბარი არ შეუშვეს).

- არ დარეკეს ზარებმა! ხალხი ტელევიზორებთან ვიშვიშებდა. ტიროდნენ კიდეც დედები, მაგრამ . . .

ყველაზე დიდი დანაშაული, ჩემი, როგორც ფსიქიატრის აზრით, მაშინ მოხდა, როდესაც ყოფილი შინაგან საქმეთა

მინისტრი, ყოფილი გენერალური პროკურორი – თავდაცვის მინისტრად დაინიშნა.

დაღუპეს ეს ახალგაზრდა კაცი. გვირგვინსა და სკიპტრას, ქმედებათა შეუზღუდველობას და ძალაუფლებას ყველა ვერ უძლებს. რას ერჩოდნენ ბატონ ოქრუაშვილს? კაცი, რომელმაც ასეთი გაუგონარი ხმაურიანი, ბოდიში, შემზარავი, გამიზნულად შეურაცხმყოფელი დაპატიმრებები ჩაატარა (თუნდაც პატიმრისათვის) და მათი განგებ დეტალური სატელევიზიო დემონსტრირება მოახდინა – თავდაცვის მინისტრად არ გამოდგება.

თავდაცვის უწყება სადამსჯელო ორგანიზაცია არ არის და ასე უცბად გადართვა გაუჭირდა ახალგაზრდას. უნდა ეფიქრა ამის შესახებ ჩვენს პრეზიდენტს. განსწავლული კაცი (რომელიც ასეთ ყურადღებას იჩენს უპოვარ მოხუცთა მიმართ) ფსიქოლოგიც უნდა იყოს, გარკვეულწილად.

- როგორ არ უნდა მიხვდე, რომ, როდესაც შენი გენერალური პროკურორი სიამოვნებით აცხადებს თანამემამულეთა დაპატიმრების შესახებ – ეს საშიშია.

- როდესაც გენერალური პროკურორი აცხადებს: "მე კიდევ ბევრს დავიჭერ და მოუწევთ ახლობლებს "პერედაჩების" ტარება".

- ეს სირცხვილია; უნდა მიხვდეს – ვისაც უზენაესი უფლებები მიანიჭა ხალხმა.

- როდესაც ახალგაზრდა კაცს "წვიმასა და ქარში"" დგომის საფასურად მაღალ თანამდებობას, ყველაზე ძვირ მანქანას, შეუზღუდავ ძალაუფლებას მიანიჭებ – ის შეიფერებს . . . იმიტომ, რომ ახალგაზრდაა და ჩათვლის, რომ ასე უნდა, ის ღირსია და ვერავინ მოერევა.

- ამ ახალგაზრდა კაცმა დიდი შეურაცხყოფა მიაყენა პრეზიდენტს, როდესაც გამოაცხადა თავდაცვის მინისტრად დანიშვნისას, რომ "ჯარში ბევრად უარესადაა საქმე, ვიდრე ადრე". გამოდის, რომ ერთნახევარი წელია პრეზიდენტი ცდება (ვერ ვაკადრებ - ტყუის), როდესაც ამ ხნის მანძილზე ჯარის აღმშენებლობაზე და მასზე დახარჯულ თანხებზე ლაპარაკობდა?

- გამოდის, რომ ეს დახარჯული თანხები მხოლოდ მრავალრიცხოვან ჯიპებს ეხებოდა? არა მგონია, რომ პრეზიდენტი ამას გულისხმობდა.

- აქაც გენერალურ პროკურორად, დამსჯელად და ბრალმდებლად დარჩა თავდაცვის მინისტრი. ძალიან სამწუხაროა.

- ხალხი ელოდა თავდაცვის მინისტრის განჩინებას. ბრალმდებლის დიდი გამოცდილების მქონეს დანაშაულის შეფასება არ უნდა გაჭირვებოდა.

და მოხდა ასეთი დაუჯერებელი რამ. ბრალმდებელი გამოვიდა დამცველის როლში. მან დაიცვა დამნაშავე. დამნაშავეს იცავს ადვოკატი და არა ხელისუფალი.

როდესაც ხელისუფალი იცავს დამნაშავეს, იგი ათმაგად დამნაშავეა. ხომ არ უნდა შეაძულოთ ხალხს, ჯარისკაცებს მათი უფროსი აღმზრდელი, ხელისუფალი. თავდაცვის მინისტრი. მინისტრმა გაამართლა სადისტი ოფიცერი. არ დაინდო მთელი საქართველოს დედები. ფიზიონომოლოგია – მეცნიერებაა. ფსიქოლოგიაც მედიცინის დარგია, მაგრამ ფსიქოლოგიის მონათესავეა. ყოველი მათგანი ცალკე და ყველა ერთად ამბობს – ადამიანის ხასიათის თავისებურებები ქმნიან მის ფსიქოლოგიურ პორტრეტს, ანუ პიროვნებას. ეს თვისებები კი – სიკეთე, ბოროტება, კაცთმოყვარეობა, სიბრალულის და მადლიერების გრძნობა, მოკრძალება და თავმდაბლობა, სხვისი ჭირის გაზიარების უნარი და მართალ-მტყუანის გარჩევაა და ა.შ.

- შინაგან საქმეთა მინისტრის თუ გენერალური პროკურორის უნდა ეშინოდეთ დამნაშავეებს და შეიძლება სძულდეთ კიდეც; თავდაცვის მინისტრი – ჯარისკაცებს უნდა უყვარდეთ. (მარტო ოფიცრებს – კი არა). თავდაცვის მინისტრი მშენებარე არმიის სარდალია, მთავარსარდალი პრეზიდენტია და ისიც ინაწილებს გარკვეულ ვალდებულებებს.

მართლა, ვალდებულებას რაც შეეხება. . . რა საინტერესო განმარტებაა ვალდებულების ცნებისა რომის სამართალში,

კანონი ვალდებულებათა შესახებ – VI დანაყოფი.

თავი 1 პარ. 1 ვალდებულების განმარტება.

"ობლიგატიო" – ვალდებულება – წარმოადგენს კანონთა ბორკილებს, რომელთა გამო ჩვენ იძულებულნი ვართ რაიმე შევასრულოთ ჩვენი სახელმწიფოს მიერ შექმნილი აკრძალვების შესაბამისად".

აქ ჩვენთვის საინტერესო ამ განმარტების პირველი ნაწილია "ვალდებულება კანონთა ბორკილებია, რომელთა გამო ჩვენ იძულებულნი ვართ რაიმე შევასრულოთ".

ანუ – მეეზოვე ვალდებულია დაასუფთავოს, მასწავლებელი ვალდებულია ასწავლოს, ექიმმა – უმკურნალოს და სხვა.

ჩვენი სახელმწიფოს მიერ შექმნილი აკრძალვების შესაბამისად – ადამიანის წამება აკრძალულია, ზიანის მიყენება აკრძალულია, წინააღმდეგ შემთხვევაში – ისჯები, რადგანაც . . .

თავდაცვის მინისტრის ვალდებულება, კანონთა ბორკილები აიძულებდა მას "რაიმე შეესრულებინა" – მოეხსნა და პასუხისგებაში მიეცა ოფიცერი, (უბრალოდ, ადამიანი. ბოდიში, არაადამიანი), რომელმაც მის იმედად მყოფი, მისთვის აღსაზრდელად და გასაწვრთნელად მიბარებული ახალგაზრდა დააშავა, ავნო, უმძიმეს მდგომარეობაში ჩააგდო (ასევე სხვა ჯარისკაცებიც). ჩვენი ობლიგატიო – მთავრობას ჩავაბარეთ.

თქვენ მოითხოვთ ამ ახალგაზრდებს, მომავალ მეომრებს უყვარდეთ თავდაცვის მინისტრი, რომელმაც არ დაიცვა ისინი. . . არ დაიცვა კი არა, ადამიანურად არ შეიბრალა. ქრისტიანობის ყველა ცნება და ნორმა დაარღვია? ვერ მოვთხოვთ.

ისე, მინდა მოგახსენოთ, რომ ტელეეკრანებზე დასჯილი ქართველი ჯარისკაცები მაისურებში ცხინვალის უსახური ოპერაციის დროს გვაჩვენეს პირველად უ.ს. გადაიღო ოსეთის ტელევიზიამ და ახლა სველ მაისურებში ქართველმა "აღმზრდელმა"" დასაჯა ქართველი ბიჭები. . .

რადგანაც ამ წერილს რეანიმაციის გარეთ მდგარი მომტირალი დედის ჭირისუფალი ქალი ვწერ ჩემი თანამზრახველი მკითხველებისათვის, დასჯილ და

ღირსებაშელახული ჯარისკაცებისათვის ვწერ, მინდა შეგახსენოთ, რატომ უყვარდათ თავისი მხედართმთავრები, სარდლები ქართველ მეომრებს.

1770 წ. 20 აპრილი – ასპინძა.

ერთ მხარეს 3000 ქართველი, მეორეს – 8000 თურქი.

ოსმალთა და ლეკთა 1500 მეომარი ხერთვისიდან და ახალქალაქიდან.

ერეკლემ ჯარს მიმართა:

"ქართველებო, ყოველ განსაცდელში განუყრელო ძმანნო! ეს იცოდეთ, რომ ჩვენი უკან გაბრუნება არ იქნება იმიტომ, რომ თუ რუსების ჯარს ოსმალო მიეწევა, დიდ ვნებას მისცემს და მას უკან გაქეზებულნი ოსმალ-ლეკნი საქართველოსაც აგვიოხრებენ. უმჯობესია ამისათვის ჩვენ აქ გავწყდეთ. ეხლა, ამის შემდეგ თქვენ იცით და თქვენმა ვაჟკაცობამ, ქართველებო, აბა, რჯულისათვის და მამულისათვის". როგორია? არ შეფასდება.

ამ სიტყვების გამგონე ქართველები რას იზამდნენ? კიდევაც ეძგერნენ მტერს, დაჯაბნეს, უკუაქციეს, მტკვარს მიარეკეს და შიგ გადაჰყარეს. ათასამდე ლეკი და ოსმალო შეიწირა წყალმა და ხმალმა.

დასვენებაც ვერ მოასწრეს და 8000 თურქი და ლეკი, მთავარი ძალები დაეცნენ თავს ომში დაღლილ ქართველებს.

ასპინძა. 20 აპრილი. 1770 წელი.

8000 თურქი და ლეკი – 3000 ქართველი.

ერეკლემ კვლავ სიტყვით მიმართა, გაამხნევა და მოეფერა (!!!) თავის მეომრებს: (იბეჭდება შემოკლებით).

"გულოვანო მხნენო ქართველნო, ჩემო განუყრელნო ყოველსა საშინელებაში, ჩემო გულის ძმანო! ეს ამისთანა გაჭირვებული ომი ჩვენს თავზე პირველი არ არის. კარგად გაარჩიეთ და დაინახეთ, რა სიკვდილის ლხინი არის დღეს! ვიომოთ სიკვდილამდის, რომ ჩვენი ზურგი მტერმა ვერ იხილოს: ეს ხომ ჯაბანთა წესი არის. თქვენს წინ მე გადაწყვეტით ვაღიარებ, რომ დღეს ან უნდა გავიმარჯვოთ, ან უნდა გამოვესალმოთ ჩვენს თავს და აქ უნდა გავწყდეთ. აბა, ჩემო გულის ძმებო! მაშ, ან გავიმარჯვოთ, ან გავწყდეთ,

ქართველებო, მეც ხომ აქა ვარ, თქვენ გენაცვალოთ თქვენი ერეკლე".

"ლიტერატურული საქართველოს" მკითხველმა ჩემზე უკეთ იცის ეს სიტყვა და თვით ასპინძის ბრძოლის შინაარსი. მაგრამ მე მინდოდა მათი ყურადღება მივაპყრო, ვინც ალბათ, არც კითხულობს ამ გაზეთს –

მხნენო ქართველნო!

ჩემო განუყრელნო!

ჩემო გულის ძმანნო!

თქვენ გენაცვალოთ თქვენი ერეკლე!

ასე ეფერება ომებით დაღლილი მეფე თავის მეომრებს. ქართველი ოფიცერი კი – ქართველ ახალწვეულებს სჯის. იქნებ, არ ღირდა ამ კაცის ჯარისკაცებთან ურთიერთობა, ისტორიამ იცის, როდესაც მეფე თავის სამხედრო "ტალანტს" სათამაშო ჯარისკაცებით ცდიდა.

რა უცნაური დამთხვევაა – აწმყოს სარდალსაც ირაკლი ჰქვია, ასპინძის გმირსაც ერეკლე ერქვა. მაგრამ ის ბაგრატიონი იყო და თავისი მეომრები ძალიან უყვარდა. თითოეულ ჯარისკაცს იცნობდა და უფრთხილდებოდაო, ამბობენ და ამიტომაც მხოლოდ 25 ქართველი დაიღუპა ასპინძის ბრძოლაში. იმაზე რომ აღარაფერი ვთქვათ, როგორ გაუსწორდა კოხტა-მალაჩილს პირისპირ ბრძოლაში ბრძოლებით დაღლილი მეფე.

როგორ გგონიათ, ცოტა იყო ახალწვეული და უწვერულვაშო ბიჭები იმ ბრძოლაში? როგორ მოეფერა მცხოვანი მეფე ყველას, განურჩევლად.

ამ სიტყვების გამგონეს 3000 ქართველი 8000 მაჰმადიანს ვერ მოერეოდა?

რამ გააბოროტა ეს ახალგაზრდები? ან ქართული რაინდობა სად წავიდა, ან რიდი და პატივისცემა ქალისადმი ქართველი კაცისა სად დაიკარგა?

რაინდი შეიძლება არ იყო, მაგრამ რა უნდა გაგიჭირდეს, რომ შენი თანამემამულე ჭკვიანი, დარბაისელი და წესიერი ქალი მეძავი ქალების მაგალითისთვის გამოიყენო? კაცობა თავდაცვის მინისტრმა თუ არ დაანახა ხალხს, აბა სხვა რა საკადრისია ჭორიკანა ქალივით – იმან ის თქვა, იმან რომ

გააკეთოს – ტელევიზიით განცხადება. ეს არც თავდაცვის მინისტრის გარეგნობას, არც მის სახელს შეეფერება, არც გვარს ამართლებს.

ტკბილი სიტყვა და პირადი მაგალითი (მხოლოდ მთვრალი ოფიცრის არა) უფრო კარგად არ მოქმედებს და სამაგალითო არ არის?

ჩვენ განსწავლული მთავრობა გვყავს და ვოლტერი მათთვის უცხო არ არის. მხოლოდ შევახსენებ მის სიტყვებს. "თუ ადამიანს მახინჯი სახე აქვს, მას შეუძლია იგი ნიღბით დაფაროს, მაგრამ რას უზამს ხასიათს?" და კიდევ "თითოეული ადამიანის ხასიათი ახდენს ზეგავლენას სხვა ადამიანების ბედზე".

იმედია, სწრაფლწარმავალი ახალგაზრდობა, გამოცდილება, გონების მწიფე და ასაკობრივი სიბრძნე "გალობანი სინანულისა"-ს თუ არ დააწერინებს, ზოგიერთს ცუდ მოგონებებს, სხვაგვარ შეფასებას მაინც მისცემს.

დაბოლოს, ამ სიტყვებით მინდა დავამთავრო:

"რაკი ადამიანს არ შეუძლიან კაცთა კრებულის გარეთ იცხოვროს ცალკე და მიუკარებლად, რაკი ერთმანეთობა ბედისწერასავით თვითოეულს ჩვენგანს – გვინდა თუ არა – სხვის გამკითხველად ჰხდის და უამისოდ კაცი კაცს ვერ შეხიდებია, ვერ შეეყრება, ვერ გაეყრება, აქედან ცხადია – რა დიდძალი მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს გრძნობას განკითხვისას კაცთა საზოგადოების არსებობისათვის. ხოლო ისიც ცხადია, რომ ვერ-გამკითხველი თავის თავისა სხვის განკითხვასაც ვერ შესძლებს და სწორედ აქ არის სათავეც ყოველის უბედურობისა. იმიტომ, რომ მაშინ მართალი აღარ ჰტრიალებს საზოგადოებაში და ყოველი უბედურება ხომ უსამართლობისაგან არის წარმომდგარი".

ილია

ახალგაზრდა ხელისუფალთ – კი ვურჩევდით – თუ გარემოებანი ქმნიან ხასიათს, მაშინ გავხადოთ ეს გარემოებანი ადამიანური.

*გაზეთი "ლიტერატურული საქართველო" 22 აპრილი 2005წ.*

## *ვის როგორ ესმის სიკეთე.*

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლია ვახტანგის ასული მეზვრიშვილი, 40 წლის – დედა.

ზურაბ ჭრელოს ძე დაიაური, 49 წლის – მამა.

შვილები: ლალი – 19 წლის, გათხოვილია გუდამაყარში.

ლელა – 16 წლის, ამჟამად სახლშია, ოჯახს უვლის, სწავლობდა შატილის სკოლა-ინტერნატში.

ლევანი – 14 წლის. არ სწავლობს. "უნიჭოა" (როგორც ჩანს, აქვს პრობლემები გონებრივი შესაძლებლობის მხრივ).

გულო – 11 წლის, სწავლობს შატილის სკოლა-ინტერნატში.

ზეზვა – 10 წლის, სწავლობს შატილში.

შმაგი – 9 წლის, სწავლობს შატილის სკოლა-ინტერნატში, გვიან შეიყვანეს. ტანსაცმელი არ ჰქონდათ.

ბიძინა – 5 წლის, სახლშია.

მარიამი – 4 წლის, სახლშია.

ლია 18 წლის გათხოვდა – მეზვრიანთკარიდან. ზურა ჩადიოდა იქ ნათესავებთან და მოეწონა. სიფრიფანა, კაფანდარა ქალია. ახლა ცოტა ავადმყოფური იერი დაკრავს.

ძალიან ნატანჯი ქალია ეს პატარა დედაკაცი. პირველი ბავშვი ცხინვალში შეეძინა და დაეღუპა. მერე – ლალი გააჩინა (ახლა რომ გათხოვილია). ლალის მომდევნო (რიგით მესამე) ბავშვი უკვე შატილში დაეღუპა, ზურას მშობლების სახლში.

მუცოში ქვის სახლი აქვთ. ერთი ოთახი ზევით, ერთი – ქვევით, სამზარეულო – მოდგმული.

პატარები – ქვევით წვანან, დიდები – ზევით. მოხუცი ბებია ცალკე, პატარა ოთახში ცხოვრობს, საჭმელი ბავშვებს მიაქვთ, თუ კარგი ამინდია, თვითონ მოდის საჭმელად. სახლს ვერაფერი ვერ მოუმატეს. ამდენი ბავშვის რჩენა – როგორია? თან მოხუცსაც უჭმელს ხომ არ დატოვებ;

როგორ გაბედა ამ გაჭირვებაში ამდენი ბავშვის გაჩენა? რმერთმა კარგად ამყოფოს ყველა, მაგრამ ლიას ხშირად უნდოდა ორსულობის შეწყვეტა. ხან ფული არ ჰქონდა საამისოდ, ხან დიდთოვლობამ და უგზოობამ შეუშალა ხელი. ბოლოს უთხრეს – დაზიანება გაქვს და ვერ გავბედავთ ხელის ხლებასო.

ასე შერჩა 8 სვილი და აგრემც დაურჩინოს განგებამ.

მუცოში თოვლი ნოემბრიდან დევს და აპრილის ბოლომდე არ დნება. ოჯახს ოთხი ძროხა ჰყავს. ადრე მეტი საქონელი ჰყავდა და ცვლიდა ნამატს ფქვილზე, მარილზე, შაქარზე, მაკარონზე. ზურას სმა უყვარს. უფრო მეტად, ოჯახში შემოსულის გამასპინძლება. კეთილია – ზედმეტად. შეუძლია სტუმარს ხბო დაუკლას. ბარაქა იკარგება. საქონელი რომ დაცოტავდა – ვეღარ ამატებენ. ამიტომ, ძალიან უჭირთ.

ვისაც საქონელი, ცხვარი ბლომად ჰყავს – არ უჭირს. მოჰყავს კარტოფილი, ბოსტნეული. მწვანილი ვერ მოიყვანა. ფრინველი არც ახლა ჰყავს და არც ადრე ჰყოლია. რაღაც ვერ მოარგო იქაურობას და ვერც არჩინა. საჭმელი უნდა, ბალახი, ხორბალი. ხორბალს ყიდვა უნდა. რა ბალახია ექვსი თვის თოვლქვეშ. აბა, ხილს რა დაამწიფებს! ეტყობათ კიდეც ბავშვებს ვიტამინების ნაკლებობა.

მუცოში მარტო ლიას ოჯახია. იქვე, ოთხ კილომეტრში სოფელი ხანისძირია, იქაც თითოოროლა მოსახლეა. დაიაურების რვა ბავშვიანი ოჯახი გამოკეტილა მუცოში, მაგრამ: "აპრილიდან რომ გადაიფარება იქაურობა ყვავილებით, ათასფერადი, ათასი ჯურის – იქაურობას არაფერი სჯობია. ბარში ვერ გავჩერდები" – ლიას აღსარებაა.

დაიაურების რვა შვილიანი ოჯახი 35 ლარს იღებს დახმარებას შვილების აღსაზრდელად (როგორია?). ცხოვრებასთან ჭიდილმა და შვილებზე ფიქრმა ლია გატეხა, ჯანმრთელობა შეურყია. აგვისტოდან ძალიან დასუსტდა. ვეღარ დგებოდა, წოლა ერჩივნა, სიარული უჭირდა, საჭმელსაც ვერ ჭამდა – გახდა, დაილია.

სექტემბრის 15 იყო (ამ დღეს რა დაავიწყებს). ასმათ ტყაბლაძე თავის ქალიშვილთან ერთად ავიდა მუცოში.

- დედა, მოდი, რამდენი ბავშვია. და აქ, დედამ – ასმათ ტყაბლაძემ ნახა მეორე დედა, რვა შვილის დედა – ფერმკრთალი, დაუძლურებული.

"ვეფხვისა და მოყმის" ქვეყანაში დედის ჭირისუფალ დედას რა გამოლევს და ასმათმა შესთავაზა:

- ჩამოდი, გიპატრონებ!

- აბა, როგორ ჩამოვიდე, ფული არა მაქვს:

ასმათმა გზის ფული დაუტოვა თბილისში ჩამოსასვლელად.

ლია 27 სექტემბერს ჩამოვიდა თბილისში. ასმათმა ავტოსადგურში მიაკითხა და საავადმყოფოში მოათავსა. ერთი კვირის განმავლობაში იკვლევდნენ. დაადგინეს – ჩირქიანი პერიტონიტი ჰქონია. იქვე გაუკეთდა ოპერაცია. ორ კვირაში ცოტა მოშუშდა. ამასობაში (ვითომ აკლდა) ტუბერკულოზი აღმოაჩნდა. ექიმებმა ითათბირეს, მკურნალობა დაუნიშნეს და შინ წავიდა. ამ ხნის განმავლობაში ასმათი არ მოსცილებია. ექიმებსა და ლიას შორის დარბოდა და მდგომარეობას არკვევდა. რვა შვილიან დედას ასმათმა უპატრონა. თავდაუზოგავად იზრუნა ავადმყოფ დედაზე, რომელსაც იქ, მთაში ქმარი, მოხუცებული და რვა შვილი ელოდებოდა.

ტუბერკულოზის გამო ახლაც მკურნალობს. ასე უთხრეს, წამლების შეჩერება არ შეიძლებაო.

ერთი თვე აცალა ავადმყოფობამ ლიას (ან კი როგორ უდგას სული ამ პეპელასავით ქალს?).

ნოემბერში საკვერცხის არეში ტკივილი დაეწყო. ძმამ წამოიყვანა დუშეთში. დუშეთის ექიმებმა ურჩიეს – "ისევ იქ წაიყვანეთ, სადაც ოპერაცია გაუკეთდაო". ჩამოვიდა თბილისში. ისევ იმ კლინიკაში. იქ მიასწავლეს: "შენ რადგანაც ტუბერკულოზის საწინააღმდეგო წამლებს იღებ – ტუბსაავადმყოფოში მიხვიდე, ჯობიაო". ასმათმა მოაკითხა და წაიყვანა "ხუდადოვზე". იქ უთხრეს: - "ჩვენი არ არისო, ანტიტუბერკულოზური წამლები მოხდენიაო".

ისევ მოაკითხა ასმათმა და რესპუბლიკური ცენტრალური კლინიკური საავადმყოფოს ქირურგიულ განყოფილებაში მოათავსა. კი არ დააწვინა, მოათავსა,

მოუარა, ექიმს ჩააბარა, მკურნალობაზე ყოველგვარი ხარჯები თავის თავზე აიღო:

ექიმს ჩააბარა-მეთქი, ვთქვი, თორემ ამ ექიმს რა სხვისი ჩაბარება უნდოდა, თვითონ იბარებს ავადმყოფს და მერე, როგორი ზრუნვით და პასუხისმგებლობით. ამ დალოცვილმა, როსტომ ცხვედიანმა (ღმერთო, უმრავლე ასეთი ექიმები საქართველოს). მანაც უმკურნალა; ლია მოკეთდა ფიზიკურად, სახლში დაბრუნდა და შემდეგ ისევ, ჩამოაკითხა "როსტომ-ექიმს".

ლიას ოპერაციამდე ერთი დღით ადრე, 2 დეკემბერს, მე მიმიყვანეს კუჭიდან სისხლდენით, საავადმყოფოში. ჩვენს პალატებს დერეფანი ყოფდა. ექიმი ვარ, მომკითხავებიც ძირითადად, ექიმები იყვნენ, ნათესავებიც და, რაც მთავარია, განყოფილებაში ჩემიანი, ჩემი კურსელი მალხაზ შანიძე მყავდა პატრონად. კეთილზნიანი კაცი და კარგი ქირურგი; გარდაცვლილი მეგობრის შვილი – ზურა, ყოველ ათ წუთში მაკითხავდა. ბატონი როსტომის ექიმობა მეც მერგო.

ლია რადენიმე დღეში უკვე ფეხზე იდგა; იმედიანი და გახარებული. გაცნობისთანავე ჩემს საწოლთან ჩამომჯდარმა თავისი ძნელი ცხოვრების, მთის სილამაზის, ავადმყოფობის, ბავშვების და ბოლოს ღმერთისგან გამოგზავნილი საჩუქრის შესახებ სიამოვნებით, დაწვრილებით მიამბო.

. . . " – ასმათს წუთითაც არ მივუტოვებივარ. ყოველ მოსვლაზე ტანსაცმელი მოაქვს. ასე მითხრა, გიქუჩებო. ბავშვებსაც უქუჩებს ტანსაცმელს. ორი წელია, რაც დუშეთის გამგეობა გვეხმარება. სამ თვეში ერთხელ ამოაქვთ და არიგებენ სიით პროდუქტს – მაკარონს, წიწიბურას, ბრინჯს, შაქარს".

მუცოში სინათლე არ არის. აბა, ტელევიზორს იქ რა უნდა. რკინის ღუმელი უნთიათ. მუცოს ზევით არდოტია. იქ მდინარეა, ჰესს აკეთებენ. კარგი გამგებელი ჰყავთ. ყველაფერს აკეთებს თავისი სოფლისათვის . . . ლამფა, ნავთი – საყიდელია.. მესაზღვრეები და ჯარისკაცები ეხმარებიან – "თუ რამე გინდათ - თქვით, ამოგიტანთო".

ლია არავის ავალდებულებს, მაგრამ საავადმყოფოში ასმათის მოკითხვა და რძლის მოსვლა – ძალიან უსარია.

ბავშვებს ლექსები უყვართ, აბა, რისი მთის შვილები არიან. პატარა მარიამი ამოსულ ტურისტებს რომ დაინახავს – გარბის: "ლექსი უნდა ვუთხრა, კამფეტებს მომცემენ. . . "

ლიას მულიშვილი – გელა დაიაური ლექსებს წერს, თანაც ძალიან კარგ ლექსებს. ახლა გელა შატილის სკოლაში ქართულ ენასა და ლიტერატურას ასწავლის. მაგლიშვილი, იაგო დაიაური, ქარბუქმა და ზვავმა იმსხვერპლა, თავის სიძესთან ერთად დაიღუპა. ობლად გაზრდილი ბიჭი იყო, კარგი ყმაწვილი. სწავლობდა, გეოლოგობა უნდოდა. თავის მთებში ძვირფასეულობის მოძებნას ნატრობდა, მაგრამ მთა მკაცრია. ცხოვრებაც მკაცრია, იცის ეს ლიამ, მაგრამ ისეთი სიკეთე მიიღო ადამიანისაგან, რომ სიკეთისა მეტად სწამს.

ასმათიც ადამიანია. გაუმარჯოს ასმათს და სიკეთეს!

*გაზეთი "ლიტერატურული საქართველო"*

## დარდით წასული კაცი.

ეს ადამიანი – ტრაგიკული ბედის იყო. ულამაზესი ახალგაზრდობა ჰქონდა. ერთადერთი ვაჟი ცნობილი მოქანდაკის. თვითონაც ნიჭიერი, კეთილგანწყობილი; მიმზიდველობა – ისეთი, ულამაზეს მამაკაცებს რომ შეშურდებოდათ. ამიტომაც – მეუღლეც იტალიური ნეორეალისტური ცნობილი მსახიობების დარი იყო. ქალიშვილი შეეძინათ და ამ ოჯახზე ბედნიერი მეორე – იშვიათად თუ მოიძებნებოდა.

ერთ დღეს დაიმსხვრა ეს ბედნიერება. ერთადერთი ქალიშვილი ტრაგიკულად დაიღუპა. დედის ფაქიზმა სულმა და სხეულმა ვერ გადაიტანა დარდი შვილიშვილს ზრდიდა, მაგრამ . . . მაინც შვილთან წასვლა ამჯობინა.

ძალიან გაუჭირდა მარტოდ დარჩენილ კაცს. საქმის დაწყება გაუძნელდა. თავს ძალას ატანდა. ამხანაგებიც ამხნევებდნენ და ჯუნა მიქატაძემ კიდევ შეძლო ფეხზე წამოდგომა. გვისაროდა ყველას – დაუბრუნდა ჯუნა ცხოვრებას და შეიქმნა მარი-ბროსე (არქიტექტორი რ.ბერიძე) მიხეილ ჯავახიშვილის სკვერში (1994წ.). ამას მოჰყვა იოანე პეტრიწი (1995წ.) ბარათაშვილის ქუჩაზე და ბოლოს ლადო გუდიაშვილი.

ჯუნას გუდიაშვილზე ნამდვილი გუდიაშვილი მხოლოდ ფილმით შემორჩა ქართულ კულტურას.

ალბათ, სწორედ ლადო გუდიაშვილი აღმოჩნდა ის ე.წ. ვარკვლავისდარი ქმნილება, რომელიც შემოქმედს ცხოვრებაში მხოლოდ ერთჯერ ეძლევა, თურმე.

არის "მზეჭაბუკი", დაგვრჩა გალაქტიონი, იეთიმ გურჯიც თბილისის მეხოტბედ დარჩა, მაგრამ ლადო გუდიაშვილი ჯუნას გედის სიმღერა აღმოჩნდა.

ჯუნასთან ურთიერთობა დღესასწაული იყო. ჩვენ, ახლობლები ვგრძნობდით და ვხედავდით მის ნიჭიერებას, მაგრამ სათანადოდ არ ვაფასებდით; ის ძალიან ახლობელი იყო და ალბათ, ამიტომ.

მარტო ფილმი "კუჩხი ბედნიერი" რად ღირს? ვისაც ახსოვს. ჯუნა ფეხბედნიერი მეკვლის როლში, სხვა თუ

წარმოუდგენია ვინმეს? ძალიან კოლორიტული იყო ეკრანზეც-კი.

თუ თბილისელი ხარ, ქუჩაში დაგდებული ასანთის ღერი უნდა შეამჩნიო. თუ თბილისელი ხარ – გულგრილობის უფლება არ გაქვს. ეს დანაშაულზე უარესია.

პირველად, მზეჭაბუკი რომ დაიდგა სპორტის სასახლის წინ (19645წ. არქიტექტორი ვ.ალექსი-მესხიშვილი), ჩვენი თაობა სიამაყით აივსო. არა, ეს არ არის მიქელანჯელოს "დავითი", მაგრამ ეს ჩვენი მზეჭაბუკია. სახელიც შესაფერისი აქვს. იყო სპორტის სასახლე, იყო სივრცე და ქართული გენის სიძლიერის სიმბოლოც დაიდგა ამ სივრცეში. დამშვენდა იქაურობა.

ახლობლის სიკვდილის ტოლფასი შეიქმნა ის ფაქტი, ის დღე, როდესაც "მზეჭაბუკს" წინ ლომბარდი ჩამოაფარეს. "პედესტალი" დაიფარა, წელამდე აღარ ჩანს ქუჩიდან თვითონ "მზეჭაბუკი". საერთოდ – ამ უსახური, წარწერებით აჭრელებული მინებიანი ლომბარდის ჩამოფარება როგორ იფიქრა, როგორ მოუვიდა აზრად, ვინ გაბედა, - ამ მოედანზე, ეს სივრცე გადაიკვეთა, მოიჭრა, გატყდა. ლომბარდმა და მასში განთავსებულმა ვალუტის გადამცვლელმა პუნქტმა, დამატებულმა ორმა ჯიხურმა შეურაცხყოფა მიაყენა – ქალაქს, მოქანდაკეს, ჩვენ.

- თბილისს,
- ყოველ ჭეშმარიტ მოქალაქეს.
- "მზეჭაბუკის" ავტორს – ჯუნა მიქატაძეს!

გარდაცვალებამდე 10 დღით ადრე ჯუნამ დამირეკა და ფეხის კუნთების ტკივილზე შემომჩივლა. ჩემს ბიძაშვილთან ნევროპათოლოგთან კონსულტაცია უნდოდა. მასთან ვიზიტის შემდეგ დამირეკა და კმაყოფილმა მიღებით და ექიმის ყურადღებით, მადლობა გადამიხადა.

ჩემი პასუხი:

- შენ ხომ ჯუნა მიქატაძე ხარ! რა გიკვირს?!

თავი ვერ შევიკავე და ჩემი გულისტკივილი გამდიდრების მსურველი ქართველი ლომბარდის მფლობელი ვანდალის უტიფრობის გამო გამოვთქვი.

ჯიხურებიც თან დაამატეს. სინდისი აღარ არის? გაეხარდა ჩემი თანაგრძნობა და მითხრა:

- იცი, რამდენი განცხადება დავწერე და ვის არ მივმართე ამის შესახებ? არაფერი არ გამომივიდა. სივრცე მოსპეს, პედესტალიც გამოუცვალეს. ეს ვინ არიან? იქით საქანელები, აქეთ ლომბარდი – დაიკარგა მოედანი და სპორტის სასახლის ფუნქცია. რომელი მარსის მოედანი ეს იყო, მაგრამ – სპორტის და ფიზიკური კულტურის სიმბოლო ხომ იყო?

შემეცოდა, თან გული დამწყდა, რომ ამდენ ხალხში, ამდენ შემოქმედში, გულზე მჯიღის დარტყმით ჰიმნის მომღერალ თაობაში – ნუთუ ერთს მაინც არ მოუვიდა აზრად, არ გაუჩნდა სურვილი, რომ პროტესტი გამოეხატა ამ უმსგავსობის, თავხედობის, უზრდელობის გამო, დაეცვა თბილისის და შემოქმედის უფლებები?

სახლში მისულს ქალბატონი ცისიასათვის, მისი ერთგული ადამიანისთვის, სიამოვნებით გაუზიარებია თავისი სიხარული . . .

- "კიდევ აწუხებს თურმე ვიღაცას ჩემი საწუხარი, "მზეჭაბუკის" წაბილწვა". თან წუხდა, თან – უხაროდა. ასეთი იყო ჯუნა.

4 დღეში რეანიმაციაში მოხვდა. 1 კვირაში გარდაიცვალა. წავიდა გულნატკენი, ნაწყენი და შეურაცხყოფილი. ადამიანმა, რომელმაც პირადი დიდი ტრაგედია გადაიტანა, გალაქტიონის, იეთიმ გურჯის, მარი ბროსეს, იოანე პეტრიწის და გუდიაშვილის ავტორმა სიკვდილის წინ მზეჭაბუკის შეურაცხყოფის დარდიც თან ჩაიყოლა.

არ ჰყავს ამ ქალაქს არქიტექტორი? მერი ხომ არის? ქალაქელი კაციაო, კარგი ოჯახისშვილიო, ამბობენ. მერე, არ აწუხებს ის, რაც ხდება მის ქალაქში? როგორი მოვლილია კულტურის ძეგლები? რატომ ვაშენებთ ახალს, თუ არსებულს ვერ მოვუვლით? რატომ ვერ ვაფასებთ ჩვენ ნიჭიერ შემოქმედ თანამემამულეთა ნიჭს? მოქანდაკისათვის მისი ქანდაკება შვილის ტოლფასია. რატომ ვუკლავთ მას კიდევ

ერთ შვილს? ლომბარდის გადატანა უფრო ადვილი არ არის, ვიდრე აღმაშენებლის ძეგლის გადატანა?

ჩვენი კულტურის სამსახურები, რომლებიც ასე ოპერატიულად, მიზანდასახულად აწყობენ უამრავ ეროვნულ სანახაობებს, კონცერტებს, (გამსვლელს თუ ადგილობრივს), ვერ ამჩნევენ ამ სიმახინჯეს ცენტრალური მოედნის მნიშვნელოვანი შენობის წინ? ასეთი მშვენიერი, გემოვნებიანი მანდილოსნები გვყავს სახელმწიფოს სათავეში – საკრებულოში, პარლამენტში, მთავრობაში, ნუთუ არც ერთი მათგანის ყოვლისმომცველ თვალს არ მოხვდა ის უმსგავსობა, რაც მათ დედაქალაქს ამახინჯებს, ხოლო მათი ქვეყნის ღირსეული დედაქალაქის ღირსებას აკნინებს? ან ის გმირი კანონმდებლები, ძვირადღირებული სახელმწიფო მოხელეები, რომლებიც მოქალაქეების კმაყოფაზე ცხოვრობენ, მათი გადასახადებით იღებენ ამხელა ხელფასებს, ერთხელ მაინც არ შეწუხდნენ იმ უკანონობით, რაც ჩადენილია ქალაქის, სპორტის სასახლის, თბილისელთა და ბოლოს "მზეჭაბუკის" და მისი ავტორის მიმართ?

ბატონ პრეზიდენტს მაინც როგორ გამოეპარა ასეთი უმსგავსოება და კანონდარღვევა? ის ხომ ამ ბოლო ხანებში სპორტის სასახლის სტუმარი იყო? მაგრამ ალბათ, ეჩქარებოდა და ვერ შეამჩნია, თორემ ისეთ ოჯახში აღზრდილ კაცს კულტურის ძეგლის ასეთი შეურაცხყოფა როგორ გამოეპარებოდა?

ისე, ქალაქის მერმა ერთი "კმარა" რომ უთხრას ამ უმსგავსობას – ვითომ არ იკმარებდა. არც მერს გაუჭირდებოდა ამის თქმა და საქმეც გაკეთდებოდა.

თუ ლომბარდი და ჯიხურები არ იქნა აღებული ჯუნა მიქატაძის "მზეჭაბუკის" წინ, მათ იგივე ბედი ეწევათ, რაც "მონანიების" დამნაშავის გვამს. ჩვენ, თბილისის მკვიდრნი, ქართულ კულტურას და მეცნიერებას ნაზიარები ადამიანები, ჯუნას მეგობრები და მისი გულშემატკივრები მოვითხოვთ – ქალაქის თავმა დაუყონებლივ მიიღოს ზომები, დაიცვას თბილისის და თბილისელების ინტერესები, რაც მთავარია დავიცვათ განსვენებული ჯუნა მიქატაძის ღირსება და ავტორის უფლებები. ჯუნა მიქატაძე თვითონ შევიდა

საქართველოს კულტურის ფონდის საგანძურში. გავუფრთხილდეთ ამ საგანძურს, რომელსაც ღირსეული ადამიანი ჰქვია.

*გაზეთი "ლიტერატურული საქართველო"*

## *სიტყვა – ნიჭის, მადლიერების და ღაზოობის შესახებ.*

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ სათაურში მკითხველისათვის მხოლოდ ერთი სიტყვაა შედარებით უცნობი – ღაზოობა. არა-და, იმ მადლიანმა საბამ სიტყვის კონაში ეს სიტყვა შურის ერთ-ერთ სახედ შეიტანა. "ღაზოობა" – არათუ ოდენ მწუხარებაი ქონებისა სხვისა კეთილსა ზედა, არამედ უძვირესიცა (!), რამეთუ ენებოს მოსპოლვა კეთილ მოქმედისა მის მოყვასისა". შურზე უარესიაო ბევრად, მოსპობა უნდა კეთილმოქმედი მოყვასისო.

ეს რაც შეეხება სათაურს.

ახლა, მკითხველს სასიამოვნო ამბავი უნდა მოვახსენო.

28 ოქტომბერს წვიმიან საღამოს თბილისის მუსიკის მოყვარულთ (არა მარტო მუსიკის), ხელოვნების, მხატვრობის თაყვანისმცემლებს დიდი ზეიმი ერგოთ წილად. ბატონ მერაბ ბერძენიშვილის მიერ შექმნილ უმშვენიერეს საერთაშორისო ცენტრში კულტურის სასახლეში, საუფლოში – კეთილშობილმა ქართველმა მუსიკოსმა, ღირსეულმა პიროვნებამ ბატონმა ლექსო თორაძემ თავისი "ფორუმი" წარუდგინა.

ახალგაზრდა და საკმაოდ მოზრდილი პიანისტები საქართველოდან და სხვა ქვეყნებიდანაც ბატონ ლექსოსთან დაფრთიანდნენ და ახლაც ძალიან მყუდროდ, კომფორტულად გრძნობენ თავს ამ გარემოში. მათი განსაკუთრებული სიახლოვე და სიყვარული მასწავლებლის მიმართ ადვილად შესამჩნევია, არ უნელდებათ და მათი ერთობა გრძელდება.

ასეთმა ზეიმმა – კონცერტმა, ექსპრომტმა, ალბათ სწორედ ამიტომ, ექსპრესიით, სითბოთი და რაც მთავარია, უზომო ნიჭიერებით სავსემ, გაათბო და ცოტა ხნით დაამშვიდა ჩვენი აფორიაქებული სულები (აფორიაქების საბაბი კი ნამდვილად იყო).

დარბაზის შესასვლელში თვით მასპინძელი, ბატონი მერაბი ხვდებოდა სტუმრებს; მომღიმარი, ბედნიერი სთავაზობდა დაგვიანებულებს სკამებს, თვითონ ემსახურებოდა.

დამერწმუნეთ, ეს დიდი პატივია ჩემისთანა ადამიანისათვის.

თვით ბატონი მერაბი – გულღია, კეთილგანწყობილი იდგა განათებული სასახლის შესასვლელში – ბეჭებგანიერი, ძლიერი, ჭაღარა და იცით ვის გავდა? ხანში შესულ, თავისი სიდიადით დაღლილ არწივს. არც მეტი, არც ნაკლები.

ეს მსგავსება პირველად არ გაჩენილა.

დიდ, დიდი ხნის წინათ, როდესაც მე ახალგაზრდა ვიყავი და ბატონი მერაბი არ იყო ასეთი გამოჩენილი მოქანდაკე, პირველ შეხვედრისთანავე მივამსგავსე არწივს. ვიფიქრე, ალბათ, თუ ოდესმე რომელიმე მთის მწვერვალზე ან ფერდობზე დაიდგმება არწივის გამოსახულება, ეს კაცი გამოდგება მოდელად – წარმოვიდგინე და მსგავსება სახეზე იყო.

ისე, რა კარგი თემაა – არწივი გაშლილი ფრთებით და მის ქვეშ მისი მსგავსი მართველები.

თუმცა, ჩემი თემა რა მოსატანია. როგორი ბოკვერებივით ბიჭები ამოუყენა დედას აქეთ-იქით ალგეთის ველზე, რომელიც აღმოსავლეთს უყურებს. უსიტყვოდ მიანიშნა მტერს: "კიდევაც დაიზდებიან"-ო. დედამ ხმალი დააჭერინა ხელში ბოკვერებს; მძიმეა, მაგრამ აჩვევს. თუ ქართველი ხარ, ამ ფეხმაგარ, დედის კალთით ზურგგამაგრებულ და საქართველოს დამცველად გამზადებულ ბოკვერებს გულგრილად ვერ გაუვლი.

ამ ქანდაკების მინიატურა მაქვს სახლში და მის შემხედვარეს მეიმედება!!!

ისე, მაინც რა არის ნიჭი!

- "ნიჭი – საბოძვარი. უფალთა მიერ საბოძვარი. ჯერ უფალმა უნდა გამოგარჩიოს. მერე, უნდა გიბოძოს, "საბოძვარი" – ნიჭი.

ნიჭი არ კმარა მხოლოდ, ნიჭს სიკეთით მოხმარება უნდა. ამას მადლი ჰქვია.

- "მადლი არის ყოველივე კეთილი", - საბა.

უფალმა განსაჯოს, რისი ღირსია ის, ვინც მერაბ ბერძენიშვილის ნიჭიერებაში და "ყოველივე კეთილში", ანუ მადლში ეჭვს შეიტანს. შემოქმედმა, რომელმაც

- საქართველოს კარიბჭესთან მომავალი გმირები დაუყენა დედას და ხმლის სიმძიმემ არ მოხარა.

- ქალაქის სიმყუდროვეში, საქართველოს "გადახვეწილ მეცხოვნეს", - სამშობლოს დარდით დაღლილ გურამიშვილს გულზე წიგნი მიადებინა, როგორი მინიშნებით ათქმევინა ქვას დავითის სურვილი – ანდერძი წიგნის შესახებ:

"მე უშვილომან ვთქვი: თუ ვიშვილებ ამასო". წიგნი ბარს რეკს: "ისწავლე სწავლის მძებნელო".

- გმირობით, წინააღმდეგობებით, პარადოქსებით სავსე საქართველოს ისტორიის დასაცავად კასპში ისეთი გიორგი სააკაძე აღმართა, რომ უნდა ირწმუნო – ამ კაცმა შვილი გაწირა ქვეყნის სანაცვლოდ, მაგრამ ბედის უკუღმართობამ მისი ერთგულება ეჭვქვეშ დააყენა.

ბატონი მერაბის გიორგი სააკაძე – რეაბილიტაციაა, რწმენაა. რწმენა – კი იმედია.

- მუზა არ არის მარტო სული შთამაგონებელი. ბატონმა მერაბმა მიწიერი, განსხვავებული, მიწაზე ძლიერად მდგარი, ფართოდ გაშლილი მკვრივი მკლავებიანი კეთილად და იდუმალად მომღიმარი ქალი აჩუქა თბილისს მუზად.

სხვა თუ წარმოუდგენია ვინმეს მის მაგიერ?

- საჯარო ბიბლიოთეკის ცენტრალურ შესასვლელში, ეტრატით ხელში შოთა გვხვდება. "მას ტანსა" მარჯვნივ, ნაკეცებად დაცემული კაბა მოსავს. მხოლოდ ამ თითებს შეეძლო დაეწერა:

"უხვად გასცემდე, ზღვათაცა შესდის და გაედინების!"

უყურებ და საფიქრალს გაიჩენ" – დიდ თამარს უნდა მიართვას შოთამ ეს ეტრატი, რომელიც მსოფლიო მნიშვნელობის წიგნად იქცა. იქნებ, ვერ გადაუწყვეტია – ვით შებედოს და შეკადროს?

- ცალთვალა ილიკო, ზურიკელა და ილარიონი: მათ ტოლი არ ჰყავთ მეგობრობაში; - ასე შეიძლებოდა მხოლოდ ნოდარ დუმბაძეს გამოექანდაკებინა. მისი ოლღა ბებიას ხასიათს თუ ასე კარგად იცნობდა ვინმე – ამასაც ვერ წარმოიდგენდა ბატონი ნოდარი . . ბედნიერია ჩვენი თაობის გამხარებელი მწერალი სასულეთში, რომ მის საფლავზე

მიმსვლელს საყვარელი ილარიონი, ცალთვალა ილიკო, ობოლი ზურიკელა და ყველა ბებიაზე უკეთესი ოლღა ბებია შეხვდება.

- ბრინჯაო ვერ ფარავს იმ სიკეთეს, რაც ბატონმა მერაბმა ნოდარ დუმბაძის სულში დაინახა. ეს ქმნილება ეჭვს არ გიტოვებს, რომ მხოლოდ ამ კაცს შეეძლო დაეწერა: "სისხლი", "ჰელადოსი", "ძაღლი", "მე ვხედავ მზეს". სიკეთე სახის თითოეულ ნაოჭშია და სიყვარულით რომ არის ნაქანდაკები – ეჭვს არ იწვევს.

- ქუთაისის მემორიალი, კოლხი მედეა, ქუთაისის მემორიალ-მონუმენტური – მემორიალური ქანდაკების იშვიათი ნიმუშებია.

- ამერიკაში მიჩიგანის შტატში დადგმული 5-მეტრიანი საქართველოს სიმბოლო ბატონმა მერაბმა ძალიან ორიგინალურად მიაწოდა ამერიკელებს. – გოგონა ვაზით და ხილით დატვირთული, სიუხვის, სიყვარულის და სიკეთის სიმბოლო.

- ლაოსში, ლაოსის მეფის (სისვანგ-ვონგი) ქანდაკებამ მის მშობლიურ ქალაქში და დედაქალაქში ლაოსელთა დიდი მოწონება დაიმსახურა.

- მოსკოვში, ქართველთა ძველი დასახლების უბანში, "ბოლშაია გრუზინსკაიაზე" – შოთა რუსთაველი ამხნევებს იქ მყოფ ქართველებს.

რომელი ერთი ვთქვათ და რად უნდა ბატონ მერაბს ნიჭის, საჭრეთელის, კაცობის ქება და დაცვა. ერთი რამ არის კიდევ, რაც ძალიან ეხმარება ბატონ მერაბს მიზნის მისაღწევად. ესეც ნიჭია – ხედვა ჰქვია.

"ხედვა არის თვალის ჩენა, გინა საქმე საცნაური, გინა მეცნიერება". "ხედვად უწოდენ ფილასოფოსნი მეცნიერებასა" (საბა).

ხედვა – მარტო მიზნის დანახვა არ არის; არც არჩეული სუბიექტის ხასიათისა და თავისებურებების პოვნა. ხედვა – ეს მეცნიერებაა. მეცნიერება – ეპოქაში გარკვევის, ეროვნული მახასიათებლების პოვნის.

ხედვა მეცნიერებაა სამიზნედ შერჩეული პიროვნების ღირებულებების, მისი ძლიერი თუ სუსტი მხარეების წვდომის, ხასიათის უპირატესი ხაზების გამოყოფისა და სხვა.

ამდენად, ბატონ მერაბს ნიჭის, მადლის და სიკეთის გარდა – ხედვის დიდი უნარიც ჰქონია, ანუ "თვალის ჩენა, საცნაური საქმის ქმნა".

სწორედ ამ "თვალის ჩენამ" შექმნა "დოდო აბაშიძის" სკულპტურა: ფიზიკური სიძლიერის საუცხოო შერწყმა ბავშვურ, კეთილ, და ადამიანთა სიყვარულით სავსე ხასიათთან.

- ალბათ, ანჩისხატის წინ ტიციანი ასეთ კვარცხლბეკზე უფრო მისაღები და გამართლებულია, თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ ასე გგონია – ახალა გაიხსნებიან ეს ბაგენი, რომ ქვეყანას ამცნონ პოეტის ფიცი:

"დავბადებულვარ, რომ ვიყო მონა
და საქართველოს მედგას უღელი".

მე თავად – კი გული მწყდება, რომ ტიციანის ჯიბიდან მიხაკი არ იყურება (!).

- სანდრო ახმეტელს, მის ლამაზ სახეს, უტეხ, შეუპოვარ სულს ბრინჯაოში – კი – ისეთი სიცხადით გადმოსცემს ავტორი, რომ მნახველისათვის ცხადი ხდება – გამორჩეულია ეს კაცი და გამორჩეულებს არ ინდობენ.

ბატონი მერაბი მტკიცე ნაბიჯით შემოვიდა თავიდანვე ეროვნულ შემოქმედებაში. თვითონაც სტიქიის მსგავსმა, სტიქიასავით შემოიტანა ამ ქვეყანაში ნაცნობი, მახლობელი, მაგრამ – თავისებური. ერთი მხრივ, ისეთი ქართული, ეროვნული და ნაცნობია მისი ყოველი ქმნილება, რომ გგონია მხოლოდ ჩვენია, ჩვენთვის გასაგები. ამავე დროს, როგორი განსხვავებულია თითოეული ერთმანეთისაგან, ეხმაურება ზოგად ევროპულ, ქრისტიანულ პლასტიკას და მეთოდს.

ფილოსოფიის დოქტორმა, ხელოვნებათმცოდნეობის კათედრის პროფესორმა მ.კოგანმა თავის ფუნდამენტურ ნაშრომში: "მერაბ ბერძენიშვილის მაღალი ხელოვნება და XX, XXI საუკუნეების მხატვრული კულტურის პრობლემები" ბატონ მერაბის შემოქმედებას ამაღლებული უწოდა. სწორედ

იმიტომ, მის სკულპტურათა შექმნაში ხელოვანის ფსიქიკისათვის აუცილებელი რამდენიმე მთავარი უნარი განსაზღვრავს – აზროვნება, ემოციურობა, წარმოსახვა (ფანტაზია), დიალოგური განწყობა და მოცემული სტრუქტურების ქანდაკებაში გარდატეხა.

ექსპრესიულობა, ზნეობრიობა, ადამიანის სიდიადის და მშვენიერების დამკვიდრება – ეს არის მერაბ ბერძენისვილის ცხოვრების, ანუ შემოქმედების მთავარი მიზანი.

პროფ. მ.კოგანი შესანისნავად ახასიათებს ბერძენიშვილის შემოქმედების თავისებურებას: "შოთა რუსთაველის ბრინჯაოს თავი მატერიალურ-ნივთიერი და უძრავია, მაგრამ ჩვენს თვალწინ ცოცხლდება და ჩვენ ვხედავთ რა ხდება პოეტის ცნობიერებაში".

მერაბ ბერძენიშვილის შესახებ ჩემი, მხოლოდ ერთი მოქალაქის აზრი მინდა მოგახსენოთ მხოლოდ.

დავით აღმაშენებელი, დავითი – მეფე, დავითი – პიროვნება, დავითი, - პოლიტიკოსი.

მძიმეა გვირგვინი,მაგარია ტახტი,გავალებს სკიპტრა.

დაიდგა გვირგინი 16 წლისამ. დავაქკაცდა, გაძლიერდა ომში, ჭიდილში, სამშობლოს ხსნასა და გადარჩენისათვის ფიქრში. მწიგნობარი მეფე, სამართლიანი, მკაცრი, დაუნდობელი.

გემოვნებაზე არ დაობენო, ამბობენ. როგორ არ დაობენ! დაობენ და მერე როგორ! არა. არ შემდგარა დავა დავით აღმაშენებლის, - ქანდაკების მხატვრულ ღირებულებაზე. შედგა "საიდუმლო სერობა", სადაც ვიღაცამ 30 ვერცხლად კი არა, დიდ ფულად გაყიდა დავითი.

დავითმა თბილისელებს მათი ქალაქი 300 წლის ტყვეობიდან დაუბრუნა. არ აღმოჩნდნენ თბილისელები მაღლის გადამხდელნი - ვერ დაიცვეს მეფე.

ერწუხის გმირი, ქვეყნის აღმაშენებელი, სამშვილდის დამხსნელი, თრიალეთის უმაგალითო სარდალი, ბასიანის და დიდგორის გმირი მხედართ მთავარი, ბოლოს – თბილისის დაბრუნება – ასეთი იყო დავითი.

დავითი პოლიტიკოსი და დიპლომატიური სვლების დიდოსტატი (ყივჩაღების ჩამოსახლება, კავშირი მონომახთან) – ეს იყო დავითი. რკინის ხელი, წიგნიერი და განსწავლული გონება; დაუზოგაობა "ქვეგამხედვარებისადმი" – აი, როგორია ბატონ მერაბ ბერძენიშვილის დავით აღმაშენებელი და ვისაც არ მოსწონს – სხვა შექმნას, უკეთესი.

ისე კი, ჩვენ, საზოგადოების იმ ნაწილს, რომელსაც მოგვწონს (ასეთი –კი ბევრად მეტია, ვიდრე გგონიათ) – დაგვითმონ ასეთი დავითი. ჩვენ ძალიან მადლიერები ვართ.

ერთი-ორი სიტყვა მადლიერების შესახებ:

"მადლიერი იგი არს, რომელმან დაიხსოვნოს კეთილმოქმედება მის ზედა ქმნილი" (საბა).

თბილისელებს სურთ გამოიჩინონ მადლიერება დავითის წინაშე. ეს ჩვენი ვალია.

2002 წელს გამოვიდა ბადრი ქუთათელაძის წიგნი "თბილისის ქანდაკება. პოეზია ქვაში".

წინასიტყვაობაში (ავტორი – ე.ამაშუკელი, მ.ბერძენიშვილი, ვ.დავითაია) ავტორები დიდ მადლობას უხდიან წიგნის ავტორს, რომელმაც სამყაროს გააცნო მონუმენტებისა და მემორიალების წიგნი. " მადლიერებით მოიხსენიებენ აგრეთვე მერიას, ყველა პირს თუ ორგანიზაციას, რომელმაც თუნდაც მცირედი წვლილი შეიტანა ამ მეტად საჭირო წიგნის გამოცემაში".

თურმე ბატონ მერაბს – მადლიერების გრძნობაც ჭარბად ჰქონია.

რაც შეეხება მადლის გადახდას, ეს უკვე ჩვენ, მოქალაქეებს და ჩვენს ხელისუფალთ მართებს. შემოქმედის ნიჭის ნაყოფი – საბოძვარიაო, ამბობს დიდი სულხანი, ხოლო საბოძვარის გაცემას – მადლიერება ეკუთვნის.

"მადლის გადახდა" – ესე არს, ვინცა კეთილი გვიყოს ნაცვალი ვაგოთ ანუ სიტყვით, ანთუ საქმით, ანუ თაყვანისცემით" (ს.ს. ორბელიანი), თაყვანისცემას არ გთხოვთ, საქმით – მაინც "ვაგოთ ნაცვალი".

როდესაც ბატონმა მერაბმა ნინოწმინდის ახლადგახსნილი სკოლის ბავშვებისათვის ფეხსაცმელებით,

სპორტული ტანსაცმლით აავსო მანქანა, მადლობა არ მოუთხოვია. არც ჩაუთვლია ეს ფაქტი აღნიშვნის ღირსად.

არ ჰქონია ჩვენი ქალაქის ახალგაზრდა მთავრობას "მადლის გადახდის" ნიჭი. ფულის დათვლის ნიჭი გამოამჟავნეს მხოლოდ. ბრალდებად წაუყენეს ნაშრომში მასალაში, დახარჯულ დროში, დიდ შრომასა და ღვაწლში ფულის აღება. საკვირველია, ნამდვილად – ვინ არის ქვის მსროლელი?

ამბავი, რომელიც მაყურებელს საკრებულომ აჩვენა, - შემზარავი იყო. ბეგაშვილს პატივს ვცემდით: "დედაჩემს მცხეთა უყვარს და იმიტომ ვუყიდე ყოფილი ჩინოვნიკის სახლი დედაჩემსო" – გამოაცხადა – ვიფიქრეთ: რა კარგი კაცი ყოფილა, დედა როგორ ჰყვარებია – გაგვეხარდა. ჩვენს მოგვხედავს, ალბათ, ჩვენც ხომ დედები ვართ? – ვიფიქრეთ ასე.

- ეს რა სთქვა. "მაინც ჩვენსას გავიტანთ, ჩვენ ბევრნი ვართ"-ო.

ქალბატონმა ნანული ქაჩიბაიამ სირცხვილისაგან სახეზე ხელები აიფარა. ისე, პირველ მოგახსენებთ, რომ სიმრავლე, ანუ რაოდენობა ხარისხს არ ნიშნავს. რაოდენობა არ გადადის ხარისხში. თქვენ, იქ, საკრებულოში ხართ უფრო მეტი, მაგრამ . . .

- ისე, მკითხველს უნდა მოვახსენო, რომ გასაკვირი კი იყო დადუმებული ქალბატონ ნონა გაფრინდაშვილის დანახვა. ქალბატონი – დედოფალი დიდი მეფის პოზიციას ვერ იცავდა?

ქალბატონო ნონა! დარწმუნებული იყავით, თქვენ, ჩვენს პირველ დედოფალს რომ რაიმე გაგიჭირდეთ, ჩვენ ისე დავდგებით თქვენს გვერდზე, რომ სიოსაც არ მოგაკარებთ. თქვენგან ამჯერად მეტს მოველოდით. სხვებისგანაც, სხვათაშორის . . .

გასაგებია, ტელევიზიაში მოწვეული უსახური "საბოძვარის" გარეშე დარჩენილი ხალხი რომ აყვირდება; არც თავის არცთუ ცუდ გვარს სცემს პატივს, არც იმ ღირსეულ ადამიანებს, ვინც მართლა შექმნა ქართული კინო, თეატრი; ალბათ მათ თავისი გაჭირვება აქვთ.

საბა ამბობს: "შური-არს მწუხარება სხვის კეთილსა ზედა"-ო. მაგრამ "გვაჯი" – რა ყოფილა, ახლა გავიგე (სწავლა სიბერემდე); "გვაჯი" – არს არათუ მწუხარებაი, არამედ სხვის საწინააღმდეგოდ, ანუ უადრეს, ანუ შემდგომად ქმნას". "ღაზოობა" –კი ამაზე უარესია, "რამეთუ ენებოს მოსპოლვა კეთილმოქმედისა მიოს მოყვასისა".

მერაბ ბერძენიშვილი, რომ კეთილმოქმედი მოყვასია, რომელსაც უფალმა თურმე ნიჭი, ანუ საბოძვარი მიართვა, მადლიც დაუმატა, სიკეთეც და ხედვის უნარიც, - ეს უდავოა, მაგრამ რა ვუყოთ მათ, ვისაც "მადლის გადახდის" უნარი არ არმოაჩნდათ, შურსაც არ ყოფილან მოკლებული, "გვაჯიც" ახასიათებთ თურმე და "ღაზოობაც". ანუ სიავის, სხვისი არც ნიჭიერება უხარიათ და "წინააღმდეგობაც" მოუნდომებიათ "კეთილმოქმედი მოყვასისა". ისე არც ზრდილობა აღმოაჩნდათ მაინც და მაინც.

რატომ უნდა წყვეტდეს ეს უსახური ხალხი დავითის ბედს? საქართველოში გამოილია გამორჩეული არქიტექტორები, მწერლები? მხატვრები, მეცნიერები? ქალაქს თავი თუ არა, მერი ხომ ჰყავს? არ დაიმსახურა ბატონმა მერაბმა, საქართველოს კულტურის ფონდის თანადგომა, რომ მასთან მოსალაპარაკებლად ჩვენი ახალგაზრდა მთავრობის ახალგაზრდა წარმომადგენლები წვეოდნენ და ბატონი მერაბი იძულებული არ გამხდარიყო თავისი თავი, თავისი ნიჭი, თავისი შრომა და დავით მეფე დაეცვა.

ბატონებო! თუ მართლა ქალაქის გეგმა აუცილებლად მოითხოვს ძეგლის გადატანას, ნუ მოგერიდებათ, ეწვიეთ ბატონ მერაბს და თვით გადაწყვიტოს დავითის ბედი.

ვინც არ იცის, მათ შევახსენებნე – ქანდაკებაზე მუშაობა მოქანდაკისა და არქიტექტორის ტანდემია, სინქრონული და შემოქმედებითი. ამიტომ აწერია ქანდაკებას ავტორის და არქიტექტორის გვარიც. ასე პარტიზანულად, გასაიდუმლოებულად. ძეგლის ავტორთან შეუთანხმებლად როგორ დადგით პედესტალი? იქნებ არ მოსწონს ძეგლის ავტორს ეს კვარცხლბეკი?

პარტიზანობა მხოლოდ ომის დროსაა გამართლებული, ჩვენ კი მშვიდობა გვინდა.

P.S. 1 ნოემბერს დავითის ძეგლთან ამწე იდგა. დავითი დაშალეს და ნაწილ-ნაწილ გაიტანეს. ბევრმა დაიტირა მეფის ხელმეორე სიკვდილი. ძნელი საყურებელი იყო, ნამდვილად.

ორი დღით ადრე მოსალოდნელის შესახებ ვესაუბრებოდი ბატონ მერაბს. სავარძლის ზურგს სცილდებოდა მისი განიერი ბეჭები, მაგრამ შევამჩნიე რომ ამ ძლიერ კაცს ბავშვის მზერა ჰქონდა, - არ სჯეროდა ბოლომდე, რომ დავითს ხელყოფდნენ. მე კი ახლა დავრწმუნდი, რომ არსაკიძის სიტყვები "დამიჭირეს მკლავი მომჭრეს რატომ კარგი აგიგია" – რეალობა ყოფილა. არ ყოფილა საქართველოში სამოქალაქო საზოგადოება.

*გაზეთი "ლიტერატურული*
*საქართველო" 4 ნოემბერი 2005წ.*

## მართლმსაჯულება სიკეთისა და სამართლიანობის ხელოვნებაა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ ბოლო ხანებში ჩვენი ხელისუფლების მაღალჩინოსანთა (და ძალიან მაღალხელფასიანთა) გახშირებულმა არაობიექტურობამ, აშკარად მცდარმა განცხადებებმა საბოლოოდ დამარწმუნა, რომ სათანადო სამსახურები და კერძოდ პრეზიდენტის პრეს ცენტრი პრეზიდენტს ზოგავს; ცუდად ზოგავს. თვით რჩეულის, ქვეყნის პირველი პირის და იმ ხალხის საზიანოდ, რომელმაც იგი აირჩია.

ბატონმა მერაბიშვილმა (უშიშროების და საქმეთა მინისტრმა) თავის სატელევიზიო გამოსვლაში ბრძანა:

"მე ვამაყობ, რომ ჩემი მოღვაწეობის (!!) პერიოდში საქართველოში კანონიერი ქურდები მოვსპეთ და კრიმინალური დაჯგუფებები გავანადგურეთ" (?!)

რასაკვირველია "მოღვაწეობა" – ისეთი ცნებაა, რომელიც ცოტა სიფრთხილეს და მოკრძალებას მოითხოვს. საკუთარი საქმიანობის შეფასებისას ილიაც კი არ ხმარობდა ამ სიტყვას ასე თამამად. ამ გამოსვლიდან ორ დღეში შუა ქალაქში, შუა დღეს, ხალხის თვალწინ, დაუფარავად, უღვთოდ სცემეს დეპუტატი ვალერი გელაშვილი.

შვიდმა ნიღბიანმა იგი ისე დაასახიჩრა (თან 10000 დოლარი გაიყოლეს), რომ თავის ქალის ძვლები ხელახლა ასაწყობი შეიქნა.

საზოგადოება ელოდა, რომ მთავრობა, პარლამენტი თავის აღშფოთებას გამოხატავდა და პირველივე დღეს ის მინისტრი გააკეთებდა უმკაცრეს განცხადებას, რომელმაც "კრიმინალური დაჯგუფებები" "თავისი მოღვაწეობის პერიოდში გაანადგურა". უმაღლესი ნდობით აღჭურვილი ის პირი, ვისაც ქვეყნის შიგნით ადამიანის უსაფრთხოების დაცვა აბარია ან არ უნდა აკეთებდეს ასეთ კატეგორიულ განცხადებებს: "მშვიდად იძინეთ, იშრომეთ საქართველოს მოქალაქენო! მე თქვენ გიცავთ!". ან – მიწიდან უნდა ამოიღოს გელაშვილის მიმართ ღიად ჩადენილი დანაშაულის

დაშინება-შურისძიების ჩამდენი ყაჩაღები. არც გენერალურ პროკურორს გაუკეთებია განცხადება.

დაშინება-შურისძიების მიზეზზე ფიქრის უფლებას ვი გვაძლევს ვალერი გელაშვილზე თავდასხმის წინა შუქარა. ხელისუფლების მიერ დანაპირები თანხის მოთხოვნის გამო. ეს ერთი, ამას მოჰყვა ადამიანების გატაცებათა მთელი სერია; აქედან, მხოლოდ – ერთი, ბავშვი იქნა დაბრუნებული. როგორ და რის ფასად? – უცნობია.

ამავე დროს არ შეიძლება არ ავღნიშნოთ, რომ საზოგადოება მიესალმება ნარკომანიასთან ბრძოლას, რასაც სათავეში ბატონი მერაბიშვილი უდგას. ყოველი მოქალაქე მზადაა მხარში ამოუდგეს მას ამ საქმეში. ჩვენ გვინდა დავიჯეროთ მისი დაპირებები, რომ მიაღწევს "საქართველოს გათავისუფლებას ნარკომაფიებისაგან" მაგრამ . . . რატომ გახშირდა თვით მისი უწყების თანამშრომელთა დაპატიმრებები ნარკოტიკების გასაღებისათვის?

- ბატონებო! უფლებამოსილებო!

საზოგადოება მოითხოვს საკითხის გასარკვევად და გამჭვირვალობისათვის (სიტყვა დემოკრატიის შვილობილია) შეიქმნას ნდობის, პატიოსნების, მოქალაქეობრივი პოზიციით შერჩეული პიროვნებების ჯგუფი, ე.წ. "სანდოთა პარტია", რომელიც დაესწრება ამოღებული ნარკოტიკების განადგურებას.

მკითხველი მინდა დავარწმუნო, რომ ქვეყნის პრეზიდენტი ვერ ისმენს და არც აწოდებენ ცნობებს იმის შესახებ, როგორ იმატა ქურდობამ და ყაჩაღობამ; რომ იცოდეს, მიხვდება, რა უშუალო კავშირშია უმუშევრობა, უსამართლობა, ქურდობა და ყაჩაღობა ერთმანეთთან. მაინც ახალგაზრდაა პრეზიდენტი და ქვეყნის აღმშენებლობის თავისი პროგრამა აქვს, რომელშიც არ შედის უმუშევრობის მოსპობა და უპოვართა დახმარება, თორემ, რომ იცოდეს, ისეთი კომისიის გამოყოფას როგორ დაუშვებდა, რომელიც 28-ლარიან პენსიონერს ეუბნება: "თუ კარადა გაქვს, რა გაჭირვებული ხარ, გაყიდე და მოიხამრე"-ო. ასეთი კომისიები ჩემი, (არა, თქვენი - არა), ჩემი ახლობლების, ჩემი

ავადმყოფების ოჯახში "ადგენდნენ" სიღარიბის დონეს, შეურაცხყოფილნი იყვნენ პენსიონერები – კარადა რომ გავყიდოთ, მერე რაღა გავყიდოთ? კითხულობენ.

- ხელისუფალთა შეცდომებზე მინდა ერთ-ორ მოგახსენოთ: ამას წინათ, პროკურატურის ეზოში მშენებარე ეკლესია რომ დავინახე, გავოცდი. ეკლესია პროკურატურის ეზოში! გავიკითხე, წავიკითხე, არსად არც გაუგონიათ, არც დაწერილა მსგავსი რამ.

- არც შეიძლება იყოს და რატომ? მოგახსენებთ.

"იმედის" არხზე ქალბატონ ინგას მოწვეული ჰყავდა გენერალური პროკურორი. სხვათაშორის, ამბობენ, განათლებული და გონიერი ადამიანიაო. დალოცოს ღმერთმა, თუ ასეთია! მაგრამ . . . შევეცდები მოგაწოდოთ, რისი ჩაწერაც მოვასწარი გადაცემის პროცესში.

გენპროკურორი: "ჟვანიას სიკვდილი ეს არის ტრაგიკული შემთხვევა. არა გვაქვს ტექნიკა, რომ ბოლომდე დავადასტუროთ თითის ანაბეჭდები".

ქალბატონი ინგა: ამდენი ფულით რეაქტივები და ერთი აპარატი ვერ შეიძინეთ, როგორ გეკადრებათ, ასეთი რამ? – რა ხდება კეზერაშვილის ჩანაწერთან, ტელეფონებთან დაკავშირებით?

- გენპროკურორი: ეს ხდება სასამართლოს სანქციის საფუძველზე. აქ იყო სანქცია, ეჭვს არ იწვევდა.

- ქალბატონი ინგა: - "შეფს მთელმა ხელისუფლებამ აღმოუჩინა დახმარება. თქვენ არ გაგიჩნდათ კითხვა?

გენპროკურორი – არა (!!!)

ასეთი პასუხის შემდეგ ამ საკითხზე ჩვენც არ გვაქვს შეკითხვა. იმდენი შეკითხვა ჩნდება, რომ ბატონი ადეიშვილი ფიზიკურად ვერ უძლებს ამ კითხვებზე პასუხის გაცემას.

საუბარი იმ ფონდებს შეეხო, რომელთა არსებობას აღასტურებენ ისინი, ვისაც ფული "დაადებინეს" ფონდში (რა არის ეს – არავინ იცის და სად მიდის ეს ფული), და უარყოფენ ისინი, ვინც ეს ფონდები შექმნა.

ბატონი ადეიშვილი: - "ეს არ არის დაჭერებიდან ამოღებული ფული. ფონდში ფულის მობილიზებას არ აქვს არავითარი კავშირი შინაგან საქმეთა სამინისტროსთან და

პროკურატურასთან. ეს არის ფული, ბიზნესმენების მიერ შემოწირული. ფული ეს არ არის დამოკიდებული იმაზე, დაიჭერენ თუ არა".

- აქ უნდა შევჩერდეთ. უ.ს. უნდა შეჩერდეს გენპროკურორი, რომელსაც ეზოში ეკლესია აუგია და, ალბათ, ის მცნებაც იცის, რომელიც ამ ეკლესიის არსებობის კოდექსის საბაზისო მუხლია – "არა იცრუო!"

მე ხელთ მაქვს ფონდის ქვითარი, სადაც დაკავებულ წინა პატიმრობაში მყოფ ავადმყოფ (!!!) პიროვნებას წაართვეს 4000 ლარი. რადგანაც მოწმის უსაფრთხოება ჩვენს ქვეყანაში დაცული არ არის, მე ვერ გავწირავ ამ ქვითრის პატრონს და ძალიან ფრთხილად მოგართმევთ მას განსასჯელად. . . ბატონო პროკურორო!

ქალბატონი ინგა – "ახალ ვერსიაში" ეწერა ამ ფონდების შესახებ!

ბატონი ადეიშვილი: - "ეს არასერიოზულია. ამ ფონდის ანგარიშები არის გამჭვირვალე. მე მგონი, ეს ფონდი გაუქმდა კიდეც. ეს ინფორმაცია არის ღია. ყველას შეუძლია მივიდეს და ნახოს – ვინ შემოიტანა (?!) თუ ვინმე ჩაერთვება კორუფციაში, წავა ციხეში, ეს მარტივია. საპროცესო გარიგების მსგავსი გარიგება აღარ მოხდება."

- ქალბატონი ინგა – რისთვისაა ეს თანხები?

- გენპროკურორი: - ჩინოვნიკებისგან ჩამორთმეული თანხები მიემართება დანიშნულების მიხედვით. ამ ფონდებში ნებაყოფლობითი შემოწირულობებია (ცდება გენპროკურორი - წართმეულია).

ერთ-ერთი "ნებაყოფლობითი შემოწირულობის" ნიმუშის დემონსტრაცია უკვე მოვახდინე: როგორ და რა გაჭირვებით დააგროვა ამ კაცმა ეს თანხა – ეს ერთი საკითხია, მეორე – როგორ წაართვეს პოლიციაში დაკავებულის მამას შვილის თავისუფლების სანაცვლოდ ეს სიმწრით შეგროვილი ფული – რატომ ჰქვია წართმეულ ფულს ნებაყოფლობითი შემოწირულობა – ვერც საზოგადოებამ გაიგო და ვერც გენპროკურორმა ახსნა. ან კი, როგორ ახსნიდა, როდესაც წართმევა და შემოწირულობა ურთიერთსაწინააღმდეგო ცნებებია.

მაგრამ, რა ძნელია ნდობისა და პატივისცემის დაკარგვა იმ ადამიანის მიმართ, ვინც სამართლიანობის და ნდობის გარანტია. როგორ ვაკადრო გენერალურ პროკურორს, რომ ის (ცრუა) ცდება? – აბა, ხომ არ იცრუებს? სიცრუე – ცოდვაა. დიდი ცოდვა. საკუთარი ხალხის მოტყუება უფრო დიდი ცოდვაა. განსწავლულია ჩვენი გენპროკურორი და იცის, რომ – Lus commune – (გარდა არის – lus humanum ადამიანური სამართალი, მაგრამ ყველაზე მაღლა – Lus divinum – საღვთო სამართალი დგას). ალბათ, ამიტომ არ დამთავრდა იმ ეკლესიის მშენებლობა იმ (!!!) ეზოში დემოკრატიის მშენებლობიდან 2 წელი გავიდა. ამ პერიოდში: ბატონმა პრეზიდენტმა ზაფხულში დაისვენა, სხვებიც დაასვენა. შემდეგ, დაძაბულმა მუშაობამ მოუწია. ახლა სულ მოძრაობაშია.

- უკრაინაში რევოლუცია ჩავატარეთ. ძალიან ძვირი დაუჯდა საქართველოს ბიუჯეტს "ბუნტმეიკერების" მივლინება კიევში (დ.კირკიტაძემ აღნიშნა საგაზეთო რეპორტაჟში). კონცერტები, მიწვევა-მოწვევა.

- ზამთრის კურორტები ავითვისეთ. პარლამენტის წევრები ძალიან კმაყოფილნი იყვნენ. ჯერ ბორჯომში მუშაობით – ნიშნი მოუგეს რომანოვებს. რითი არიან ნაკლები? გუდაურიც კარგ სამუშაო კლიმატს უქმნის ქვეყნის მესაჭეებს.

- ერთ-ერთი პარლამენტარი (ყველა დროის, მოწვევის, ძალიან მჭახე ფერის "ჰალსტუხების" მოყვარული) ბრძანებდა: "აქ კარგია, არავინ გვაწუხებს" "აქ მშვიდად ვართ". პარლამენტის სხდომათა დარბაზი ნახევრად ცარიელია. ზოგჯერ კანონის მიღება არ ხერხდება – დარბაზში კანტი-კუნტად სხედან, გაზეთს კითხულობენ, ერთმანეთს ესაუბრებიან – სკამებზე ტრიალებენ, თამაშობენ. საინტერესოა რა ღლით და ვინ აწუხებთ პარლამენტარებს. ყოველ შემთხვევაში, შესვენების დროს გადაღებულ კადრებში კარგად მოვლილი, ნაპატივები, როგორც ამბობდა დიდი დავითი – "განსუენებული" პარლამენტარები ჩანან.

- ასფალტი დავაგეთ. როგორ? საკითხავია. მაგრამ, კარგად და გონივრულად რომ გადაეწყვიტათ, სხვა ქუჩები უფრო საჭიროებდა შეკეთებას.

- რეზერვისტების თამაშები ჩავატარეთ. ერთმა რეზერვისტმა გაუმხილა კორესპოდენტს – "ხიზილალა ბევრი გვქონდაო".

- ამერიკაში ბექაური, კირკიტაძე მივავლინეთ. მხოლოდ გაჭირდა გარკვევა – ჩვენ გავუზიარეთ მათ რეზერვისტების მომზადების მეთოდები, თუ – მათ – ჩვენ.

- შადრევნები შევიძინეთ: ძალიან გაუჭირდათ წყლიან ფიცარნაგზე ცეკვა სადღესასწაულო კონცერტზე მოცეკვავეებს, პანტა-პუნტით ეცემოდნენ, მაგრამ – გადარჩნენ.

- ბუში მივიღეთ. ძალიან სასიამოვნო იყო, საამაყო. ვიზეიმეთ და ვიზეიმეთ.

- მრეწველობას უჭირს, მაგრამ არსებული ლუდი ქარხნის ჯინაზე "ძალიან მაგარ ბიზნესმენს" ხელი შევუწყეთ და ნატახტარში ახალი ლუდის ქარხანა გავხსენით – ძველის ჯინაზე.

- გავხსენით საზოგადოებრივი ტელევიზია, თუმცა ხალხმა ვერ გაიგო, რატომ დაერქვა "საზოგადოებრივი". ზოგს ისიც კი ეგონა, თუ თავისი სატკივარით მიაკითხავდა ამ ტელევიზიას – პირდაპირ ეთერშიც – კი ათქმევინებდნენ თავის საწუხარს. ჯერჯეობით, საზოგადოების მოწონება ამ არხის გადაცემებს არ დაუმსახურებია.

- დაიკეტა თუ ერთი პატრონიდან მეორე პატრონს გადაეცა სატელევიზიო არხები – ვერავინ გაიგო.

- ჩვენმა საამაყო სპორტსმენებმა ჩაიკმინდეს ხმა. და ისინი, ვინც მათ დასაცავად გამოვიდნენ, იქით დაადანაშაულეს. არა და, რა ძვირადღირებული ჩემპიონები გვაყვს. სად იყო უწინ ასე? იცავდნენ თავის ქვეყნის ღირსებას სპორტსმენები და ხალხის პატივისცემით კმაყოფილნი იყვნენ. ახლა კანონმდებლებადაც კი მოგვევლინა ზოგიერთი. ყოჩაღ! სპორტსმენებო!

- უმუშევართა არმიას უმუშევარი მეცნიერები შეემატნენ. გაზეთებში გამრავლდა განცხადებები: "პროფესორი, ფიზიკოსი, მოვამზადებ" "დოცენტი ქიმიკოსი, ვამეცადინებ" და ა.შ.
- ხელფასებმა საარსებო მინიმუმს ვერ მიაღწია.
- პენსია – ყოველდღიურად თითო შვრიის პურის ფულად არ კმარა.
- სამაჩაბლოში ხელები ცუდად ავაფათურეთ, დაჩოქილი ქართველებიც ვნახეთ, გატაცებულების ოჯახების მოტირალ წევრებსაც ხშირად ვუყურებთ. კოკოითი მოსკოვში მარჯვედ იქცევა. ქართული სოფლები ყოველდღიური თავდასხმის და გატაცების მოლოდინში არიან.
- დღესასწაულები მრავლად ავღნიშნეთ. ხალხი უცნაურია. ანგარიშობენ – რა დაჯდა ეს კონცერტები, ყინულის შოუ და რუსლანას კონცერტები, კიეველი მოდელების ბაკურიანში ჩაყვანა – რამდენ პენსიონერს ეყოფოდაო.
- დანგრეული და წალეკილი გურია მშველელს ელოდება.
- საავადმყოფოში, სადაც მე ვმუშაობ, პატრონი შვილთან ვერ მოდის, ქმართან არც მოსასვლელი და არც საჭმლის მოსატანი ფული არა აქვს.
- მოსამართლეები ზეწოლას უჩივიან. ვინ არიან? თეთრი ყვავები? სხვები ვერ იტანენ მითითებას და ზეწოლას – ამათ რატომ გაუჭირდათ? მაინც, რა არის პატიოსნება! ვერ იტან უსამართლობას და ღირსებას ვერ თმობ. ეს ყველას არ შეუძლია.
- გადავიტან-გადმოვიტანეთ ძეგლები ისე, რომ არც ავტორებს ვკითხეთ და არც საზოგადოებას.
- დავკეტეთ რესტორნები – კიდევ უმუშევრები.
- ვყიდდით და ვერ გავყიდეთ და ამასობაში, კინაღამ სინდისი – პიონერთა სასახლეც მივაყოლეთ. წინანდალი გავყიდეთ.

- რატომ გაუჭირდა ასეთი (!!!) ბიუჯეტის პატრონ ქვეყანას, რამდენიმე კულტურის ძეგლის შენახვა – ესეც საკითხავია.
- "ნამესტნიკმა" ვორონცოვმა ხელი შეუწყო საჯარო ბიბლიოთეკის გახსნას და ქართულ სტამბას საბეჭდი მანქანები შეაშველა, ჩვენ ჟურნალები დავხურეთ, აღარ დავაფინანსეთ. არა-და, "კომუნისტების ნატეხები"-ს მშობლები კითხულობდნენ ამ ჟურნალებს, ზოგი – იბეჭდებოდა კიდეც მათში.
- გალაქტიონის დაბადების დღე საქართველომ არ აღნიშნა – (არ არის პრიორიტეტული), საფრანგეთში კი საიუბილეოდ გამოიცა ჟურნალი, სადაც მისი ხელნაწერი ლექსებია დაბეჭდილი.
- ქართველი ხალხის რჩეულები ერთმანეთს სცემენ პარლამენტში, საკრებულოში, სადაც წაასწრებენ. რა გასაკვირია, რომ ქუჩაში უბრალო მოკვდავებმა დანა და იარაღი იხმარონ.
- ვის ჰკითხეს, უნდა თუ არა ჩვენს ქალაქს ცათამბჯენები? რატომ ვმტრობთ თბილისს? ჯერ იყო და დიდი დავითი მიშენებული ლოჯიებით დამახინჯებული დიღმის კორპუსებსა და ავეჯის სახლს შუა ჩავსვით. ახლა, გალაქტიონს მოუწევს ალბათ, შეწუხება. აბა, რა უნდა მაღლივი კორპუსების ჩრდილქვეშ.
- საირმის ქუჩაზე მშენებლობა თითქმის დამთავრებულია. ვინ იცხოვრებს ამ სახლებში – არავინ იცის.
- პრეზიდენტის სასახლის მშენებლობა არ ჩაეტია გათვალისწინებულ თანხებში. არა-და, პრეზიდენტისათვის გამოყოფილი თანხის გადახარჯვას კიდევ ეს ხარჯებიც რომ დაემატება, ცოტა უხერხული ხომ არ იქნება?
- რევოლუციის დღეებში ჩამოსულ მელორ სტურუას ვარდებზე დახარჯული ფული რომ გაუკვირდა, ნეტა ახლა რას იტყოდა – ამდენი

ვარდი რომ შემოვიტანეთ ჰოლადიიდან? ალბათ,
გვაქვს ამის საშუალება, თორემ . . .

სოლომონ დოდაშვილი, 1832 წლის შეთქმულების მონაწილე ფილოსოფოსი, 1831 წლის "სიტყვა მოწოდებაში" წერდა:

- "ნუთუ უკვე ჩვენ არ ძალგვიძს შენახვა მამულისა ჩვენისა?

ნუთუ უკვე ჩვენ არ გვაქვს სიმხნე და ძალი ესოდენი, რაოდენიც ჩვენ მამათა ანუ სხვათა მსგავსთა კაცთა?

მაშა რაისთვის ვცოცხალვართ?" – როგორია? თუ შენ მამულს ვერ მოუვლი, რაღა ხარ მაშინ – ასე სვამს საკითხს შეთქმულებას შეწირული მეცნიერი, ფილოსოფოსი, იურისტი, ფილოსოფიის კურსის და "ლოგიკის" ქართული ენის გრამატიკის ავტორი.

- ბატონი ბექაურის საწინააღმდეგო რა უნდა ჰქონდეს ვინმეს. მშრომელი ოჯახიდან არის, მაგრამ, არ დაუმალავს ბატონ ლევან ბერძენიშვილს: - "მე თვითონ მითხრა სააკაშვილმა ბექაურზე: ვიცი რაც არის, მაგრამ რა ვქნაო?"

- ბატონ ლევანს ვენდობი, რა გასაკვირია? ისეთი დეფიციტია პარლამენტში ინტელექტისა და განსწავლულობის, რომ რჩება შთაბეჭდილება – დარბაზში შეცვენილი "შავტყავქურთუკიანი" (ასე ეძახდნენ ჩეკისტებს იმერეთში) ბიჭები მწკრივში დააწყვეს და გვარებით შეიყვანეს ნაცპარტიის სიაში.

- აქედან გამომდინარე, თუ ბატონმა პრეზიდენტმა იცის, რომ ბექაური "რაც არის". მაშინ ბატონი პრეზიდენტი ჩვენ არ გვცემს პატივს, ხალხს, მის ამომრჩეველს.

არა-და, პრეზიდენტმა ფიცი დაგვიდო – ხელი კონსტიტუციას დაადო, გულზეც მიიღო juro – ვფიცავ.

- ერთი ცუდი თვისება აქვთ ჩვენს ხელისუფალთ კიდევ – თუ რამე ცუდის თქმა უნდათ ვინმეზე – "კომუნისტების ნატეხებს" უწოდებენ. თუ ვინმეა ასეთი, თვითონ არიან. ბატონი გელა ჩარკვიანიც "კომუნისტური ნატეხი" იყო და მერე როგორი. თვით კანდიდის შვილი, მაგრამ, ცუდი მოსწავლე გაზარდა? – თვით პრეზიდენტი.

თორემ ჩვენ გადასახლებულთა, ომში დაღუპულთა და განსწავლულთა თაობის ასევე განსწავლული თაობა ვართ, რომელმაც უცხო ენაც იცოდა თქვენს დაბადებამდე, ტოლტოის ოსტატობის დონეც, პუშკინის პოეზიის მუსიკაც, ვაჟას ფილოსოფიური მრწამსიც და ყაზბეგის ხევისბერის მიერ ჩატარებული სამართლის ფასიც – რომ სოციალურ-მორალურ სიკვდილთან შედარებით ფიზიკური სიკვდილი არაფერია.

ჩვენ ის თაობა ვართ, ვინც პიროვნების ნიჭიერების, განსწავლულობის, პატიოსნების ფასი ვიცით. ამიტომ, იქმნება საზოგადოებაში აზრი, რომ ბატონ პრეზიდენტს არ მიეწოდება რეალური ინფორმაცია, დამუშავებული პრესმასალა. თუ ეს ასე არ არის, მაშინ სად არის რეაქცია ჩვენი რჩეულის?

2004წ. პარლამენტმა 400000 ლარი დაუმტკიცა მწერალთა კავშირს – გათვალისწინებული იყო თანამშრომელთა ხელფასები, მწერალთა სტიპენდიები, ჟურნალ-გაზეთების დაფინანსება, რომლებიც მწერალთა კავშირს ეკუთვნოდა. ეს თანხა წაიღო კულტურის სამინისტრომ. თანამშრომლებს ხელფასები შეუწყდათ.

- შეკითხვა სამინისტროს: "სად დაიხარჯა ეს თანხა?"

- პასუხი: "ძალიან მნიშვნელოვან ღონისძიებაზე. მაგალითად, გონიოს "შოუ პახმელია". აქ იყვნენ ის მწერლები, რომლებიც ვერ გამოვიდნენ კარგა ხანს "პახმელიიდან" და რომ გამოვიდნენ – მერე ტელევიზიითაც კარგად შეუტიეს მთავრობას (ისე, რამ დაახურინეს "ცისკარი", სადაც პირველად დაიბეჭდა "სადაც ვშობილვარ, გავზრდილვარ" . . . ) სირცხვილია!

- აფრასიძეები ამოწყვიტეს. ციხეშია ოჯახის უკანასკნელი წევრი. უფროსი ცოცხლად დაწვეს. შვილი – შებორკილი დახვრიტეს. დარჩა დედა – პასპორტი დაეწვა სახლთან ერთად და ციხეში ვერ შედის შვილთან.

- აფრასიძეების მკვლელ სნაიპერს საქვეყნოდ გმირობა მიანიჭეს. მე შევატყვე, რომ ამ "გმირს" შერცხვა ასეთი "გმირობის". ამ ქვეყანაში სასამართლო,

მართლმსაჯულება არ არის? სნაიპერი – სამართალი არ არის!

- ახლა სამარხი გათხარეს. არ არის ხუმრობა. სვანებისათვის წმინდა ადგილის სამარხის ხელყოფა! ნივთმტკიცება, გატაცებულთა ძვლები (ღმერთო, მაპატიე, ამ მკრეხელობისათვის) – არ აღმოჩნდა. სოფელი აღშფოთდა. გააჩუმეს !!!

- "ერაყის განთავისუფლების ფონდი" თავის ელექტრონულ წერილში გაკვირვებული კითხულობს: "ისეთი ქვეყანა, როგორიც საქართველოა – საშინელი ეკონომიკით, პოლიტიკური და სხვა პრობლემებით – როგორ უნდა დაეხმაროს ერაყს, რა მონაწილეობა უნდა მიიღოს მის რეკონსტრუქციაში?" ერაყელები ურჩევენ საქართველოს – "ჯერ თავინთ ქვეყანას მიხედონ" – არ არის ცუდი რჩევა.

- ბუშმა ფეხდაკარგული ქართველი ჯარისკაცი მოინახულა, რომელიც ამერიკელებს ეხმარებოდა ერაყის დემოკრატიზაციაში. ბუში მას ვერც ფეხს დაუბრუნებს და ვერც – თვალს.

- ერთხელ – შერმთხვევით, რესტორანში, ერაყში გამგზავრების წინ, ქართველ მეომრთა გამოსათხოვარ ვახშამს დავესწარი. 45-50 კლდესავით, ხარივით მაგარკისრიანი, ნავარჯისები, ჩასხმული ბიჭი ილხენდა – ერაყში ამერიკული დემოკრატიის (ნავთობზე აშენებული დემოკრატია) დასაცავად მიემგზავრებოდნენ. ცეკვა რომ დაიწყეს, იფიქრებდი – ვულკანმა ამოხეთქაო. სად იყო ამდენი ენერგია – ამერიკელი ინსტრუქტორები პირდარებულები უყურებდნენ. მე კი, - მე კი, თვალიდან ვერ ვიცილებ მათ და სულ მგონია, რომ სწორედ ის ერთ-ერთი მოცეკვავე დარჩა უფეხოდ და უთვალოდ. გმირობა მიიღო!!!

- სიტყვა "სამართალდაცვა"-მ თავისი მნიშვნელობა დიდი ხანია დაკარგა.

- სასჯელაღსრულებითი დეპარტამენტის უფროსის მოადგილეს, ბიჭის გატაცებისა და მისი 40-დღიანი მძევლობის პერიოდში ოჯახისაგან 40000 დოლარის გამოძალვის ბრალდებით აკავებენ. აქ, სად შეიძლება ჩავრთოთ სიტყვა "სამართალდაცვა"? რა კონტექსტში ვიხმაროთ?

- შესაბამისი მაღალი ინსტანციების აღშფოთება და რეაქცია თუ მოისმინა ვინმემ, ამ ფაქტის გამო? ალბათ, იყო, თუმცა, ამდენ სხვასხვა "ტელე-შოუ"-ს მიერ დაკავებულ სატელევიზიო ეთერში – ასეთი "წვრილმანისთვის" (!), როგორიც ადამიანის გატაცება-გამოსყიდვაა – ვის სცალია.

- ჩემი მეგობრის შვილიშვილი ამერიკაში დაიბადა და, ამდენად, ამერიკის მოქალაქეა. 12 წლისაა. იცით, როგორ უფრთხილდება ამ მოქალაქეს მისი ქვეყანა? ყოველი სხვა ქვეყნის ტერაქტის, წყალდიდობის, მეწყერის დროს საელჩოდან ურეკავენ, აფრთხილებენ – ქალაქი არ დატოვოს, მისი ჯანმრთელობით ინტერესდებიან.

- აქ კი, - 40 დღე 16 წლის ბიჭი მძევლად ჰყავდათ. მერე ვის? დიდჩინოსან სამართალდამცავს (მისი კაბინეტიდან გამოძალული დოლარების საკმარისი რაოდენობაც ამოიღეს და არავინ ხმას არ იღებს). – იქნებ, ეს კაცი არ არის დამნაშავე? მაშინ, საზოგადოებას ამცნოს თავისი უდანაშაულობა. გააპროტესტოს Lusfitio – ქართულად სამართლიანობას ნიშნავს (რუსულად - справедливость). როგორ მომეწონა, რომ გავიგე – პოლონეთში იუსტიციის სამინისტროს აღრე "Министерство Справедливости" ერქვა.

- იქნებ, ჩვენც ასე მოვქცეულიყავით და სამართლიანობის სამინისტრო გვეწოდებინა იუსტიციის სამინისტროსთვის. იქნებ, ამ სიტყვას – მეტად ემოქმედა იმ პროცესებზე, რომლებიც სწორედ საქმის სამართლიანად გადაწყვეტას მოითხოვს (ახლა რომ ასე აკლია ჩვენს სასამართლოებს). როგორ მეგონა, რომ პროკურორის ეზოში აშენებული ეკლესია მაინც მოახდენდა ამ უწყებაზე ზემოქმედებას. შევცდი. რა საცოდავად გამოიყურებიან პროკურორები მრავალგვერდიანი ბრალდებების კითხვისას. დაბნეულები და უსუსურები არიან.

ბატონო პრეზიდენტო!

ძალიან ცუდი ხმები დადის თქვენი გარემოცვის ქონება-შემოსავლების შესახებ. ძალიან სასიამოვნოა, რომ კარგად ცხოვრობენ და დიდი ხელფასები აქვთ, მაგრამ გთხოვთ, ნუ გაგვწირავთ პენსიონერებს და ხშირ-ხშირად

ნუ დაგვპირდებით – "ასეთი უფასო სასადილოები ბევრი უნდა გავხსნაო". ყველა არ წავა იმ სასადილოში და ისე მოკვდება შიმშილით. თუ წარმოგიდგენიათ, უმუშევარი შვილის დედა, კეთილი და ნაჯაფი ბებია სამოწყალო სასადილოში? სირცხვილია, საქართველოში, განსაკუთრებით! ანდა, ამდენი სასადილოს გახსნის ხარჯები პენსიებს რომ დაუმატოთ, იქნებ ამ უძლურმა და ზოგჯერ ხეიბარმა პენსიონერებმა თავის სახლში ჭამა ამჯობინოს?

*გაზეთი "ლიტერატურული საქართველო"*
*16 დეკემბერი, 2005წ.*

## "მე ვადანაშაულებ!"
## წერილი რესპუბლიკის პრეზიდენტს!

ეროვნული ბიბლიოთეკა

- "ბატონო პრეზიდენტო! ნება მომეცით, თქვენი კეთილი სახელის გაფრთხილების მიზნით, რომლითაც თქვენ დამსახურებულად სარგებლობთ, გითხრათ თქვენ, რომ თქვენს ვარსკვლავს, აქამდე ასე ბედნიერს, ემუქრება შეურაცხმყოფელი, ჩამოურეცხავი წაბილწვა. თქვენ დაიპყარით ყველას გული, თქვენ გამოჩნდით დიდებით მოსილი და ეხლაც ემზადებით თავისუფლების, ჭეშმარიტების და შრომის წარმატებით დაგვირგვინებისათვის. მაგრამ, თქვენი სახელი – კინაღამ წამომცდა – მმართველის – დაბინდა სამარცხვინო ლაქამ. თავხედურად ფეხქვეშ გათელა ჭეშმარიტება და სამართლიანობა. ამის გადახაზვა შეუძლებელია. ამიერიდან ჩვენი ქვეყნის სახეზე იწვის ის სამარცხვინო სილა, რომელიც მას გააწნეს. დროთა წიგნში ჩაიწერება, რომ ეს უსაზიზღრესი დანაშაული აღსრულდა თვენი მმართველობის წლებში".

ბატონი პრეზიდენტი და მკითხველიც მიხვდება, რომ მე ასე კარგად ვერ დავწერდი.

წერილი ემილ ზოლას დაწერილია. მიმართავს საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტს. საქმე ეხება ერთ უსამართლო განაჩენს – (ცნობილი დრეიფუსის საქმე), როდესაც უბრალო ოფიცერი უდანაშაულოდ დაადანაშაულეს და დააპატიმრეს.

ზოლას წერილმა პრეზიდენტი აიძულა, სამართლიანობა მოეთხოვა და სამართალი აღდგა – დრეიფუსი გაათავისუფლეს.

მე ზოლა არ ვარ, მაგრამ თქვენ ხომ ჩემი არჩეული ხართ? ამიტომ, მეც უფლებას ვიტოვებ მოგმართოთ:

გწამდეთ! რომ ჩემს ირგვლივ ყველას ქვეყანაში სიმშვიდე და სიკეთე სურს. მაგრამ თქვენი თანაპარტიელების უმსგავსო საქციელი, ხალხისადმი უდიერი დამოკიდებულება საზოგადოებას აღიზიანებს. მას კი –

პრეზიდენტის ნამდვილი პრეზიდენტობა, ანუ – მისი ხალხის სამსახურში ყოფნა სურს.

- შეგვისრულეთ წინასაარჩევნო დაპირებები!

- დროზე შეჩერდით და დიქტატორული ტონი თქვენი თანაგუნდელებისა ხალხის გაღიზიანების ზღვარს ნუ გადააბიჯებს.

- დამყარდეს წესრიგი სასამართლო სისტემაში. გამოიყენეთ 3-თვიანი პატიმრობის გარდა კანონით დაშვებული სხვა მეთოდებიც.

- თვეობით მოლოდინში არსებული საჩივრების განხილვას საშველი დაადგეს.

- ნუ შეურაცხყოფთ უქონელთ და უპოვართ მათი "ქონების" აღწერით. კარადის გაყიდვა არ შველის სიღარიბეს.

- მიაქციეთ ყურადღება მათ აზრს, ვინც ქვეყნის საკეთილდღეოდ მოგმართავთ და არა ანგარების მიზნით.

- ერიდეთ მლიქვნელებს და შექმენით საზოგადოებრივი საბჭო, საზოგადოება, უპარტიო, ობიექტური (პუტინმა შექმნა ასეთი საბჭო).

*გაზეთი "ლიტერატურული საქართველო" 16 დეკემბერი, 2005წ.*

რევოლუციიდან დიდი დრო არ იყო გასული, რომ ბატონი ოქრუაშვილი, მაშინ შ.ს.მინისტრი, გამობრძანდა ტელევიზიით და ძალიან კატეგორიული ტონით და მრისხანე სახით განაცხადა: "სამართალდამცავებს დიდ ხელფასი უნდა დაენიშნოთ, რადგანაც მათ მოტივაცია აქვთ, დიდ თანხებთან აქვთ შეხება თავისი საქმიანობის გამო და რომ არ . ." (ტექსტის ფაბულა დაცულია).

მოკლედ, რომ არ წაწყმდნენო, ხელი არ წაუცდეთო – ასეთი იყო მოტივაცია და არგუმენტები.

გითხრათ სიმართლე, აღვშფოთდი გამომძიებლების და მოსამართლეების მაგიერ. ვიფიქრე, კი მაგრამ, რატომ აქვს ასეთი წარმოდგენა მათზე მინისტრს, არ ეწყინოს ამ ხალხს-მეთქი. ისე, მეც მეწყინა. როგორ? მე რომ მთელი დღე გონებაშეშლილ ავადმყოფებთან ვზივარ 64 ლარად, არ მაქვს ხელფასის მოსამატებლად მოტივაცია-მეთქი? და დავწერე სტატია "24 საათში" – კონტრმოტივაციით. შეცდა ახალგაზრდა მინისტრი. ხელფასები მეცნიერებისათვის, ხელოვანთათვის, ექიმებისათვის, პროფესორ-მასწავლებლებისათვის უნდა მოემატებინა.

- მაშინ შარდენზე ან პეროვსკაიაზე კაფეში ხელკავით წაიყვანდა ვინმე დარბაისელი პიროვნება თავის მეუღლეს, დაპატიჟებდა თავის კოლეგას მეუღლესთან ერთად, იმუსაიფებდნენ, მოუსმენდნენ შესანიშნავ მევიოლინეს და პიანისტს, შეაფასებდნენ, ისიამოვნებდნენ. საუბრისას რაიმე კეთილი და ქვეყნისათვის სასარგებლო იდეაც დაიბადებოდა. მერე წყნარად გამოვიდოდნენ კაფედან სულ მადლობით და "ჩემო ბატონო"-თი, მშვიდად გაუყვებოდნენ სახლისაკენ გზას და არ მოხდებოდა ის, რაც მოხდა შარდენის ქუჩაზე.

არც დაცვის ბიჭები დასჭირდებოდა ამ პატიოსან ხალხს, არც დონაძის ბიჭები და მძივებზეც არ იქნებოდა ლაპარაკი.

ბატონი ოქრუაშვილი განათლებული კაცია და ალბათ კარგად იცის ის შეგონება, რომელსაც გვირჩევენ და გვასწავლიან საუკუნოვანი სიშორიდან: - "ნუ დაუბნევთ მარგალიტებს ღორებს" მეტი რა გინდათ? გვაფრთხილებენ:

- ვისაც არ ეკუთვნის – ვერ შეირგებსო, ვინც ფასი არ იცის – ვერ დააფასებსო, ვინც უღირსია – ვერ მოიხმარსო, შეიძლება ცუდად გამოიყენოსო და ასეც მოხდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ არ ჰქონოდათ ამ ახალგაზრდა ჩინოსნებს ასეთი დიდი ხელფასები, ხომ არ ივლიდნენ წარამარა ბარში, კაფეში, რესტორნებში? არც ამ საპატივცემულო თანამდებობაზე მყოფი კაცის, ორი უდიდესი სამინისტროს მინისტრის ცოლის პატიოსნების (ეჭვმიტანილობას ვგულისხმობ) საკითხი დადგებოდა ეჭვის ქვეშ.

- ახალგაზრდა კანონმდებლებო, აღმასრულებლებო, სამართალდამცავებო (?)! გაუწიეთ ანგარიში იმ საზოგადოებას, ვისი შემოწირული ფულითაც გეძლევათ ასეთი დიდი ხელფასი, გაუფრთხილდით სიმწრით გადახდილი გადასახადებით ბოძებულ თანხას, რომელსაც ასე უხვად უნაწილებთ ერთმანეთს. ან სულაც თვითონ ინიშნავთ საკრებულოსი და პარლამენტის არ იყოს.

- ასეთი ევროპულად განათლებული მთავრობა ჯერ არ გვყოლია. უცხო ენები იციან და იმ ქვეყნების ისტორია და ლიტერატურა – არა.

მოლიერი მაინც არ წაუკითხავთ ან სპექტაკლი არ უნახავთ – "გააზნაურებული მდაბიო". ეს ჰაერიდან მოტანილი თემა არ არის. ცხოვრებისეულია, ყველა წყობისა და ყველა დროისათვის. მდაბიოობა კლასობრივი პოზიცია კი არ არის, ცნობიერების და სულიერების მოთხოვნათა ნიშნულით განისაზღვრება.

- ვაფრთხილებთ მთავრობას, (რომელიც "არ კითხულობს გაზეთებს და არც აინტერესებს"): - გაუწიეთ ანგარიში საზოგადოებას! ნუ გაატარებთ ასეთ უზნეო, (ბოდიში), მოუფიქრებელ ფინანსურ პოლიტიკას! ნუ იზამთ ისე, რომ მარალჩინოსნის, პარლამენტარის ხელფასი (ვთქვათ, 2600 ლარი) ასე თვალში საცემად, მკვეთრად, მოურიდებლად აღემატებოდეს იმ დამლაგებლის ხელფასს, რომელიც ერთ-ერთ ცნობილ კლინიკაში მუშაობს და იღებს 20 ლარს (!!!).

უმეტესობა მაღალხელფასიანთა ძალიან ახალგაზრდები არიან და ასეთ პატივს თავის დამსახურებად მიიჩნევენ, აქედან მოდის ამპარტავნობა, თავისი

უპირატესობის განცდა და მის პიროვნებაში რეალობასა და წარმოდგენილს შორის შეუთავსებლობა.

ამასწინათ, "ალიაში" წავიკითხე: ყველაზე მძიმე ცოდვების რიცხვს გამოკითხულთა უმეტესობა ამჟამად – სისასტიკეს უმატებს.

ჩემს ხანგრძლივ პრაქტიკაში ისედაც ბევრია სისასტიკის შედეგად დაზიანებული სულები, რომლებიც ფსიქიატრის მკურნალობას ითხოვენ. მაგრამ, ნამდვილად ვიცი, რომ არა მარტო მე (რომელმაც ვიცოდი სანდროს კარგი კაცობის შესახებ), არამედ ჩემს ირგვლივ ბევრს დაუზიანა სული ამ მკვლელობამ. სიკვდილს გააჩნია. საიდან გაჩნდა ასეთი სისასტიკე თანამოძმის, თანამემამულის და, ზოგადად, ადამიანის მიმართ? ესენი ბუნებით მკვლელები არიან და საზოგადოებისათვის საშიში ხალხია, სოციალურად საშიშნი არიან.

- საშუალება მეძლევა და უსაშველო (ნამდვილად - უსაშველო) სამძიმარს ვუცხადებ სანდროს დედ-მამას. ბაბუას განსაკუთრებით; ნუ გამკიცხავთ! ბედნიერი სიბერე ელოდა კაი ყმის შემხედვარე ბაბუას. ჩემი თაობის ერთი პატიოსანი კაცია და ღმერთმა გააძლებინოს ბოკვერდაკარგული, ძუ ვეფხვად ქცეული ქალიშვილისა და კედლიდან მომღიმარი, მის ხელში გაზრდილი საჯიშე შვილიშვილის სურათების შემყურეს.

- მართლა სისასტიკე ყოფილა ახლა ყველაზე დიდი ცოდვა. ტყვეებს არ აწამებდნენ თურმე, გამარჯვებული ქართველები. არას ამბობენ ამის შესახებ არა მარტო ქართველი ისტორიკოსები, არამედ ცნობილი არაბი, სპარსი, თურქი მემატიანენი.

- უიარაღოზე ხელის აღება დიდი ცოდვაა. წამება – ბოროტმოქმედებაა. პრეზიდენტის ფრთიანი გამოთქმა "ყველა ციხეში" – სწორედ ადამიანების იმ ჯგუფს ეხება, ვინც ეს ჩაიდინა. გერმანელ ტყვეებს სახლიდან საჭმელს ვუზიდავდით, სკოლის მერე ფუნთუშები მიგვქონდა. ჩვენ ვიკლებდით, გვეცოდებოდნენ. დაცვის ბიჭები ქართველები იყვნენ და რისკის ფასად თვალებს ხუჭავდნენ ამაზე.

- მე თუ მკითხავთ, მხოლოდ სისასტიკე არ არის ამჟამად ჩვენს ქვეყანაში ყველაზე დიდი ცოდვა. უსამართლობა უდგას მას გვერდში. უსამართლობას კი დაუსჯელობა კვებავს.

- ბავშვმა დააშავა – არ დაისაჯა, ეპატია. იგივეს ჩაიდენს, ჩვევად ექცევა. ჩვენს ოჯახებშიც ასეა.

- როდესაც სამცხე-ჯავახეთში კულტურის კერის შემქმნელს, ჭეშმარიტ პატრიოტს, რომელსაც იმ კუთხეში ხანძთელის ტვირთი ერგო და ზიდა კიდეც – მუქარა დაუწყეს არცოდნისათვის,ჩაუბარებელი გამოცდებისათვის დიპლომის არგაცემის გამო – მუქარის ავტორი არ დაისაჯა.

- რატომ დადუმდა მაშინ საზოგადეობა და მერაბ ბერიძის დაცვა მარტო მის სტუდენტებს და კოლექტივს რატომ მიანდო? ეს არ იყო ქართული საზოგადოების მოქალაქეობრივი ვალი? რაში სჭირდებოდა ამ კაცს დაცვა და ვისგან? იმ სტუდენტებისაგან, რომელმაც დიპლომი უსწავლელად მოითხოვა? ვინ უნდა დასჯილიყო? ვინც დიპლომი არ გასცა თუ ის,ვინც აიძულა მთელი სადამსჯელო აპარატი აემუშავებინა – სანთლით საძებარი მეორე ასეთი პიროვნების წინააღმდეგ? აი, სად იყო უსამართლობა. სამართლიანად რომ დასჯილიყო ის აღზევებული დიდჩინოსნის მეუღლე, ქრისტიანული მრწამსით ყველაზე დიდი ცოდვით – ამპარტავნობით შეპყრობილი – დღეს ეს საშინელი დანაშაული არ მოხდებოდა.

- ამბობენ, რატომ უნდა ამბობდნენ, რატომ სხვებზე არ ამბობენ და დაიწერა კიდეც – სხვა დროსაც ჰქონდა ადგილი დაცვის ბიჭების გამოყენებას რესტორანში სადამსჯელო ოპერაციის ჩასატარებლად. რა ჭირთ დიდჩინოსნების ცოლებს? იტაცებს მათ ვინმე? ჰგავს ვინმე მერლინ მონროს? არც გრეტა გარბოა მათ შორის. რად უნდათ დაცვა?

- ჯიმი მიქელაძის წიგნი წავიკითხე. (ნეტავ თუ წაიკითხა ბატონმა მინისტრმა?) უნდა წაიკითხოს უსათუოდ ბატონმა მერაბიშვილმა. უხერხულია, ხომ არსებობს კოლეგიალობა და პროფესიონალური საიდუმლოებანი. კოლეგის გამოცდილების ან შეცდომების გაგება და გათვალისწინება არ აწყენდა ბატონ მინისტრს.

- კარგი კაცის დაწერილია. დავიჯერო, არ უჭირდა ბატონ ჯიმის იმ რეჟიმში მუშაობა ინაურის ყოვლისმომცველი მზერის ქვეშ? ან დასაჭერი არავინ ჰყავდა? მაგრამ ერთს გეტყვით დანამდვილებით – პოლიციის ყოფილ შეფს თავის ქვეყანაში დაცვით არ უვლია ყველაზე ექსტრემალურ სიტუაციაშიც კი. დასაცავად ორი ახალგაზრდა რომ დაუნიშნეს – შემთხვევით გაიგო. იწყინა და მათი სხვა საქმით დაკავება ითხოვა.

- ვითომ, მარტო მიქელაძეობა, გვარიშვილობა შველოდა? არა! უყვარდა ხალხს და უსამართლობას არც თვითონ ჩადიოდა და სხვასაც უშლიდა. ახლაც პატივს სცემენ და უყვართ. მის ცოლ-შვილს საზოგადოებაში ვერ გამოარჩევდი – ვერც ჩაცმით, ვერც ქცევით – პირიქით, ისინი ოჯახიშვილობით, აღზრდით მიღებული ეთიკის ნორმებით ზოგჯერ აღემატებოდნენ სხვებს.

- არადა, რა ვქნათ? ის თავადი მიქელაძე ც.კ.-ს დანიშნული იყო, ბატონი მერაბიშვილი ხალხის რჩეულია და პრეზიდენტის გამორჩეული – ნაციონალური პარტიის ლიდერი. ხალხის არჩეულს რად უნდა დაცვა? კარგი, დავუშვათ, ის ჩვენთვის ღირებული ორი დიდი სამინისტროს შეფია და მისი მრავალრიცხოვანი დაცვის შენახვა ჩვენ, ხალხმა ვიკისრეთ და დავაფინანსეთ. მის "მშვენიერ" მეუღლეს რატომ უნდა დავუქირავოთ დაცვა? ან დონაძე ვის რაში სჭირდება? იყო ეს კაცი რუსთავი 2-ში, გააკეთა თავისი საქმე და ბუზი არ აფრენია. შეიძლება იმ ძვირფასმა მანქანამ მიიქციოს ყურადღება, რომელიც ასე "გამჭვირვალედ გაიყიდა აუქციონზე აბაშიძის ქონებიდან"? მაშინ, გადაჯდეს ეს ქალი ნაკლებადღირებულ მანქანაში და იქნება მშვიდად ისიც და მისი მეუღლეც.

- ისე, ამბობენ (რატომ ამბობენ – არ ვიცი), ისეთი ყოჩაღია, თვითონ დაიცავს ვინმეს – თუ საჭირო გახდაო. ასეთი ამბავი ჩამოიტანეს ბათუმ-ქობულეთ-გონიოს "საზღვაო ზოლიდან". ალბათ მართლა გაბედულია, თორემ როგორ გაბედავდა დიპლომის მოთხოვას უგამოცდოდ? ისე, ჩაებარებინა ეს გამოცდები და სხვებისთვის მაგალითი მიეცა თავისი სწავლა-განათლებით. ხალხშიც მეტ სიმპათიას

დაიმსახურებდა. ახალგაზრდაა, შეცდომები ყველას მოსდის. ისწავლის, ცხოვრებაც ასწავლის. ახლა, ეს საშინელი მკვლელობაც ბევრ რამეს ასწავლის და დაამახსოვრებს, თუ სამართლიანობა იქნა დაცული. მეუღლე ხომ იურისტია და იცის – Dura lex, sed – lex. კანონი – მკაცრია, მაგრამ კანონია.

- ერთხელ, პირველი პარლამენტის სხდომაზე, დემოკრატიული მთავრობის არადემოკრატიული გადაწყვეტილება და მოქმედება ირჩეოდა. მაშინ წამოდგა ქალბატონი მაია ნათაძე, პარლამენტის წევრი და ბრძანა: - ძალიან უბრალოდ, იმ ხალხის გასაგებად, ვინც იქ იჯდა:

- ბატონებო! იცით დემოკრატია რა არის? "ის, რაც შეიძლება თქვენთვის – ნებადართულია ჩემთვისაც. რაც არ შეიძლება ჩემთვის – იკრძალება თქვენთვისაც."

მაინც რა არის ინტელექტი და კულტურა! ქალბატონი მაია ამ დემოკრატიული პრინციპებით ცხოვრობდა ყველა მთავრობის დროს.

ერთი ორი სიტყვა ესთეტიკის, ეთიკისა და მორალის შესახებ.

- ძალიან სასიამოვნოა, როდესაც ჩემი რჩეული, ჩემი გაცემული ფულით (!!) დაქირავებული დეპუტატი კარგად გამოიყურება, პარლამენტში თავი ღირსეულად უჭირავს. საამაყოა. ერთ-ერთ პარლამენტარს იმ დროს დაეძინა, როდესაც საქართველოს მოსახლეობა დადუმებული, სიმართლის გარკვევის მოლოდინში უსმენს საქართველოს პირველ პოლიციელს, ვისაც ამ სისასტიკით, წამებით მოკლული ახალგაზრდა ქართველის მკვლელობის პირველ დღესვე განგაში უნდა აეტეხა, თავისი ხალხისთვის შეეხსენებინა – "ვისი გორისანი ვართ", სამძიმარი გამოეცხადებინა ოჯახისთვის და სამართლიანობის აღდგენისთვის იმ წუთიდანვე ეზრუნა. ტელევიზია აჩვენებს საცოდაობას: - დაძინებული პარლამენტარი კინაღამ დაშავდა. ძლივს გადარჩა სკამიდან გადმოვარდნას. ეს ხშირად ხდება პარლამენტში და ჩვენ ვუყურებთ ჩვენს რჩეულებს და გვეცოდება ეს ხალხი – რას არ იკადრებ ფულის გულისთვის. მერე ჩვენსავით ხომ ვერ იცხოვრებენ?

- ამ კაცს, რომელსაც ასეთ სხდომაზე დაეძინა – რაღაც სჭირს. ეს სანახაობა მარტო არაესთეტიკური კი არ არის, არაეთიკურია – პირველ რიგში გარდაცვლილის სულის მიმართ, მისი ოჯახის და, ბოლოს, საქართველოს მოსახლეობის მიმართ.

- რომ გაიგოს მინისტრმა, რომ მისი პასუხების დროს მის თანაპარტიელს ჩაეძინა, რას იფიქრებს მასზე?

- რატომ გიკვირთ ამის შემდეგ, რომ არც ხალხმა, არც ოპოზიციამ ამ დეპუტატის თავმჯდომარეობით გარჩეული ტერმინალ "ოპიზის" საქმიანობის საკითხის სიმართლე არ დაიჯეროს?

- პიროვნება, რომელიც არ ააღელვა ასეთმა მძიმე საკითხმა, უმეტეს შემთხვევაში ექიმის დახმარებას საჭიროებს. იქნებ, ზედმეტი განცდისაგან, ზეზღვრული (ზეზღვრული-აღემატებოდა ამ პიროვნების ნერვული რეაქციის შესაძლებლობებს) გაღიზიანებისაგან – ავადმყოფურ ძილს მიეცა. ეს ხდება, ფსიქიატრიაში ცნობილია. ან კიდევ, მისმა ფსიქიკამ ვერ გაუძლო, წარმოიდგინა იმ საცოდავი სანდროს წამების სურათი და რეალობიდან განსვლა მოიცა. ესეც ცნობილია – "თეთრი კურდღელი" მ.ჯავახიშვილის რომელ პარლამენტარს არ ექნება წაკითხული? არ უნდა გააცნობიეროს – ეს საშინელება რომ მის ქვეყანაში მოხდა და რაღაც პატარა ჩრდილი იმ მთავრობის მაღალჩინოსნებს ადგებათ, ვის სამსახურშიც ის იმყოფება. რეალობიდან გავიდა – ავადმყოფურ ძილში (!) – ეს ახსნა საუკეთესო ვარიანტია. მკურნალობას ექვემდებარება. მაგრამ . . .

- პიროვნება, დეპუტატი, რომელიც არ ააღელვა ამ სხდომაზე გამოტანილმა საკითხებმა, არ ააგზნო მისი ტვინის ხვეულები, არ აამუშავა – საცოდავია. უნდა ვიფიქროთ, რომ მისთვის თანამემამულის სიკვდილი გრიპით მკვდარი ქათმის ბედზე იოლია. (თუმცა საქართველოს მოსახლეობას და მთავრობასაც ეს საკითხი ძალიან აღელვებს). ეს, რაც შეეხება ეთიკას და მორალს.

- ისე, როგორია, ჩვენც ადამიანები ვართ და გადაფითრებული ახალგაზრდა მინისტრის ყურებამ

ნამდვილად შეგვაშინა. ის ჩვენიანია. ჩვენი ქვეყნის შვილია, თანამემამულეა და არც ერთ ნორმალურ მაყურებელს არ შესწევს ძალა უყუროს და უსმინოს ინფარქტის ან ინსულტისწინა მდგომარეობაში მყოფ ახალგაზრდა კაცს, დაბნეულს, შინაგანად დაძაბულს, შეშფოთებულს.

-ერთი თვის წინ გამოქვეყნებულ სტატიაში დიდი მორიდებით დავაყენე საკითხი – პოლიტიკური და სხვა სერიოზული, ქვეყნისათვის მნიშვნელოვანი საკითხების მიმღებ ინსტიტუტებში ან იქ, სადაც ეს გადაწყვეტილებები უნდა გაცხადდეს – უსათუოდ ფსიქოკორექტორი, ფსიქოანალიტიკოსი, ფსიქოთერაპევტი უნდა მუშაობდეს. ეს რომ ასე ყოფილიყო, არ გავხდებოდით იმ საცოდაობის მოწმე, როგორ უტარებდა ეს ახალგაზრდა მინისტრი, უ.ს. იტარებდა აუტოფსიქოთერაპიას.

- ცოტაოდენი ისევ ესთეტიკაზე. ძალიან სასიამოვნოა, რომ პარლამენტში დაისვა საკითხი ჩვენი რჩეულების გარეგნული ფორმის შესახებ – სამსახურში ყოფნისას. არც თუ ცუდად გამოიყურებიან დეპუტატი ქალები. მაგრამ ზოგის ვარცხნილობა კრიტიკას ვერ უძლებს: თმები ისე აქვს ჩამოშლილი, რომ სახის ნახევარს უფარავს. ალბათ, უჭირთ ასეთ პირობებში ყველაფრის აღქმა, ზუსტად დანახვა. ჩვენ არ ვიცით, ალბათ ეს "მხატვრული არეულობა" ძვირადღირებული ვარცხნილობაა. ზოგიერთ შოუზე და კინოვარსკვლავზე (დაბალი რანგის) გვინახავს ასეთი რამ. ქალბატონი ნინო კალანდაძე მშვენიერი თვალებბრიალა დეპუტატია. ამასწინათ, ედავებოდნენ – იურისტობის საჭირო სტაჟი არ გაქვს ნამსახურიო. ვერ გეტყვით; კარგად მეტყველებს. მაგრამ, იურისტები ფსიქიატრიას რომ სწავლობენ – ნამდვილად ვიცი. როგორ ვერ გაითვალისწინა, რომ მოკლულის დედ-მამა, ბაბუა, ახლობლები, საზოგადოება დაძაბულია, დედისთვის ყოველი წამი, რომელიც დამნაშავის პოვნას მიუახლოვებს, საუკუნეს უდრის, დედისთვის ყოველი სიტყვა, წარმოთქმული იმ (!) კათედრიდან, იმ დღეს (!) განსაკუთრებული მნიშვნელობის იყო. ცოტა უხერხული იყო მისი პოზიციის მოსმენა: "მინისტრი დღეს არ უნდა

გამოსულიყო სხდომაზე. . . “ არაეთიკური იყო ეს კომენტარი მხოლოდ? მე მგონი, უფრო მძიმე.

- ახალგაზრდა, ლამაზმა, ძვირადღირებულმა და კიდევ ხელფასმომატებულმა დეპუტატმა თანაც – იურისტმა, ხომ კარგად იცის, რომ ეჭვმიტანილ მაღალჩინოსანთა გათავისუფლება ძიების პროცესში სულაც არ ნიშნავს ძიებაზე და სასამართლო პროცესზე მათი ზემოქმედების შესუსტებას . . .

- ესთეტიკის ყველა პარამეტრი ზედმიწევნით აქვს დაცული ქალბატონ სპიკერს. ყოველთვის გემოვნებით შერჩეული “კოსტიუმები” ქალური სილუეტით, შესატყვისი სამკაულით, შესატყვისი ვარცხნილობით. ნებისმიერ სამუშაო დღეს მზად არის მაღალი სტუმრების მისაღებად. ასეც უნდა იყოს. ქალბატონი ნინო ყოველთვის კარგად გამოიყურება. გარეგნული ფორმა მის – ზომიერების გრძნობაზე მეტყველებს. როგორც მან ბრძანა – ტანსაცმელს იგი ავსტრიაში ყიდულობს – ზოგი პარიზში იმოსება, მაგრამ . . რამდენ ქულას იკლებს ეს ნიჭიერი ქალბატონი ხალხის, განსაკუთრებით, - ინტელიგენციის თვალში, როდესაც მისი ტონი და შესაშურად მდიდარი ლექსიკა გაანჩხლებული ქალისას ემსგავსება, უსამართლო ცინიზმს იძენს. ცინიზმი არ ეკადრება ასეთ ქალბატონს. – “არ აჰყვეთ პროვოკაციას” – ამის თქმა იმ დღეს ოპოზიციის მისამართით მკრეხელობა და შეიძლება მეტიც იყო. იქ, სადაც ქალს, დედას, მოყმის დედის პოზიცია უნდა გაეზიარებინა – სიტყვა “პროვოკაცია” იხმარა.

- რას მოითხოვდა ოპოზიცია ისეთს? მხოლოდ სიმართლის დადასტურებას, რადგანაც მტკიცებულებები თქვენც, ჩვენც, თქვენმა უმრავლესობამ და თვით შეწუხებულმა, ნირწამხდარმა მინისტრმაც კარგად იცის. ამ საქმეს ხელფეხგახსნილი მოსამართლე უმოკლეს ვადაში გახსნის და გამოავლენს დამნაშავეს. თუმცა, აქ დამნაშავე მხოლობითში არ იხმარება. აქ დამნაშავეები არიან – დამკვეთი, შემსრულებლები, თანამონაწილენი, დანაშაულის დამფარავნი, იმ მაამებელი სიტყვების შემდეგ, რომლებიც ასე მრავლად გაისმა უმრავლესობის მხრიდან, ქებათა ქება სამარცხვინო, დახინებული ან მაკიაჟით გართული დანარჩენი

ნაციონალების ფონზე – ღირდა კი ოპოზიციაზე თქვენი გაღიზიანების ამ დონით გამომჟღავნება სანდროს დედისა და ბაბუის ცრემლების ფასად?

- არც ეთიკური ეთქმის სპიკერატის რეპლიკებს იმ დღეს, არც მორალური. ქალბატონი ნინოს ბოლო რეპლიკაც არ იყო მისაღები, თუ ჩვენ, საზოგადოებას გვკითხავთ ოპოზიციის გასვლის შეფასებას: "ვუსურვებდი ასეთ ერთსულოვნება. . ."

- ისე, რომელი ერთსულოვნება სჯობდა? ის, რომელიც ბექაურს იცავდა, თუმცა კარგად იცოდა მისი ცოდვები და მასზე მაღლა მდგომებისაც, ის ერთსულოვნება, რომლითაც მერაბიშვილს დაძინებული რუხაია, სილამაზის "სალონგახსნილი" დეპუტატი თუ ისარივით დაჭიმული ოპოზიცია? არ გეგონოთ, ზოგადად, ოპოზიციის ადვოკატობას ვკისრულობთ. მათაც მოეკითხებათ; მაგრამ იმ დღეს . . . ერთსულოვნება ნამდვილი და ჭეშმარიტი უნდა ყოფილიყო.

- კიდევ ერთი სიტყვა ესთეტიკის შესახებ. ოპერატორი რატომღაც მეტ ყურადღებას უთმობდა უმრავლესობას და კამერა თავ-ფეხ-სკამიანად დეტალურად გვიჩვენებდა ქვეყნის წარმმართავ ძალას - ნაციონალურ ფრთას. ორი-სამი ნაცნობი სახე და დანარჩენი? საიდან მოვიდნენ, რა დამსახურებისთვის აირჩია ხალხმა, აირჩია კი? არც წვიმასა და ქარს შემოფარებულებს გვანან. მაშინ – დარბაზში შემოვარდნილებში უმრავლესობა კუნთმაგარი, მაგიდებზე ტარზანივით და მისი მეგობარი პრიმატივით მოხტუნავე, ტყავის ქურთუკიანი ჯანიანი ქართველები იყვნენ. ძერჟინსკის ბიჭებს ჰგავდნენ. ესენი (!!) ვერსაჩეს კოსტიუმებში გამოწყობილი ყმაწვილები არიან. ალბათ, ვიცე-სპიკერს ბაძავენ. ის მაჭავარიანია, ბატონო, ვერსაჩეც შვენის და დოლჩე-გაბანაც; გენს ნუ ეხუმრებით. თუმცა, მის შესახებაც. . . (ამაზე შემდეგ).

- უეცრად, კამერა შეჩერდა ვარდისფერ-იისფერ ძვირფას სამოსში გამოწყობილ დეპუტატზე. უცნობი ქალბატონია. ეს დეპუტატი ძალიან გართულია რაღაცით. თავი ჩაღუნული აქვს და კამერა დააცხრა მის გრძელ ფრჩხილებიან თითებს, რომლებსაც იგი გულდაგულ

ილამაზებდა. ფრჩხილების ნახვას არაფერი სჯობდა. წითლად ელავდენნ, კარგა ხანს აკეკლუცა მან თითები (დრო ბევრი ჰქონდა, მინისტრი ძნელად ლაპარაკობდა). შემდეგ, აუჩქარებლად გახსნა შინდისფერი "ნესესერი", ჩადო "სამუშაო იარაღი", დაკეტა ჩანთა. არავითარი ინტერესი მომხსენებლის და იმ საკითხის მიმართ, რაც ირჩეოდა, არავითარი მორიდება და პატივისცემა თანაპარტიელი მინისტრის მიმართ და, რაც მთავარია, სრული იგნორირება გარშემომყოფთა, გულგრილობა და შეუბრალებლობა დაღუპულისა. ამ "რჩეულს" ვაფინანსებთ და ვუმატებთ ხელფასს "ფრჩხილების" სალონის გასახსნელად პარლამენტში? ვიცოდი, რომ მრავალრიცხოვანი "ვოიაქები" და სხვა სიამოვნებანი უნდა დამეფინანსებინა, მაგრამ საპარიკმახეროც თუ ამ საცოდავი ხალხის კისერზე იყო – ამას როგორ წარმოვიდგენდი.

- იცით, რას ნიშნავდა იმ დღეს უმრავლესობის ქცევა და გამოსვლა? – "სხვისი ჭირი – ღობეს ჩხირი". და კიდევ – "ეს ჩემიანს არ ეხება". ჩვენ ყველა ჩვენიანები ვართ, ბატონებო!

იმ დღეს იქ გაირკვა, რომ თანამოძმის სიკვდილი ჩვენს რჩეულებს სკამის ფასად არ უღირთ, რომ ღირებულებები შეიცვალა, რომ აქ მხოლოდ სამოსი იყო ესთეტიური, დანარჩენი ყველაფერი კი არაეთიკური, არამორალური, დანაშაულებრივი. როგორ ვანდოთ ასეთ "აქტიურ", "კეთილზნიან" დეპუტატებს კანონის შეფასება? ვერ გადაწყვეტენ ისინი ჩემი ქვეყნის ბედს.

- რაც შეეხება, იმ დღეს უფასო სასადილოში პრეზიდენტის მიერ ჩატარებულ ბრიფინგს, მე ვიცი, რომ მისმა გამოსვლამ მოკლულის ახლობლებს იმედის დარჩენილ ნაპერწკალზე წყალი დაასხა და ჩაუქრო. მაგრამ, მის შეფასებას, ეთიკური და მორალური ასპექტის დადგენას – მკითხველს ვანდობ.

*გაზეთი "ლიტერატურული საქართველო" 10 მარტი 2006წ.*

## *ამჟამად – სიტყვა ჩრჩილის, ნაფტალინისა და სხვათა შესახებ.*

ეროვნული ბიბლიოთეკა

პირველად ჩემს მკითხველებს მივმართავ დიდი მადლობით იმ გამოხმაურებისათვის, რასაც პირადი შეხვედრებისა თუ სატელეფონო ზარებით ვიღებ. ჩემი პასუხი: - არა ღირს ვარ, - გულწრფელად ნათქვამი, არა მარტო დამორცხვებით – არ ჭრის. ამაზე მეტყველებს ის შესანიშნავი წიგნები, თვით ავტორთა მიერ მოძღვნილი – როგორც ნიშანი და ჩემი წერილების არსის გაზიარებისა და პირადი პატივისცემისა.

- უღრმესი მადლობა მათ, ვინც კიდევ და მაინც კითხულობს გაზეთებს. უმეტესობას ამ გაზეთის საყიდელი ფულიც არ აქვს – მე არაერთი სატელეფონო თხოვნა მივიღე ამ შინაარსის: "შენ ხომ იცი, მე ვერ (!!!) ვყიდულობ გაზეთებს, იქნებ მათხოვოთ და დაგიბრუნებ? როგორ არ შევასრულებ ამ თხოვნას. თუკი ვინმეს ამ დროში კითხვა უნდა, ოღონდაც! . . . ქ-ნ ელენე თევდორაძეს არ ვათხოვებ, იმიტომ, რომ "ასავალ-დასავალის" კორესპოდენტს განუცხადა: "მე გაზეთებს არ ვკითხულობ"-ო. ჯერ ერთი, არ უნდა; მეორე – მას საკმარისი საშუალება აქვს გაზეთის საყიდლად. თუ უნდა – იყიდოს. მაგრამ – არ უნდა. თუმცა, არ აწყენდა. (არც ბ-ნ მიხეილს). მაგალითად, 2005 წლის 15 დეკმბრის და შემდეგ ნომერშიც იყო ძალიან საინტერესო მასალა, სათაურით – "მსოფლიო პრესა", სადაც მოყვანილი იყო ამონარიდები სხვადასხვა ძალიან პოპულარული, წონადი ორგანიზაციების დასკვნებიდან და მაღალრეიტინგული გაზეთებიდან. (რეიტინგი – ახლა მოდაშია). ეს ყველაფერი აუცილებლად უნდა მეთქვა ჩემი მკითხველისათვის, რომელიც, თქვენ წარმოიდგინეთ, ზოგჯერ მეკითხება და მოითხოვს კიდეც: "თამილა! ნუთუ შენ ამაზე არაფერს დაწერ?!"

- ჩემო მეგობრებო! ფრთხილად! თქვენ მე ან ციხემდე მიმიყვანთ, ან – ჩემი საავადმყოფოს ქალთა განყოფილებამდე. პირველი – მოხდება იმ შემთხვევაში, თუ მე ჩემს აზრს შემდგომ წერილებში დაუფარავად ვიტყვი.

მეორე – იმ შემთხვევაში, თუ მე, როგორც ჩემს ზოგიერთ ავადმყოფს, დამეწყება განდიდების ბოდვა და დავიჯერებ, რომ მე გენიოსი თუ არა, მართლა კარგად ვწერ. ეს მეორე ვარიანტი მირჩევნია. ეს თქვენთან ჩემი გასაუბრებაა მხოლოდ. სიყვარულის გამოხატვაა. ამავე დროს, წერილის შესავალია.

- ასაკთან ერთად (ახალი) ნასწავლის, წაკითხულის "ახლად აღმოჩენილი სიბრძნე გვაკვირვებს. აბა, იფიქრეთ! "რომელმან შექმნა სამყარო ძალითა მით ძლიერითა". მთელ დედამიწაზე ორ ნივთს,ორ ადამიანს ვერ იპოვით ერთნაირს. მაგავსს – კი, მაგრამ ერთნაირს – ვერა. ტყუპი არველაძეები პატარაობაში ძალიან ჰგავდნენ ერთმანეთს. ერთ სახლში ვცხოვრობდით და სადარბაზოდან რომ გამოვიდოდნენ, მე ვეკითხებოდი – შენ აჩი ხარ, თუ შოთი? ჩემი შვილიშვილი ბიჭი-ბიჭი (ასე ჰქვია, რა ვქნა), რომელსაც ტყუპები მიცვივდებოდნენ მოსაფერებლად არჩევდა უტყუარად. მიუბრუნდებოდა და ეუბნებოდა – "შოთი, მაგრად ნუ მკოცნი". ასე ვიგებდი, რომელი შოთია და რომელი – აჩიკო.

- ძალიან ვრცელი ისტორია გამომივიდა, მაგრამ იმისათვის – მოგახსენებთ: ამ ტელევიზიის გამკვირვებია: როდესაც წინა დღეს ბ-ნ ლევან რამიშვილის გამოჩენაზე ასეთი გზავნილებია: "ერთი მომეცით, "გავლახო", "ეგ ჩამაგდებინა ხელში", "გააგდეთ მანდედან" და ა.შ. რა აუცილებელია მეორე დღეს ეს კაცი კიდევ აგინებინო ხალხს? ახალგაზრდა კაცია, ალბათ – თავმოყვარე, ძნელი სამუშაო აქვს, (მერე რა, რომ დოლარით უხდიან ფულს ამ სამსახურისთვის), ასე ესმის ამ კაცს თავისუფლება და ხომ არ უნდა უფრიალოთ წითელი ნაჭერივით გასაღიზიანებლად ხალხს. იმდენი ქნეს, ტელევიზიის მუშაკებმა, სანამ არ ათქმევინეს ის, რაც ამ პიროვნების "თავისუფლების ინსტიტუტის" გავლენიანი მუშაკის არა მარტო მორალური მრწამსის, არამედ მისი საერთოდ, ადამიანურობის, ელემენტარული ეთიკურობის საკითხსაც სვამს.

ახლა, რა მოხდა:

- ამას წინათ, საზოგადოებრივი ტელევიზიის საკითხი ირჩეოდა – ისევ ტელევიზიით. ძალიან სერიოზული სახით

იჯდა სამეთვალყურეო საბჭოს ზოგიერთი წევრი. ზოგი ამას ამბობდა, ზოგი – იმას. ილაპარაკეს ტელევიზიიდან დათხოვნილმა პროფესიონალებმა, რომლებმაც უმუშევართა დიდი არმია, უფუნქციო პროფესიონალთა რიგები კიდევ უფრო გაამდიდრეს. "უდაბნოსა შიგან" იყო მათი ხმა. არც ტელევიზიის ხელმძღვანელის ქ-ნ კინწურაშვილის გასაოცრად დიდმა ხელფასმა (?!) გაჭრა. სამეურვეო საბჭოს ზოგიერთი წევრი ისეთი მიამიტი სახით პასუხობდა, თითქოს მათი აზრი ტელევიზიის მუშაობის ხარისხის განსაზღვრაში არაფერს ნიშნავს. "გაყრილები", "გაგდებულები" თავს იცავდნენ და ამ დროს გაისმა – "ვკითხოთ ბ-ნ ლევან რამიშვილს!"

- ღმერთო, ძლიერო! მხოლოდ შენ თუ დაგვეხმარები იმის გარკვევაში – რა შუაშია საზოგადოებრივ ტელევიზიასთან ლევან რამიშვილი "თავისუფლების ინსტიტუტი" რაღას აკეთებს აქ?

- უეცრად, გამოჩნდა ეს საცოდავი ახალგაზრდა კაცი (რომელმაც ამდენი შეურაცხმყოფელი გზავნილი მიიღო) ნახევრადპროფილით უპასუხა უ.ს. განაცხადა გასაოცრად სწრაფად (ზოგადად, ტკეპნით, მძიმედ მეტყველებს), გარკვევით: "ნაფტალინი უნდა მოშორდეს". არც მეტი, არც ნაკლები – ეს რეპლიკა ეხებოდა ტელევიზიიდან უცერემონიოდ დათხოვილ ხალხს. ვამბობდი ყოველთვის და ახლაც ვიმეორებ – ძალიან დიდი სიფრთხილით უნდა მიეცეს ახალგაზრდას დიდი უფლებები. ყველა ვერ შეიშნობს და შეიძლება წახდეს ამ თანამდებობაზე, ან თავი მოიჭრას. ახლა, ამ კაცს რას ერჩოდნენ? ხომ არ გამოიჩენდა ასეთ უმეცრებას, რომ არ ეკითხათ აზრი?

- ნაფტალინიო, რომ ბრძანა, მან არც კი იცის, როგორი პატივი სცა მათ, ვინც უვარგისად ჩათვალეს და გააგდეს. ნაფტალინში შესანახად დებენ ძვირფას ტანსაცმელს ან ნივთებს, რომლებსაც უფრთხილდებიან, მერე უნდა ამოიღონ, გამოიყენონ. ყველაფერი "სანაფტალინო" საჭირო და ღირებულია. აი, ეს ვერ გაარკვია "თავისუფლების ინსტიტუტის" შეფმა – რა უნდა ეთქვა. მას – ჩრჩილი ჰქონდა მხედველობაში.

- ჩრჩილი – ბეწვის მრყვნელი ჭუა" – (საბა). აი, სწორედ ჩრჩილი არის ის ჭიაო, ამბობს "სიტყვის კონის" ავტორი, რომელიც აფუჭებს ბეწვსო, ანუ ქსოვილსო. აი, სწორედ ჩრჩილი არის ცუდი და მოსაცილებელიო. ნაფტალინი საბას დროს არ იცოდნენ და კაკლის ფოთლებს იყენებდნენ საჭირო და ღირებული ტანსაცმლის, ნოხის, ფარდაგის შესანახად. აი, რაშია ბ-ნ ლევან რამიშვილის შეცდომა. ეს საჭირო და ღირებული, თავისი საქმის მოყვარული და მცოდნე ადამიანები ჩრჩილისაგან უნდა დავიცვათ, ისინი გამოსადეგნი არიან. ჩრჩილი – კი ის არის, ვინც პარაზიტია, ვინც სხვის ხარჯზე იკვებება (თუ ფინანსდება - სულერთია).

- ამ თავისუფლების ინსტიტუტის გამკვირვებია. დოლარებს უხდიან თავისუფლების დამკვიდრებაში და ქ-ნი თეა თუთბერიძე (ედიტ პიაფიც პატარა იყო და ოქროს ფასი ჰქონდა არა მხოლოდ საფრანგეთისათვის) ერის წინამძღოლივით გვმოძღვრავს – მერე რა, რომ პატიმრები სცემეს და ხელ-ფეხი დაუმტვრიესო; მერე-რა, რომ შუბლიც ტყვიებით გაუხვრიტესო, მერე-რა, რომ პატრონები დარდისგან იხოცებიან; მერე-რა, რომ ისინი ვიღაცის შვილები, ძმები, დები, ქმრები არიან; ქ-ნი თეა მენტორის ტონით ბრძანებს – "ყველა ცივილიზებულ ქვეყანაში ამაზე მეტი მსხვერპლი იქნებოდაო". ე.ი. მადლობა გვითხარით, რომ ასე კარგად დამთავრდაო. კი მაგრამ "დაშავებულებს რომ ამბობენ, ეს რას ნიშნავს? თითი რომ გეტკინებათ ქ-ნო (მერიდება ამ სიტყვის ხმარება ამ ახალგაზრდაზე) თეა, ის შეგაწუხებთ, ალბათ, და ფეხზე, ხელზე ჭრილობა, თვალის დაშავება და სხვა ჭრილობები არაფერია? ამას რა ჰქვია – იცით? სხვისი ჭირი – ღობეს ჩხირი"-ო.

ამ ადამიანს არავითარი უფლება არ აქვს იყოს იქ, სადაც არის. კოპაძეს და კემულარიას რომ შეუჩნდა და ეს საცოდავი კაცი ინფარქტამდე მიიყვანა – ეს თეა არ იყო? მთელი კედლები რომ დათხუპნა და მერე ჩამოსარეცხი შეიქმნა – ეს არ იყო? უნივერსიტეტში სემესტრის ნახევარს რომ აცდენდა, საგნებს ვერ აბარებდა და დაშინებული ჰყავდა ლექტორები – ეს არ იყო? მარტო ქალბატონმა დალი ფანჯიკიძემ გამოიჩინა მოქალაქეობრივი პოზიცია და

განაცხადა: "საგანი ვერ ჩააბარა და რატომ უნდა დავუწერო ნიშანი". ანდა რისი უნდა შეშინებოდა ქალბატონ დალის? რას უზამდა მის შეუბღალავ რეპუტაციას "კმარას" აქტივისტი?

- მთავარი კი ის იყო, რომ ამ აქტივისტმა ასე უპასუხა მისი ლექტორის უარს არცოდნაში ნიშნის დაწერაზე: "სულაც არ მინდა უნივერსიტეტის დიპლომი, რომ მქონდეს – ტუალეტში ჩავუშვებ".

- რომ ჩემი ყურით არ მომესმინა, არ დავიჯერებდი. სად არის იმერული ზრდილობა? სად არის უფროს-უმცროსობა, მორიდება, მოკრძალება, პატივისცემა, მორალი? . . . ამ სიტყვების წარმოთქმისას უნივერსიტეტის კედლები შეირყა, ეზოში მისი დამაარსებლების ყველა ქანდაკებას ცრემლები ჩამოცვივდა. შველსაც და მისი ძუძუს მაწოვარ ნუკრსაც ძალიან შერცხვათ და შეწუხდნენ. მაგრამ, ალბათ, "კმარას" აქტივისტმა არც ის იცის – ვისი ბიუსტი დგას უნივერსიტეტის ეზოში, ვინ შექმნა ამ ცოდნის კერის სიმბოლო, რადგან მოიწონეს ეს სიმბოლო და რას ნიშნავს ძუძუს მაწოვარი შვლის ნუკრი.

- ადრეც ვთქვი და მერე ბატონმა ლევან ბერძენიშვილმაც საჭიროდ ჩათვალა ყველა იმ უმაღლესი ინსტიტუტების თანამშრომელთა ტესტირება, ვინც ჩვენ სახელმწიფოს მართვაში მონაწილეობს (თავისუფლების ინსტიტუტის ჩათვლით). ზოგადი განათლების მინიმუმის გასაკვეთად მაინც. არის სიმღერა ასეთი ტექსტით "და სიმღერისთვის შეიქმნა ადამიანი". აქ სიკეთეს ახლოც არ გაუვლია. ამ საშინელი, მკრეხელური გამოთქმის შემდეგ უნივერსიტეტის სტუდენტობას ამბოხი უნდა მოეწყო, ამ სიტყვების ავტორი უნდა შეეჩვენებინა, შეერცხვინა. ისე, საინტერესოა, როგორ აგრძელებენ იმ უნივერსიტეტში სწავლას, რომელშიც სწავლობდა ჩვენი "სულიერი თავისუფლების" მოძღვარი და დამცველი თეა თუთბერიძე? – რად უნდათ მათ ეს დიპლომები, რომელსაც ტუალეტში აგდებდა თავისუფლების ლიდერი.

თავისუფლებას ინსტიტუტი არ უნდა, ბატონებო! თავისუფლებას სულიერება უნდა, სული უნდა იყოს

თავისუფალი და ღირსეული. საბა. "თავისუფალი – არავის მონა". ეს ხალხი, ვინც დოლარებით მიღებულ უფლებებს იყენებს ადამიანისათვის მინიჭებული უფლების, სიცოცხლის წართმევაში – არ არის თავისუფალი. როგორ შეიძლება დავიჯერო ფსიქიატრმა, რომელმაც 45 წელი გავატარე სულით ავადმყოფთა შორის, ჯაჭვით დაბმულიც მოუყვანიათ, ბაწრითაც და ზეწრითაც, მაგრამ მათთან საუბარიც მოგვიხერხებია და დაგვიშოშმინებია – (უწამლოდ), რომ ციხის საავადმყოფოში მაინც მშვიდობის დამყარება არ შეიძლებოდა. როგორ დავიჯეროთ, რომ ზოგიერთი ტელევიზიის მიერ გადაღებული შეუჩერებელი სროლა ფანჯრებში და ციხის შიგნით უკეთესი იყო, ვიდრე ციხეში ისეთი ადამიანების შეშვება, ვისაც პატიმრებიც იცნობდნენ, საქართველოს სახეს წარმოადგენდნენ და პატიმრების გათითოება-გათიშვის გზით ამ საშინელ ფაქტს ავიცილებდით.

- ციხეში მარტო ბოროტმოქმედები არ სხედან. თუ სტატისტიკას დავუჯერებთ, 45% - გაუსამართლებელთა და ნაწილი საბოლოო განაჩენს ელოდება. მოკლულიდან ერთ-ერთი მეორე დღეს თავისუფლდებოდა. ციხეში დაიწერა შესანიშნავი სტატია. მერაბ ახობაძისა (პატიმარია) სათაურით – მემბოხე. სარტრი "უკანასკნელი წარმომადგენელი გადაშენების გზაზე მდგარი ინტელექტუალებისა" – 100 წლისაა. იციან ალბათ, "თავისუფლების ინსტიტუტის" მეტრებმა ვინ იყო სარტრი. (იმედი მაქვს მათი ინტელექტისა), მაგრამ სტატია ასე მთავრდება – "ეს იყო უკანასკნელი კაცი, მეამბოხე "გადაშენების გზაზე მდგარი იმ ინტელექტუალებისა", რომლებიც დაჩაგრულთა ქომაგნი და დამცველნი იყვნენ".

- არ არის "თავისუფლების ინსტიტუტი" თავისუფლების, და ჩაგრულის ქომაგი და დამცველი. მაშინ, რად გვინდა ეს ინსტიტუტი? არა დოლარების, კაპიკების ფასად ვიცავთ ასობით ბედით დაჩაგრულს, ვართ მათი ქომაგნი და ფსიქიატრიის ინსტიტუტი გვქვია. რათ უნდა ამას სისხლისღვრა. ამ საშინელი გლოვის დღეებში ხშირად მაგონდებოდა შაჰ-აბასის ცნობილი მოარული შეგონება:

"ქართველი კაცის დამარცხება არავის ისე არ ემარჯვება, როგორც ქართველ კაცს".

- რა ხდება?! "თავისუფლების ინსტიტუტის" შეფი ქართული კულტურის, ზოგად-ღირებულებათა შემქმნელ ადამიანებს ნაფტალინს უწოდებს; მისი ცნობილი "ჩაგრულთა ქომაგი", "თავისუფლების ბაირახტარი", უნივერსიტეტის დიპლომის ტუალეტში ჩამგდები, პატიმრების უფლებებისათვის ბრძოლაში თავგადაკლული კოპაძისა და კემულარიას მტერი თუთბერიძე – პატიმრების დახოცვას, სისხლისღვრას – ამართლებს. კი მაგრამ, იქნებ ტელევიზიამ დაზოგოს ხალხი და ეს გამოსვლები არ მოასმენინოს. საყურებლადაც – არც ისე სასიამოვნოა (ესთეტური მხარე მაქვს მხედველობაში, თუმცა გემოვნებაზე არ დაობენ). რეზო ამაშუკელს აქვს კარგად ნათქვამი ილიას სიკვდილზე.

"ბედი იბერიისა
სისხლით დაწერილია
იმავ სისხლის წვეთებით
სამარცხვინოდ წაშლილი".

და ბოლოს

"ვჭვრეტ მარიამის წილნაყარ ედემს
და პირჯვისწერით
ვჩურჩულებ სამჯერ:
- მოეც სიმშვიდე სამშობლოს ქედებს,
მოძალე ჩემი,
უფალო, საჯენ!

ესეც თუ ნაფთალინია, ვიყო ნაფთალინი – თუ ასე დაწერას შევძლებ? რას იტყვი, მკითხველო!

*გაზეთი "ლიტერატურული საქართველო" 7 აპრილი, 2006წ.*

## *რა ხდება დანიის სამეფოში?*

ცოტა უხერხულია ილაპარაკო იმის შესახებ, რა ხდება დანიის სამეფოში, მაშინ, როდესაც შენს საკუთარ ქვეყანაში არ არის სიმშვიდე. ეს კითხვა ჯერ კიდევ 1601 წელს დასვა შექსპირმა, როდესაც ჰამლეტის ტრაგედია აღწერა.

- ისე, კაცმა რომ თქვას, არაფერი განსაკუთრებული ისეთი, რაც ახლა არ ხდება-არც მაშინ მომხდარა. ჰამლეტის მამა ღალატით მოკლა ბიძამ და დანიის ტახტზე ავიდა. მას შემდეგ ჰამლეტის ცხოვრება გადაიქცევა შურისძიების, დამნაშავის დასჯის და, საერთოდ "ყოფნა არ ყოფნის" არსებობის ფორმად, მანამდე კი ეჭვი გამოთქვა: "რაღაც დამპალა დანემარკის სახელმწიფოში".

- ამბობენ, ბატონი ზურაბ ქვანიაც მოწამლეს გაზითო.

გამოძიება დამთავრდა თუ - არა, მოსახლეობამ არ იცის. ყოველ შემთხვევაში, ბატონი ზურაბის ძმის საბრძოლოდ გამზადებული ხმა აღარ ისმის ტელევიზორის ეკრანიდან და ქალბატონი ნინოც მისთვის ჩვეული თავშეკავებით, მოკლული ქმრის ქვრივისათვის უჩვეულოდ და შეუსატყვისად მშვიდად უვლის ოჯახს, განკარგავს ქონებას ეწევა შესაშურ ქველმოქვედებას. ალბათ, არ იყო იქ მოწამვლა, ანუ განზრახ მკვლელობა, თორემ გარდაცვლილის დედა, მეუღლე, ძმაც, ასევე შურისძიების სურვილით იცხოვრებდნენ (რასაკვირველია, უფრო ცივილიზირებული წესით).

- მათი თავშეკავებული რეაქციიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ ბატონი მერაბიშვილის მყისიერი გამოსვლა-განცხადება გარდაცვალების მიზეზის სრული ჭეშმარიტება იყო. ან, კიდევ ოჯახი დადუმდა, რადგანაც ბოროტება მძლავრობს და ის, რაც ხდება ქვეყანაში - შიშს ბადებს მათი ოჯახების შემდგომი კეთილდღეობის და თუნდაც, სიცოცხლის გამო.

- რაც შეეხება დანიის სამეფოს, მკითხველს შეუძლია მშვიდად იყოს და დანიის სამეფოს ბედზე მაინც არ განიცადოს, იქ, ახლა სულ სხვა ცხოვრებაა და ამ

კეთილმოწყობილ, "მაძღარ" ქვეყანაში უჩვეულო, მაგრამ ჩვენთვის სასაცილო ვნებები აღელვებთ.

- თურმე დანიის პრინცს ძალიან ჰყვარებია ძაღლები, განსაკუთრებით ტაქსის ჯიშის, საზოგადოებაშიც კი, თურმე იშვიათად ჩნდება მათ გარეშე. პრინცმა ისიც კი ისურვა, შემდეგ სიცოცხლეში იქნებ, ტაქსად მოვიდეო. თქვენ წარმოიდგინეთ, პოემაც დაუწერა თავის ტაქსას-ევიტას. აი ასე!

- ეს უკვე მეტის მეტია! აღმაშფოთებელიც!!! ჩვენი სახელმწიფოს მეთაური წუთს ვერ იცლის, საკითხავადაც-კი, "გაზეთებს არ ვკითხულობო"-განაცხადა (უნდა ეთქვა, ვერ ვიცლიო), ხან ნატახტარის და წეროვანის ველზე, ხან გზის გასაყარზე დაუდგამენ კათედრას ტრაქტორებზე ინფორმაციისათვის, ბუშტებიან ბავშვებსაც ხომ უნდა შეგროვება: ხან მრეწველებს აშინებს, მაგიდებში 5000 დოლარს ახდევინებს და კიდევ პირდება "ჯიბეების გაქექვას" - ახლა, თურმე ზუგდიდის ბაზარი უნდა გახსნას (ასე ეწერა გაზეთში): ამიტომ არ აღებენ ბაზრის ჭიშკარს.

- ეს დანიის პრინცი არ ჩანს ცუდი კაცი, მაგრამ მეტი საქმე არა აქვს? არც გვირაბის გახსნა ეხება, არც პატრიოტების ბანაკებზე აქვს სალაპარაკო? ან მადრევანი არა აქვს გასახსნელი? ან ქურდები არ ჰყავს? თუნდაც ერთი"კანონიერი" ან "ავტორიტეტი"?

- იმ ფონზე, როდესაც ჩვენ დემოკრატიულ ქვეყანას ვაშენებთ, ეს პარტიებიც არ იქცევიან ისე, როგორც საჭიროა (ანუ - "აჩმახებენ"). ტელევიზიამ თავისი ყველაზე მნიშვნელოვანი ფუნქცია, საგანმანათლებლო დაკარგა და გასართობ კრიმინალურ გადაცემად იქცა. ცუდის მეტს ვერც დაინახავ და ვერც გაიგონებ. "დამელაპარაკეთო"- ეხვეწებიან ოპოზიციურო პარტიები მთავრობას. "კი ბატონოო" - თანხდება მთავრობა, დაილაპარაკებენ, ელოდება ხალხი მოუთმენლად შედეგს. პასუხი – "ვერ შევთანხმდით". რა არის ასეთი შეუთანხმებელი? ფსიქიურ ავადმყობს ვითანხმებთ მკურნალობაზე და ერთმანეთში ტკბილად ვმუსაიფობთ. ამ მთავრობას რა დაემართა? თუ ოპოზიციური პარტიები "ნაკლოვანად და უსუსურად"

მიაჩნიათ, როგორც ამბობენ დაუთმონ ცოტა - ხომ შეიძლება? თანაც, რასაც ჩვენ ვისმენთ ხალხისთვის არც საზიანო საკითხებს აყენებენ, კაცმა რომ თქვას: ქართველები არა ხართ, ერთი ქვეყნის შვილები, ცოტ-ცოტა დაუთმეთ ერთმანეთს.

- სრული პასუხისმგებლობით, ვაცხადებ: ქვეყანაში ფსიქიურ აშლილობათა, ნევროზების, თვითმკვლელობების რიცხვმა საგრძნობლად იმატა. თვითმკველობათა ერთ-ერთ მთავარ ფაქტორად, სოციალურ-ეკონომიკურთან ერთად, იმ საშინელ კრიმინალურ, აგრესიულ, უსამართლო და განუკითხავ მკვლელობათა გადაცემა და ჩვენებაც ჩაითვლება, რაც ასეთი დიდი დოზით მიეწოდება ქართულ მოსახლეობას.

- რა საოცარია ადამიანის ბუნება! ხალხის გულს ვერ მოიგებ. იმ დროს, როდესაც ნატოში შესასვლელად ვემზადებით, სასამართლო რეფორმები ორჯერ ჩავატარეთ და ვაგრძელებთ, მილიონებად ვყიდით ყველაფერს და სახელმწიფოს დიდი თანხა შემოსდის (ანუ მთავრობას), ჭავჭავაძის მამული გავყიდეთ, შენობები შევღებეთ, ავადმყოფის პატრონი მეუბნება:

- კარგი დრო რომ იყო, ექიმო!

- რას გულისხმობ კარგ დროში?

- კომუნისტების დრო რომ იყო, სამუშაო რომ მქონდა, ხელფასიც რომ კარგი გვქონდა, თავის დროზე, რომ ვიღებდით, პენსიაც რომ კარგი იყო, ერთმანეთს რომ არ ვერჩოდით და პოლიციის ხალხს რომ არ ეშინოდა. აბა, ცუდი იყო?

- კარგი დრო რომ იყო!!! არავითარ ლოგიკას არ ემორჩილება ეს ნათქვამი. ასეთი საპატრულო პოლიცია შეიქმნა. უხმაუროდ დადის, არც მოძრაობას არეგილორებს, არც საცობების დაშლაში ერევა, მიდი-მოდის ჩუმად; თუ სადმე ცოლ-ქმარი წაიჩხუბებს და მეზობლები წაეკიდებიან, თუ მთვრალი ცუდად ატყდება - იქვე გაჩდებიან. მძარცველებიც ხშირად დაუკავებიათ. როგორ არ უნდა დაინახო ეს ყველაფერი? ამ ბოლო ხანებში ცოტა აირია

საქმე, ერთმანეთს ესვრიან, ნარკოტიკების გაყიდვაზე და ნარკომანების დაფარვაზე შეირცხვინეს თავი.

- ხო-და "კარგი დრო რომ იყო - კომუნისტების დროზე ამბობენ. სირცხვილია!

- მაგრამ რა ვუყოთ უმუშევრების არმიას, გაღატაკებულ ინტელიგენციას, 33 -ლარიან პენსიონირებს? იმ ღატაკებს, რომლებსაც სოციალურ დახმარებას არ უნიშნავენ, თუ კარგი დროიდან "შემორჩენილ მაცივარში მეზობლის ან ნათესავის ნაწყალობევი კარაქი ან ძეხვი აღმოაჩნდა, რა ვუყოთ ექიმს, რომლის ხელფასი მათხოვრულია, ცხოვრებას რა ვუთხრა, თორემ არ უნდა ვიღებდეთ 60 ლარს თუ თავის პატივისცემა შემოგრჩა, რა ვუყოთ მთელ საქართველოს მოსახლეობას, რომელსაც ავადმყოფური ფსიქიკის მქონე ადამიანების მიერ დაგეგმილი, ციხეებში მოწყობილი "ბართლომეს ღამე" ვაყურებინეთ. გაგვაგებინეთ, რატომ და როგორ იგრძნობს ჩემნაირი მოქალაქე ტარიფის გაზრდის სიკეთეს, მაშინ, როცა პროდუქტზე ფასის გაზრდამ ჯერ არავითარი სიკეთე არ მომიტანა, რა ვუყოთ ევროპიდან და ამერიკიდან ბრმად გადმოღებულ პროგრამებზე გაზრდილ ახალგაზრდობას? სხვა არავინ და არაფერი არ გვაქვს სამაგალითო? ჩვენ რატომ დავემგავსეთ ყველაზე ჩამორჩენილ ქვეყანას, რომელიც - ოღონდ უცხოს და თუნდაც, ცუდს – უმალვე იცრის.

- როგორ შემეცოდა საქართველოს განსწავლული მოსახლეობის ის ნაწილი, რომელიც ინგა გროგოლიას გადაცემას უყურებდა, სადაც ბატონმა გიგა ლორთქიფანიძემ შეახსენა მოპაექრეთა მარცხენა ფრთას (ბატონი ელდარ შენგელაია, ბატონი გოგა ხაინდრავა, ბატონი გვარამია), რომ რუსეთი მარტო დუმა არ არის, რომ რუსეთი დიდი კულტურის ქვეყანაა, რუსეთი ტოლსტოის და დოსტოევსკის ქვეყანაა.

- ბ-ნ გვარამიას პასუხი გამაოგნებელი იყო. თუმცა კაცია და გუნება – არ უყვარს დოსტოევსკი და ტოლსტოი; მათი ნაწარმოების გაგებას სხვა ფსიქოლოგია მსოფლმხედველობა სჭირდება, ვერ გაითავისა ბ-ნმა გვარამიამ დოსტოევსკის ფრაზა "მშვენიერება გადაარჩენს სამყაროს". ვერ მიიღო სათავისოდ და რას იზამ. გვარამიამ

იკითხოს, თორემ არც ტოლსტოის, არც დოსტოევსკის, არც პუშკინს არაფერი არ დააკლდებათ. იმით – მათ გვარამია პატივს სცემს თუ არა. საკვირველი ის იყო, როგორი დუმილით შეხვდნენ ამ განცხადებას ბ-ნ ელდარი და ბ-ნ ლევანი, ისე მე ვურჩევდი თავის გარეგნობაზე უკეთესი წარმოდგენის იყოს. ტალეირანი სულაც კოჭლობდა, მაგრამ, როგორც ამბობენ, მომხიბლავი პიროვნება იყო – პრინცის მანერებით. მიუხედავად დიდი თანამდებობისა, მოსაუბრეს სიტყვას არ აწყვეტინებდა, ზედმიწევნით იცოდა მოსმენა, რაც მოსაუბრეს ღირსებას მატებდა, ზრდილობა, ეტიკეტი, ქცევის ნორმები მაინც ბევრ ნიშნავს. ამიტომაც მიიწვია ნაპოლეონმა თავის სამსახურში, საინტერესოა, იურიდიულ კომიტეტში ყველას ასეთი დამოკიდებულება აქვს რუსული კულტურის მიმართ? ისე რამდენჯერ მიფიქრია, რა მოხდება, ჩაუტარდეს ტესტირება თუ ლიცენზირება ამ განათლებულ ახალგაზრდებს. ზოგჯერ, ავადმყოფის გამოკვლევისას ჩვენ ვწერთ: "პედაგოგიური ცოდნის მარაგი - ძალიან მცირე, არ აღემატება..." ასეთი გამოკვლევა სასურველია ყველა იმ ორგანიზაციაში, სადაც ადამიანის ბედი წყდება. რადგანაც, ვინც ვაჟას ალუდა ქეთელაურის ფილოსოფიის არსი არ იცის, ის სხვის ღირსებას არ გაუფრთხილდება. ვინც ნიკო ლორთქიფანიძის "თავსაფრიანი დედაკაცის" ტრაგედია იცის, ის უპოვართა სასადილოსთვის არ გაწირავს ახლობელს. რიგელი საპატიო სტუმარი გვყავდა და გვიამბო: რიგის დრამატულ თეატრში სეზონი ჩეხოვის "სამი და"-თი გაიხსნა, მან ბრძანა: "ჩვენ ძალინ დიდ პატივს ვცემთ რუსულ მწერლობას, მხატვრობას, ხელოვნებას და კულტურას" – საერთოდ.

ყოველ შემთხვევაში, ჩემი და გვარამიას გვარები არ შემორჩება ისტორიას. ბლოკი, პუშკინი, დოსტოევსკი, ახმატოვა, ჩეხოვი – მუდმივად.

ბ-ნ გიგას ვკითხე: " რატომ შეიწუხეთ თავი და აიწიეთ წნევა? ხომ ხედავთ მოსმენა არ იციან და რუსულ მწერლობასთან მწყრალად არიან?" " ვინმემ ხომ უნდა უპასუხოს!" მე პასუხად ბაღათერ არაბულის ლექსი გამახსენდა:

“ დამნაშავე ხარ?
თუ დუმილით უვნებელ
ჩრდილში
დგახარ დაღლილი,
ხოლო შენივე წაყრუებით,
რიდით თუ შიშით
განცხრომაშია საქმოსანი
ვიღაც თაღლითი.
ო, ამ სიმშვიდის საზღაური
იქნება მკაცრი
კაცი - ურცხვი და უტიფარი
თავს დაგდგომია
ხმა ამოიღე, დამნაშავეს
გადაეღობე,
არ დაიხიო, არ დაუთმო,
ესაც ომია”.

- რა შეიქმნა საომარი. თავისი ქვეყნის კულტურის სამსახურში დაღლილი კაცი – რა საომარია? იქ იხსდნენ პარლამენტარები, რომლებმაც საუკეთესოდ მოიწყეს ცხოვრება “ხერხითა და ღონით”, ბატონ გიგას ჯოხის მაგრად დარტყმის მეტი რა შეუძლია. შეურაცყოფის მიყენება არ აქვს გენში. ოჯახისშვილობა არ აძლევს უფლებას.

- ოჯახზე გამახსენდა! ძალიან სასიამოვნოა, რომ წეროვანში ბ-ნ მიშა საკაშვილის ოჯახის დასასვენებელი სახლი კეთდება. უ.ს. კომუნისტური დროის მთავრობის სტუმრების მისაღები სახლი, ახლანდელი დემოკრატიული სახელმწიფოს ხელმძღვანელს, პრეზიდენტს და მის ოჯახს გადაუკეთდებათ, ამას ქვია ტრადიციების გაგრძელება. ნათავადიშვილარი სახლი ხომ არ არის, ნაკომუნისტარია, აგარაკად რა უშავს. ალბათ, იქ შადრევანიც არის და სხვა ყველა სიკეთე-გათბობა, გაზი, წყალი და სხვა მრავალი.

- მინდა ვამცნო ბ-ნ მიხეილს და ჩემს მკითხველსაც, რომ ამ სახლიდან სულ 50 მეტრში, ზემოთ, წეროვანში წყაროსთან, მარცხნივ დიდი ხნის წინათ კომპოზიტორთა კავშირის წევრებს ნაკვეთები დაურიგდათ. ეხლა ეს ადგილი ხიროსიმას ჰგავს ატომური ბომბის გარეშე. ვერ

"გაქაჩეს" კომპოზიტორებმა ამ მძიმე წლებში აგარაკების აშენება. 26 კომპოზიტორიდან მხოლოდ ერთი ორს აქვს აშენებული. დანარჩენი, ზოგი – საძირკველია, ზოგი - ნახევარი კედელი და ა.შ. აქ - არც წყალია გაყვანილი, არც სინათლე და არც გაზია, ბევრმა ვერ გაუძლო იმ "შეურაცყოფას, რასაც სიღარიბე ჰქვია" (ბილ კლინტონი). ზოგი გარდაიცვალა , ზოგი კი...

- მე მოვუხმობ ხელფასგაზრდილ პარლამენტარებს, მშენებლობების წილში ჩამჯდარ მაღალჩინოსნებს, ფინანსების შემმოწმებლებს, მთავრობას ნახონ, როგორია ქართული ხიროსიმა, როგორ ცხოვრობენ საქართველოში დამსახურებული მუსიკოსები, ჭეშმარიტი ხელოვანნი. ზოგ შემთხვევაში უკვე მათი შთამომავალნიც. როგორ გაეცინებათ ჩვენს ჩინოვნიკებს, პარლამენტარებს და ყველას, ვინც ჩაჯდა "ინტერიერში" ვარდების რევოლუციის შემდეგ ასეთ უსუსურობაზე. სწორიც იქნება! დაცინვის ღირსი არიან! კომპოზიტორები: ნასიძე, შავერზაშვილი, ცაბაძე აღარ არიან. აზარაშვილს, ბზვანელს და მისთანებს (კომპოზოტორებთან ბოდიშს ვიხდი) რა შეუძლიათ.

- ისე, თუ ადაპტაცია გარემოსთან ვერ მოახდინე, თუ ვერ შეძელი "ინტერიერში ჩაჯდომა", მაშინ გამოდის - ვერ ივარგე. ვერ ივარგე იმიტომ კი არა, რომ ნიჭი არ გაქვს, იმიტომ რომ ბევრი ისეთი თვისება გაკლია, რაც ამჟამად ჭარბად აქვთ "ძლიერთა ამ ქვეუნისა"... (მე სიავეზე თვალის დახუჭვას, შავის თეთრად გასაღებას, საზოგადოების აზრის იგნორირებას, კედლის რქებით გატანას და ურცხვ ტყუილს ვგულისხმობ).

- თუ გაკეთდება კომუნიკაციები პრეზიდენტის სახლისათვის, თუ არის წყალი ამ სახლამდე, მაშინ წყალი გაყვანილი უნდა იქნას სოფლებში - წეროვანი, გოროვანი, ჩარდახი და ა.შ. ეს სოფლები უწყლოა და ცას შეჰყურებენ, იმიტომ რომ "დემოკრატია- ეს არის – რაც ნებაედართულია შენთვის, ის შეიძლება ჩემთვისაც".

- რა დემოკრატიული რეფორმა მოხდა ისეთი სასამართლოში, რომ რეფორმირებული სასამართლოს კანცელარიიდან თვეობით ვერ მიიღებ ცნობას? ეს არის

გამარტივებული ერთი ფანჯრის სისტემა? ისეთ პასუხს მიიღებ ამ ფანჯრიდან "ჟუვაჩკიანი" პირის გაღების შემდეგ, რომ იქვე გაგეყინება ტუჩებზე მეორე კითხვა.

- რა დემოკრატიული რეფორმა მოხდა ისეთი მოსახლეობის მომსახურების სფეროში, რომ გარდაცვლილი მეულლის შემდეგ ბინის გადაფორმება ცოცხალ მეუღლეს თანხაზე რომ არ ვილაპარაკოთ, თვეობით სიარული და ხვეწნა სჭირდება. რატომ აბრალებენ ამ კანცელარიებში თავშეყრილი საბავშვო ბაღის დონის აზროვნების ახალგაზრდები, ყველა პროცედურის გაჭიმვას და დაგვიანებას "რეორგანიზაციას"? იქნებ ეს დეზორგანიზაციაა მხოლოდ. რატომ არ სრულდება, საერთოდ სხვა დაპირებებიც. ასე ომახიანად მოცემული რევოლუციის დღეებში (თუნდაც, მინიმალური საარსებო დონის ხელფასი).

- რატომ არ ქვეყნდება ის ხარჯები, რაც დასჭირდა რევოლუციის დროს და მას შემდეგ პრეზიდენტისა და მისი მრავალრიცხოვანი ამალის საქმიან თუ სხვა მიმოსვლას? რატომ დაიხარჯა ამხელა თანხა სასახლის მშენებლობაზე, რატომ იყიდება ბათუმის პორტი 49 წლის არენდით, კიდევ რამდენი ასეთი მნიშვნელობის პორტი გვაქვს? რატომ იხარჯება გაყიდვით შემოსული მილიონები მეორეხარისხოვანზე, როდესაც არსებობს მთავარი და პირველხარისხოვანი – ადამიანი.

- რატომ არ გამოდის ჩრდილიდან გენერალური პროკურორი, მთავარი ბრალმდებელი მაშინ, როდესაც ეს ძალიან საჭიროა? რატომ ხდება ადამიანთა ხოცვა არ ჩადენილ, არ შემდგარ დანაშაულობებში ეჭვის მიტანის ან ინფორმაციის გამო? უშუალოდ პოლიციის თუ სპეცრაზმელების მიერ ჩადენილი თანამოქალაქეთა ლიკვიდაციის ან უმეცრად ჩატარებული ოპერაციის შემდეგ, მეორე დღეს სულ სხვა ინფორმაცია ვრცელდება, რომელიც დიამეტრალურად ეწინააღმდეგება მაღალჩინოსანთა ნაჩქარევად ჩატარებული პრესკონფირენციის დროს მიწოდებულ ცნობებს. ეს ამ მაღალჩინოსანთა არაპროფესიონალიზმის შედეგია ან კიდევ, უფრო უვიცი უფროსის დიქტატის შედეგი. დიქტატი იურისპრუდენციაში

– აკრძალული ილეთია. რატომ იცხრილება გაჩერებულ მანქანებში, თუნდაც ეჭვმიტანილები. კანონის დარღვევაში ეჭვმიტანილებთან ბრძოლა უკანონობით დაუშვებელია, ეს ქმედება ისჯება.

- რატომ არ აცნობენ ქვეყნის პირველი პირები საქართველოს მოსახლეობას ცნობებს ამდენი დახოცილი ახალგაზრდის გამო? მათი დედების ცრემლები ცას სწვდება. არ გიფიქრიათ რატომ ეშინია ზოგიერთ შვილ-მკვდარ დედას მკვლელის დასჯის მოთხოვნა? ვერ დაიძინებს სანდრო გირგვლიანის დედა, სანამ მისი შვილის მკვლელი არ დაისჯება, რატომ ავლენენ ნიღბიანები ასეთ დაუფარავ, ნებადართულ აგრესიას თავისი თანამემამულების მიმართ! ხალხი დაასაქმეს, უმუშევრობა მოსპეს, ციხეში პატიმართა განათლებაზე იფიქრეს? იქნებ ფსიქოლოგიური სამსახური შეექმნათ საპატიმრო ადგილებში? მარტო ცემა და გვემა არც წვრთნის და არც ასწორებს ადამიანს. პირიქით - აბოროტებს. რამდენი ახალგაზრდა გადაიქცა ფანატიკოს შურისმაძიებლად თუ კი პატიმრობიდან თავის დაღწევას ეღირსა? მათ პატიმრობა – დამსახურებულ სასჯელად მიიღეს. დაუმსახურებელი ფუზიკური ხელყოფა – შეურაცხყოფად. ეს უკანასკნელი უფრო ძნელი ასატანია.

- რატომ აღზევდა ამდენი უღირსი, უმეცარი და არაკაცი?

"უღირს პატივი მიეგება
დაგმობის ნაცვლად
და დევნილია ჭეშმარიტება"

და კიდევ ჩამოთვლის რა კაცობრიობის სატანჯველს შექსპირი, უმთავრეს ცოდვად შემდეგს მიიჩნევს:

"მართლმსაჯულების
გვიანობას,
მძლავრთ უკმეხობას,
შეურაცხყოფას ღირსეულის
უღირსისაგან"

"ღირსეულის უღირსისაგან შეურახყოფაზე" გამახსენდა.

- ამ ბოლო ხანებში დანიის სამეფოში არა, მაგრამ ფსიქიატრიის ინსტიტუტში ძალიან უცნაური ამბავი მოხდა (როგორც ჰამლეტი იტყოდა "რაღაც დამპალა დანემარკის სახელმწიფოში").

ქართველმა საზოგადოებამ, განსაკუთრებით იმ ახალგაზრდა თაობამ, ჩვენმა შემცვლელებმა, რომელიც მოვიდა და სახელმწიფო მართვაშიც აქტიურად ჩაება, უნდა იცოდეს - საქართველოს ფსიქიატრიის ინსტიტუტი არა მარტო საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებს შორის გამორჩეული იყო, არამედ მსოფლიო მნიშვნელობის იყო. ის მორფოლოგიური, ბიოქიმიური, პათოფიზიოლოგიური და კლინიკური კვლევები ჩვენთან რომ მიმდინარეობდა - რეზონანს იწვევდა ევროპაში და ოკეანის გაღმაც.

ბ-ნ ავლიპი ზურაბაშვილი,ფსიქიატრიის პატრიარქი გახლდათ, ბ-ნ ბიძინა ნანეიშვილი მისი უცვლელი მოადგილე, მარჯვენა ხელი. წარმოიდგინეთ, რაოდენ საამაყო იყო, რომ სწორედ იგი იქნა არჩეული საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარეთ. თავისი განსწავლულობით, პატიოსნებით – იგი ამას მსახურებდა.

ბ-ნ ბიძინა ნანეიშვილის მამა – რაჟდენ ნანეიშვილი გახლდათ გამოჩენილი ექიმი და საზოგადო მოღვაწე. დაუზარელად ემსახურებოდა სამტრედიას და მის მიმდებარე ყველა სოფელს. ბ-ნმა რაჟდენმა გაიღო დიდი შემოწირულობა ჩვენი უნივერსიტეტის მშენებლობისას, მეგობრობდა და თანამშრომლობდა იმ დროს გამოჩენილ ყველა პიროვნებასთან. აი, ასეთ ოჯახში გაიზარდა ბ-ნ გოგი ნანეიშვილი. ახალგაზრდა მეცნიერი, განათლებული, წიგნიერი, საამაყო ხელმძღვანელი მთელი ჩვენი კოლექტივისთვის, ყველა დედა იამაყებდა ასეთი შვილით.

ასე წავუწერე ჩემს წიგნზე მეც "შენნაირ შვილს ვინატრებდი" –მეთქი.

თქვენ გგონიათ, მარტო ჩვენ ვხედავთ და ვამჩნევთ ამ თვისებებს? მსოფლიო ფსიქიატრთა ასოციაციაში იგი ძალიან ცნობილი და აღიარებული ფსიქიატრია და გამგეობის წევრათაც აირჩიეს. 4 მაისს იგი სწორედ ფსიქიატრთა მსოფლიო ასოციაციის ყრილობის

თავმჯდომარედ იყო მიწვეული და მოხსენებითაც უნდა გამოსულიყო.

ორი კვირით ადრე პროფესორი გიორგი ნანეიშვილი ბრალდებულად იქნა ცნობილი.

ახლა მკითხველი იკითხავს - რა უნდა დაეშავებინა ასეთ ადამიანს? – ამას თავი დავანებოთ, პიროვნულად მაღალი ზნეობის, ინტელექტის, ჩვენი სამეთვალყურეო საბჭოს უფროსს, კოლექტივის (ისიც – ფსიქიატრები) სასურველ ლიდერს, რომ ჩვენს უაღრესად სამართლიან რეფორმირებულ, გამოძიებას იგი ეჭვმიტანილად კი არა, ბრალდებულად ეცნო.

- გეტყვით, არაფერი! დაემოწმა როგორც კომისიის წევრი (თავმჯდომარე სხვა იყო), სხვა კომიისიის წევრებს ექსპერტიზის ჩატარებისას დიაგნოზში. ეს დიაგნოზი იქნა აგრეთვე დასმული წინა ექსპერტიზის ჩატარების დროსაც.

- გასათვალისწინებელია, რომ ამ კომისიის წევრების სახელობითი დასახელება, ანუ საექსპერტო კომისიის შედგენა მოხდა უზენაესი სასამართლოს მითითებით. ერთი წევრი შესანიშნავი ახალგაზრდა ფსიქიატრი პირდაპირ მოითხოვა დაინტერესებულმა მხარემ.

ფსიქიკური დაავადების (თანაც საექსპერტო განსაკუთრებული შემთხვევის) დიაგნოზი - ძალიან ძნელი დასასმელია.

ამიტომ იქმნება კომისია ჩვეულებრივ სიტუაციაშიც, განყოფილებაში, სადაც სამი ექიმი ვაწერთ ხელს ავადმყოფის დიაგნოზს.

ბ-ნ გოგი ნანეიშვილს წაეყენა ბრალდება: განზრახ, ანუ დანაშაულებრივი მიზნით ყალბი ცნობის გაცემა. ყალბი – თურქული სიტყვაა (ყალბ), რიოში ჰქვია. რიოში – (საბა) – შერყვნილი, არაწმიდა.

- როდესაც კაცს, რომელსაც შენ, უზენაესი სასამართლო სამართლის დადგენას ანდობ, უფროსს დაუყენებ, კიდევ ორი ფსიქიატრით გაამაგრებ და მას თავისი აზრის ოფიციალურად გამოთქმისთვის "შერყვნაში არაწმიდობაში" ბრალს სდებ (!!!), თუ ცდები –უნდა სამაგალითოდ პასუხი აგო.

საპროცესო გარიგების მაგვარი შესთავაზეს არა კომისიის თავმჯდომარეს, არა სხვა წევრებს, არამედ მარტო გამორჩეულად გოგი ნანეიშვილს.

ათენში გაიგზავნა შეტყობინება, რომ პროფესორი გოგი ნანეიშვილი ვერ უხელმძღვანელებს ყრილობას, რადგანაც ბრალდებულია, სამარცხვინოა ჩვენი ქვეყნისთვის, იურისპრუდენციისთვის საშიშია და ამ სამარცხვინო ფაქტის დაუყოვნებლივ არ გადაჭრა სასამართლოს ძალიან მნიშვნელოვან დისკრედიტაციას უქადის.

ფსიქიატრთა მსოფლიო საზოგადოება ვერ გაიგებს: თუკი ფსიქიატრი პროფესიონალი (სადაც ის არ არის თავმჯდომარე) ხელს აწერს ცნობას, ანუ თავის აზრს გამოთქვამს (თავმჯდომარეც ხომ იგივე აზრისაა), სიყალბე რაშია? ან-კი, თუნდაც დიაგნოსტიკური არათანხვედრა მოხდეს, ეს ხომ დანაშაული არ არის ( თუ კი ავადმყოფს არ აზიანებს)?

ძალიან ცუდი ფაქტი მოხდა. სამართლიანობის დამკვიდრების გზაზე მდგარ ქვეყანაში ღირსეულებს ცრუ ბრალდებებს უყენებენ. საქართველოს სამედიცინო საზოგადოება ელის პასუხს – სამართლიანს!!!

მე მინდა თვითონ ხელისუფლებამ იცოდეს – რა და ვინ წარმოადგენს მისი ქვეყნის ღირსებას და თუ შელახავ, მაშინ ჩემი, როგორც უბრალო მოქალაქის პროტესტს გამოვხატავ: “ არვინ იხილა,

არვინ ისმინა,
რაც სულში ოდენ
სანთელი ვანთეთ,
განგაშის დროა,
განგაშის დროა!
ახლა ძაღლივით ყმუილი
გვმართებს!!”

*გაზეთი “ლიტერატურული საქართველო” 2 ივნისი 2006წ*

## *უსათაუროდ - მკითხველთა სამსჯავროზე*

"დრო მაინც ყველას კუთვნილს არგუნებს"
რ. ამაშუკელი

ამბავი, რომლის შესახებაც მინდა მოგითხროთ, ცოტა უცნაურია. არა იმიტომ, რომ მწარე სინამდვილეა და თანაც, მეტად უსიამოვნო. არა! უცნაურია, რადგანაც დაწერილია "უცნაური ქალის" მიერ, როგორც მიწოდებს ჩემი მეუღლე გურამ ბზვანელი და უცნაურია, რადგანაც ამბავი ესე ეხება მეუღლეს. ანუ, ცოლის მიერ თხრობილი, ქმრის შესახებ შეიძლება არ ჩათვალოს მკითხველმა ობიექტურად და მიკერძოებაში დამდოს ბრალი. მეც ვგრძნობ უხერხულობას და შენდობას ვითხოვ. რადგანაც ამ გაზეთის მკითხველი გარკვეული კატეგორიის ხალხია, რაც მე კარგად ვიცი იმ სატელოფონო ზარებით და ჩემი სტატიების სანაცვლოდ გამოგზავნილი წიგნებით (საავტორო მოძღვნით), ამიტომ, სწორედ ამ ადამიანებს მივმართავ: - ძვირფასო მკითხველო, თუ იოტისოდენადაც კი შეგეპაროთ ეჭვი ჩემი მონათხრობის ჭეშმარიტებაში ან მიკერძოება შემამჩნიოთ, არ დაიზაროთ, დამირეკეთ ან აღშფოთება წერილობით გამოხატეთ, გამოაგზავნეთ "ლიტერატურული საქართველოს" რედაქციაში. ბატონი თამაზი ისეთი კაცია, უსათუოდ დაბეჭდავს, მიუხედავად იმისა, რომ მე პატივს მცემს – ასე მგონია.

- ახლა მოგახსენებთ ყველაფერს. არის ასეთი კაცი გურამ ბზვანელი. გაიზარდა გრიბოედოვის ქუჩის იმ სახლში, სადაც ახლა კონსერვატორიის რექტორატია. სწავლობდა და დაამთავრა ვაჟთა პირველი სკოლა, სადაც იმ დროს შესასვლელშივე გამოკრული იყო დაფა იმ დიდებული ქართველთა სიით, რომლებიც ამ სკოლაში სწავლობდნენ. მარტო ნიკოლოზ ბარათაშვილი რად ღირს. ჰოდა, ეს ყველაფერი ბევრს ნიშნავს. შენი საწოლის კედლის მიღმა გესმოდეს მოცარტი, ჰენდელი, ფალიაშვილი, სიბელიუსი; იქვე - ორ ნაბიჯში, საღამოს შეგეძლოს მეორე იარუსიდან უყურო,

როგორ კლავს ხორავა - ოტელო თოიძე - დეზდემონას; მეორე დღეს პეტრე ამირანაშვილს, ბათუ კრავეიშვილს მოუსმინო და დილით იმ კიბეებით შეხვიდე სკოლაში, რომლითაც ტატო ადიოდა – დიდი ბედნიერებაა. მოკლედ, თბილისის სულიერების ცენტრში იცხოვრა და . . . პოლიტექნიკურ ინსტიტუტში ჩაირიცხა, გეოლოგიურ ფაკულტეტზე. რომელი იურიდიული, რის – ეკონომიური, რა - ბიზნეს მენეჯერობა; გეოლოგია! და ბიჭები ისეთი ამ ფაკულტეტზე, საგანგებოდ შერჩეული, რომლებსაც რომანტიკა და ქვეყნის საკეთილდღეოდ მიწის სიღრმეში რაიმე სასიკეთოს მოძიების სურვილი - ერთად უყრიდა თავს.

- მაგრამ, სიყვარულმა, რომ ამბობენ, გადარია ტარიელი და შეცდა გურამ ბზვანელიც. ამ პატარა ბიჭმა მტკიცედ გამომიცხადა: " მე- მთაში, შენ –ბარში, ასე არ ივარგებს" და გადავიდა საფეიქრო ფაკულტეტზე. აქ რა ხალხი დახვდა! იმერეთში რომ იტყვიან " ვაი, საყვარელო!" ახლაც კი, უკვე ხანდაზმულები და არა ბებრები, ქვეყნის კოლორიტს ქმნიან.

- აი, აქ შეძლო გურამმა პოლიტექნიკურ ინსტიტუტში იმხანად დაგროვილი ნიჭიერების რეალიზაციაში მიეღო მონაწილეობა (ყველაფერში კონსერვატორიის მეზობლობაა დამნაშავე). ჯერ კიდევ სკოლაში დაწერა "სიმღერა თბილისზე" ძალიან ახალგაზრდა ნოდარ დუმბაძის ტექსტზე:

" შენ ლალი ხარ საქართველოს
სილამაზე,
თბილისი და თბილი გულის
ფეთქვა გქვია.
შენს ძებნაში საქართველოს
ლაჟვარდ ცაზე
მზეს რამდენჯერ გზა და კვალი
დაჰკარგვია".

ეს სიმღერა უცებ გახდა პოპულარული და გასტუდენტებულ ბზვანელს ქალაქში მისი და დუმბაძის სიმღერა ხშირად ესმოდა, მაშინ მხოლოდ 17 წლის იყო. ამ სიმღერას პოლიტექნიკურ ინსტიტუტში ოლიმპიადებზე და ესტრადაზეც დიდი წარმატებით ასრულებდნენ. 20 წლისამ დაწერა "სანთელი", სიმღერა, რომელიც შევიდა საუკეთესო

სიმღერათა ოქროს ფონდში. გურამმა მიიღო მიწვევა პოლიტექნიკური ინსტიტუტის საესტრადო ორკესტრში (ცნობილი გ.პ.ი.-ს ორკესტრი). აქ იპოვნეს ერთმანეთი ბაკურაძემ, ხარაბაძემ, ცინცაძემ და ბზვანელმა. შეიქმნა კვარტეტი, რომლის კონცერტზე მოხვედრა გმირობის ტოლფასი იყო. მაგრამ აღარ გათავდა სწავლა, მაინც კონსერვატორიამ აჯობა და ინჟინერმა ბზვანელმა კონსერვატორია, კომპოზიციის კლასით დაამთავრა.

- ასე ვიცხოვრე დიდხანს " Вечный студент" - თან ერთად და დღემდე, 50 წლის შემდეგაც არ ვნანობ და რატომ:

- ერთი წესიერი და პატიოსანი კაცია. აკეთებდა თავის საქმეს. არ უმტყუნებდა. მეგობრობაში – უღალატო და ერთგული იყო.

- ერთი ცნობილი კომპოზიტორი გვყავს ნაცნობი. მისი ფანჯრებიდან სულ ფორტეპიანოს ხმა გამოდიოდა. ბევრს მუშაობდა. გურამი – კი დიდ დროს მეგობრებთან ყოფნას ანდომებდა. ჩემი საყვედურები მობეზრდა. ერთხელ დამიძახა: "მოდი, მოისმინე, რას გაგონებს ეს მუსიკა? ტელევიზორში "მაიორი ვიხრი" გადიოდა. მუსიკა, იმპროვიზირებული და გადაკეთებული კი არა, პირდაპირ გადაუტანია ჩვენს მეგობარ კომპოზიტორს თავისი ნოტების ქაღალდზე.

- გაუმარჯოს მას! ძირს ბზვანელი! კაცი, რომელიც ერთხელაც არ მოიტყუებს, სათავისოდ არ გამოიყენებს სიტუაციას, მთავრობას – ყველაფრის ღირსია. როდესაც შენი მეგობრები, სკოლელები, ნაცნობები, ახლობლები არიან მთავრობაში, ქალაქის სათავეში და შენ, წილკნის ქუჩაზე, ვერაზე ბინას ჩააბარებ ხელისუფლებას – ყველაფრის ღირსი ხარ და იმისაც, რაზეც ქვემოთ მოგახსენებთ.

- ასე იყო თუ - ისე, გურამი ამასობაში კომპოზიტორთა კავშირის მუსიკალური ფონდის თავმჯდომარეც იყი (უხელფასო თანამდებობა, მანამდე იგი ბატონ რეზო ლაღიძეს ეკავა).

- ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის წოდებაც მიიღო.

- ღირსების ორდენიც.

სახელმწიფო პრემიის ლაურეატიც გახდა და რაც ყველაზე მეტად დასაფასებელი და ჩემთვის მნიშვნელოვანია – თბილისის ერთგულების ჯილდოც მიანიჭეს (სათანადო ხატოვანი ატრიბუტიკით). ამ ბოლო ჯილდოს გადაცემას მეც ვესწრებოდი და ძალიან მეამაყებოდა, რომ ახლა აქ ვარ, მის გვერდით, სხვა ღირსეულ ადამიანებთან ერთად.

- აგერ მე, არავითარი ჯილდო არ მაქვს. ერთი-ორი სიგელი დევს, რომელიღაც უჯრაში. 45 წლის ფსიქიატრი ვარ, უმაღლესი კატეგორიის ექიმის წოდებაც მომენიჭა, მრავალი მეცნიერული ნაშრომის ავტორიც ვარ ჰალუცინაციების შესახებ, ორი წიგნიც დავწერე სულით ავადმყოფთა შესახებ ("ფსიქიატრის ჩანაწერები"), სტატიებიც, მაგრამ, შენც არ მომიკვდე!

- არც რაიმე პროგრამით მომიპოვებია ფული, უპატრონო ავადმყოფსაც ვაჭმევ და ვასმევ, ავადმყოფების დიდ სიყვარულსაც ვგრძნობ და ესეც საკმარისია ჩემთვის. მაგრამ, არავის არ უფიქრია ჩემი დაჯილდოება (ვერ ვიტყვი, რომ მთავარი ექიმი ჩემი მეგობარი არ იყო) გურამს კი ამ ნაკლებად მოსაუბრე კაცს, რომელსაც შვილიშვილების სიყვარული ახრჩობს და მისი გამოხატვისთვის სიტყვების მოძებნა არ შეუძლია - ამხელა დაფასება ერგო.

- კეისარს - კეისრის, ალბათ, ასეა. ერთმა ნაცნობმა მითხრა: "რა ბიოველი აქვს ამისთანა ბატონ გურამს ჩვენთან, ტელევიზიაში, დერეფანში რომ გამოიცლის, ყველა გამოდის ოთახიდან შესახვედრად (უნდა ვიგულისხმოთ ქალები). ეს ძველი ტელევიზიის დროს იყო და, როგორც ჩემი ავადმყოფის დედა, კესო ამბობს: "კარგ დროში, ქე რომ კომუნისტები იყვნენ" (აი, რას მოვესწარით!).

- ასეა, თუ - ისე, გურამ ბზვანელი ჯერ ცუდად არავის უსსენებია და არსებობს ფოტო-დოკუმენტი(!!), როდესაც შარშან, კახიძის მუსიკალურ ცენტრში, გადავსებულმა დარბაზმა (რა ხალხი იყო –თბილისის აბორიგენები), ფეხზე წამომდგარმა სცენიდან არ გაუშვა იმ მუსიკის ავტორი, რომელმაც ეს ოვაციები გამოიწვია, ბზვანელი კიბეზე ჩამოჯდა და ცრემლი ვერ შეიკავა. ამის შემხედვარე დარბაზს კიდევ უფრო აუჩუყდა გული და თვითონაც კარგა

გვარიანად აცრემლდა. ეს იყო ურთიერთსიყვარულის შესანიშნავი გამოხატვა.

- ბოლო 18 წელი, ბზვანელი III სამუსიკო სასწავლებლის დირექტორია. არაჩვეულებრივი კოლექტივი ჰყავს, შესანიშნავი პედაგოგები. ასე რომ ჩემზე ეგრუნა, როგორც იმ სასწავლებელზე – მე დღეს უკეთ ვიქნებოდი. არც ერთხელ სათავისო საქმეზე არავინ შეუწუხებია, მხოლოდ – სასწავლებლისთვის. მარტო ის ფაქტი რად ღირს, რომ უსინათლო გოგონა, სულით, გონებით, გრძნობებით მუსიკოსი-პიანისტი, რომელიც არცერთმა სასწავლებელმა არ მიიღო – გურამმა არა-თუ მიიღო სასწავლებელში, მისი წარმატებით ხარობდა და ამაყობდა. მიაღწია მის გაგზავნას ჯერ პრაღის, შემდეგ –პარიზის საერთაშორისო კონკურსზე. მისი გამარჯვების შესახებ პირველს გურამს ატყობინებდნენ. თამუნა შავლაშვილის გამოსვლა სცენაზე თანმხლების ხელკავით და როიალამდე მიყვანა - ეს ჩემი გოლგოთაა, რადგანაც ვიცი, რომ ამ დროს გურამი ცრემლად იღვრება. ეს უსინათლო გოგონა მისი ღირსების ორდენიც არის, დამსახურებული მოღვაწის წოდებაც, სახელმწიფო პრემიაც და თბილისის ერთგულებაც. ამიტომ იყო, რომ თამუნა ავლაბრიდან ნაძალადევში დადიოდა სასწავლებელში. ახლაც, კონსერვატორიის სტუდენტი აქ დადის. გურამ ბზვანელის მოვალეობის გამძაფრებული გრძნობა აქვს; შეიძლება – გადაჭარბებულიც კი. მაგრამ ასეთია და ამ თვისებით მხოლოდ სარგებლობა მოუტანა სასწავლებელს, ქართულ მუსიკალურ ხელოვნებას, ქართულ კულტურას.

- ახლა საქმის შესახებ. კარგა ხანია დაიწყო ლაპარაკი, რომ მუსიკალური სასწავლებლები (ტექნიკუმები) უქმდება. არ დავიჯერე. არაფრით არ შეიძლება ასეთმა განათლებულმა, დისკოთეკებზე მოსიარულე, ევროპულად მოაზროვნე მთავრობამ, მინისტრმა ასეთი რეფორმა ჩაატაროს, ასეთი დანაშაული ჩაიდინოს. ჩემს ახალგაზრდობაში გაზაფხულის მოსვლა მიხაროდა: ფანჯრები რომ გაიღებოდა, ყოველი ფანჯრიდან გამოდიოდა ფორტეპიანოს, ვიოლონოს, ან სხვა რაიმე საკრავის ხმა. ზოგი –ბახს ეჭიდავებოდა, ზოგი - გამებს აწვალებდა, ზოგს –

თვითონ ბეთჰოვენი ტანჯავდა, სხვას - ჰაიდნი. გაუბედავად გერშვინიც ისმოდა. ხელსაც კი უშლიდნენ ერთმანეთს პირისპირ მცხოვრებნი. იყო გროვა ლირის გამოსახულებებიანი ნოტების "პაპკებისა", რადგან იქვე მათი პატრონი მუსიკოსი ბიჭები ბურთს თამაშობდნენ. კალინინის ქუჩაზე ტრავმაის რახუნში, ქალბატონ ვანდა შიუკაშვილის ფანჯრებიდან შესანიშნავი მელოდიები ისმოდა. იქვე, ნავთის სარდაფის გვერდით, საბჭოს ქუჩაზე VI-VII მუსიკალური სკოლა იყო, ჩემი სკოლა.

- არ დავიჯერე, რომ ბატონ ლომაიას სკოლის რეფორმა (არა განათლების, კითხვა – პასუხის რეფორმა) მუსიკალური განათლებასაც შეეხებოდა. რა არის იმაში ცუდი, თუ მუსიკალურ ტექნიკუმდამთავრებული ახალგაზრდა ენისლელ ან თერჯოლელ ბავშვს ასწავლის: რა არის პოლიფონია, რითი განსხვავდება ბახი მოცარტისგან და რას ნიშნავს მუსიკალურ სამყაროში ჩაიკოვსკისა და ვერდის სახელები? ამჟამად ასე შეუნიღბავად მდარე და მხოლოდ შოუზე აღზრდილ, დისკოთეკას და ჯეობარს მიტოვებულ ახალგაზრდობას არ სჯობია ამ ტექნიკუმებში ფლეიტაზე, ვიოლინოზე და ვალტორნაზე დაკვრა ვასწავლოთ?

ქალბატონ ქსენია ჯიქიას სახელობის სამუსიკო სასწავლებლის გაუქმებით კულტურის სამინისტრომ 5 დიდი დასახლება - ნაძალადევი, სან-ზონა, თემქა, გლდანი, ავჭალა - არად ჩააგდო, გაწირა.

ამ რაიონების მცხოვრებნი – მუშა ხალხია: რომლის უმრავლესობას ახლა ქალაქის ცენტრში გამოსასვლელად თეთრებიც კი არ გააჩნია. ეს მუსიკალური სასწავლებელი ამ ხუთი დასახლების ერთადერთი მუსიკალური ცენტრი იყო, კულტურულ-საგანმანათლებლო კერა. იგი დიდი ტრადიციების სასწავლებელი გახლდათ, გამორჩეული მასწავლებლებით, რათ მათი შრომის შედეგზე - შესანიშნავ ახალგაზრდა მუსიკოსებზე აისახებოდა.

რას სთავაზობს კულტურის სამინისტრო ამ ხალხს სანაცვლოდ – ა-რა-ფერს.

- ჩვენი რეფორმატორების საჯიუტეს ვერაფერს შევადარებთ. თუ პოეტმა მეფემ ვახტანგ მეექვსემ

"სამართლის წიგნი" "ბრძენთა, მოხუცთა თანადგომით" დაწერა, მოიწვიე და ჰკითხე პროფესიონალებს აზრი! დამტკიცებულს კი ნუ გამოაცხადებ, შენს უმეცარ კატეგორიულობას კი ნუ გამოიჩენ, მიეცი ჩაფიქრებული რეფორმის განხილვის საშუალება ხალხს. არ შეიძლება ჩვენთან, სადაც ასე უხვად არის ბოძებული ღვთისგან მუსიკალური, პოეტური და საერთოდ, ხელოვნების ნიჭი, ისევე ჩაატარო რეფორმა, როგორც ჩრდილოეთის ზოგიერთ ქვეყანაში. გათვალისწინებული უნდა იქნას ეთნოკულტურული თავისებურებანი, ტემპერამენტი, ტრადიცია და სხვა.

- ივნისის ბოლოს მუსიკალური სასწავლებელი ბრძანებით გაუქმდა. ბატონ ლომაიას რეფორმას - 12-კლასიან სწავლებას, მუსიკალური განათლებაც შეეწირა. მის შესახებ მაისიდან ამცნეს სასწავლებელს. ანულირება ისევ ნაჩქარევად და დაუფიქრებლად მოხდა, როგორც კეთდება ბევრი რამ ამ ქვეყანაში.

- აქ დაიწყო ჩემს თვალწინ ისეთი მძიმე განცდები, რომლის ატანაც ახლობელ ადამიანს უჭირს. მკითხველი იფიქრებს, ბზვანელი ადგილის, თანამდებობის დაკარგვას განიცდიდა, ალბათო. არა, ბატონო! გურამ ბზვანელმა თვენახევარზე მეტია ყველა ღონე იხმარა, რომ კულტურის მინისტრს შეხვედროდა, რადგანაც:

1. ივნისის ბოლოს დამთავრდა გამოცდები, სახელმწიფო და გადასაყვანი. დიდძალი დოკუმენტაციაა გასაფორმებელი, შესავსებია დიპლომები,პასუხგასაცემია მოსწავლეები,მათი მშობლები.

2. სასწავლებელს შესანიშნავი ინსტრუმენტები აქვს: როიალები, პიანინოები, საკრავები. ვინ და როგორ მოუვლის მათ, თუკი საწავლებლის უფლებამოსილება შეწყვეტილია.

3. რა ეშველებათ მის მასწავლებლებს, პროფესიონალებს, რომლებიც სამარცხვინო ანაზღაურებით მუშაობდნენ საქმისა და ერთმანეთის სიყვარულით.

4. სკოლაში ბატონ ლომაიას რეფორმით სასწრაფოდ დაიწყო რემონტი, დიდი განიერი ფანჯრები ამოღებულია,

ინსტრუმენტები იმტვერება, ფუჭდება და გაიძარცვება, როგორც კი თანამშრომლები დატოვებენ იქაურობას,

- გურამ ბზვანელი 2 თვეა კულტურის მინისტრთან ვერ მოხვდა. მინისტრმა ვერ მოიცალა მის მისაღებად. კულტურის მინისტრმა კულტურის მუშაკი არ მიიღო.

- ბზვანელი წუხს. რა ეშველება ამას ყველაფერს! მე ვამშვიდებ: "ნუ გეშინია, ასლან აბაშიძის ქონებას ისე მოუარეს, რომ კაცი არ შეუწუხებიათ, ჩამორთმეული მილიონები ისე გაანაწილეს, რომ კაპიკი ჩვენს ხელფასს არ მომატებია, და მაინც ღელავს: "მინისტრმა უნდა იცოდეს, მიხედავს". მამამისს, ბატონ კოტე გაბაშვილს დაურეკა. პარლამენტარი მამა დაპირდა მინისტრ შვილს ვეტყვიო. დაიჯერა, ასეთი კაცია –ყველასი სჯერა: "ვოვა გაბაშვილის შვილი, შეასრულებს", ახსოვს მამაჩემის 60 წლის იუბილეზე ბატონი ვ. გაბაშვილი ბატონებთან პ.სარაჯიშვილთან და ა. ზურაბიშვილთან ერთ მწკვრივში რომ იჯდა. ვცადე გადარწმუნება: "გურამ! კაცი, რომელიც იტყვის –ხელფასები იმიტომ მოვიმატეთ, რომ ცოტანი ვართ, პენსიონერები - კი ბევრნი არიან და არ ეყოფათო, - არაფერს არ გააკეთებს. ამის თქმა არ შერცხვა და თავის შვილს შენი გულისთვის შეაწუხებს?" არ დაიჯერა. ერთ დილას სახლში დაურეკა ბატონ კოტეს, მეუღლეს ელაპარაკა. თავი შეახსენა (ახსოვს ახლაგაზრდა კაცი სულ რომ გვერდში დაყვებოდა შევარდნაძეს, ზრდილი, შემდგომ – ელჩი გერმანიაში).

- არც პარლამენტარმა მამამ და არც მინისტრმა შვილმა გურამ ბზვანელი თავისი აღიარებით და დამსახურებით - არაფრად ჩააგდეს. მე სხვას არც მოველოდი, მაგრამ გურამს რა ვუყო. შვურაცხყოფილია, ღირსება შელახულია. ამდაგვარი შეურაცხყოფა მისთვის არავის მიუყენებია.

- თაქთაქიშვილს არასდროს უთქვამს უარი მიღებაზე მისი მინისტრობის დროს, მიუხედავად იმისა, რომ ხან ჩაიკოვსკის ჟიურის თავმჯდომარედ იწვევდნენ მოსკოვში და ხან – სად. ის კულტურის კულტურული მინისტრი იყო, სხვის კულტურას და ღირსებას ამიტომ სცემდა პატივს. სულ ცხრა კაცია ისეთი საქართველოში, რომელთაც

საქართველოს დამსახურებული მოღვაწის და სახელმწიფო პრემიის ლაურეატის წოდებაც აქვთ. მათ შორის ბზვანელია. დამატებით თბილისის ერთგულიც არის.

- ახლა ღიად მივმართავ მკითხველს! თუ სპორტის მინისტრობა გინდოდა და ფანის მაისურებით სირბილი ბარებში, რას აიკიდე სამი ამხელა სამინისტრო?! (ისე, რა გოკას ბრალია, ბატონ პრეზიდენტს მიეცეს მისი ცოდვა). ბატონი სააკაშვილი ძალიან შორს არის მუსიკიდან. სმენა საშინელი აქვს, სიმღერა არ შეუძლია, სწორადაც ვერ ჩაიღიღინებს გურამის სიმღერას "ვედრება".

"მოდგმა გადამირჩინე,
ღვთისმშობელო მარიამ".

- სრულიად გასაგებია, რომ მას მუსიკალური განათლება სხვაგვარად ესმის. მაგალითად: შადრევანი, დისკოტეკა, ბრაზილიის პატივსაცემად თითქმის ტიტველი ქართველი გოგოს უკანალის გაუთავებელი ბზრიალი ტელევიზორის ეკრანზე, რუსლანა და სხვა ასეთები.

- გურამ ბზვანელს ვეუბნები: " სულხან საბა მიიღო ლუდოვიკომ, არც საქართველო იცოდა იმ კაცმა და არც ორბელიანების გვარისაც არაფერი. შენ საქართველოს კულტურის ის მინისტრი არ გღებულობს, რომელსაც ხელფასი შენი და ჩემი ხელფასიდან ეძლევა. რაღას მოითხოვ ამ კაცისგან. მოეშვი! ვერ უყურებ და ვეღარ გაიგე, რომ არც ერთ მათგანს (რაოდენ სამწუხაროც არ უნდა იყოს) მოქალაქეობრივი პოზიცია არ გააჩნია? თუ გაგიგონია მათი აზრი იმ საშინელი მოწამებრივი მკვლელობის შესახებ? არ აწუხებთ მათ სინდისი იმის გამო, რომ გურამ ბზვანელს, 70 წლის კაცს საქვეყნო საქმე ადარდებს. შენ კი არა ფეხდაფეხ დაჰყვებოდა შევარდნაძეს კოტე გაბაშვილი და მერე კირკიტაძის და ძმათა მისთა თანაპარტიელობა იკადრა".

- გურამი დუმს, იმედს არ კარგავს.

- მაინც რა უბედურება ხდება, სადაც ასე უთავსებენ ორ და სამ სამინისტროს - ვერც ერთს ვერ უვლიან. ორი სამინისტრო რომ შეუთავსეს იმ საცოდავ კაცს, ცოლს ვერ მიხედა. თურმე ყოველდღე შარდენ ბარში იჯდა, ამიტომ ვაძლევთ ჩვენ, უბადრუკი 61 ლ ხელფასიანი გადამხდელები

მათ მინისტრ ქმრებს ხელფასებს, რომ ცოლები შარდენ ბარში ამყოფონ და ქალი "შარში" გახვიონ?

- კულტურის მინისტრი პირველ რიგში ადამიანებთან ურთიერთობის კულტურას უნდა ფლობდეს. თუ კულტურის მუშაკი, კულტურის მინისტრს მიმართავს თავისი სატკივარით, მან ეს მხოლოდ პატივად უნდა ჩათვალოს – ე.ი. მისი იმედი აქვს. მე თვითონ ფაქტმა არდაფასების, ღირსეულის უღირსად მოქცევის, კულტურის სიყვარულით ჭეშმარიტად შეწუხებული ადამიანის იმედგაცრუებამ, ადამიანებში რწმენის დაკარგვამ შემაწუხა.

- ჩემი უკანასკნელი არგუმენტი: "ბიზანტიის იმპერია დაიქცა, გურამ! შენი ინსტრუმენტები". . . – ჩემი არ არის, ქვეყნისაა პასუხი.

- იმ ქვეყანაში, სადაც კულტურის მინისტრი გოკა გაბაშვილი გურამ ბზვანელს საქვეყნო საქმეზე არ მიიღებს, ცუდადაა საქმე. თუ სხვა აზრი გაუჩნდეს მკითხველს, პასუხს ველი.

- ამ წერილის გამოქვეყნება კარგი ხნის წინ მქონდა გადაწყვეტილი, მაგრამ გურამი მაჩერებდა: "იქნებ რამე შეიცვალოს. უნდა შევხვდე". "ნეტარ არიან მორწმუნენი", მაგრამ ურწმუნოთ და უღირსთ რა ეშველებათ. ვერც იტყვი "არა შეჯდა მწყერი ხესა". გვარი –კი იყო მისი, თანაც კარგი, მაგრამ მწყერი არ შეჯდა ხესა. სამი ათას ლარიანმა პარლამენტარმა მამამ, ალბად შეახსენა სამი ათას ლარიან მინისტრ შვილს – იქნებ მომავალი 33 ლარიანი გურამ ბზვანელი მიიღო, მაგრამ . . .

- როგორც იქნა, შეხვედრა შედგა. რა ბზვანელთან კონკრეტულად, ზოგადად კულტურაზე მზრუნველი მთავრობისა, კულტურის განაჩენ გამონატილ მუშაკებთან. განაჩენი იგივე. დაპირებები: ინსტრუმენტებსაც მოუვლიან, შვებულების ფულიც შეიძლება მისცენ, მაგრამ გაფრთხილება მკაცრი: "არავინ არ შეაწუხოს თავისი წერილებით და საჩივრებით".

- მუხრან მაჭავარიანის არ იყოს, რაც შეიტანა, იგივე გამოიტანა გურამ ბზვაბელმა. მეტიც, საშინელი შეურაცხყოფა და სინანული ადამიანებში გაუნელებელი რწმენის

დაკარგვის გამო. ავიწყდებათ ადამიანებს, რომ ყველაფერი წარმავალია. გაუმარჯოს გოგლას: "ჩალაგდნენ ყველა ჩინგის ხანები".

- აი, ასე! ამ ქვეყანაში ხანდახან იფიქრებს კაცი, ვისთვის არის ან ვის ემსახურება ეს მთავრობა?

*გაზეთი "ლიტერატურული*
*საქართველო" 14 ივლისი, 2006წ.*

8.
115/85
ეროვნული
ბიბლიოთეკა